



ՀԱՅԿԱՍՏԱՆԻ ՀԱՆՐԱՊԵՏՈՒԹՅԱՆ
ՆԱԽԱՐԱՐԱԿԱՆ ԳՐԱԴԱՐԱՆ

ISSN 0132-6023

ԳԻՏԱԿԱՆ

7

1982

სესია

301

გამოცემის ოცდამეხუთე წელი

7

ივლისი

1982

თბილისი

საბ. კვ. ცა-ის გამომცემლობა

ლიბრატურულ-გზატვრული და საზოგადოებრივ-პოლიტიკური ჟურნალი

შ ი ნ ა ა რ ს ი

კოეზია და კროზა

- 3. ზურაბ კუხიანიძე — დილის ზანძარი. პოემა
- 15. ჯანაძე კორიძე — „და სიხარული, კიბვად დას-
ვლისა. მოთხრობა
- 26. ნუგზარ წარეთელი — განახლებული უნებრელი
დღიურები. ლექსები
- 28. გიორგი ლაბაძე — თოვლი. რომანი
- 79. ირაკლი ციგურაშვილი — ლექსები
- 82. ოთარ ნოღია — მოთხრობები
- 105. გიორგი გიგაური — ლექსები
- 107. კეკელა კლდიაშვილი — მოთხრობები
- 110. ლევან ბახუაძია — ლექსები
- 112. შოთა ზომი — პარტული ზღაპარი. ლექსი
- 113. ამირან მახაშვი — ლექსები
- 114. აბაგი შუბრაძე — გამგვირვალ ნიღბები. ნაწიე-
ტი რომანიდან
- 132. აალე გომიშიძე — ძლიერის ძიგლი. ლექსი
- 133. ჯუმაბეგ ტიპაძე — სასწაულები. რომანი. გაგრ-
ძელება

გომრგვიმესაის ტრაქტატი — 200

- 136. სერგო ხოსიტაშვილი — რუსი და ქართველი ხალ-
ხების საბრძოლო თანამებრძობა

წიკრელები

- 145. კეკელა სიხაძე — ა. ლოსივი და ქართველი რენე-
სანსის კროზალები

ნაკვეთი

- 159. ვახე ოთარაშვილი — ფურცელ-ფურცელ აქინე-
ლი ცხომობა

მთავარი რედაქტორი შორის ურსნიშვილი

სარედაქციო კოლეგია:

ჭაბუა ამირაჯიანი
გივი გვაგაძორი
გურამ გვარდნილი
რისგაგ გორდუნიანი
გიორგი გუგულია
ნოდარ დუმბაძე
მერაბ ელიოშვილი
ვახე ლორთქიანიძე

მთავარი რედაქტორის
მოადგილე
ოტია პაპორია

გურამ ფანჯიკიძე
ნუგზარ შატაძე
ჯანსუღ ჩარკვიანი
სოსო ცინცაძე
გივი ძნელაძე
ნუგზარ წარეთელი
თამაზ წიგნივაძე
ტარიელ ტანთურია
კახო ტყეშელაშვილი

ქრეზის ღმ პრეზი

ზურაბ კუხიანიძე

დილის ხანძარი

კოვია-ალსარეა

წინათქმა

ჩემი

მართალი

შეგნებული მთელი ცხოვრება

ლხინით და ჭირით, საქმიითა და წრფელ სამსახურით,

ბროწეულების ყვავილებით და ეკლიან გზით —

სავსე მომავლის იმედით და ნათელი სულით

ურა კვიცივით მოჭიხვინე ახალგაზრდობის

მხარდამხარ მწყობრში

მივლია

დღემდე.

გულის

კარნახით

ზოგჯერ კიდევ ძუნძ მვილინებით.

ხან აფრადგაშლილ კომკავშირულ მკაცრი საგზურით —

სვანეთის მთებში მოგუგუნე და შმაგ ენგურზე,

მურმანსკის მონჩე-ტუნდრასა და ოლენიაში,

ნაბერეცნიე ჩელნის მკერდზე გაშლილ კამაზზე

მათთან მხარდამხარ

მივლია

დღემდე.

ბევრჯერ
ნარკვევში,

ჩვენში მხატვრულს რომ ეძახიან,
ეს ყველაფერი, როგორც გაწვდი, გადავიტანე,
მაგრამ ორიოდ ლექსის გარდა, სხვა ვერ შევქმენი;
დღეს ვალის მოხდად ნუ ჩამითვლით (ვერ შევძლებ ამას),
რომ ამ პოემას გულით ვუძღვნი ახალგაზრდობას...
აი წინასწარ
სათქმელი
ჩემი.

1.

რაც უნდა მეთქვა დღიდან გაჩენის, ყველაფერს გეტყვით გათენებამდე.
სხვა დანარჩენი, სხვა დანარჩენი, თქვენ ამოხსენით, როგორც გნებავდეთ.

იქნებ იკითხოთ: რა ხარ? ვინა ხარ? რად გადაცდიო მწყრალად ნაპირებს...
ოცდაორი წლის ბიჭს რა გინახავს, რომ ამ ქვეყნიდან წასვლას ვაპირებ.
ცოტაც კი კმარა ასაჯანყებლად, მცირე ნაპერწკლით იწვის აბედი:
თუმც არ მინახავს ბევრი ამქვეყნად, ასე მგონია — უკვე დაებერდი.
ვარ, ვით გუთანში ხარი შებმული, ძარღვებდამწყდარი და დაღვრემილი...
ჭერიდან ზანტად ჩამოშვებული ყულფი ჩანს ბანის გასაღებივით.
გავრბივარ ყველა საყვედურისგან თითქოსდა ღვინით ვარ დაბანგული
და სიჩუმეში ჩემი გულის ხმა ისმის, ვით შორით უროს ბაგუნი.
მტვერი აყრია დამშრალ ყავადანს და მოსდებია ჭანგი ჰანტელებს,
ლამე ჯაშუშად დგას ფანჯარასთან. თან ყურყუმელა თვალებს მადევენებს...

ვარ გარიყული, მიუსაფარი, უკვე დარეკეს ნასვლის ზარებმა;
თავმოუყრელი ჩემი ამბავი ისე მიიღეთ, ვით აღსარება.

2.

მშვიდობით, ჩემო!.. თუმცა რა ჩემო, იყავი მისი, ვისაც ეკუთვნი...
წნერ ფეთიანად და ჩემს გარშემო ერთად ტრიალებს ასი ბებუთი.

რა სიჩუმეა... როგორც ღამურის, როგორც ღამურის ცაში გაფრენა...
და ვით ღიმილი ტკბილ-საამური სიჩუმე ტუჩზე რად მეფაფრება.
ვიცი, არ შეენის გლოვა ღამაზებს,
წინასწარ გმადლობ ობოლ ცრემლისთვის;
ვიღას ვჭირდები ამ ქვეყანაზე თავლაფდასხმული და შერცხვენილი.

მშვიდობით! შლეგმა ქარმა, ნათია, ფრთა დაულენა ჩემს დიდ იმედებს...
აგერ რამდენი წელიწადია, რაც უნდა მეთქვა, ვერ გაგიბედე.
უნდა გიყვარდეს და უერთგულო, რა გზაც გეძახის და რაც ქარები.
არც რას გაბრალებ, არც გააყვედურობ,
ჩუმად, თოვლივით მივიპარები.

გავალ იქაურ წყალს და ორხიდებს, შენ კი აქ ტრფობა ვისიც გენერა.
სწორედ იმისთვის უნდა მოხვიდე. ვით თოვლის შემდეგ მოდის ენქელა.

რა ძალა გვექონდა. ახლაც მიაოცებს, ერთად ვდგებოდით დილაადრიან, ერთად ვუტყვოდით ჯიუტ გამოცდებს: ბადრი ლულაძე, მე და ნათია. ნებივრად ძალი ძვირად გვიღირდა, ბევრჯერ რიჟრაჟი წამოგვპარვია; ბედმა წყალობით ჩვენ გაგვილიმა, ბადრის კი წილად ერგო არმია.

აი, დაიძრა მატარებელი, თან გაიყოლა ფიფქი ოცნების. სადგურზე, როგორც დიდი პეპლები, დაფათქუნობდნენ ცხვირსახოცები. მათ შაერთვან კოცნას ვიჭერდით, მღეროდნენ, განგებ ხმების აწევით, თავგახოტრილი ჩვენი ბიჭები, ხვალიდან უკვე ჯარისკაცები. წავიდა ბადრი... გულს სიმძიმელი მაინც დამანვა ლხენის მომსრველი და სევდიანი მისი ღიმილი მაშინ ვერაფრით ვერ ამოვხსენი.

მერე კი მკერდში მწველი, გულდიდა ამიბრიალდა უცხო ხანძარი; ველარ ჩავაქრე და ვერც ბუდიდან გამოსადენად ველარ დავძარი. დავვქექე, დავწერე ოხერა-გოდებით, ღანვი ამინვეს მწარე ცრემლებმა... „ნათიავ, რატომ არ გეცოდები, ნათო, უშენოდ რა მეშველება! შენა ხარ, გული რასაც ინატრებს, როგორ დაიტევს გრძნობას ფურცელი; შენს სიყვარულში უკუნისამდე დავრჩები მტკიცე და შეუცვლელი!“

კიდევ ათასი რალაც ამგვარი აფართქალეზულ გულის ნაჭური; გაცვეთილი და გამონაეარი, აცეტებული და გიჟმაჭური. დიდხანს ვატარე შმაგი, ველური ბოდვის ნაყოფი, გულის სიფიცხე... და მიტანის წინ ეს სულელური ბარათი ისევ გადავიკითხე.

თავზე დამეცა დამპალ ქოხივით ფუყე ხუხულა ჩემი პწკარების; ფერფლად ვაქციე ძლივს თავმოყრილი და ამდენი ხნის ნასიმწარები. ერთი თვის მერე გულის ფანცქალით გამოვალვიძე მწარე იარა... არც ის გამოდგა და ის საწყალი ბარათიც ცეცხლმა გაატიალა. ერთ დღეს მენვია მუზა ცისფერი და მომიტანა უცხო ხილვები; ლექსი დავწერე გულის სინრფელის, ლექსი — „ნათია ლურჯი იებით!“

„ხელში გიჭირავს იების კონა, თეთრ ხიდთან მზირალთ უბრად ჩაუვლი. კოსტა გაზაფხულს, ჩემო გოგონა, ხომ არ მოსტაცე თავსამკაული. თუმც გაზაფხულის მზე ბრწყინვალეებით არის ოქროსფერ სხივთა მფანტველი,

ქუჩას ედება შენი თვალების და იის კონის ლურჯი ნათელი. ჩამოიქროლა სიომ ნელიად და ეშმაკურად აგეკვიატა ვითომ ხუმრობით, რა სულელია. სურდა ჩაექრო შუქი იათა. ერთ დღეს, თუ ავი მეხი დამეცა, თუკი ამქვეყნად გავხდი საბრალო; თუ საქართველოს მიწამ და ზეცამ თავის მშვენებით მე დამაბრმავოს... ეს ლამაზი დღე იყოს თავმდები, არ დავყუდდები ქვაბში ბერივით; აქ, ამ თეთრ ხიდთან, წყნარად დავდგები მათხოვარივით ხელგაშვერილი. თანაც მოვისმენ. ჩემი რიონი პირგაზაფხულზე როგორ გრიალებს: მაგ საყვარელი, სანატრიონი ლურჯი იებით: ჩამოიარე. ნუ დაიხარებ — ლხენით ამავსო, გულუხვად, არა მონანიებით, შაურიანის ნაცვლად, ლამაზო, პეშვი ჩამიდე, კონა იების. არ დაგეზაროს, კარგო გოგონა, შენთვის ეს საქმე რად ეღირება; თვალთ ამომისვი იების კონა და წამს თვალები ამეხილება...“

ვთქვი: „ლექსს რომ ნახავს, არის იოლი,
ასეც მიმიხვდეს გულის სახმილი“...

დილით... წასვლის წინ... ფოსტალიონის დაფეთებული მესმის ძახილი:
„ფოსტა ავთანდილ ნიშნიანიძეს!“ — მცინის კონვერტგამოშვებრილი.
ჩამოვართვი და სწრაფად გავფხრინე — ბადრი ლელაძის იყო წერილი:

„სალამი, ავთო! გნატრულობ გულით... ჰა, ეს წერილი გრძნობის ნაწურნი;
არც ისე მჩატე, თუმცა არც რთული ყოფილა ხვედრი ჯარისკაცური.
ხშირად მომწერე, შეჩვენებულო! ამ მცირე თხოვნას გვერდს ნუ აუვლი;
რა დღესაც შენგან ბარათს ვღებულობ, ის დღეა ჩემი დღესასწაული.
ვიცი, ჩვენს ერთგულ ძმობას ნაცარი არ წაუყვება, ისე ცხელია...
ახლა კი გეტყვი, მთავარს რაც არი, დღემდე რომ არსად გამომხელია.
ჯარისკაცს შენის ფოლადი ხმაში, ესაა მისი შნო და ჯავარი...
„ვემსახურები საბჭოთა კავშირს!“ — ასე უღერს ჩვენი ფიცი მთავარი
ბავშვობიდანვე თუმც გვისწავლია, აქ უფრო ვიგოძენ აზრი ძალუმი:
ქვეყნად ყველაზე დიდი ვალია სამშობლოს დაცვა და სიყვარული.
მაგრამ მომხედე, სანამ დარდიან, სანამ მკვნესარე გულს ეშველებო...
ორი წელია მიყვარს ნათია, დაკარგული მაქვს კაცს მოსვენება,
მასზე ოცნებამ ძილი მომპარა და გულს მინურავს სევდა უღმობლად;
ჯარისკაცური ფიცი რომ არა, მივატოვებდი აქაურობას.
მისთვის არ მითვამს მანდ არაფერი, რალაც სასწაულ მომენტს ველოდი.
აქ კი ვიგონებ, უკვე გაფრენილ იმ დღეებს, როცა მას შევცქეროდი.
ორი თვის უკან უკვე გავბედე, გადაუშალე გული ალალი.
ყოველ ბარათზე თვალებს ვაფეთებ, მაგრამ არც ერთი მისგან არ არის.
მიშველე, ძმაო! ნახე! უთხარი! გულქვად არ ჩამცეს მკერდში ლახვარი.
ეს სიყვარული ნასათუთარი არაა ქვევრში დასამარხავი.
მძიმე ლოდინი მეყო ორი თვის, შუაღნი, ბიჭო, არ დაიზარო;
მეტი თუ არა. ისე, მოკითხვის ბარათი მაინც გამომიგზავნოს“...

მეხი დამეცა... ძალის-ძალათი წაველ — ნათია სადაც მეგულვის.
მასთან მიმქონდა ორი ბარათი ორთავე სიმწრით ცეცხლმოდებულნი.
რომელი მივცე? — ლექსის პნკარებით გული რომ ვანდე და ვაზიარე,
რომ ჩურჩულებდა — „მაგ საყვარელი ლურჯი იგბით ჩამოიარე“...
თუ ის მეორე — უფრო მწუხარი, შორით მოსული, მაინც ახალი:
„მიშველე, ძმაო! ნახე! უთხარი!
გულქვად არ ჩამცეს მკერდში ლახვარი!“

ვერ ჩავიჩუმე გულის ბაგუნი და ჩავიდინე უღვთო ღალატი...
მოცახცახე და ცრემლებნაპკური ქარს გავატანე ერთი ბარათი.

შემოტრიალდა უკუღმა ბედი. თითქოს გამეხსნა ძველი ჭრილობა;
შემომეჩვია დარდის და სევდის უმცროსი დაი — მოწყენილობა.
სიყვარულს ნაზად, მორცხვად მიხსნიდა,
თავს მევლებოდა, როგორც ფარეში.
დამიშოშმინა ცქაფი სისხლი და მხვევდა ნაცრისფერ თმების ბადეში.
დღისით ლანდივით დამსდევდა, მკრთალი
ღიმით ჩემს ტუჩზე წყნარად დნებოდა.
დამხუჭავდა ძილის წინ თვალებს და თბილ ლოგინში ჩამინეებოდა.
ვეუბნებოდი: „დე ვიყოთ ერთად, მაგრამ, ლამაზო, გემუდარები:

შინაბერა დებს — დარდასა და სევდას გადაურაზე ჩვენი კარები.
სხვებთან იარონ კარიდან-კარად. მათი ჩურჩული ვითომ არ გვესმის;
ჩვენ მარტო დავრჩეთ, ძვირფასო,
სანამ არ მოგწყინდება ჩემთან ალერსი“...

მაგრამ ლამაზებს ჩვევით სწორედ,
(გინდ გული დაგწყნდეს, გინდა გვეწყინოს).
რომ მოსწყინდებათ ერთთან — მეორეს, მერე მეორეს უნდა ეწვიონ.

3.

მშვიდობით. დედაც!.. ტკივილს ტკივილი მიემატება გულის მსახვრალი;
ცა ჩამოიღე მაშინ კვილით. როცა იმ ახვარს დანა დავკარი.

ნაცარს დაიყრი ხვალ შავ კაბაზე. მხრებს მომიხინჯავ ხელის ფათურით...
ვილას ვჭირდები ამ ქვეყანაზე განუკითხავად მტრად მონათლული.

მიყრუებული ბალის კუთხეში ვიდეე შემცბარი, ფერნამკრთალები;
მომჩერებოდნენ კუშტად უხეში ჩანთილებული ავი თვალებით.
ნაძალადევად დარბაისელი მზერით მბურღავდა სამი აშარი;
მერთხე გოგო იყო ჯინსებით, ნაცისხარი და ნაანაშარი.
ერთმა თქვა: „სიმონ, ბევრი თომარი. აქ არ დაგვიწყო. სანამ მთელი ხარ...
იმ გოგოს. შენთან კურსზე რომ არი. შეეშვი. რისთვის აკიდებიხარ“...
მეორემ: „სწორი გითხრა იმანო. მოეშვი, სანამ გაგხდით მკენესარეს;
ჩვენს ძმაკაცს უყვარს, რა დაგიმალოთ“... — და მიაშვირა ცერი მესამეს.
მესამე იდგა... მკერდზე ხელები დაეფინა და ცას შესცქეროდა...
მიმოდოდა გოგო ხველებით. თანაც უწმანურ კუპლეტს მღეროდა.
გოგამ ლოყაზე მომიცაცუნა ცივი თითები, წკპლით საცემი:
„მოსწყდი ლამაზო, სანამ კაცურად გეუბნებიან ეს ძმაკაცები.
მიხვდი. არიფო, ახლა მოდაში არაა ცოლი, არც ქორწინება.
ნამოდი ჩემთან... მყუდრო ოთახში გაგიზიარებ გამოცდილებას“...
უცბ ვიყვირე რაღაც საშინლად. თვალთ დამიბნენდა.. რას მოვესწარი!...
ხელი ვკარი და გოგო მაშინვე მიწას დაასკდა მოჭრილ ხესავით.
პირველმა: „ყელზე დაადგა ლუკმა. ნავიდეს... სტუმარს მუქთად ედავა...
მეორემ — მკაცრად: „ეთერ, ძუკნა, მოუსვი უკანმოუხედავად!“
მესამე ტიპი იდგა ზვიდად და თავის პოზის დარჩა ერთგული;
მკერდზე ხელები დაემჭვდია და ცას შეჰყურებდა გარინდებული.
სახედდამეჭით იდგა ართვალი. თითქოს უჭერდა კისერს მარწუხი.
შეხედვის ღირსად არც კი ჩამთვალა,
სულ ერთი სიტყვა დასცრა: „პასუხი!“
მიცქერდნენ, როგორც სამიზნე წერტილს,
ხმას ვერ ვიღებდი ენაგამშრალი...
რომ მეთქვა: „ნათო არ მიყვარს-მეთქი!“
ხომ ვიქნებოდი მართლა ლაჩარი.
შეჩერებოდი უტეხად ტიალ ტყიდან გაშოსულ უნდო ნადირებს...
მე რომ მტყვირა: „მიყვარს ნათია და ნადით, თქვენი დედაც ვატირე!“...
რომ გაიგებდა ბადრი ამ საქმეს, ხომ ეყოფოდა ეჭვი მცირედიც...
და მოლაღატის საზარულ სახელს, მერე ვერაფრით მოვიცილებდი.
როცა ავესოთ რისხვის ფიალა. ჩემი პასუხი გახდა საეჭვო. —

ჰაერში დანამ გაიბზრიალა და ჩემს მხარმარცხნივ ხეში ჩაერჭო. თვალში ჩამიდგა ბინდი ანაზდად, აფეთქდა გული ეს სატილაღე... მერე დავსტაცე ხელი დანას და თავგამეტებით დავატრიალე.

4.

სადღაც და სადღაც აქტები წერეს, ზოგი მართალი, ზოგი — არც ითქმის... მორჩნენ.. კომკავშირს გადასცეს მერე განსახილველად ჩემი საკითხი.

იყო მსჯელობა, ცხარე კამათი, ფაქტების ჩხრეკა და შედარება; კრებაზე, როგორც კვიცი ქამანდით ისე მათრიეს შეუბრალებლად. ჰო, რა თქმა უნდა, ვიყავი ღირსი, თუმც ბოროტებას წინ აღვუდექი, — ორიოდ წვეთი ვილაცის სისხლი, ხომ დაიღვარა, თუნდაც მუდრეგის. კარგი, ბატონო, მაგრამ უცაბედ მარცხის შედეგი მეც ხომ მელოდა. წარბშეუხრელად ხომ ამკუნავენ, შემთხვევით მსხნელი არ ვამჩნევოდა. მილიციაშიც თუმც ბევრს იძევდნენ... როს არვინ ჩივის, კვლევა ძნელია... რაც ბაღში მოხდა, იმის მიზეზი არც მე და არც მათ გაუმხელიათ. სულში კი იწვა ღამე ყომრალი, უცებ გაქრობის ვიყავ მსურველი... იყო გამოსვლა, ბჭობა, მორალი, ხოლო კითხვები — დაუსრულებლივ...

„როგორ აღმოჩნდი იმ უცხო ხალხთან?“ —

(კითხვა პირველი და შემპარავი).

„შემთხვევით“...

„კარგი. ვინმე თუ გახლდა?“

„არა!“

„დაფიქრდი!“

„არა, არავინ!“

„შუღლი თუ გქონდათ?“

„არა!“

„ძნელია, რომ დავიჯეროთ ამისთანები;

მაშინ პირდაპირ საკვირველია, რად დაერიეთ ერთურთს დანებით.

იქნებ ვინმესთან გავლას გიშლიდნენ? ხომ შეიძლება გყავდეს მიჯნური?“

მტკიცედ ვთქვი: „ქალი ან ქალიშვილი სავსებით არის გამორიცხული“...

იქ ნათოც იყო.. გადაჰფენოდა ჩრდილი აშვებულ ფიჭვის აფრების;

ღუმდა და თითქოს, იქ რაც ხდებოდა, არ ეხებოდა მას არაფერი.

წამით მომესმა ანგელოსური მისი ხმა, მერე დანის ტკაცუნა...

მერე უხეშად შორით მოსული ბადრის ფეხის ხმა ჯარისკაცური.

მზერით მალულად მივუალერსე ნათოს ღანვების ჩვეულ სიფითრეს

და მის გაყინულ უგრძნობ სახეზე მე ვერაფერი ამოვიკითხე...

ბოლოს თქვეს: „ვინმე თუმც არ გიჩივის,

შენს ამ ქმედობას გვერდს ვერ ავუვლით;

ამას რად უნდა ბევრი ჩიჩინი, ჩადენილია დანაშაული“...

ისე, დამიცვა ზოგმა მამაცად, ზოგმაც იმედის მზერა მესროლა...

უმცირესობის აზრი დამარცხდა, ვაშა და ტაში უმრავლესობას!

აზრი და აზრი ერთად აკინძეს, (ტანს ჟრუანტელი ავად მივლიდა)...

დასკვნა: „ავთანდილ ნიშნიანიძე გაირიცხოსო კომკავშირიდან“...

ამომივარდა გული ბუდიდან; ამ გაშავენას და ამ წამებას

მეორე დღესვე ინსტიტუტიდან ჩემი გარიცხვის მოჰყვა ბრძანება. აშკარა იყო ჩემი ბრალდება და ორი ასლი ორი ბრძანების ისე გააკრეს, ვით განცხადება ჩემი უეცრად გადაცვალების.

მშვიდობით, მზეო სიჭაბუკისა, სწავლავ, მომავლის დიდო იმედო, თეთრო კედლებო ინსტიტუტისა, კომკავშირულო ჩემო ბილეთო. ფუჭად ჩანსჩვეალო მღვრიე ლელეში, მშვიდობით, ფიქრო ახლადნაგებო და ინსტიტუტის მყუდრო კედლებში მიტოვებულო ამხანაგებო.

მშვიდობით, რწმენავ, ლხენავ მრავალო,

ჭიდილო, სწრაფავ — ჩემთვის შექმნილო!

მშვიდობით, გზაო, წინ მიმავალო, ჩემთვის გამწყდარო და ჩახერგილო!

შემიჩნდებოდა შუალამით ეშმა, თვალებით ავად მოციმციმეთი... არ ვიცი, როგორ გადავურჩი შეშლას, ვისი წყალობით, ან რის იმედით.

„წამოდი ჩემთან, — ამბობდა წყნარად, თან ჩამავლებდა კლანჭებს უღმობლად...“

წამოდი გალმა. გეყოფა, კმარა ამ ქვეყანაში მაიმუნობა!“ ხან მახარებდა შავ ავგორობებს, ხან აზმოვრებდა, ვით წამთვრალევი. შემოჯდებოდა წიგნის თაროზე, სულს მიბურღავდა ჭოტის თვალებით. ხან გამიშლიდა იდუმალ კარტებს, ხან საფერფლეში სიფათს ურევდა... „წამოდი გალმა!“ — ბანჯგვლიან თათებს მუხლისთავებზე მითათუნებდა.

ასეთ ყოფაში დიდხანს ვერ გავძელ. ცხოვრებას თავი ვინ აარიდა... ერთ დღეს შევიტყვე — ბადრი ლელაძე ჩამოსულიყო თურმე ჯარიდან.

გულში დაყუჩდა სევდა და დარდი, შიგ სიხარული ჩაწვა ბიბინა, მაგრამ საშინლად გავვოცდი. ბადრიმ მაშინვე რატომ არ მოირბინა. ამბობენ: თვალი თვალს რომ შორდება, ვისიც არ იყოს, გულიც იცვლება, მაგრამ ბადრისგან მოულოდნელად ვინ იფიქრებდა ჩემს დავიწყებას.

არ დაგაყოვნე, წაველ ბადრისთან, რომ საყვედური მეთქვა მაგარი... მაგრამ ჩამოსვლის მეორე დღიდან დაკარგულიყო ნასალდათარი.

5.

ვეძებ, ვეძებ, გაბმული ვარ გზებზე, ორი დღეა ვერ ვისვენებ, ვერ ვძლებ... ვეძებ ბრმად და ვეძებ ალაღებდზე, გადაკარგულ ჩემს მეგობარს ვეძებ.

თვალზე აღარ მეკარება რული და ვცახცახებ, როგორც ქარში ტოტი... და გულს დარდი. მკერდში ჩაბუდრული უჩინარი ფრინველივით კორტნის. მის დედულეთს ჩაველ, გკითხე ჭალებს, გადავწენე გორაკებზე ნისლი... მიპასუხეს: „არა გენაცვალე. არ გვინახავს გზა და კვალი მისი“... წამოვედი... ძველებური ლხენით სოფლის ბოლოს დუღუნებდა ლელე და მის გალმა ობლად იდგა ჩვენი სიყმანვილე და მიენევდა ხელებს. ჩურჩულებდა ტუჩზე ღიმგაშლილი, რას ამბობდა, ვერ გავიგე. ვერა... ეჰ. ბავშვობის მოალერსე, ტკბილი თურმე გადამვიწყებოდა ენა.

საიმედოს ველარაფერს ვხედავთ... მესამე დღეც რომ ჩათავდა დარდით — მოუვიდა ტელეგრამა დედას: „არ მიდარდო. ენგურჰესი. ბადრი“.

ხელი ვტაცე იმ სანატრელ ქაღალდს, მივატოვე დაბნეული ქალი
და გავვარდი გარეთ, როგორც ტალღა აქოჩრილი უცარი ტალღით.

ზარის ხმაზე გამოვიდა იგი და პირისპირ დავრჩით ნათო და მე...
ეტყობოდა დალილიყო ფიქრით და უძილოდ გაეტეხა ღამე.
ძველებურად არ შემკრთალა გული, — ავბედითად გაბზარული სარკე...
ერთი სიტყვაც კი არ მქონდა თემული. მაგრამ მაინც აუთრთოლდა ბაგე.
მიიხურა ფრთხილად მუხის კარი,
„სუ!.. — მანიშნა, — არ გაიგოს დედამ“...
ღამაზი და თანაც ფერმიმკრთალი მოელვენთა გაუმხეღელ სევდას.

ბადრის წასვლა მე მედებოდა ცოდვად... ღმერთო ჩემო. მართლა არის ასე...
რა ფიერები, რა მიზნები მქონდა და რა ზვავი ჩამოინეშა გზაზე.
სიტყვა მიჭირს... ვერ ვაბრუნებ ენას და ვერც ვამბობ სანუგეშოს. ამოს;
კარგად ვიცი, რაც შეგემთხვა შენაც, რისთვის მოხდა, რატომ. ან ვის გამო.
ახლა... ახლა რაც არ უნდა მითხრა, ვარ ყოველგვარ საყვედურის ღირსი...
ბევრი წონეს, ბევრი ზომეს დიდხანს... და გადაწყდა გამეტეხა მისი.
ვიცი, მეტყვი: სხვათა მსგავსი ხარო, ფუფუნებას და სიმდიდრეს ვეძებ...
პროფესორი — უკვე ჩემი საქმრო, თხუთმეტი წლით უფროსია ჩემზე.
ჩემი სხვებმა გადაწყვიტეს ბედი. გასაფრენად გამიმზადეს ეტლი.
მაგრამ, როგორც მომაკვდავი გედი ბოლო სიტყვას, ვით სიმღერას გეტყვი.
გული ისევ უცნაურად კვნესის, თუმცა ახლა რა ფასი აქვს სიტყვას:
მე ამევეყნად ის მიყვარდა. გესმის! შენ რომ იცი.. „ახლაც იგი მიყვარს“ —
და ვუთხარი: „მაგ თეთრ სათუთ თითებს
რატომ იმტვრევ, რად გდის ღანჭუე თქორი.
თავს ნუ იღლი, ცრემლის მარგალიტებს შეგიმშრალებს ძია პროფესორი“...

იგი: „მძულხარ!“ მე ვაგრძელებ ხვნეშით:
„შენზე უკვე აღარ მწყდება გული“...
და დეპეშა ათრთოლებულ ხელში შევაჩეჩე, ვით მათხოვარს ფული.

6.

ავტოსადგური... ხალხი მიღეთის — სულ მოყაყანე, მუდამ გულდიდი...
რიგში ავიღე ერთი ბილეთი, მიმართულება ჩემი — ზუგდიდი.

დავტოვე ბადრის დედა საწყალი. დაკარგულ შვილზე ღამენათევი.
წუხელ გამიწყო მცირე საგზალი და ჰა, ენგურზე მივემართები.
გული წინასწარ თრთის და ნეტარობს,
თან მიმაქვს სითბო დედის მანდილის...

უცებ: „სალამი, ნასტუდენტარო, საით მიდიხარ, ნეტავ, ამ დილით?“...
დგას იგი მკლავზე წითელი ლენტიო, არც ახალგაზდა, არცა ბებერი...
თმა გაფშეკოდა ზომაზე მეტი თითქოს წაესვა სახამებელი.
„მიცანი, არა? შენ გაიხარე, თითქოს დამეცი ტუზზე ცხრიანი“...
როგორ ვერ ვიცან, სწორედ ის არი. — ის მოცეკვავე თავქარიანი.
„რა გაკვირვებით მიმზერ... ერიპა!.. ცეკვით მატარა ნუთისოფელმა...
დღეს, კო, ძმობილო, დისპეჩერი ვარ, მომათქმევინეს სული შოფრებმა.
დღეს, ცეკვის საქმე არის მოშლილი, ვის უნდა „სიმიდი“ ან „განდაგანა“...
კმაყოფილი მყავს წერილი ცოლ-შვილი და ცოტაც მრჩება გადასაკრავად“ —

არ ისვენებდა, ცეცხლად გამოჩნდა; „არ მინახავხარ სამი წელია...
ჰო, მართლა, მგონი გადაგავიწყდა, არ გითქვაშს საით გაგინევია“.
„ზუგდიდს მივდივარ!“ — ცივად მივუგე,
არ მსურდა მასთან სჯა-ლაპარაკი...
„არ იქნებოდა, ძმაკაც, ურიგო, რომ გადაგვეკრა თითო არაყი“.
„მაგვიანდება!“ — მოეყვი ნუნუნს...
მისგან ვასხლტომას ვცდილობ, ვწრიალებ.
„მოგცლია შენაც, ავტობუსს, თუ გსურს. მთელი საათით დავაგვიანებ“.
შემდეგ გაავდა და გაგულისდა: „ნამო — ბუფეტში, დავჯდეთ იაგნად...
მე უკვე დავკარ“... და ფარდულისკენ წინილასავით წამანიაქა.

„აბა, გაგვისხენ სწრაფად პოლიტრა!“ გალურჯებოდა ცხვირი ლოთივით...
და მებუფეტე, დახლში რომ იდგა. ქშინავდა მადლარ ბუკემოთივით...
„ეს გაუმარჯოს ფულზე დაგეშილ ნატურ ჯამაათს — ასეთს, ისეთსაც“
და ისე შლიდა ხელებს ჰაერში. რომ საცეკვაოდ თითეოს მიწვევდა.
თქვა და გადაკრა სულმოუთქმელად... შემდეგ გააქრო პინკად ნეკითა
ის არყის წვეთი, როგორც წურბელა,
მკერდზე რომ სმის დროს ჩამოეკიდა.

არყის დაღევა შევაგვიანე. ზიზლით ვუსმენდი იმის ცრუ ქადილს...
და გვიან, მაგრამ მწარედ ვინანე, ოდესღაც ამ კაცს ტაშს რომ ვუკრავდი.

7.

მღვრიე ენგური შებფით შებურვილ ლოდებზე ამსხვრევს ხეებს ნუჭრიანს...
მოჰქუხს, თითქოს მთებს აბორგებული ზედმეტი სისხლი გამოუშვია.

მთებს შეხიზნული ლურჯი ჯვარზენი მიეიკვლიე და წინ შემეფეთა
კვირა დღის ლალი ახალგაზრდები, ქვეყნად რომ არ შურთ ბედი მეფეთა.

მღეროდნენ... დინჯად უსმენდნენ მთები... მერე სიმღერა ხევში ჩაგორდა.
მათი გულუები. მათი ხელები, მათი თვალები ამას ამბობდა:
„ვერც გვალვა და ვერც სეტყვა აშარი,
ვერც ქართველი ვერ მოგვერიოს;
არ აგებულა ჩვენი კაშხალი. ჩვენი დულაბი რომ არ ერიოს.
სამშობლოს, როგორც დროშა ალამდარს,
ეჭირღებთ... ვდგავართ სავსე ქურვებად;
საქართველოსთვის ხმა კი არა და ტკბილი სიცოცხლეც არ გვეშურება“...

მივდიოდი და თან მომძახოდა ენგურ-მდინარის საგალობელი:
„შენ ხარ გამტეხი ყამირ-ახოთა,
ხმლისთვის, გუთნისთვის რვალის მდნობელი.
სადაც თავს იჩენს ეკალ-ბარდები, სულ შენგან უნდა იყოს ნატორი...
შენ ხარ ამ მიწის დიდი ნათელი და ხვალინდელი ბატონ-პატრონი...
უნდა ებრძოლო ობს და სიბნელეს, ცა უფრო მაღლა უნდა ასწიო...
და არ არსებობს ქვეყნად სიძნელე, ახალგაზრდობამ რომ არ დაძლიოს“.

აღზევდა სისხლი... გუგუნ-თქრიალით თან მომძახეს შლეგმა ჩქერებმა:
„გასანი, იარე! გასანი, იარე! წინ შემოგხედება ბედნიერება!“

აბორგდა გული ვნებაჩამქრალი, დღემდე ბუდიდან ამოვარდნილი;
და ჩემს თავს ვუთხარ: „სწორედ აქ არის, სწორედ აქ არის შენი ადგილი!
თუ გაქვს მიზანი, გყავს მეგობარი, ვისზეც უსიტყვოდ შესძლებ დანდობას,
ვერ ჩაგიმნარებ ცხოვრების ქარი მზისკენ მიმავალ ახალგაზრდობას!..“

„არ თქვა — სიძნელეს ქვეყნად ვერ დავძლევ,
თორემ ცხოვრება უქმად ჩაგივლის!“
ასე მეტყოდა ბორის ძნელად, ასე მეტყოდა დღეს კორჩაგინი.

8.

თითქოს შეეცვა მწარე სამსალა, — ბადრი დამიხვდა პირგამეხილი:
„მომწყდი თავიდან, სანამ!...“
რა სანამ?!..“

„არ დარჩე წელში გადატეხილი...“

„ბადრი, რას ამბობ? მე ხომ ავთო ვარ! თავს მოერიე, უხმე გონებას!..“
„მარტო ვიყავ და ახლაც მარტო ვარ და ხვალაც არ ვიყო...“
„ბადრი, დამშვიდდი, სიტყვის სიჩქარეს კაცისთვის მოაქვს ხშირად ზიანი...
თუმც რაც განუხებს, ახლა თქვი ბარემ, თორემ ხვალ, იქნებ იყოს გვიანი...
კაცი ახლა რომ დაჯეირანობს, ხვალ იქნებ, გაქრეს, როგორც პეპელა.
მიტომ ჯობს, ახლა ათჯერ ვინანოთ,
ხვალ რომ არ დაგვრჩეს სანანებულად“...

„ბევრს ლაყბობ, თუმცა, სწორედ ასეა, ჰოდა, იცოდე, ყავლი გავიდა
ჩვენი ძმობის და თუ ძვირფასია შენთვის სიცოცხლე, მომწყდი თავიდან!..“

გაოგნებული ვიდექ მდუმარი და გულში შიშმა გაიფათურა...
ავი ეჭვი და მწარე გუმანი მისმა სიტყვებმა დამიდასტურა:

„მე შევლა გთხოვე, მე — ჯარისკაცმა,
ასე ახლობელს, ძმას და მეგობარს...
მენ კი ხელი მკარ... რა ჰქვია ამას?! თუ არა, მტრობა და მუდრეგობა.
სისხლით და ცრემლით, სიმწრით ნაწერი, ქარს გაატანე ჩემი ბარათი...
რა ჰქვია ამას?! სხვა არაფერი — მხოლოდ სიბილწე, მხოლოდ ლალატი...
მე რომ იქ ვიყავ, თურმე გაფერილ დანით შენ იმას თავს აწონებდი...
რა ჰქვია ამას?! სხვა არაფერი — მუხანათობა, შულღი, მოგვერდი.
მე რაც გაგანდვე, შენ ჯვარზე აცვი, მწარედ დასცინე ჩემს გატაცებას...
რა ჰქვია ამას?!... თუ არა კაცის ჩანახვლა, ზურგში ხანჯლის ჩაცემა“...

ჩახახლებოდა სულში სატანა. შემზარა იმის თვალთა ნათება...
ველარ შევიძელ მეტის ატანა, არც დამიწყია თავის მართლება.
ქოშინშეყრილი მძიმედ სუნთქავდა, ცას ჰგავდა სავსეს უამინდობით...
ძირს წყნარად დავდე დედის ფუთა და
ვთქვი ერთადერთი სიტყვა — „მშვიდობით!..“

შინ დედა დამხვდა, სიხარულისგან აღტაცებული: ბიჭო, სად ხარო...
„მოდი, გაკოცო, ჩემი გულისავ, კარგი ამბავი უნდა გახარო.
იყვენ... გიკითხეს, მათ ვენაცვალე ინსტიტუტელმა ამხანაგებმა...
შენ მარტო არ ხარ, თავს ნუ აწვალე, და ამას უნდა კარგად გაგება.“

დამშვიდდი... ზოგჯერ ასეც ხდებოა, (ნუ გენყინება, ჩემს თავს გაფიცებ)...
დავწერეთ თხოვნა-განცხადებაო, დავიბრუნებთო ნიშნიანიძეს.

შენც ნუ აყოვნებ, რა დაგაკლდება, და ერთხელ კიდეც შენს გახარებას.
დაწერე ახსნა და განმარტება. საქმეს უთუოდ წაეხმარება

მინდოდა მეთქვა: „დღემდე ხომ სამჯერ დავწერე მსგავსი განმარტებანი...
მაინც გამრიცხეს, მაინც დამსაჯეს. კიდეც რა დარჩა გაუგებარი!...

ამოსულია უკვე ყელამდე; კმარა, რაც გული დღემდე ვნებულა“...
დედას: „დამაცა დაღამებამდე. გამოვა უფრო დაღაგებულად“...

9.

მშვიდობით, ბადრი! თუმცა ჩარაზე შენ მეგობრობის და ძმობის კარი...
„მე ყაჩაღებმა მომკლეს არაგვზე, შენ ჩემს სიკვდილში არ გიდეცხ ბრალი“

ჩვენს ბავშვობაში ნაბადგაფრენილ და გადაკარგულს ტყის ბილიკებით
ყაჩაღს ვიცნობდით ძველი ზღაპრებით. ღამეგათუულ მტკრიან წიგნებით.
ბევრი ყაჩაღის ბედმა ცრემლები გვადინა, დარდით ცრემლი მოგვბანა
და ბავშვობაში თავგამეტებით გვითამაშნია ყაჩაღობანა.

ჯერ კიდეც დედის კალთა გვფარავდა, ვიყავით ცეტნი და გამბედავნი;
ხშირად ვნატრობდით ტყეში გავარდნას. შავი ნაბდით და მძიმე ბერდანიტ,
თუმც ფრთებს ძლივს ვშლიდით, როგორც მართვენი,
ვიყავით ლალნი და მზენასვამნი.

ფიქრით, ოცნებით, მდიდარს ვართმევდით,
ლარიბს ვაძლევდით არსენასავით.

შორით ვეტრფოდით ჩვენს ტოლ

ღამაზებს და ტრიალებდა მკერდში აღმური...

ახლაც ჩამესამის მტკრიან შარაზე გაჭენებული ლურჯას თქარუნი.
სიზმრებში, ღამით ნაბადმოსხვეულს, თავს გვაეგა ცხენი ლაგამკვენეტავი;
ახლაც, ახლაც მცემს ზღაპრად შორეულ იმ ტყის და მიწის სუნი ნეტარი.
იმ თვალშეუდგამ და მოჩახჩახე სიზმრად გვლოცავდა ქალაქ-სოფელი...
ვით ტყე და მგელი — ტყე და ყაჩაღი იყო ერთმანეთს განუყოფელი.
ნატვრა. ოცნება ჩუმ და დარდიან წლების გაფრენას გაჰყვა ბინდებად;
დღეს ყაჩაღები მზიით დადიან და ტყედ გავარდნა აღარ სჭირდებათ.

ყაჩაღებს ზიზღი და აგონია თუმც დღეს ატყდებოდათ, ვით ქარბორბალა.
ხომ არ გგონია, ხომ არ გგონია, რომ თამაშობენ ყაჩაღობანას...

და მელანდება, ხეთა დუმლიზე ჩვენი ბავშვობა თვალებს აჩაღებს;
დგას ტყის პირას და ლულას უმიზნებს დიდი შარაგზის ნამდვილ ყაჩაღებს.

დღეს, კარგად ვიცი, დაუცხრომელი სულ სხვა ქარი და სიო უბერავს;
დღეს ახალგაზრდა კაცის ცხოვრების

გზას ყლორტებს ვერვინ ვერ გადუბელავს.

ვიცი, დაცლილი, სახსრებდაშლილი არ დავრჩებოდი ასე კენტადა...

ვერც ინსტიტუტის, ვერც კომკავშირის კარებს ვერავინ გადმიკეტავდა.
ვერ ნამართმევდა ბასრი ბებუთი,

ვერც მკაცრი სხდომა, ვერც მტრის შეტევა,

ამ ცხოვრებისგან მე რაც მეკუთვნის, ჩემთვის სამშობლოს რაც მეკუთვნის
მშვიდობით ბადრი! სხვა გზით მსვლელობა
აღარ არგია ყოფილ მეგობარს,
ქვეყნად გაუუძღვებ უსწავლელობას, უნათიობას, უბილეთობას.
გადავლახავდი ზღვადმომდინარე უსამართლობის ზღუდე-ჯებირებს.
მაგრამ უშენოდ. ბიჭო. მითხარი, ამქვეყნად მე რა გამაძლებინებს.

სიკვდილმა იცის ყველაზე კარგად კაცთა სიცოცხლის საიდუმლონი,
ჩვენი ჩონჩხების ძნად შესაკრავად დაუგრეხია გამძლე ულონი.
მსახვრელი ხელით უჭირავს ცელი,
და თან ტურების გვაფრთხობს ხავილით;
იქ მოგვეწევა, სადაც არ ველით
და სადაც ვუხმობთ, იქ გვერდს აგვივლის.
დასაბამიდან ყოფილა დღემდე, ჟანგი სიკვდილის ცელს არ ედება;
მაგრამ არ იცის, სიკვდილის შემდეგ,
ზოგის სიცოცხლე აქ რომ გრძელდება.
სიკვდილის შემდეგ სიცოცხლე მნათი
არ უსმენს მის ჭრელ მწივან უნასებს...
და არ ცეკვავენ სულები მათი მის მიერ დაკრულ დაფა-ზურნაზე.
მე რა!... ნამეცვა სავსე ფიალა, ველარ გაეშალე მხრები აფრებად,
სიკვდილის მერე, მერე კი არა, სიცოცხლეშივე ცაში საფრენად.
იქ ჯვარზე გული რად დამისერე, რად ვერ მოთოვე შენი სიფიცხე;
თუმც ამას აწი არვინ გიხსენებს, მეც სამუდამოდ გადავივიწყებ.
მშვიდობით. ბადრი!... ბედნიერებას ვერსად იპოვის კაცი უული.
გულს და სულს შენთან ვტოვებ მძევლებად,
იქ მიმაქვს მარტო ჩემი სხეული.

ეს ერთი თასიც შხამით აავსე და მიუმატე სხვების ფიალებს...
ვილას ვჭირდები ამ ქვეყანაზე, შენაც რომ ასე გამატილალე...

10.

რა სიჩუმეა.. ყულფის აკიდო ჭერზე ჩანს მაცნედ ავბედილობის;
გინდა დამძრახონ, გინდა გამქირდონ...
ღამე ილევა... მორჩა... მშვიდობით!

მშვიდობით ღამეც! უკვე გეცლები, დამთავრდა ჩემი ტანჯვა-წამება.
შენს შემდეგ აწი ვერ მოვესწრები ვერც გათენებას, ვერც დაღამებას.
და ერთხელ კიდევ მშვიდობით, დედა, უკანასკნელი შუქი ანთია...
ყველამ იცოდეს, შენს გარდა ქვეყნად მე არავისთვის მიღალატნია...
აღარაფერი სულს არ ანაზებს, არ მიწერია გულის გათბობა;
ვილას ვჭირდები ამ ქვეყანაზე, როცა დამწამეს მუხანათობა.
არავის ვუთელი ლანძღვა-გინებას, დამდგარა ჟამი წესის აგების...
ვხედავ: კედლებზე დაშლიგინებენ შეშფოთებული თეთრი თაგვები.

ვხედავ: მაღლიდან ჩემს შესახვედრად ყულფი მოიწევს კუდდაგრეხილი...
უცებ — ბრახუნი... ნეტავ რა ხდება!.. კარებს მოასკდა ვილაც მეზვიით...

„მე ვარ!..“ — ბლაოდა, როგორც შეშლილი...
და ხმა მომედო, ვით ჟრუანტელი, —

გუშინ მივიღე შენი წერილი და ყველაფერი გახდა ნათელი.
წუხელ სიგიჟემ წამომიარა; როგორ ვიფიქრე შენგან ლალატი!..
თურმე, ვაიმე, ჩემი კი არა. — ქარს გაატანე შენი ბარათი.
როცა რაიმეს შემოგწირავენ, უნდა აიღო სუფთა ხელებით...
თურმე იმ ცვედნებს და ნაძირალებს, შენთვის კი არა, ჩემთვის შეები.
კარი გამიღე. ბიჭო, ავთანდილ!... შემინდევ, ძმაო, და მაპატიე!...”

იცრიცებოდა ღამის ნაბადი და ცა სინათლის ცლიდა ბადიებს...

სარკმელს მოასკდა დილის ხანძარი, კართან ისმოდა ტირილ-სიცილი...
და დაიკლაკნა ყულფის ბანარი — სახრედაკრული გველის წინილი...

ეს ვინ მოიჭრა ასე თავზედად, ეს ვინ ისურვა — გადამარჩინოს...
მზეც ამოვიდა... სულში ჩამხედა...

თურმე ვყოფილვარ ქვეყნად საჭირო.



ჯანეტა ქორიძე

...და სიხარული, პირველ ყოვლისა

თამუნას თმა ჩაეუწანი, კიკინებზე
 პეპლები დავაბნე. ზის დიდი მრგვა-
 ლი სარკის წინ და თავის ორეულს ათ-
 ვალიერებს ყოვლად დაუფარავად, მთ-
 ლად მოურიდებლად, სითამამეში შეფ-
 არული აღტაცებით. მშვენიერია! ამ
 პირდაპირობაში არის უფროსისათვის
 სანატრელი სისუფთავე, სიწმინდე, სა-
 დაც ქალურ ინსტინქტს იასავით ამო-
 უზიდავს თავი და ირგვლივ იხედება,
 უკვრეტს ზედაპირულად ნაცნობ, მაგ-
 რამ არსებითად ჭერ შეუცნობელ და
 მიმზიდველ ცხოვრებას...

ო, თამუნა, თამუნა, — ეს ყოვე-
 ლივე გველის თვალვით მომნუსხავია.
 გეტყვიან, უფსკრულისაკენ მიდიხარო,
 და მაინც წახვალ... აგიხსნიან, რომ და-
 იღუპები, თუ იქ მისული ვერ მოქებნი
 ძალას, რათა თავი დააღწიო იმ მომნუ-
 სხველ თვალს, რომელიც ბრჭყვიალო-
 ებს. ბრჭყვიალებს, ისე ბრჭყვიალებს,
 რომ გაბრმავებს და არ გაძლევს საშუა-
 ლებას სხვაგან გაიხედო. თვალეები უნდა
 დახუჭო ამ დროს, ძალა უნდა მოიკრი-
 ბო, რათა გახვიდე წრიდან, სანთლის
 დიადემასავით რომ გარტყია გარს...

... რატომ მიყურებ ასე კუშტად?
 უცნაური არაფერი მიფიქრია... ჰო, ჰო,
 გაიზრდება და ყველაფერს ვეტყვი, გა-
 ვაფრთხილებ, რომ ჩემსავით სევდიანი
 არ გახდეს... მერე, დიდი ხნის შემ-
 დევ... დიდი ხნის შემდევ... ჭერ ლაღ-
 ად უნდა გაიზარდოს. იცოდეს, რომ

მომზიბლავია, ტკვიანი, რომ ყველაფერი
 ძალუძს. უნდა სწამდეს თავისი თავ-
 ის...

... მწარეა, მწარე, ეს ცხოვრება. არ-
 ის, როგორ არა, ტკბილი ოაზისებიც,
 მაგრამ იშვიათად... თუმცა ეს მერე,
 დიდი ხნის შემდევ... ჭერჭერობით კი,
 შენში მხოლოდ სიხარული უნდა სახ-
 ლობდეს: სიხარული მოგვრილი სათა-
 მაშობით, ლამაზი კაბებით, მზიარუ-
 ლი მულტიფილმებით, კარუსელებით.
 ჰმ, როგორ მიხარია, რომ ასე გიყვარს
 ცურვაზე სიარული, ეს მთელი სამყაროა
 თავისი სანაპიროთი, მოზაიკით მოგე-
 ბული შესასვლელით, ნაპირებზე გაბ-
 ნეული სავარძელებიანი ფართო პოლით,
 სადაც მუსიკით გეგებებიან. ჰო, ჰო,
 მხოლოდ შენ გხედებიან „ჩელენტან-
 თებით“ და „ლავსტორებით“ — ასე
 გწამს შენ, ასე სწამთ შენს ამხანაგ გო-
 ვონებსაც და ასე პატარებს, გაზაფხუ-
 ლის ფერებივით რომ ირევით და იბ-
 ნევით ერთმანეთში, უკვე გაჭვთ საკუ-
 თარი ღირსების შეგრძნება. მეც მიყ-
 ვარს შენი ცურვაზე ტარება. საეარ-
 ძელში მიყუყული ვკითხულობ ხოლმე
 ქურნალებს და შიგადაშიგ მინდვრის ყვა-
 ვილებივით ჭგუფ-ჭგუფად წამოსულ
 გოგო-ბიჭებს ვათვლიერებ. მერე გა-
 მოუფინებით თმასველები, ლოყაწით-
 ლები, კიდევ და კიდევ ენერგიით სავ-
 სენი და არის პირსახოცების ფრიალი,
 ქულების და თავსაფრების ქაძაღება

და: — ნატო, ზუთმაბათამდე! ლიკა!
დამირეკე! გოგო, დედაშენს რა მაგა-
რი კაბა აცვია!

ლამაზია ეს ყველაფერი და ძვირ-
ფასია! და ძვირია, ელემენტარულად
ძვირია, მაგრამ ისე გიყვარს იქ სიარუ-
ლი, რომ ერთი საათით აღრე იწყებ
ჩანთის ჩალაგებას და შეგკლულენი
ვართ ხან მე და ხან ბაბუაშენი, სანამ
სახლიდან გამოვიდოდეთ.

... კარგი, გეყოფა სარკეში ყურება.
ლამაზი გოგო ხარ, თამუნა, მაგრამ,
სილამაზე მეორე რიგის ამბავია ისეთი
ქალისათვის, როგორც მინდა იყო...

— გაცვეთილები იცი, ჩაი დავლიეთ,
გაცვია, თმა დაწული გაქვს, პეპლებიც
გაბნევიო. აბა, პეპლებო, გააფრინეთ
ჩემი თამუნა სკოლაში, ფრია!

თამუნა სიცილით კვდება, ხელებს
ფრთხილად შლის და მიფრინავს ჭერ
ოთახში, მერე ეზოში, მერე ქუჩას გა-
დაჭრის და უკვე სკოლაშია. ფანჯრიდან
გადახედავ და დავინახავ როგორ შე-
ფარფატდება საღარბაზოში...

... შენი ბრალია მხიარულებას რომ
ვთამაშობ, ზომ შეიძლებოდა, ქეშმარი-
ტიც ყოფილიყო იგი და არა ნაძალადე-
ვი. თამუნა ერთ-ორ წელიწადში მიხვ-
დება, რომ ყალბად ვიციანი, რომ ათას
სისულელეს ვიგონებ...

ტელეფონი რეკავს, უურმილში და-
ლის ხმა ისმის:

— ჰო, დალი, გისმენ...

— ვარდის თევა, მისია,
ნორჩ ბალახებს სიო არხევს,
ხეებს ყვავილთ თეთრი გუნდი,
როგორც თოვლი, ისე აწევს,
მზე ნარნარი სხივებს აფრქვევს
და სითბოში მთა-ბარს ახვევს...

და უურმილი დაკიდა. რა მოგეზვნა,
დალიდა? რად მიკითხავ ამ დილაუთე-
ნია გალაკტიონს? თუმცა რა, რა გან-
სხვავებაა დილასა და საღამოს შორის...

... და თვალი კედლისაკენ გამიბრის.
დღეს რაღაც მემართება, სხვა დროს
წამსვე ცხადად დამიდგებოდა თვალ-
წინ შენი სახე...

ახლთმეტ წუთში მამა სამსახურში
წავა, წაიკითხავს ლექციებს და სამი
საათისათვის დაბრუნდება. მე მაშინ
სასწავლებელში ვიქნები — აკომპანი-
მენტის საათები მაქვს. მანამდე ორი
მოწაფე, ბაზარი, მიღაზია... თუ, დედა
წავა? თუ, მამა გამოვიღოს? ო, როგორ
მეზარება ყველაფერი... მისის ფერა-
ლი ბაზრის დანახვაც კი არ მადე-
ლებს... მაგრამ თევზებს წყალს მაინც
გამოვუცვლი, ვაძიწყალეს ამ თევზებ-
მა გული, არადა, რა ამბით ვიყიდეთ
აკვირიოები?! თამუნა მაშინ ოთხი წლის
იყო. საათობით იჯდა და აკვირდებოდა
როგორ დასრიალებდნენ წითელი თევ-
ზები. მერე ერთი თვეში ავად გახდა,
მოიწყინა, თანდათანობით ნაკლებად
მოძრაობდა. ერთ დღეს კი შევაჩინე,
რომ ეს ავადმყოფი თევზი მწვანე ჭეჭეს
ეფარებოდა, მაგრამ სხვა თევზები მა-
ინც ნახულობდნენ მზარეს, საიდანაც
შეიძლებოდა ცხვირით დატაკებოდნენ
და ამოეყარავენათ. პირველად შე-
გონა, ეთამაშებოდნენ, თუ ახალისებ-
დნენ, თუ ეხმარებოდნენ, რომ გაცუ-
რა, ყველაფერი მეგონა, მაგრამ... ძიძ-
გნიდნენ, იცი, ცოცხალს ძიძგნიდნენ.

უცებ, ისეთმა გაავებამ წამომიარა,
ვიფიქრე, ამ თევზებს ერთიანად დავ-
ხოცავ-მეთქი, მაგრამ მალე მოვეგე
გონს, ეს ზომ ძალადობა იქნებოდა,
მათი დარივე საქციელი... ისინი კი შე-
უბრალებლად ძიძგნიდნენ და ძიძგნიდ-
ნენ — წითელი თევზები წითელ
თევზს... და ვავიფიქრე, რომ ავად გახ-
დომა იმაზე უფრო ცუდია, ვიდრე მე-
გონა.. იმ შემთხვევის შემდეგ, როცა
მთლად კარგად გერა ვგრძნობ თავს,
ან უძინარი ვარ, ან რაღაც მტკიავ,
წავისვამ ხოლმე ნახევარ ფლთ ტონს,
თვალის უპეებს წავიცისფერებ და და-
ვიდივარ გამართული, თავაწეული... ამას
წინათ ქალბატონმა მედემამ მითხრა,
თევზების ყოლა სახლში არ ვარგა, უბ-
ედურება მოაქვსო. თამუნასაც მოსწ-

ჯანაბა შორიძე
...და სიხარული... პირველ ყოვლისა

ყინდა წითელი თევზები. აღარც აკვირ-
დება, აღარც უფლის. დილით ჩაუყარის
ცოტა საჭმელს და მთელი დღე აღარ
გაიხიდავს იქით. ქალბატონ მგდეასთან
საუბრის შემდეგ განსაკუთრებით შემ-
ჯავრდა თევზები, ერთი სული ნაქვს,
გავაჩუქო. სკოლას ვაჩუქებ. ყველაზე
გონივრული იქნება. ბუნების კაბინეტ-
ში ათასი მოსწავლე შედის და ათასი-
ვეს ხომ არ მოუყვდება მამა...

ისევ ტელეფონია.

— ბატონო?!

— ოჰ, ეს ქალი, ალბათ დარღობ
ყვავილით ჭკნება... ჭკნება...
სევდას საზე დაუფარავს
და სიუვეთლე ეპარება.
საკონდავი: თვალმსაც კი
დასჩვენია უძილობა
ასე ზდება, როცა ღამით
მოგონებებს აწევს გრძნობა!
ახლა, ახლა კიდევ იტვირ,
რომ ამქვეყნად ვინც კი კვდება,
იმწუთშივე მისი ჩრდილი
ყველა ჩვენგანს ავიწყდება?

— დალი, რა, მოგივიდა, რას ჩამჩი-
ჩინებ ამ დილაუთენია? რალაცას მიწ-
ყობ ნამდვილად. — მაგრამ აღარავინ
მიაშენდა... ტუ... ტუ...

... ამ ლურჯ ლარნაკში ყვავილები
უნდა გამოცვალო, მომწყინდა ესენი...
ის აყვავებული ტოტები, სუსანას რომ
აქვს, ძალიან მოუხდება. ლურჯ ფაი-
ფურსს თეთრი ყვავილები დაამშვენებს.
აი, ხომ ხედავ. ხელოვნურ სილამაზეს-
აც მივეჩვიე. სანთლისაგან ნაკეთები
ყვავილები აღარ მაწუხებს... ხუთ მან-
ეთად რომ მომცემდეს თითოს... უთბა-
რი რა, მომცეს ხუთ მანეთად! მინდა,
შენს ლარნაკში ლამაზი ყვავილები
იდევს...

... მოსაგონარი ათასია. მაგრამ ყვე-
ლაზე ხშირად მახსენდება ჩვენი გაც-
ნობა. ლიდავაში ვისვენებდით: დედა,
მამა, ჩემი ძმა — ჩემი საიშედო მცვე-
ლი. რამდენი ვიკინეთ ყველამ ერთად,
ეს რომ მოვეყვი! წყალში დავკვინთე
და უცებ ვიგრძენი, ვილაც მიახლოვ-
დებოდა, ახლოს მოკურდი, სულ ახ-
ლოს. თითქოს თვალბში ჩახედვა გინ-

დოდა. შემეშინდა, ფსკერს ფეხი დაე-
კარი, მაღლა რომ ავსულიყავი. ხელი
გამოსწიე და ჩემ გაშლილ თმას თითე-
ბით ოღნავ შეეხე. ასე გავრძელდა ერ-
თი კვირა, ნაპირზე ზედ არ მიყურებ-
დი, წყალში ჩავყვინთავდი და თმაზე
მეფერებოდი. ძალიან მიყვარდა მაშინ
ჩემი თმა. ეს მახსენდება ტკივილით
და კიდევ ის, ფეხმძიმობისას, ვვიან
რომ ვბრუნდებოდით შინ და ლიფტი
გამორთული იყო... ამომიშვებდი სამ-
ოთხ საფეხურზე, თეძოებზე მომეიდე-
ბდი ორივე ხელს და ისე ამომამფრიალ-
ებდი შეეკვსე სართულზე, ჰო, თახ
თავს შემობიჭებდი წელში, უკან არ
გადმოვარდებ... არ დავიღუპო.

ახლაც ვგრძნობ შენს თითებს თმა-
ზე, თეძოს თავები კი შენი მტევნების
შეხებისაგან მწყვის...

— მანანა!

... დედაჩემმა დამინახა როგორ ვი-
დექი სივრცეს მიშტერებული და რო-
გორ ვილიმებოდი. გამუდმებით მეჩ-
ხუბებდა, ნუ ფიქრობ, ნუ დაბორიალებ
წარსულშიო. ერთადერთი დედასთან
არ ვთამაშობ. როცა მარტო ვრჩებით
შინ, მაშინ მეხსენება ნიღაბი. დიდი უს-
ინდისობაა ჩემი მხრიდან, მაგრამ რა
ვქნა... ეტყობა, ძალიან მიჭირს ამ ტვი-
რთის მარტო ტარება. ხანდახან მომინ-
დება ვილაც შეუდგეს ჩემს სევდას,
სულ ერთი წამით, და ჩამომაცილოს
მხრებიდან. მტკივა, საოცრად მტკივა
მხრები!..

დედაჩემი ბედნიერი ქალია, რამდე-
ნადაც ქალი შეიძლება ბედნიერი იყ-
ოს ოჯახით, ქმრით. ერთმანეთი ისევე
უყვართ, როგორც შეუღლებიას, კორ-
წილში მამაჩემს უთქვამს: ნატრა მაქვს
— ერთი ქართული ანდაზა სინამდვი-
ლედ მინდა ვაქციო და მაშინ ჩემზე
ბედნიერი კაცი არ იქნებაო. რომელი
ანდაზა, სიძე ბატონოო? „ერთმა დამი-
ტიროს და ოთხმა გამიტანოს“, —
უთქვამს.

ორმოცდასამში მამა რომ ქარისკაცი
არ გამხდარიყო, ხუთნი ვიქნებოდით
და-ძმანი, ჰეშმარიტად ასე იქნებო-



და... და სიმარტოვის საშინელება, რომელიც დედაჩემს არასოდეს უგრძნვია, მაშინ, ომის დღეებშიაც კი, მე განვაცდევინე.

ჩვენ სისხლით მოგვდგამს, შეგვიძლია სხვის კანში შეძრომა და, რასაკვირველია, დედაჩემსაც ჩემს ადგილას თავისი თავის წარმოდგენა, ჩემი ფიქრებით ცხოვრება უცდია. ის ხომ თავისი ხელისგულივით მიცნობს, ამიტომ იმას კი არ ცდილობს, რომ დამოკიდებულება შემიცვალოს წარსულიდან დღევანდლობაში გადმოსულ, ჩაკირულ-ჩაგვირისტებული გრძნობის მიმართ, რომელსაც დარწმუნებით ვერ იტყვი სიყვარული ჰქვია, ერთგულება, თუ ჭიუტად აჩემებული — ჩემივე გამოგონილი და სიმბოლოდ ქცეული კაცის სახე. არა, დედა ამას ვერ მეტყვის, ვერ მიჩრჩევს, იმიტომ, რომ თავადაც არ შეუძლია ამაზე სხვანაირად ფიქრი. მელაპარაკება ხოლმე ბედისწერაზე და ყოველთვის ნახულობს მილიონ მაგალითს, რათა მომიყვეს სისასტიკემდე მისული დრამატიზმით, რომ ის, ერთი — ჩემთვის ყველაზე შემადრწუნებელი — გადაფაროს, გადაშალოს, გამოიბრალოს და ჩვეულებრივ, როგორღაც კანონზომიერ ამბადაც კი მიქციოს...

... აბა, თუ იცი, რა შეიცვალა ამ ხუთწელიწადში? ხასიათი გამიფუჭდა? დავბერდი? დავებრდი, იმიტომ რომ სიხარული დავკარგე.

ამას წინათ, გელა შემხვდა. თამუნა მყავდა წაყვანილი ბავშვთა ნახატების გამოფენაზე, დავდიოდი, ვათვალიერებდი ამ საოცრებებს და ჰა, ჰა, გულზე ცოტა მომეშვა, რაღაც სიამაყის მსგავსი ვიგრძენი, თან სულ ვფიქრობდი, თამუნა თუ დახატავს რამე ისეთს, აქ გამოფინონ მისი ნახატი-მეთქი; ამასობაში ვხედავ, ვიღაც მოდის, ვიღაც კი არა, მახლობელი, ძალზე ნაცნობი... მას შემდეგ, გელა ჩვენთან აღარ დადის. ეშინია. დეპრესიის განმეორებისა ეშინია. მას შემდეგ, ერთი წელი გელა

ღვინოს არ გაკარებია, არც მანქანაზე და მძღარა, არც შინ, არც გარეთ „ჰო“ და „არას“ მეტი სიტყვა არ უთქვამს. მისი შრომები გაგიჟებულები იყვნენ: ამ ორ შვილს რას უშვრები, ჩვენი თავი ჯანდაბას, ეს ახალგაზრდა ქალი ქვრივად რად აქციე, შენც ხომ არ მომკვდარხარო... მე რომ დავინახე, იცი, რა მომივიდა? შენზე რომ მეპართებოდა პირველ ხანებში, — დავინახავდი და ქრუანტელი, თუ ტყვილი წამომივლიდა და სახეზე მომანწებოდა ხოლმე, ისე დამემართა. მერე მივხვდი, გელა იყო, გავიქეცი და მოვხვდი. ის კი მიყურებდა, ერთიანად გაფთრებული და მარცვალ-მარცვალ ამბობდა: ყოჩაღ, არ დაბერებულხარ, ნაოკები არა გაქვს, არც გამხდარხარ, თვალები არ ჩაგცვენია, მაგრამ მაინც სხვანაირი ხარ, სულ სხვა ქალი ხარ... გამომეტყველება შეგეცვალა! — გაუხარდა გელას, როგორც კი მიავნო იმას, რასაც ეძებდა. მართალია გელა!.. ჰო, გამომეტყველება შემეცვალა... ვერ შევეგუე ჩემთვის ყოველსიმომცველ დანაკარგს. ახლა, მე ქალი ვარ და ყველაფერს ვაკეთებ, რაც მევალება: ვზრუნავ შვილზე, დედაზე, მამაზე, სამსახურზე, სახლზე, ასანთზე, თამუნას თბილ საღამურებზე, ხორცზე, კარაქზე; რამდენი ხანია „პატარა პრელუდიებსა და ფუგებს“ ვეძებ და ვერსად ვიშოვე, რა უბედურებაა!.. ესე იგი, ვინ ვარ? ანუ, რა ვარ? მომართული მანქანა ვარ, დავდივარ და მივყვები წრეს შეუსვენებლივ. მეც გაგიწყალე რა გული, ყველა ასე არ დადის? არა, ყველა არა. სხვა მექანიკური მანქანების თავზე სიხარულის ალაში ფრიალებს!..

ისევ ტელეფონია! ყოჩაღ, დალი თავის სტიქიაშია, ახლა, რაღაც სასწაულის მეტყვის, ფიქრობს, რომ უკვე მომზადებული ვარ; ჩემი წინააღმდეგობა გატეხილია, განწყობა კი გადმოსადენად წიკაზე მისულ, აქაფქაფებულ რქე-

ჯანება ძორიძე

...და სიხარული, პირველ ყოვლისა

სავითაა, უკვე ველარაფერი რომ ვერ
დააკავენბს:

— განისვენეთ, ძლიერი და
უკვდავია თქვენი ძალი...
რალად უნდათ, რად სკირიათ
თქვენ საფლავებს ვარდ-ყვავილი?
ან, რას გარჯებთ მოკვდავ კაცთა
სამუდამო ცრემლთა ფრქვევა?
ძლით ველარ გამოგარკვევით
ვერ-რა ძალა, ვერც შემთხვევა...
ასე ხდება ქვეყანაზე —
ყველა ცოცხლობს, ყველა კვდება.
და ვაი მას, ვის სიკვდილი
სიცოცხლეშივე ავიწყდება!..

...ამ ბოლო ორი სტრიქონით მაშინ-
ებენ და მეომებიან. დედა მარტივად
— დამოძღვრებებით, დალი ულოზუნ-
გებოდ... ის ხომ ხორცშესხმული, ვარ-
დისწყალადანსხმული სახეა დედაჩემის
შიშველი სიტყვებისა. არც ერთი წამი,
რომელიც გეკუთვნის, არ უნდა დაკარ-
გო, — მეუბნება დედა (სასწაული! დე-
და ხომ მონასავით პატიოსნად ცხოვ-
რობდა ყოველთვის). მე გულში ვპას-
უხობ: თუ არ დაკარგე, ისე როგორ იპ-
ოვი რასმე-მეთქი, — ხმაილდა კი არ
აფერს ვამბობ, და დედას უნდა დაიჭე-
როს, ჩემი სიჩუმე სულ უფრო და უფ-
რო თანხმობის დასტური რომ ხდება,
დალიც ასე ფიქრობს. ხომ იცი, მის
უნაპირო სიყვარულს სიცოცხლისადმი
უბრალოდ არ ძალუქს შეგუება გულ-
გრილობასთან, სევდასთან, ინერტუ-
ლობასთან. და ჩემი სიმძიმის ამ
ოთხმა, ხუთმა წელმა მასში ვაჭიანუ-
რებული და უაზრო ერთგულების
გრძნობა აღძრა.

დალისათვის ადამიანის სიცოცხლე
ღმერთის დიდი საჩუქარია, იგი კი არ
უნდა შეაფასო, აწონო, ან ხელში შეა-
ტრიალო-შემოატრიალო, არამედ, უნდა
მიიღო ისეთი, როგორც არის და თან
ატარო. ეს რწმენა ათი წლის უსიხარუ-
ლო სიყვარულის შემდეგ, თამაზთან
შეუღლებამ იმდენად ალაზხევა მასში,
რომ სრულიად წაშალა წერილმანი გა-
ჭირვებებისა და უკმარისობების, პატ-
არ-პატარა დაბრკოლებების ნიაღვარი,
რომელიც ჩვენ ასე ადვილად აგვატივ-

ტივებს ხოლმე, ხელ-ფეხს შეგვეკოვას,
დაგვკაბნის, გზაარულებს თავისი მი-
მართულებით წაგვიღებს და სადმე
ჩაგვანჩობს. თითქმის ყველა ქალის-
ათვის, ფეხმძიმობის დროს დისერ-
ტაციანზე მუშაობა წარმოუდგენელი სი-
სულელეა, დალისთვის კი, ეს იყო
დრო, რომელიც შესანიშნავად გამოი-
ყენა... ან, ვთქვათ, ტყუპი შვილი სხვის-
თვის სამუდამო, გადაულახავ ბარიერ-
ად იქცეოდა სამსახურისკენ.

თემის ბოლომდე მიყვანა ჩემი რწმე-
ნაა, სამსახური კი.. რა ვქნა, ფული
გვეკირდებაო, — სიცილით იტყვის და-
ლი და თავისი საოცარი ენერგიით, სიყ-
ვარულით, რწმენით დაატარებს ყველ-
გან და ყველასათვის იმ დიდ საჩუქარს,
ღმერთმა რომ უბოძა...

... ამ ბოლო დროს ნამდვილ პატ-
რონებად მექცნენ; ხან თეატრსა და
კონცერტებზე მეპატიყებიან, ხან კინო-
ში, მაგრამ ყველაზე ხშირად ვახშობებ-
ზე დაედევართ. წვალოთ ან ერთთან,
ან მეორესთან, სულ ერთია, მეგობრები
ბევრნი არიან, რომელთაც საკმაოდ
დავუახლოვდი. არის ერთი ანგდოტე-
ბის მოყოლა, სიცილ-კისკისი. დალი და
თამაზი არიან ყველაფრის წამომწყებნი:
ჰამენ, სვამენ, მღერიან, ცეკვავენ, მე-
რე პირდაპირ სუფრიდან ალაგებენ
ნამცხვრებს — რა ვქნა, ჩვენი პატარ-
ების გადამკიდეს, ცხოვბის დრო არა
მრჩებაო, — სიცილით იტყვის დალი
და წავლენ. საოცარი სიმსუბუქითა
და ბუნებრიობით ცხოვრობენ. თვით-
ონ ათი საათისათვის მიატოვებენ სუ-
ფრას, მზიარულებას და თავიანთ ტყუ-
პებთან გაიქცევიან, მე კი ძალისძალად
მტოვებენ ტყუპისცალებივით ერთმა-
ნეთს დამგვანებულ ახალგაზრდა ქა-
ლებთან და კაცებთან. ნელა ვწრუ-
პავ ქიქიდან ღვინოს, ვიკერ ვილა-
ცის მრავლისმეტყველ მზერას, ვნე-
დავ მეორის აკანკალებულ ხელს, ფერ-
დიდან ზემოთ რომ მიცურავს და ვფი-
ქრობ, მეც სტანდარტული ვხდები, ის-
ეთივე უაზრო და მდინარეზას მიყოლ-

ილი, როგორც სხვებია-მეთქი, და ვბრაზობ... არა, ეს ბოლშა არ არის, არც შურია სხვისი სიხარულის მიმართ. ზოგ ჩემ თანატოლს ერთი, ჩემთვის მიუღებელი ნიშანი ახასიათებს. ეს ნიშანი ჭარბობს მათში და ამიტომ მაღლიზიანებს. „ლონდრეში“ რომ მღვდელია, ასე არ ამბობს? „მგელი უნდა იყო, მგელი, კიდევ და კიდევ მგელი უნდა იყო“, — იმასავით არიან. ვითომ არაფერი ამქვეყნად არ აინტერესებთ, ყველაფრის აღება კი უნდათ, რაც გზად ზედებათ. არ იფიქრებენ: იქნებ სხვისია, ან იქნებ, სხვასაც სჭირდებაო. არა, რაკი დევს, მათია: და წამი, წამის დაკარგვაც არ შეუძლიათ! კიდევ ერთი საკითხია ქალი... აჰ, ქალის დაკარგვაც არ შეუძლიათ! რატომ არა? — ფიქრობს კაცი, შეიძლება რაღაც გამოვიდეს!.. და არის მთვრალი ხვევნაკონა, სიყვარული უაზრო, უგონო, უნიადაგო და, რა თქმა უნდა, ხანმოკლე.

... ოო, ეგენი ექიმები არიან, მაგათ ერთმა ჭკუათმყოფელმა დაუბარა, იმპულსებით იცხოვრეთო! მაგრამ, პედაგოგები? ჩემი კოლეგები თავიანთი გადაბრუნებული ყავის ჭიქებით, კონცერტებით და ახალი კაბების შრიალით, რომელიც ხშირად მუსიკაზე ხმა-მალა ისმის და აღქმას უშლის. მათ ხომ ადამიანის შინაგანი ბუნების უნატიფესი ნიუანსები უნდა აღზარდონ და ამოაბიბინონ. კი, კი, იციან, ხომ ისწავლეს ნაწარმოებების გარჩევა ტრადიციულად; საუკუნეების დაკვირვებაა მათი გამართლება — დღეს ახალს რას აღმოაჩენ ბახთან, კლემენტისთან, ან ჩერჩისთან! „თავისუფლად, მაჯა გაათავისუფლე, არ ითვლი, სულ არ გამოიკდენია, რა არის ბოლოს და ბოლოს, არავის არ სცალია სახლში რომ მოგისმინოს? ხომ ხედავ, დრო არა მაქვს, თვრამეტი მოსწავლე მყავს და თვრამეტივე დებილი! არავის უნდა სახლში მეცადინეობა, ჩემთან კი ვერაფერს ისწავლი. დაითვალე, დაითვალე. თორემ მოვიტანე სახაზავი! გოგ-

ლიკო, წადი ბებიაშენთან, თორემ შენც მივაყოლებ ამ დებილს...“

ასი ბავშვიდან სამოცდაათი თავს ანებებს მუსიკის სწავლას, როგორც კი თავმოყვარეობა შეელახება, შეურაცხყოფის გრძობა გაუჩნდება და, როგორც კი შეძლებს მშობლების სუსტი წინააღმდეგობის დაძლევის... ჰოდა, რა მინდა იმ საღამოებსა და ვახშებზე, თუ ვხედავ და ვგრძობ, მესმის ეს ყველაფერი? მეც მაქვს ჩემი ფილოსოფია, ჩემი მრწამსი: არასდროს არ მოითხოვო სხვისაგან ის, რასაც შენ თავს მოთხოვ! და კიდევ: მიტყევა უნდა შეგეძლოს! უნდა მიუტეგო!

... ტელეფონია, ღალი იქნება.

...არა, კარზე რეკავენ ზარს. ეს ჩემი პირველი მოსწავლეა...

... მობრძანდით, მობრძანდით! ნინოა, ჩემი მოსწავლე და ნანა, — მისი დედა. უწყსიერესი ბავშვია, მაგრამ ჯერ არ მახსოვს, მარტო გადმოსულიყოს გვერდითა კორპუსიდან, სულ დედა დაჰყვება თან. ასე მგონია, დედამისი ყოველი მოსვლისას სილას მითხლამუნებს. სანამ მე და ნანა ერთმანეთს ზრდილობიანად მოვიკითხავთ, ზის ნინო სკამის კიდზე, თქმაც კი არ სჭირდება, შეხედავ და, იცის ინსტრუმენტთან როგორ მივიდეს, როგორ დაჯდეს, როგორ დაუკრას, მგონი ისიც, რანაირი შეცდომები დაუშვას... ერთი რამ მაინტერესებს: ეს პიანინო სხვა ოთახში რომ გავიტანო, ან, უცებ, როიალი დავახვედრო გაკვეთილზე მოსულს, როგორ მოიქცევა? ნინოს რას ვერჩი, მეცოდება ბავშვი, შესაძლოა, ვერასდროს ვერ გახდეს დამოუკიდებელი პიროვნება-ბრინჯაოსფერ ცარიელ ჩარჩოში ზის ბავშვი. ბრინჯაო აუცილებელი კომპონენტია, ამაზე ლაპარაკობს დედის წითლად შეღებილი ტუჩები, ყოველთვის გალაქული ფრჩხილები, მთელი მისი ფულიანი გამომეტყველება.

ჯანაბა აფრიძე

...და სიხარული. პირველ ყოვლისა



ვთქვათ, ახალ პიესას უხსნი ნინოს, უძველად ბუნების სურათს უნდა შეუდარო, ან გერმანიის მივიარდნილ სოფელში სახალხო დღესასწაულზე თავსეყრილი ვლენების ზეიმი ვაიხსენო; თუ რაიმე სევდიანია, ვილაც უნდა მოკლა, სხვა შემთხვევაში ადამიანი არ შეიძლება სევდიანი იყოს! და მე ვუხსნი ახალ პიესას: „წყნარი შუადღეა. ტყისპირის სიმშვიდეს არაფერი არ ღვევს. მაგრამ, წამოუბერავს ნიავი და წამოიღებს ღრუბლის ფთილას, ფთილა დაეკიდება ტყის თავზე და წამოიტირებს. ხეთა ფოთლებზე აცეკვდებიან წვიმის წვეთები და თითქოს, ათას-ათასწალაკიანი ეტლი ქოდისო, წყრილებს ტყე. უცებ, ამ იდილიაში შემფოთება აჭრება: კახანით ტყდება ერთი ტოტი, ტყდება მეორე. — ეს დათვია. დათვა გაიარა ტყეში და, წვიმით უძმყოფილო, ბუნავს დაუბრუნდა. ისევ სიმშვიდე ჩამოდგა. წვიმის წვეთები მზიარულად ხტიან ფოთლებზე და თითქოს, ათასწალაკიანი ეტლი მოდისო, წყრილებს ტყე“...

საზიზღარი რამ გავხსნი, რა ადვილად ვლიზიანდები. რა მოხდა, ასეთები არიან, რა დააშავეს? წყნარვიანიები ვართ მანანა მასწავლებელი! ყოველ თვე ყვავილები! ახალ წელს კანფეტები, ბაფთით შეკრული ვარდებიანი ყუთით! ნ მარტს წინდა ან სუნამო, სუნამო ან წინდა, წინდა ან სუნამო!

... ტელეფონია, ვაშაა, რამდენი ხანია აღარ დაურეკავს... და თავკუდ მოგლეკილი გავრბივარ საწოლს ოთახისაკენ, რომ ღროზე ავიდო ყურმილი რომ, სანამ დალი ხმას ამოიღებს, მე ელთხრა, დავასწრო: „... და ვაი, მას ვის სიკვდილი სიცოცხლეშივე ავიწყდება“, — ვამბობ, ვასწრებ, თან ვკვდები სიცილით და თვრამეტი წლის გოგოსავით აღტაცებული ვარ საკუთარი იუმორით... ტუ, ტუ, ტუ... დედაჩემი გაკვირვებული მიყურებს, მაგრამ ამ გაკვირებაში გამგებიათი ღიმილიც ურევია, და თუმცა, მისთვის ძნელია ასე

უცაბედად გააზრება, აქეთ, ტელეფონში მდგარი ტელეფონისაკენ ჩემი გამოქცევის, თუ „მესაფლავის“ მკაცრი სიმართლით სავსე სტრიქონის სიცილით წაქოთხვისა, მაგრამ მასთვის ახლა ეს სრულენითაც არ არის მთავარი: იმ ღიმილში ჩემმა აჩქარებულმა ნაბიჯმა გამოანათა, ჩემმა მზიარულმა ხმის ტონებმა დარეკა შეთქმული ხარები...

... ახლა ნინოს და დედამისს გავაცილებ, გავიდა ორმოცდახუთი წუთი, უკაცრავად, პატარა და დიღო ჰალბატონებო, მაგრამ დღეს მეც მიხდა წესრიგის ვიყო! მალე ლადო მოვა — გადარეული ბიჭი, ჩემი პატარა ვერცხლისწყალი. ლადოც ცხრა წლისაა, მაგრამ მარტო მოდის, წარმოგადგენიათ? შემოვა გახვითგული, ნოტებიანი ჩანთის მხარეს ვადახუნკილი, თითქოს იმაზე მძიმე არაფერი სკეროდეს ხელში და წარბშეკრული ჩაიბურღლუნებს: ბიჭები ფეხბურთს თამაშობენ, მე კი ჩერნის ეტიუდები უნდა ვუკაქუნო? — და კიდევ უფრო ჩამოაგდებს მხარს. მე სიცილით ვეუბნები: ნუ დამამადალი შენთან ყოფნას, ეს მათუა ბაბს უნდა, რომ ლაღონიარი კარგი ბიჭები მის წარმოებებს უკრავდნენ-მეთქი, — და ეს „მათუა ბაბი“, ისე მაგიურად მოქმედებს მასზე, რომ ავიწყდება ფეხბურთიც, ეზოში აერიამულებული ბიჭებიც, უბეებში გადანაწილებული და საგანგებოდ დახარისხებული კოჭებიც, მამამისის ბოლო საჩუქარი — ჭიბიდან თავამოყოფილი ფლომასტერის შეკერა და, რა ვიცი, ათასი რამ... მაგრამ, ლადოს ხასიათი ყველაზე კარვად მისი მარკებით გატაცებაში გამოჩნდა: ერთხელ ხალათი გიცვალა „ძველი მანქანების“ სერიაში, მეორეჯერ წინდებიანი შიტანტალდა შინ, თან განარებული იყო — იმ ძველ ბოტასებში, ნახეთ, რა „ეტრების სერია“ მომცესო. — მოკლედ, ლადომ გამოაცხადა ფილატელისტი უნდა გავხდეთ და მთელი მისი ნათესაობა, ჩვენ, პედაგოგები და მეზობლები...

ბიც მარკებს ვაგროვებთ... ძალიან მიყვარს ლადო. ახლა დედამისი!.. სალამო ხანს დამირეკავს ხოლმე ნატული: მარტო ხარ? ყავა ხომ არ გაქვსო, და ვითომ შემთხვევით, ვითომ სხვათა შორის გადმოვა, მოყვება ათას რამეს რომ გამართოს, გამახალისოს, ბოდიშები იხადოს ლადოს სისულელეებისათვის, რომ კიდევ ერთი სალამო გამოადვილოს.

... ჰო, მივდივარ, გარეთ მივდივარ. უცებ ქუჩაში მომინდა გავლა, მალე მოვალ. ვნახავ, იქნებ ახალი მარკები მიიღეს. თამუნა სადაცაა დაბრუნდება სკოლიდან, მაგრამ მეც მალე მოვალ... დედა, ლადოს დაურეკე და უთხარი, ექვსი საათისთვის გადმოვიდეს, ჰო, სისწავლებელში წავალ ფეხით, თამუნას უჩრდებდებიანი რვეულები სჭირდება, შენ სავარცხელი გაგიტყდა, ჰო, ბატონო, მახსოვს!..

... წელან კუშტად მიყურებდა, ახლა გაკვირვებულია. როგორ შეიძლება სურათმა გამომეტყველება შეიცვალოს. მაგრამ ფაქტია. არა, ამ ოთახში გაჩერება არ შემიძლია. წავიღებ და დედაჩემთან ჩაეცვამ. რა ვქნა, ჩემი ბრალი ხომ არ არის, რომ შენ... ააა, მივხვდი, მივხვდი, რაც გაიკვირვე — ეს „შენი“ კაბაა, ხუთი წელია არ ჩამიცვამს და... მაგრამ დღეს, ეს უბრალოდ ლამაზი კაბა არ იქნება, არა. ეს ახლა ჩემი ალიბია, რომ ისევ მიყვარხარ, ანგარიშს ვუწვევ შენს გემოვნებას, რომ ჩემთვის ისევ კანონია შენი სურვილი... და, როგორც საიდუმლოებებით აღსაესე ფილმში, ვხედავ შენ თბილ თვალებს, მერე დედაჩემის შეთქმულებაჩამდგარი მზერა ინთება, ახლა ისევ შენი თვალებია. წელან რომ მიყურებდა, ოდნავ გაკვირვებული, ოდნავ დამკონაევი და. თამუნას თვალები — დიდი, ბრიალა, მისთვის შეუფერებლად ფიქრიანი. მახსოვს. ყველაფერი მახსოვს!..

... გამოვედი სადარბაზოს სივრცლი-

დან და უცებ, გზაში შემოფეთებული ახლობელი ბავშვივით, ყელზე რომ შემოგახტება და ჩამოგეკონწილება, ისე შემომკრა სითბომ. მერე შემომეჭარა, შემომეტყმანსა ყოველი მხრიდან ბლანტი, მკვრივი და საგრძნობი მასა ჰაერისა, რომელიც საერთოდ უსიამოა, მაგრამ ახლა, ამ წუთში, ისეთი გრძნობა გამიჩინა, შემოდგომის გრილ ამინდში სალამოს თბილ და მოალერსე ზღვაში შესვლისას რომ გიჩნდება, და თითქოს უნდა მოვეღვენთე ამ ბლანტ ჰაერს, ჩემი სწრაფვა უნდა შეენელებინა გაზაფხულის შუადღის მწველ სითბოს, მაგრამ მან ღონივრად დაჭიმა, დაქაჩა და დაძაბა ყველა ჩემი ნერვი, როგორც გიტარის ხიდის აწვევისას იჭიმება და ქლერადობას იძენს სიმები.

.. მე ახლა ღვიწინასვამ, გამთბარ და სასიმღეროდ მომართულ კაცს ვგავარ, რომელსაც გაჩუმება არაფრის დიდებით არ შეუძლია, მღერის თავდავიწყებით და თან, გალაღებულია მეშვიდე შეგრძნების იდუმალი, გაუთავებელი ჩურჩულით: კარგად მღერი, კარგად მღერიო!

ლალი და თავისუფალი მივდივარ, მივისწრაფი, უკან ვტოვებ პატარა ქუჩას, მოსახვევს და თავდაღმა მივყვები ტროტუარს, მერე აჩქარებული კინო კადრებივით ცვლიან ერთმანეთს საყვარელი ქუჩის შენობები, ჩუქურთმები, ჰადრები, ფილაქნები და დიდხანს ვივლი ასე თვალდახუჭულივით, ძალიან დიდხანს, რადგან აი, აგერ, კაცი რომ მოდის, ჩემი ნაცნობია, იმ ქალსაც ვიცნობ და იმ ბავშვსაც, რომელიც არასოდეს მინახავს... არაფერი არ შემაწუხებდა, რომ ეს ჩემი სილაღე და თავისუფლება სისწრაფეში არ გადადიოდეს და არ მაგონებდეს იმ შემადრწუნებელ ამბავს, რომელიც ძილში თუ უძილო ღამეებში ათითასჯერ მაინც მინახავს, რადგან მონაყოლი წარმოდგენისას ყოველთვის ვარიაციებით მეორდება

ჯანება ჟორიძე

და სიყვარული კიბველ ქოვლისა

და ჩემზე უკეთ არავინ იცის, გელაზე უკეთაც მე დავინახე ყოველივე ის, რასაც ახლა მოგვიყვები...

„გორში იყავით ბიჭები, გოგის მამამ დაგაბატოვით, — სადა ხართ, თქვე მამაძაღლებო, მომენატრეთო. ჩემ მოსწავლეებს კონცერტი ჰქონდათ იმ დღეს და ვერ წამოვედი, თან დედაჩემი იყო შეუძლოდ, სიცხე ჰქონდა, ამასთან კიდევ, სამი თვის ფეხმძიმე ვიყავი... ეს მიზეზები, ახლა, შესაძლოა, სისულელედ ეჩვენოს ვინმეს, მაგრამ მაშინ თვითუფლს ნამდვილად ერქვა სახელი. ორ საათზე შემოუსხედით სუფრას, შაბათი იყო, იმ დღეს წამოსვლას არ აპირებდით და მამაპაპური ქეიფი გაჩაღდა. გოგის მამამ თქვენს საამებლად დამკვრელები მოაყვანიდა. ოთხნი იყვნენ — შავები, ჭიჭვიტები, ცხვირწითლები, ლიპი, რა თქმა უნდა, ოთხივეს აჯდა. შემოვიდნენ თუ არა, დაცხეს, ბული დააყენეს, ჭყვიტინითა და ღრიანცელით აავსეს სახლი, კედლები მისწომოსწიეს და... იქ, უბანში რომ მალაზია იმის გამგემ ასმანეთიანი გადაუდლო. დამკვრელებმა ჩაიღიმილეს. — გემრიელად მღერით, თქვენ შემოგვევლეთ, მოდით, ეხლა რამე ქართული დაუკარითო, — შენ უთხარი, მეორედ დაუკრეს, გამგემ ისევ ასმანეთიანი ისროლა...

.. ნელი, მოზომილი მოძრაობით მიეყრდენი სკამის ზურგს, თვალები ოდნავ მოხუჭე და ტუჩები ამოგებურცა. შენ გამომეტყველებაში არც აღტაცება იხატებოდა ამ დროს, არც გაკვირვება, არც შეზარხოშებულო, ეშხში შესული კაცის გამოშტერებული სიამოვნება ან სიხარული. მე მას ტკივილიან სინანულს დავარქმევდი... შენ ხომ იმწუთას ასე ფიქრობდი: შემართებას ვენაცვალე, თუ იცი, რისთვის შეიმართები, მაგრამ ამათ ისიც კი არ იციან, ვინ არიან, მით უმეტეს, რას მღერიან: შიქსატა? არც მუხამბაზია, ან ბაიათი. სახე არა, ფერი არა, არც სურნელი და კოლორიტი. არა, ეს ჩვენი სიმღერა არ არის. არც შეიძლება იყოს! — და წარ-

ბები უფრო აგვიზიდა, ტუჩებიც მეტად ამოგებურცა. მერე ბრაზი მოგემატა, როგორც კი გაიფიქრე, რომ ამ დამკვრელებს გულშემატკივრებიც ჰყავს, თან ისეთები, ასმანეთიანების „გადაღდება“ რომ შეუძლიათ. თუმცა არა, — განაგრძე ფიქრი: — შმორიანი ჭაობი სწორედ იმ გამგიდან იწყება, რადგან იგი სიამოვნებისათვის კი არ იხდის „ასმანეთიანს“, ჩვენი კაცობის შეგინება უნდა, ჩვენ შინაგან პრივილეგიებზე, ჩვენს განათლებაზე და გემოვნებაზე, ჩვენს მდგომარეობაზე მალა ასევე ესურვილება, და შექმნილ სიტუაციაში ყიდულობს კიდევ ამ უპირატესობას, რადგან ჩვენ ყველანი, სტუმრები, თბილისელები, მივუჩუმდით, მივწყნარდით, ჩვენს უმწეო ფიქრებში წავედით!

სანდრო ბიძიამ და სოფიკო დეიდამ ხანგამოვლილი გუმანით იგრძნეს დამაბული ვითარება, რომელსაც კიდევ ეწერა გამძაფრება და — ახლა ქართულის ჭერი დადგა, აბა, თქვენ იცითო, — ერთად, შეთანხმებულებივით ჩაიქიქიქეს. — ვაა, აქამდის, აბა რას ვუკრავდით, ქართული არ იყოო? — თქვენს და იმ გამგემ, — მიდით, კაცო, რასაც აქამდე უკრავდით, იმასვე შეუბერეთ, სიმღერა მომწყურდო, — და კიდევ ერთი ასმანეთიანი ამოასრიალა. ამ დროს წამოდექი, გარეგნულად მშვიდი და უშფოთველი... მაშინ რომ ათი ცალი ასმანეთიანი გქონოდა, უკლებლივ დაურიგებდი აივნის მოაჯირზე ჩიტებივით ჩამომსხდარ მეზობლის ბავშვებს, წადით, წიგნები იყიდეთ ამ ფულით, დანარჩენით კანფეტები და კიდევ დარჩენილი კინოში დახარჯეთო, მაგრამ არა გქონდა... არც ერთი...

... გელა და მერაბი კასთან დაგეწივნენ. ვერიკოს ნერვებმა უმტყუნა, გული გამისკდება ასე ჩქარა თუ ივლიო, — მერაბს უთხრა და ისიც იძულებული გახდა, ჩამორჩენილიყო. მტყუთამდე გელა სულ კულში მოგვევებოდა, რა ელონა — წინ შენ არ გაუშეო. თავიდან,

თითქოს ყველაფერი რიგზე იყო, რად-
გან გაბრაზებულსა და ერთიანად და-
ძაბულს, ყურადღება გამახვილებული
გქონდა. მერე ბრაზმა გაიარა, თუ ღვი-
ნო მოგეძალა, მოდუნდი. გელამ ეს
შეამჩნია და გვერდში ამოგიდგა. მან-
ქანის გაბმულმა სიგნალმა და გელას
ყვირილმა გამოგაფხიზლა, მაგრამ გე-
ლა შემხვედრი მანქანების გამო იძუ-
ლებული გახდა, ახლაც ჩამოგრჩენოდა.
მერე, როგორც კი მოახელთა, ისევ გა-
ვისწორდა და გვერდი გაგარტყა, თან
გაბმულად აწივლებდა მანქანას და
თვითონაც დაჭრილივით ყვიროდა. შენ
ისევ გამოგხიზლდი და გელა ისევ ჩა-
მოგრჩა... შემდეგ... შემდეგ... შემდეგ
კი...“

ტელეფონის ზარი აწკრიალდა და...
დალი, რა თქმა უნდა, დალია, ისევ,
კიდევ ერთხელ, შეათასეჯერ რომ მითხ-
რას: „და ვაი, მას ვის სიკვდილი, სი-
ცოცხლეშივე ავიწყდება...“ ტელეფონის
ზარი აწკრიალდა და მე, უკვე გატეხილს
ჩემს უაზრო ერთგულებაში, მზადყოფნს
რომ დალის, დედაჩემს, მამას, თამუნას,
ყველას ვუპასუხო: — მახსოვს სიკვდი-
ლი, არ მავიწყდება! უცებ დამეჯახა,
ზურგსა და თავში ერთდროულად დამე-
რა რაღაცამ, დამიარა ტკივილის თუ
მოულოდნელობის ელდით და ინსტინქ-

ტის უსწრაფესმა ძაფებმა ელვასავით
შემომპარუნა ამ დარტყმისაკენ...

... ოო, არავითარი ტელეფონის ზა-
რი არ ყოფილა დღის განმავლობაში,
ლევან, არც დალის წაუკითხავს ჩემთ-
ვის ვალაქტიონი — დღეს არ წაუკით-
ხავს, დალი და თამაზი ხომ სააგარაკო
ნაკვეთების სანახავად წავიდოდნენ? ეს
მე ვარ! ჩემთვის რეკავს ტელეფონი!
ეს ჩემი განწყობილებაა, ჩემი ხმაა რომ
მეუბნება. „და ვაი მას, ვის სიკვდილი
სიცოცხლეშივე ავიწყდება...“

.. ჩემს წინ კაცი დგას, გაკვირვებუ-
ლი, ზომავზე მეტად შეწუხებული ქუჩა-
ში მომხდარი ამ უცარი შეჯახებით
და უფრო დამაჯერებელი რომ იყოს
მისი ბოდიში, ხელს მკიდებს ხელზე და
მიხსნის, ჩაფიქრებული და აჩქარებუ-
ლი მოვდიოდით... რომ, საერთოდ არ
დამინახიხართ დაჯახებამდე... მთლად
მე არა ვარ დამნაშავე... თქვენ ისე
მოულოდნელად შეჩერდით... და იმ
ხელიდან, რომელსაც ჩემი მჯაა უჭირ-
ავს და გაუაზრებლად, ქვეშეცნეულად
მეკიდება როგორც მარწუხი, ჩემს არსში
შემოდის ეს ათასფერი, ჭრელი ქუჩა
უამრავი ქალითა და კაცით, მანქანებითა
და მწვანე ხეებით, ყოველი ზაფხული-
თა და ყოველი ზამთრით, საწუხარითა
და სიზარულით...

.. და სიზარულით. პირველ ყოვლისა...



Handwritten notes and signatures in the bottom section of the page, including names like 'დალი' and 'ტელეფონი'.

ნუგზარ წერეთელი

ბანახლებული უნგრული ღლიურები

შახვედრა უნგრეთთან

უნგრეთო, კვლავაც მე მახარებს შენთან შეხვედრა.
როგორც შეხვედრა მახლობელ და კეთილ მეგობართან,
ვისაც იცნობ დიდი ხანია,
ვინც არ გინახავს დიდი ხანია,
მაგრამ სულ გწერდა წერილებს და ამბავი მისი
მშვენივრად იცი!
მე მნამს ძლიერი წარსულის შენის
და მომავლისაც ასევე მჯერა,
არ გახმა მუხა ფოთლების ცვენით
და მზე ბურუსმა ველარ დაფარა!
შენ გაუძელი ყველა განსაცდელს,
მტერს შეუტეე ასჯერ უმეტესს,
და მოიტანე ჩვენს დღეებამდე ხელშეუხებლად
უკვდავი სული მშობელი მიწის!
მე კარგად ვიცი,
და ბევრმა იცის
წინსვლაში შენი რაინდულ რწმენის,
მიტომაც წვეთავთ შენს მალალ ხეებს
მადიარული სიყვარულის მარადი წვენი,
თუ იმ ურყევი გაძღების ძალა,
რამაც ქვეყანა მრავალ ვულკანს გამოარადა!
მე შენი დიდი ქალაქების ცქერა მახარებს,
ვით სიმყუდროვე ყველა დაბის, ყველა სოფელის,
მიხსნი, მიჩვენებ თითქოს მიზნებს ახალ-ახალეებს
და რჩები ჩემთან განუყოფელი!
უნგრეთო, კვლავაც
მე მახარებს შენთან შეხვედრა
შეხვედრა შენთან,
როგორც კეთილ, ძველ მეგობართან.

პატარის მიწა

მატორტმანებდა შანდორ პეტეფის
მიწა ბებერი და დადარული,
მე არდაცემით,
ცეცხლით,
კვეთებით,
სულ თვალწინ მედგა ჩემი მამული!

დალი ხანძრების,
წარღვნის,
მოცეღვის,
აჩნდა მიდამოს უცხო ტალეზად,
მე კი მამულის ბედზე მლოცველის
დარდის მარადის მსურდა ტარება!

ვერძობდი ასწლებმა რომ ვერ
დამლაღეს,
ხმაღლე ძლიერი ხელი მეჭიდა,
და ვიგონებდი
თბილისს საყვარელს,
ბევრჯერ იავარქმნილი პეჩიდან!

მინარეთების თურქულის ლანდი
მიმეორებდა ტკივილის შესმას,
და თითქოს ვგავდი,
და თითქოს ვგავდი,
შორი ქვეყნიდან ჩამოსულ დესპანს.

ჭალარა პეჩი

ბევრჯერ ყოფილა დაჭრილი გულში,
ბევრჯერ ყოფილა დაჭრილი ბეჭში,
ახლა კი ისე,
როგორაც გუშინ.
ზარები რეკენ ჭალარა პეჩში!
ფერს მატებს თოვლი წითელ
კრამიტებს,
და ძონისფერი მიდამოს ფარავს,
სახურავები ნათოვს ლამინდელს
აფრქვევენ წარსულ ცრემლების
დარად!
მე კი ოდნაეიც არ მრჩება ეჭვი,

რომ დანაცრებას გადურჩა მინა,
და ფეხზე მდგარი პატარა პეჩიც,
მადიარობას გულდაგულ იცავს!
მინარეთების ლანდები მუქი
მანაც მახსენებს თურქების უღელს,
მაგრამ სხვაგვარი ბრწყინდება შუქი,
კარს ციტადელი სიმშვიდეს უღებს!
სიმშვიდე იგი იღვრება გულში,
ამოვლებული ქალაქის ბედში,
და დღეს ისევე,
როგორაც გუშინ,
ზარები რეკენ ჭალარა პეჩში!

პოეტის სიკვდილი

ატილა იოყეფის მსოფნას

სად მიგიყვანა ცხოვრებამ მძიმემ,
ნუთუ ვერ შეხვდი კაცსა და იმედს?!
რაც გქონდა, იქცა გატეხილ წკირად
და ახლა დგახარ რკინიგზის პირად.
რამ დაგამწუხრა,
რამ აგატირა,
მატარებელი მოქრის, ატილა!
ქრება წარსული შტანჯავი, მწველი
და შენი 32 წელი.
დაღლილი ქვეყნის სიმარტოვეთი
თავს იკლავს ხალხის დიდი პოეტი!

ასე ვფიქრობდი უნგრეთში დარდით
და შენს საფლავზე მომტირალს
გვავდი!
მატარებლებიც ქროდნენ, ატილა,
მაგრამ ვერ გთმობდა ვერვინ
ადვილად!
შენს ლექსს და ფიქრებს,
რაც დარჩა მარად,
რაც ამალლებას ხალხისას შველის,
მიიმძლავრებდა დროშად და ფარად
უსაყვარლესი უნგრეთი შენი!



გიორგი ლაბაძე



რომანი

პარი პირველი

თოვლი პირველად ბავშვებმა დაინახეს და თუმცა თავიანთი უზრუნველი ცხოვრების მანძილზე პირველად ხედავდნენ მას — ქათქათა, ჭალოოდ მოდენილ, ცისა და ხმელის შემაერთებულ ფანტელებს, ქვეცნობიერის იღუმალმა სულმა (რომლის ჩაღუსკუმებულ წიაღში ეამო-ეამ იელვებდა და განადგებოდა ტანძლიერი, მაგრამ მხრებში ვაგლახად გადრეკილი ბებური მუხა) წამისუმალ მოისინათლა ბაღლური ნათელხილვის ნამცეცა ღიობები და მემრე მათივე ენით გახმამეივარდა: თოვლი, თოვლი მოსულა!

I

სივდამ შიმშიპარო, ქალავ, — კილო იცვალა ვაჟმა. — გულს უცნაური დარდი რამ ღრღნის.

— გფარვიდეს გუდანის ჯვარი! — აპყვა ისიც.

— ცუდს რასმე ნიშანსა ვხედავ: დალატია ან სიკვდილი.

— დალატი? — სახეზე ჩამოყრილი ოქროსფერი თმის შოლიოდან ვამოხედა ქალმა, — თვალცემულისას შეგილოცავ.

— ველარ მიშველის... უკვე ვგრძნობ. როგორ მოარღვევს მაცილი რქებით იმ უსიერ სივრცეს თუ სიცარიელეს, ჩვენ რომ გვაშორებს ახლა.

— გადავაგდო სავარცხელი?

— არა, შეინახე, ვინძლო მერმისისთვის დაგვირდეს!

ვაჟი ერთთავად სულ ხუმრობდა და ქალს თავგზა ებნეოდა, თუმცა მოსწონდა კია ეს გაუგებარი. ყველაფ-

რის გამაბიაბრუებელი საუბარი („ღმერთო, რა აუტანელია, — ამ ბოლო სიტყვის თავისებური მომხიბვლელობით გამოთქვამდა — აუტანელი!“).

ვაეს ახლა სელები თავქვეშ ამოეწყო და დაისის ვარდისფერი შუქით აფორეჯებულ ცას უთვალთვალვებდა ის სევდა, წელან თითქოს ხუმრობით რომ ლაპარაკობდა, გაზაფხულს მოჰყვა და თავდაპირველად ყმაწვილის კმუენვას უფრო წაავავდა, დროთა ცვალებადობის პირველ შეცნობას რომ სდევს ხოლმე თან: თბილად დაიფშვენს ნახამთრალი ღამე, ახასხასდება მოლი და ამღერდებიან წიფობღელები... გეტკინება უცნაურად რალაც, შეუცნობელი ნაღველი მოვიწყლავს გულს, თუმცა კი იცი, წამიერია იგი და ისევე უხანო, როგორც ყვავილების ეს მსუბუქი მტვერი და კორიანტელი. ის სევდა კი, გვიანი გაზაფხულის ამ მეალოე თბილ ქარებს რომ მოჰქონ-

დათ, სულ სხვა კმუნვით ფათურობდა სულში და ირგვლივ არამიწიერი კვირვალი ნისლივით იდგა.

დღე იყო დიდებული. ისინი ჯერ კიდევ შუადღისას ამოვიდნენ აქ, ამ ერთი ციდა მინდვრის სანახავად, ირგვლივ რომ განიერი ხრამი უვლიდა და პატარა კუნძულს წააგავდა (ქალი ასეც ეძახდა: „ჩემი კუნძული“). მერე ამ ხასხასა, სურნელოვან მდელოზე, უცხო სინაზით მოპუტუნე ყვავილებში დრო გაქრა და ტყიან ბორცვს იქით შეთენილი ქალაქიც, რალაც ორიოდ საათის სავალზე კი არა, თითქოს სულ სხვა, არარსებულ მხარეში დაეტოვებინოთ. ეს იყო მათი პირველი სიახლოვე... მუხლებზე დაჩოქილმა ქალმა ჰიამაია დაიჭირა და ვეს აჩუქა. იმან კიდევ კუტკალია უსახსოვრა სანაცვლოდ. მერე ერთმანეთს გააჯიბრეს ჰიამაია და კუტკალია, მაგრამ ამ უკანასკნელმა წესი არ დაიცვა და უშვეს თუ არა ხელი, მაშინვე ისკუპა. სასაცილოდ მიიზღახნებოდა ბალახებში, გლეხკაცის ორთვალასაც წააგავდა რალაცით. ჰიამაიამ კი ერთხანს თითის წვერზე იტრიალა, მერე როდის-როდის გაშალა პაწია ხატულა ფრთები და გაფრინდა. ქალმა თვალი გააყოლა. მზე-რამ გადაუსწრო ციკქნა მალემს-რბოლს და მომავალში გადაინაცვლა... ვაჟი მიუხვდა, გაეცინა და ვტოვებო, თქვა.

— რას ტოვებ? — მოხედა ქალმა.

— ყველაფერს, რაც კი ჩვენამდე არსებულა.

— მაინც?

— მაინც? — იდაყვებზე წამოიწია ვაჟი, — ძველი საუკუნეების გულის ამარყუებელ ბარათებს, ამ საუკუნის „თოვლივით თეთრ ყვავილში გახვეულ კომკავშირულ საღამს“, არც ახალმოდური „მინდიხარ“ და „მჭირდები“ მახატია გულს. ყველა ესენი პირწმინდად უნდა გამოვტოვო.

— ნამეტანი არ მოგივიდეს, — ცინიანელები გაუკრთა ქალს თვალებ-

ში და, როცა ვაჟმა მისკენ გაიწვდინა ხელი, წამოხტა და გაიქცა. ძალიან ლამაზად გარბოდა და არც შეჩერებულა, სანამ შუაგულ მინდორში არ ამოპყო თავი. მერე მოიხედა, ვაჟს გაუცინა და ყვავილებს საკრეფად ჩაიმუხლა.

ვაჟს კვლავ ის უცნაური სევდა შემოაწვა გულზე.

რალაც თითქოს მართლა გამოტოვეს, მაგრამ რა?

თავი ბალახებში ჩარგო და მთელ მის არსებაში მოფათურე იმ ერთადერთ ფხიზელ ნერვს მიაყურა, რომელსაც, რაც სწავლა გაასრულა და ამ ქალაქში გამოგზავნეს სამუშაოდ, რალაც დიდი საიდუმლოსთვის ჩაეგლო საცეცები და აგერ თითქმის მთელი წელია, სამზეოზე ცდილობდა მის გამოტანას.

როდის გავარდა პირველად მეხი ოცნების კრიალა ცაზე?

არა, მეხის გავარდნა თვითონ მას არ უგრძენია; ეგ კი არა, მერე და მერე თავსაც ირწმუნებდა, ალბათ ასეა საჭიროო. მხოლოდ ეს იყო, ერთი წუთით დაირღვა და დაფერდდა ის ნაცნობი წონასწორობა, რასაც ბავშვობიდანვე შესისხლბორცებოდა და ახლა გუმანიტა მიხვდა, ავის მომასწავებელი რომ იყო ეს რღვევა.. იმ ხანებში მეზობელთან სიარულს მოუხშირა, სადაც ყოველთვის გულლიად ხვდებოდნენ და თავდაც კარგად გრძნობდა მათ კედელ-ყურეში თავს. ახალგაზრდა კოლ-ქმარი იყენენ მეზობლები, ბიჭი თითქმის მისი კბილა, ქალი კი—ორივეზე უმცროსი. ბიჭი ქირურგად მუშაობდა ქალაქის საავადმყოფოში, ქალი კი შინ იჯდა და იაფად ნაყიდი ვარდისფერი ძაფით მთელ თავის ცხოვრებას ქსოვდა. თუ გულით მოიწადინებდი, თვითონაც გულით მოგემსახურებოდა — ან სვიტრს მოგიქსოვდა, ან რალაც ამის მსგავსს;

გიორგი ლაბაძე

თოვლი

ოლონდ ეს იყო, ქაცის ზედა ტანსაცმელს ცუდად იცნობდა და ამიტომ იალლოშიც ბევრი მოსდიოდა. თუმცა ამ ვარდისფერ აბლაბუდას ზოგიერთისთვის ვინძლო მთელი ცხოვრება გაედლო. სხვა ხელობა არ ემარჯვებოდა (თუმცა ქალს სულ ეჩვენებოდა, თუ დამჭირდა, ყოველგვარი საქმე გამომივა ხელიდან) და ესეც ბილიკ-ბილიკ სიარულისაა შეისისხლხორცა. მაღალი ქალი იყო, ლამაზი, იმდენად ლამაზი, რომ იგი ვერასოდეს გაბედავდა შეეკო დიასახლისის ვარდისფერი ხელსაქმე. მერე და მერე ძნელი გახდა ყველაფრის ზუსტად აღდგენა, როდის ან რა წამს იგრძნო ის საშინელი გულისრევა, საკუთარ თავს რომ შეგაზიზღებს ხოლმე. საღამო იყო, გამოზაფხულის პირი. სამივენი ტელევიზორს უსხდნენ და ფილმს უყურებდნენ. ფილმი ფრანგულ სამკუთხა სიუჟარულზე იყო აგებული და „მეჩეჩი“ ერქვა თუ რაღაც ამდაგვარი. ქალი შუაში იჯდა და ეკრანს თვალს რომ მოსწყევტდა, დიაცის გრძნული მზერით ხან ვაჟს გადახედავდა და ხან ქმარს. სწორედ მაშინ მიხვდა მისაზვედრა; რომ ეს შემთხვევა არა, თავისით ვერაფერი იაზრებდა და შესაძლოა ცუდ ამბავს გადაყროდა, მაგრამ რაკი იგრძნო, თახსირი საქმეაო და მისმა თხელმა, მთრთოლვარე ნესტოებმაც აშკარად შეიყნოსეს მისი სუნი, აღარ გაჩერებულა. მერეღა მიხვდა — ის მოსალოდნელი მეხი თურმე მაინც გავარდნილიყო და უკანმოუხედავად გადაეშვა იმ სიზმარულ სამყაროში, სადაც დრო კი არ გადიოდა, თითქოს დიდ უძირო სიციარიელეში იკარგებოდა, როგორც წიანწიარა წყარო უდაბნოში... ხსნად ეს გოგო მოველინა. მთელი ერთი წელი ერთად მუშაობდნენ, ერთ სამმართველოში და თითქოს იმ დღეს შენიშნა პირველად. კვირის შემაჯამებელი თათბირი ტარდებოდა სამმართველოს ახლადგახსნილ კლუბში; კედლის განივად, მარჯ-

ვენა მხარეს, ვეებერთელა სარკე იყო ჩასმული. როცა მოწყენილობისაგან გულგასენილი, სარკეში თანამშრომლების არაფრისმთქმელ სახეებს აკვირდებოდა, უცებ იმ გოგამ მიიპყრო მისი ყურადღება — მხრებზე, როგორც აბრეშუმის თხიერი ნაკაღი, მომხიბლავად რომ ეღვრებოდა ოქროსფერი თმა და რალაცნაირი ბავშვური გულმოდგინებით უსმენდა, მოკამათებებს. სარკის სიღრმეში ვარდისფრად იღვრებოდა ფანჯრიდან შემოჭრილი ჩამავალი მზის სხივები. იგი თვალმოკუტული აიგავებდა სარკეში არეკილი ქალიშვილის სახისა და მზის გამოსათხოვარ ციალს და უცებ მოეჩვენა, თითქოს რაღაც შორეულმა, არამიწიერმა და თბილმა შუქმა გამოხედა სარკიდან... ეს იყო უჩვეულო, დაბინდული, თითქოს სევდის მსუბუქი კვამლი გადაჰკვრიაო, მაგრამ იმადროს საოცრად ნათელი და მშვენიერი თვალები, რომლებიც ვაჟის დაჟინებული მზერის პასუხად შეჩქვდიდნენ, დაფრთხნენ და მორცხვად ამოეფარნენ გვერდით მჯდომი თანამშრომლის ვეება ზურგს. იგი მონატრული დაედევნა ამ ბავშვურად გადაძალულ მზერას და უცებ იგრძნო, როგორ დაბრუნდნენ არარაობაში გადაკარგული წუთები... დრო აღდგა! უდაბნოს მიწისქვეშა წყარო ამოიწვერა და მწირმა ეულმა იგრძნო წყურვილისაგან როგორ გაშრობოდა ხახა, ეს წყარო გზააბნეულსა და უცხოდმარებს გვერდი-გვერდ მოჰყვებოდა თურმე მთელ გზაზე მიწის საფარქვეშ გახვეული და აგერ აქამდე კი ვერ შეემჩნია...

ფიქრებიდან ქალის კისკისმა გამოიყვანა. იგი უჩუმრად წამოპარვოდა და მთელი ბლუჯა ყვავილები გადააყარა თავზე.

— უჰ!! — წამოხტა ვაჟი და თან ყვავილებიც წამოხვეტა. ღერა-ღერა დაუწყო სროლა ქალს.

— ძილისგულა! — ქალი კვლავ

იცინოდა — ნახე, რა ყაყაობებია! არ მოგწონს ჩემი კუნძული?

— ნამდვილი სადედოფლო კუნძულია.

— შენამდე აქ გოგოებთან ერთად დავდიოდი.

— ვინ გოგოები იყვნენ?

— ჩემი სკოლის ამხანაგები.

— ეაცის სუნი მცემს დევისქალო! — წარბები აწეობა ვაჟმა, — ჩემს გარდა სხვა ვინმეც არის ამ კუნძულის მხილველი?

ქალი უცებ ვერ მიხვდა.

— რა? უი... — იაზრა მერე და თქვა: — „აუტანელი!“

ვაჟმა გამოხედა და ქალი უშალ გაეხვია მის გაუგებარ, იღუმალებით მოცულ ღიმილში.

— რა იყო...

ვაჟი კვლავ იღიმებოდა. ჩამავალი მზის სხივებით გაჯერებული ეს ღიმილი საბუნე ეღვრებოდა ქალს და ისიც თავიდან ფეხებამდე გახვეულიყო ამ შემბოჰველ თბილ შუქში.

— ნუ მაშინებ...

მოლოდინის ახალი ჩქვრალი გადაედგარა ქალის შიშველ მხრებს და მოადუნა, მოათენთა ერთიანად.

— ნუ... — თქვა მან და ამ მოცახცახე მაცდურ ნათელს არიდებული ვაჟის მკერდს მიეხუტა.

და ვაჟიც გაიქცა მისკენ, თითქოს ეს იყო ერთობლივი, შეთანხმებული ღრმადი სამყაროს სხვადასხვა კუთხიდან, მსგავსად ცალფრთიანი ზღაპრული ფრინველებისა, მაგრამ ის საიდანაც გამოიბოდა, იქ უსახური ნისლივით ფათურობდა რაღაც და ბუზისტოლა მღამიობი მოუძლოდა ამ უხორცო არარაობას. ირგვლივ კი მდედრის პირველი გაღვივებული სიმწიფით ფშვინავდა მიწა და მაცოცხლებელ თესლს მოწყურებულს გაზაფხულის მლუარი მზისთვის მიეშვირა მოვლელი საკონქე. მაგრამ ეგ იყო — გუგულს არ დაეძახა ჭერ და ბუნებით მეოცნებე. სულ უცხო სივრცეებისკენ

მზირველ ქართველ გლეხაცხაც ვერა რიგად ვერ გამოემეტებინა თესლი თვისი.

გადაადგე თუთი, გადაადგე სავარცხელი!

II

წვერის პარსევას მოვრჩი და სამფშაოზე წასვლის დრომაც მოაწია. საოკის წინ ვიდექი, პალსტუხს ვისკვნიდი და თან ფანჯრიდან ამოშავალი მზის შუქით აფერადებულ ქალაქს გადავუქეროდი. ფართე ლამაზი ქუჩით მოუყვებოდა იგი შემოღმართს და ზედ ჩემი სარკმლის გავლით მალდა, კულტურისა და დასვენების პარკისაკენ მიემართებოდა. ეს იყო ერთ-ერთი უძველესი ქართული ქალაქი, რომელსაც დრო-ჟამის სვლაც კი ვერაფერს აკლებდა. ხომ დღითი-დღე იზრდებოდა — ახალი უბნები ემატებოდა, ახალი შენობები, ახალი ბალები და კინოთეატრები, მაგრამ ირგვლივ ყოველივე თითქოს მიინც უცვლელი და ხელუხლებელი რჩებოდა. უფრო სწორად რაღაც რჩებოდა ხელუხლებელი და უცვლელი, ამ ახალსაც, რომ თავის სახეს აძლევდა და იშინაურებდა. ამით იგი ძალიან წააგავდა თბილისს, თუმცა სხვა მხრივაც ბევრი საერთო ჰქონდა დედაქალაქთან: ორი მხრიდან ისიც მთებით იყო შემოზღუდული და მდინარეც შუაზე ჰკვეთდა. ჰქონდა თავისი ფუნქციონირი, საბაგირო გზა და გარეუბნები. საითაც საცხოვრებლად გადასვლა, როგორც თბილისელებს, ისე აქაურ მოქალაქეებსაც აიფრად ეკაშნიკებოდათ.

პირველად გულივერით რომ წამოვადექი თავს, ვითარცა ლილიპუტების ქალაქს, მაშინ შევაშინე ეს სალამოს თბილისში დავიძინე, დილით უკვე აქ ვიყავი, ხელში პატარა ჩემოდანი მეჭირა, გულის ჩიბეში ახლად

გიორგი ლაგაძე
თ. 0. 3. 0

დამთავრებული ინსტიტუტის დიპლომი მელო (მთელი აკლადიდება!) და თავი სიზმარში შეგონა, სადაც სავნები ნამდვილ სახეს კარგავენ, მაგრამ ბუნებით მაინც იგინივენ რჩებიან. პატარა, პატარა თბილისი!.. იქნება არსადაც არ წავსულვარ-მეთქი და ექსპრესის მთელი წუხანდელი სრბოლა მხოლოდ დროის სიღრმისკენ იყო დაშვრებული? ამ ორკოფულ გრძნობას აღბათ ხელს ისიც უწყობდა, სამყოლო სკოლის დამთავრების შემდეგ, ისე, რომ სხვა ქალაქი თვალითაც არ მენახა, სთვლიდან პირდაპირ თბილისში მოვხვდი.

ძალამოკრებილი მზის მეწინავე სხივი როგორც იქნა დაუხსლტა ქადრის ფოთლებს და ჩემს ოთახშიც შემოიხედა. ჭრელი საზაფხულო პიჯაკი მეცვა, ფართე მოდური ჰალსტუხი მეცეთა და სარკის წინ რომ გავიარე, საკუთარ თავს შევესიტყვე: კაი კონტა-პრუწა დაგდექით-მეთქი ამ მოკლე ზანში შე და შენ! განა არა? ჩაცმით სტუდენტობის დროსაც კარგად ვიცვამდი, ბიჭები იმ შეკრავთან გარბოდნენ, მე რომ რამეს შევაკვირებდი, მაგრამ მაშინ ტანსაცმელს ვერ ვგრძობდი. ახლა კი სულ მახსოვს, რა მაცვია და კანტორაშიც საგულდაგულოდ ვინახავ ხავერდის ჩვარს. მშენებლობა, მოგენსენებათ, კუჭკიანი საქმეა და ფეხსაცმელს ხშირად ედება მტვერი... ამას ვხუმრობ, რა თქმა უნდა, მაგრამ ჭუჭყს ნამდვილად ვერ ვიტან. საკმარისია ოდნავ შელანძღული პერანგი მეცვის და მთელი დღე დაბნეული დავდოვარ, ხალხთან ხეირიან ლაპარაკსაც ვერ ვახერხებ. რა არის ეს? მთელი ჩემი ნახევარი ხელფასი ამაზე მიდის. კიდეც კარგი, საავადმყოფოს გვერდით ვცხოვრობ და იქაურ მრეცხავებთან იოლად გამოვდივარ, თორემ მართლა რა მეშველებოდა, არ ვიცი. შეიძლება ასეთ წვრილმანზე ლაპარაკი არც ღირდეს, მაგრამ რას იზამ, „ნაღებმოხდილი“ სახლის შენებას რომ დაიწყებ

და მერე იმასაც მიხვდები, მშენებლობაზე ნემსისა და აქლემის ჭურდი ერთი არ ყოფილაო, უმაღლესი ზედმეტი ღირებულების კანონს ჩაუყურვუმაღვდები, ვინემ რუსთველის შაირსა და ჰომეროსის ჰეგზამეტრს...

მაშინ გულიეგრად რომ წარმოვიდგინე თავი და ქალაქიც ისე პატარა და ახლო მეჩვენა, ხელით მივწვდებოდი მეგონა, თურმე არც ისე ხელმისაწვდომზე ყოფილა. ეს მანძილი ჩემი წარმოსახვის საპირისპიროდ მოემართებოდა და მე ვხედავდი, როგორ თანდათან იზრდებოდა ქალაქი ჩემს თვლწინ. ჯერ ერთმა მუშამ მითხრა: არა, პატრონო, მაგ ფასად ვერ ვიმუშავებო, მერე უფროსმა კოლეგებმა დამამოძღვრეს: მიეცი, ნაკლებად არ გაგიკეთებსო და ასე, ნელ-ნელა ჩამახედეს „ნაღების“ საქმეში. ქალაქი კი იზრდებოდა და იზრდებოდა და მის წილ ნამდვილი გოლიათივით წამომართულიყო სახლი, რომელსაც მე ვაშენებდი. იგი მთელი ათი თავით ასცილებოდა თავის ორ-სამსართულიან მეზობლებს და კვირაობით, სულ სხვა მხრიდან მომავალი, შორიდან რომ გამოვხედავდი, გული ჩამწყდებოდა ხოლმე: სახლს საღვაც უნდოდა წასვლა... რამდენჯერ მინატრია, ნეტა მეც იქით წამიყვანა-მეთქი. ან იქნებ ნებროთსაც ასეთი გრძნობა ჰქონდა, ბიბლონის გოდოლს რომ აშენებდა?

ფიქრებიდან კარზე კაკუნის ხმამ გამომიყვანა. ვიცი, ვინც იქნებოდა და უწადინოდ გაემართე გასაღებად. აღრე როგორ მიმიწვედა გული მათკენ! შარშან ჩამოსულან ამ ქალაქში სამუშაოდ და, მე რომ მათ მეზობლად დავიქირავე ბინა, კაი მასპინძლებივით შემხვდნენ. მთელი პირველი სართული ჩვენ გვექირა: ამით ორი ოთახი, მე — ერთი.

ქალს შილივად ეცვა. ეტყობოდა. ეს-ესაა ამღვარიყო. თმაგაშლილს, თავისი ქალობითა და სურვილით გაბრუებულს, ჩამოსხმულ ტანზე უბრა-

ლოდ მოესხა ხალათი და ყოველივე იმის ნათელ უარყოფას წარმოადგენდა, რაც მე ამ ბოლო დროს მაწვალებდა და ძილს მიფრთხობდა.

— წამოდი, რა განახო, — მითხრა მან და ხელი ხელში ჩამკიდა, — წამოდი!

გავყევი. საწოლ ოთახში შემეყვანა, სადაც გივი — მისი ქმარი პირაღმა გაშოტილიყო და გულიანად ხვრინავდა.

— ვერაფრით ვერ ჩავუდგი სული, — დაიხარა და ქმარს ნჯღრევა დაუწყო. გვიმ ერთი ამოიხროტინა და გვერდი იცვალა. — არადა საავადმყოფოში წასვლის დროა, აგვიანდება.

— მოვიტანო წყალი?

— წყალი? — ქალმა სახეზე ჩამოშლილი თმა გადაიწია, — ნახე, რა უწყვეია თავქვეშ, — ბალიშიდან ორი თხელყდინა წიგნი ამოაძრო და გამომიწოდა. ერთს „სიმსუქნე“ ეწერა, მეორეს — „ყოველდღიური ტანვარჯიში“.

— რა მაგრა ვარჯიშობს, არა? — გაეცინა ქალს, — ყოველ დღით ასეა.

— წავედი, — ეუთხარი მე, — მაგვიანდება, ნუ გეშინია. გაიღვიძებს.

ღერფვანში გამოვედი, მაგრამ ქალიც გამომყვა და კვლავ გამაჩერა:

— რამდენიხანია, თენგიზ, შენთან სათხოვარი მაქვს, ოღონდ სიტყვა უნდა მომცე, არავის ეტყვი.

— არც გივის?

— გივის მითუმეტეს.

— რა მოხდა ასეთი?

ქალმა კარისკენ გაიხედა.

— მათემატიკაში მინდა მომზადება.

— მათემატიკაში? — გამეცინა მე,

— რად გინდა მათემატიკა?

— მინდა. ჩვენთან რომ პოლიტექნიკურის ფილიალი გახსნეს, იქ ვაბირებ ჩაბარებას.

— მერე ეგ რა დასაფიცია.

— არის... — ხმას დაუწია ქალმა, — ხომ იცი, რა ქილიკაცაა. რომ ვერ ჩაებაბარო, შენ თუ შემეხიზნებ, თორემ

სახლში აღარ დამედგომება. არ გობია, უცებ გავახარო?

— რა ვიცი...

ქალმა მზრუნველად შემისწორა ყელსახვევის ნასკვი.

— გივი რომ არ იქნება სახლში, მაშინ მოვალ ხოლმე... ნუ გეშინია, დამჯერე მოწაფე ვიქნები, ყველაფერს გაგიგონებ რას იტყვი, თენგიზ, ხომ კარგი იქნება?

რა უნდა მეტქვა მშვენივრად ჰქონდა მოფიქრებული, ოღონდ ჩემს თანხმობაშიც რომ იყო დარწმუნებული, ეს მაფიქრებდა ცოტათი. როგორც ჩანს, ჩემი გამოჩინება და ის ამბავი, რომ სულ უფრო და უფრო იშვიათად დავდიოდი მათთან, ქალმა თავის გუნებისად გაიგო. ამის დასტური იწამსვე მომცა: როცა იმათი ოთახიდან გივის ბურტყუნი მოისმა — წყალი, ეთერიო, ქალმა თითი ტუჩებთან მიიტანა და ღიმილით შეიკეტა კარი.

მაშ ასე: საიდუმლო გაჩნდა! იგი ყოველგვარი წესისა და რიგის დაცვით გადმომეცა. ახლა მისი მოვლა და რუდუნება ჩემზე იყო. სწრაფად შევბრუნდი შინ, ჩანთა ავიღე და ის იყო, გავასწრებ-მეთქი, ვიფიქრე, რომ ახლა გივი შემობაჯბაჯდა ოთახში. ქვედა საცვლის ამარა იყო.

— გაუ! — ხელი შემართა და იქვე, კართან მდგარ ტაბურეტზე დაეშვა. — გავთავდი კაცი.

— რა იყო, რამ გავათავა? — ვკითხე მე.

— მთელი ღამის ნალოთები და უძილარი ვარ.

— გეტყობა, სად ყოფილხარ?

— ერთი რუსის ვოგო გამოვიჭირე და „ჩაბრაძის წისკვილში“ მყავდა, — ძლივს. სუნთქავდა, — დასალევი გაქვს რამე? ჩვენი ძმა არაყი, რა თქმა უნდა.

— მაქვს, — კედლის თარო გამოვალე, — კონიაკი ხომ არ გირჩევენია?

— კონიაკი? იფ, იფ! თუმცა არა.

გიორგი ლაბაძე

თ ო ვ ლ ი

მე ჩვენს ძმას, ექიმების ძმა არაყს
ვერ ვუღალატებ. შენ არ დალევ?

— თავი დავეუქნიე.

— ყოჩაღ! — მხარზე დამკრა ხელი,
— შენც ექიმი და ჩვენი ძმა ხარ.
თითო-თითო, მეტი კი არა. არ მინდა
ნასვამი მუშაობას მივეჩვიო...

— შენი საქმისა შენ იცი, ერთი კი
არც მე მაწყუნს. — გრაფინი და ჰი-
ქები მაგიდაზე დაეაწყვე, — დღეს
სენატში გამოვდივარ და ისეთი სიტყვა
უნდა ვთქვა, კვინტუს ავრელიუს ეპი-
ფანიუსი მოგონილი იყოს.

— მოგონილი არაა? — გაეცინა გი-
ვის.

ჰიქები შეგავსეთ, ერთმანეთს მიეუ-
ჭახუნეთ და გადავკარით.

— შენ მეტს არ დალევ? — თავისი
ჰიკა შეავსო გვიმ, — კარგი, მე ერ-
თსაც გადავკრავ, მარტო ერთს, მეტს
არა. არ მინდა ნასვამი მუშაობას მი-
ვეჩვიო.. გავლოთდები.

— ლოთი არა ხარ?

— გაგიედი? აბა, ღმერთი სამობი-
თაა... მორჩა! — თვლები უციმცი-
მებდა უკვე, — ახლა სამსახურში,
თორემ ცოლის ჯუჯღუნს რა ვაუძ-
ლებს? წუღან ფეთიანივით წამომაგ-
დო ზევით. გული კინაღამ გადამიტრი-
აღდა: ისევე „ჩაბრაძის წისქვილში“
ხომ არ ვარ და იქ ხომ არ წამასწრო-
მეთქი.

ეზოში გამოვედით, გვიმ ონკანი
მოუშვა და თავი შეუშვირა.

— მართლა, — ვუთხარი, — გავი-
გე, ტანვარჯიშის წიგნი შეგიძენია. ხომ
ვერ მიშოვიდი მეც ერთ ცალს?

— დამცინი? — დაიფრუტუნა გი-
ვიმ, — ნახე, იმ კვირიდან ვარჯიშს
ვიწყებ და შენზე კობტა ბიჭი თუ არ
გავხდე.

— აბა შენ იცი, წავედი!

— ჰო.

ფეხით გავუყევი. აქედან საბაგი-
როს გარდა მეტი მაინც არაფერი და-
დიოდა და ისიც მხოლოდ საღამო-
ბით მუშაობდა. არც იყო შორს: აღ-

მართს ჩაათავებდი, ზიდს
და იქვე იყო ჩვენი სამმართვე-
ლოც. ახლა მაინც ყოველ დღილი,
სანამ სამუშაოზე წავიდოდით, იქ უნ-
და გავვევლო; რაც განრიგზე გადავე-
დით, სამმართველოში ყოველ დღილი
ნახევარსაათიანი საწარმოო თათბირები
იმართებოდა.

ზიდზე მამა-შვილ ნიკოლაძეებს წა-
მოვეწიე. კაცი ჩვენთან მუშაობდა ინ-
ჟინრად და აქ რომ ჩამოვედი, მაშინ
გავიცანი, გოგონას კი პიონერთა ბა-
ნაკიდან ვიცნობ. ამ ორი წლის წინ,
მეოთხე კურსი რომ დავხურე, პიონერ-
ხელმძღვანელად წავედი ბანაკში. დი-
დი ვერაფერი შეილი ჰედაგოგი რომ
ვერ გამოვდექი, თვითონაც ჩქარა
მიეხვდი, მაგრამ ამ გოგონამ სულ მო-
მითავა ხელი...

ერთხელ, ახალი მისულის ვარ და
რაზმს ვაწყობ. ხაზზე უნდა გამეყვანა
თუ სხვა რამეზე მიგვეჩქარებოდა,
კარგად ალარ მახსოვს. ერთი სიტყ-
ვით, ვერ ვასწრებდით. გვაგვიანდებო-
და. ბავშვები კი ასეთ დროს, მოგცეს
ღმერთმა: აქეთ დადექიო რომ ეტყვი,
ის იქით მიდის, გასწორდით — ის
წელში ოზნიკება, სმენა — თავს იფ-
ხანს. ვარ ამ გაწამაწიაში და უცებ წი-
ნიდან კისკისი მესმის. მივიხედე —
წესრიგს კი არ არღვევდნენ, ან რამე,
წინ მდგომი გოგონა რაღაცას ყვებო-
და და ეს იცნოდა, იცოცხლე. ვუყ-
ვირე. ხმა გაიკმინდეს. მერე, როგორც
იქნა, რაზმი დავაწყე, ხაზზე გამოვიყ-
ვანე, ვისაუბრეთ, დავიშალეთ — თა-
ვისუფალი დრო გვექონდა და აი, მო-
დის ეს გოგონა ჩემთან, სუსტი, სიფ-
რიფანა, თავზე ჰილის ქული ახურავს:
„არ გრცხვენიათ, გიზი ხელმძღვანე-
ლო? — მეუბნება, — რამხელა გვი-
ყვირეთ წუღან“. რა გგონიათ? მართ-
ლა შემრცხვა. ასე დავმეგობრდით.
შინ წასვლის წინ (რამდენადაც მახ-
სოვს, მშობლები არ ჩამოსულან, მე-
ზობლის ქალმა წაიყვანა თავის ბავშ-
ვებთან ერთად) თამრიკომ — თამრი-

ყო ერთევა — კისერზე ხელი მომხვია, თავი ძირს დამახრევიანა და ყურში მიჩურჩულა: „იცით, როგორ მიყვარხარტ, გიზი ხელმძღვანელო? ძალიან, ძალიანაც მომენატრებით. მერე კი დამავიწყდებით. შარშან, არა შარშანწინ (შარშან არ ვყოფილვარ), ერთი თქვენსავით კარგი ხელმძღვანელი გვყავდა. ბათუმელი ბიჭი იყო. ისე მიყვარდა, ისე, სახლში რომ დავბრუნდო, სულ მენატრებოდა და მერე უცებ დამავიწყდა...“ რაღაცნაირად შემკრთალი ლაპარაკობდა ცხოვრების ამ გარდუვალი კანონის შესახებ და თავსა და ბოლოს რომ ვერ უგებდა, ეს ანაღვლიანებდა. მამაც, შეილის არ იყოს, საოცრად მგრძნობიარე და ალალი კაცი იყო — მოკრძალებული, თავმდაბალი. ხომ ერთ-ერთ მცოდნე და კარგი ინჟინრად ითვლებოდა სამმართველოში, ორ სიტყვას ვერ ათქმევინებდი თავის თავზე, არც რაიმე დავასა და ყავანში ერეოდა. თუ ვინმეს მისი დახმარება დასჭირდებოდა, ხელს ისე წააშველებდა, თითქოს მას სცეს პატივი, ეს საჭმე რომ გააკეთებინეს. შეიძლება ესეც იყო მიზეზი სამმართველოს ერთადერთ სამშენებლო უბანს, ჭალაქგარეთ სატრაქტორო ქარხანას რომ აშენებდა, სხვა ხელმძღვანელობდა, რომელიც, მიუხედავად იმისა, ერთი ღერი თმა არ შერჩენოდა თავზე, ანდროზე ბევრად უმცროსი იყო, ხოლო ცოდნითა და გამოცდილებით მასთან ახლოსაც ვერ მივიდოდა. ასე იყო თუ ისე, სამმართველოში ანდრო ნიკოლაძეს პატიოსან კაცს ეძახდნენ და თათბირი ისე არ ჩაივლიდა, ვინმეს არ ეთქვა: თუ არ გჯერათ, ანდროს ვკითხოთ, პატიოსანი კაციო. ან: რატომ ანდროს, ამ პატიოსან კაცს არ მოსდის ასეთი შეცდომა?

მამა-შვილი ყოველ დღით ასე ერთად დაიარებოდნენ — ერთი საშახურში, მეორე სასწავლებელში (თამარიკოს უკვე შეიღწეული დაემთავრებინა და მუსიკალურ ტექნიკუმში სწავ-

ლობდა პირველ კურსზე). ხელი შალითაში ჩადებული ვიოლინოსთვის ჩაეკიდათ და მიუყვებოდნენ დილის მზით განათებულ განიერ ტროტუარს.

— გიზი ხელმძღვანელო! — ნაბიჯის ხმაზე მოიხედა თამარიკომ და გამიღიმა.

— შენ კიდევ ხელმძღვანელს ეძახი შეილო? — ხელი ჩამომართვა ანდრომ, — ხომ არ ვაგვიანებთ?

— არა, ჭერ რვა არ არის.

— რას შევბა თქვენი ბაბილონის კოშკი?

— მოაწია ენების აღრევის ქამმა... მე და ჩვენი უფროსობა რაღაც-რაღაცებში ვერ ვთანხმდებით.

— ნუ გეშინია, შეთანხმდებით, — ღიმილით თქვა ანდრომ, — მართლა, სულ მინდოდა მეკითხა, მთავარი ინჟინერი ნათესავი ხომ არ არის თქვენი?

— არა, მოგვარე. რატომ მეკითხებით?

— ისე, ამას წინათ ხელფასს რომ ვლებულობდი, თქვენი გვარები ერთმანეთის გვერდი-გვერდ ეწერა და მხოლოდ მაშინ მივაქციე ყურადღება. — ცოტა ხანს იყუჩა და მერე განაგრძო: — რამდენი რამეა გონებაში ცალცალკე, თავისთავად და ერთმანეთს კი ვერ ვუკავშირებთ.

ფარულად შევხედე. წყნარად ლაპარაკობდა და თვალეზშიც ჩვეულებრივი თბილი შუქი ედგა. მერე მამიდან შევიღზე გადავიტანე მზერა. ამ ორი წლის მანძილზე თამარიკო თითქოს არც შეცვლილა, თითქოს ისევ ისე სუსტი, გამხდარი გოგონა იყო, მაგრამ მის კეწეწა მკლავებსა და ფეხებს უცხო სიმრგვალე და სიღბო კი შემატებოდა. პირისახის სწორი და სათუთი ნაკვთებიც კიდევ უფრო გაფაქიზებოდა, ხოლო მთელს მის უმწიფარ არსებაში რაღაცნაირი სიჩუმე გამეფებულიყო, შიგნიდან მომდინარე სიჩუმე...

გიორგი ლაბაძე
თ.ო.ვ.ლი

— აჰა, შვილო, შენი ვიოლა, —
უთხრა ანდრომ თამრიკოს, როცა ტექ-
ნიკუმის გადასახვევს მივუახლოვდით,
— ხომ იცი რამდენი სიბეჯითე გმარ-
თებს ახლა?

— როგორ, ზარმაცობს თუ?

— არა, მაგრამ მალე კონცერტი
ექნება და მეტი სიყოჩაღე უნდა.

— მართლა?

თამრიკო ჩვენ არც გვისმენდა, თა-
ვისთვის იღგა და იღიმებოდა.

— მოხვალთ თენგიზ ჩემს კონცერტ-
ზე? — მკითხა მერე უცებ.

— რა თქმა უნდა, თუ კი გამაგებინ-
ებთ.

— მამა გეტყვით. ხომ ეტყვი, მამა?

— კარგი ახლა, შვილო, გვაგვიან-
დება. ვეტყვი, აბა რას ვიზამ!

თამრიკო წავიდა. ისე მსუბუქად მია-
ბიჯებდა, თითქოს რომელიღაც ძალიან
ნაცნობ და მომხიბვლელ მუსიკას უწ-
ყობს ფეხსო.

— მართლა, — ვუთხარი ანდროს,
თამრიკო რომ თვალს მიეფარა, —
მწყერზე სანადიროდ აღარ მივდივართ?

— ჯერ ადრეა. თვენახევარი მაინ-
ცაა სეზონამდე. გინადირია ჯერ?

— ხანდახან, მამაჩემს დავყვებოდი
ხოლმე.

— უძალოდ ძნელია. ეჰ, კარგი
ძალი მყავდა, მაგრამ შარშან მომპა-
რეს.

— სხვა ვერ იშოვეთ?

— სად იშოვი ახლა კარგ ძაღლს.

ამ საუბარში სამმართველოშიც მი-
ვედით და უფროსის კაბინეტისკენ გა-
ვემართეთ. ხალხი უკვე შეკრებილიყო.
სამმართველოს უფროსი მაგიდის თავ-
ში იჯდა და რაღაცას წერდა. იგი მსუ-
ქანი, ზონზროხა კაცი გახლდათ. სია-
რულისას ხელების უკან შემოწყობა
უყვარდა და, როცა ჩვენთან ობიექტის
დასათვალისწინებლად მოვიდოდა, მუშე-
ბი ქლიკობდნენ: განგებ შვრება ევ-
რე, იქნებ ვინმემ რამე ჩამიდოს ხელშიო.
ერთი უცნაური ჩვეუაც ჰქონდა ამ კაცს:
თუ გელაპარაკებოდა და გვერდში

მთავარი ინჟინერი ეგულბოდა, თვა-
ლი სულ მისკენ ეჭირა. ვეტყოდა ერთ-
სიტყვას და უმალ მთავარ ინჟინერს
გადახედავდა, ისევ ვეტყოდა და ისევ
გაექცეოდა თვალი მისკენ. მთავარი
ინჟინერი ახლაც გვერდით ეჯდა — მა-
ღალი, ხმელ-ხმელი, მხედრული გა-
რეგნობის კაცი. იგი ყოველთვის წყნა-
რად და ხმის აუწყევლად ლაპარაკობ-
და, მაგრამ თვალი ჰქონდა ისეთი,
ერთს რომ შეგხედავდა, რენტგენზე
იყავი გატარებული. ეს გამოთქმა, ცხა-
ლია, მე არ მომიგონებია. აქ რომ ჩა-
მოვედი, თითქმის ყველას პირზე ეკე-
რა. მაგალითად თუ ვინმეს მთავარ
ინჟინერთან დაუძახებდნენ, „გასაშუ-
ქებლად მივდივარო“, კი არ ხუმრობ-
ბდა, სერიოზულად ამბობდა. მეც ბევრ-
ჯერ გავშუქებივარ ამ კაცს, მაგრამ ყო-
ველთვის დღემილით მივლიდა გვერდს.
ნეტა რა მჭირს? — ვიცი ამბობს, მთა-
ვარი დიავნოზის დასმავო, მერე მკურ-
ნალობაც ადვილია და იმ ქვეყნად
გასტუმრებაცო. კიი შედავათია! ისე მა-
გარი კაცი კი იყო ჩვენი მთავარი ინ-
ჟინერი. იმ გახურებული ომის დროს
ვიეტნამში წასულა და მთელი ორი
წელიწადი იქ უმუშავია. იქიდან სა-
მასსოვროდ ერთი ციდა მაიმუნი ჩა-
მოუყვანია, ხანდახან სამსახურშიც
დაჰყავდა და ერთ-ორჯერ მეც მომიკ-
რავს თვალთ.

სამმართველოს უფროსს მარჯვნივ
საწარმოო-ტექნიკური განყოფილების
გამგე უჯდა, პატარა ბუნჩულა კაცი,
სულ მუდამ ქაღალდებში თავჩარგული
და მოოოსავით რაღაცის მოჩიჩქნავე.
აქვე იყო მომარაგების უფროსიც, თა-
ვისი ჩამრგვალებული მეზობლიდან
მხოლოდ იმით რომ განსხვავდებოდა,
მასზე ერთი თავით მაღალი გახლდათ,
თანაც თეთრ ფუმფულა სახეზე დიდი
წითელი ცხვირი დროშასავით ჰქონდა
გამოკიდებული. მოსულოყვენ სამუ-
შაოთა მწაონობებლებიც, ზოგი სკოლას
რომ აშენებდა. ზოგი — კულტურის

სახლს, ზოგი კიდევ რას და ზოგი რას. მოსულეყო ძია მიშაც, ჩენი სამმართველოს უსაფრთხოების უფროსი. იგი ერთი იმ პირველი კომკავშირელთაგანი იყო, ოცდაათიან წლებში ხაკის ბლუზა-შარვალში გამოწყობილი რომ დაჰქროდა ქვეყნის კიდით-კიდე და ახალ ცხოვრებას აშენებდა. ახლა მოხუცი, პენსიაზე გასული, საქმეს რომ მაინც ვერ შეღვავია, უსაფრთხოებას განაგებდა ჩვენთან და თუ ობიექტის დათვალიერებისას ძველი ამბების გახსენებას დაიწყებდა, აშკარად გაცდენისა და სამუშაოს ჩაშლის საფრთხეში გვაგვადებდა.

თითქმის ყველანი შეკრებილნი ვიყავით, თუთი არ ჩანდა მხოლოდ. მალე ისიც შემოვიდა — ნარბენი, აწითლებული. უსახელო, ვარდისფერი კაბა ეცვა, ძალიან უხდებოდა. წინ რომ ჩამიარა, გამიღიმა და მისთვის განკუთვნილ მაგიდას მიუჯდა.

— აბა, დავიწყეთ, — წერა შეწყვიტა სამმართველოს უფროსმა და მთავარ ინჟინერს გადახედა. მთავარმა ინჟინერმა თავი დაუქნია, — რას იტყვი, ლექსო, როგორ მიდის ქარხნის მშენებლობის საქმე?

უბნის უფროსმა ალექსანდრე თელიძემ სამუშაო გეგმა გაშალა და იმის მოხსენებას შეუდგა, რა ჰქონდა გასაკეთებელი და რა გააკეთა, რამდენი მანეთი უნდა აეთვისებინა და რამდენი აითვისა. დაბალი, სასიამოვნო ხმა ჰქონდა, თვითონაც მოხდენილი გარეგნობის ყმაწვილი იყო. თმა რომ არ ჰქონდა თავზე, სულაც არ აუშნობდა მისი სახის სწორ, სანდომიან ნაკვთებს, — პირიქით, თავისებურად უხდებოდა კიდევ. ახალგაყნობილი კაცი წუნს ვერაფერში დადებდა. ოღონდ თუ ჩაუყვირდებოდი, მაშინ კი მიხვდებოდი — ის სასიამოვნო, ბუხუნა ხმა მხოლოდ უფროსების საამებლად იყო დათაფლული. ამბობენ, თუთი უყვარსო და სასიამოვნოსაც რომ თავი მოაწონოს, ვაზეთში მშენებლობის

ქირ-ვარამზე სტატიებს წერსო (თუთის მამა საქალაქო გაზეთის რედაქტორი იყო). რას გაიგებ? ზოგი შორით უვლის, ზოგი მოკლე ბილიკს ირჩევს და ზოგს კიდევ ტყუილად ჰგონია, მოვლილი გზა უფრო საიმედოაო.

უბნის უფროსის შემდეგ სხვა სამუშაოზე მწარმოებლებიც აღაპარადნენ. უველა თავ-თავისას მოითხოვდა და ეს მოთხოვნები თუთის საგანგებო ცირილში შეჰქონდა. მალე ჩემი ჯერიც დადგა. მე პირველ რიგში იმაზე დავიწყე საუბარი, რაც ყველაზე სამუშაო გადასაწყვეტად მიმაჩნდა, მაგრამ დავასველე თუ არა ენა, მაშინვე შემწყვეტინეს და საკითხიდან გადაუხვიეთო, მითხრეს. რატომ-მეთქი? გადაუხვიეთო. ბოლოს და ბოლოს შევა-მოწმით-მეთქი, არ მოვეშვი მე ჩემსას. მაშინ დროშასავით შემართა ცხვირი მომმარაგებელმა და ამ „დროშის“ ქვეშ ნათლად გამოჩნდა სამმართველოს უფროსის შექმუნული შუბლი, ქალღმერთში თავჩარგული მუდოს ცმაცუნა ტუჩები, უბნის უფროს ალექსანდრეს იქედნური ღიმილი და უთქმელი თუ ნათქვამი გუნდური მოძახილი: გადაუხვიეთ, გადაუხვიეთო! ნეტა საით გადაუხვიე? მთავარ ინჟინერს გადახედე — რენტგენი არ ენათო...

„აბა ნათესავი ერთ, და შაგე ერთ ყოველთა... მოვედით გარდავიდეთ, და შევეურივნეთ მათ ენანი მუნ. რათა არ ესმოდეს მუნ თვითეულსა ხმაჲ მოყუისისა. და განთესნა იგინი უფალმან მუნით პირსა ზედა ყოვლისა ქუაყანასისა...“

და განთესნა!

ძაან მარჯვედ კი შეუდგენ საქმეს. ზუსტად ისე, როგორც ესენი. არავითარი დრო და საუკუნეები! ან იქნებ მშენებლობა ისეთი საქმეა, სულ რომ არ სჭირდება საღმრთო წიგნი და

გიორგი ლაბაძე
თოვლი

„ვეფხისტყაოსანი?“ რასაცა გასცემ შენიაო, მგოსანმაც ბრძანა, მაგრამ ახლა ვაცემასა და მოხვეჭას შორის დიდი უფსკრულია.

— არ ვარ მე პატიოსანი! — იყვირა უცებ ანდრომ ჩემს გვერდით.

არ ვიცი, არ მიგღია ყური. ჩემს საფიქრალს ვფიქრობდი და გულისხმა ვერ მივადევნე. ეტკობა, როგორც ყოველთვის, ვიღაცამ ახსენა: „ანდრო, პატიოსანი კაციო“. ამას ყველა შეჩვეული ვიყავით და სახარებასავით ვისმენდით. მაშ რა მოხდა? რა დაემართა ანდროს?

— არ ვარ მე პატიოსანი, არა! — იგი ერთიანად ცახცახებდა, — ხომ გაიგეთ ახლა, არ ვარ!

მთავარი ინჟინრის რენტგენი კვლავ აენთო.

— კარგი, ანდრო, — უთხრა მან დაყვავებით, — ყველამ რომ იცოდეს, რა დროს რა თქვას, მაშინ რა გვიჭირს!..

მოგვიანებით, თათბირი რომ დამთავრდა და დერეფანში გამოვედით, თუ თიმ დამიმართოხელა.

— როგორ შემაშინე გუშინ... — მითხრა ჩურჩულით.

— გადაუხვიე? — გამეცინა მე.

— ღმერთო, რა აუტანელი ხარ, — ხელზე მომიჭირა ხელი, — აუტანელი! და გაიქცა.

III

ოდიტგანვე ასე მოდის: იღუმალის შიშის ზაფრა და გულისხმევა, ფუჰ მოლანდებებს რომ სდევს ხოლმე თან, უცილობელი განსაცდელის ნათელი-ხილვითაა გამოწვეული, რომელიც, როცა დაჰკრავს უამი და აღესრულება, უჩვეულო სიმშვიდით მოგიფონებს გულს, რადგან იგი უკვე წინასწარაა განცდილი და განმუხტული.

იმ დღეს, სამმართველოს უფროსის მძლოლმა ობიექტზე რომ შემომიბრინა და — მთავარ ინჟინერთან გაშუქებაზეაო — მითხრა, სწორედ ის უცნაური,

ყოვლის გამაწონასწორებელი სიმშვიდე და მეუფლა: აუჩქარებლად შემოვიარე სახლის ყველა სართული, საგულდაგულოდ შევამოწმე შესრულებული სამუშაო, მერე კომლექსური ბრიგადის ხელმძღვანელი, ვალიკო მამალაძე ვიხმე და სარტყელის საკითხი განვიხილეთ. დროა ქარგილის გამართვას შეეუდგეთო — ვალიკომ. დრო-მეთქი, დავძინე მეც და უცებ ისეთი რამ მოვაყოლე საუბარს, რასაც არავითარი კავშირი არ ჰქონდა არც ამ საქმესთან და არც მთავარი ინჟინრის გამოძახებასთან (ყოველი შემთხვევისათვის, მაშინ მე ასე მეჩვენებოდა, არავითარი კავშირი არ უნდა ჰქონოდა-მეთქი). თანაც იმან უფრო გამაყვირე, აგერ, ამ წუთამდე თავშიც რომ არ გამჟაჭანებია ეს აზრი.

— თქვენკენ ბინას ხომ არავინ აქირავებს, ვალიკო?

ვალიკო უცებ ვერ მიხვდა, მერელა იაზრა.

— რატომ, კილაძეებს ვერ შეეწყვეთ?

— არა, იმათთან გასაყოფი რა მაქვს, მაგრამ შორია.

— ცენტრში გინდათ ალბათ.

— სულერთია... ესე იგი, ჰო-მეთქი, ახლო-მახლო.

— ჩემთან რომ წამოხვიდე? სრასასახლე არ მიდგას, მაგრამ მოვთავსდებით.

— თქვენთან?

— ჰო, რას შეუფიქრიანდი, შე კაცო, ქირას კი არ ვახდევინებ.

— სწორედ მაგიტომ ვითრევე ფეხს, სწვავან გაეციხოზოთ.

— კარგი, ვნახოთ... შეიძლება, სულაც ჩაგასიძოთ ვინმეზე — სიცილით თქვა ვალიკომ.

— აბა, შენ იცი!

მთავარი ინჟინერი კაბინეტში დამხვდა. დაბალ მაგიდას უჯდა და ჰდრაკის დაფას დასცქეროდა. იქვე იყო ის პაწია მაიმუნიც, რომელსაც, ეტყობა, მოსწყენოდა ჩაფიქრებული პატ-

რონის ყურება, რადგან, დამინახა თუ არა, სიხარულისგან აჰყლოპინდა და ხტუნვა-ხტუნვით შემომეგება.

— აა, თენგიზ! — თავი ასწია მთავარმა ინჟინერმა, — მოხვედით? გამათავა ამ ამოცანამ, ვერაფრით გასაღები ვერ ვუპოვე... გამოწიეთ სკამი და ჩამოჯექით.

— გმადლობთ, — სკამი გამოვწიე, მაგრამ არ დავმჯდარვარ, ფეხზე დავრჩი და ისე დავხედე დაფას. ერთხანს ამ ამბით ვიქცევდით თავს, რადგან არა მარტო მე ვეკიდებოდი ამ ორსველიან თავსამტვრევს გულისგარეთ, ვატყობდი, არც მთავარი ინჟინერი უნდა ყოფილიყო გონებით მასზე მიჯაჭვული.

— გვეყოფა, — თქვა ბოლოს და წამოდგა, — ასეთი ამოცანები ერთი ხელის მოსმით არ ამოიხსნება. ბობი, ჩააწყვე ქვები!

მაიმუნე მოცუნცულდა და სასაცილოდ შეაჩერდა პატრონს.

— ჩააწყვე-მეთქი ქვები! — გაუმეორა მთავარმა ინჟინერმა და ქაღალკის ფიგურებზე მიუთითა.

მაიმუნმა ახლა კი იაზრა, რასაც მოითხოვდნენ მისგან და უმაღლესად საქმეს. ჭერ თეთრ ფიგურებს ყრიადა ყუთში. თუ რომელიმე შავი გამოერეოდა გვერდზე აგდებდა. მერე ამ საქმეს რომ შორჩა, შავებს მიჰყო ხელი, ოღონდ ამჯერად ცალკ-ცალკე აღარ უწილადობილებია, ერთად გადაუძახა ყუთში, თან საქმიანი კაცის იერით ხელები დაიფრთხა და ფანჯრისაკენ მოუსვა.

— ეს რა მარჯვე ყოფილა! — გამეცინა მე.

— აბა! — გაელიმა მთავარ ინჟინერსაც, — ოღონდ ეტყობა, უცხოეთში რომაა დაბადებული და გაზრდილი, ქართულ ბრძანებებს ისე კარგად ვერ ეწყობა, თარგმნა უხდება გონებაში.

— ბობი თქვენ დაარქვით?

— არა, იქ! ისე სძულდათ ამერიკე-

ლები. მათ სახელებს მაიმუნებს არქმევდნენ. ერთი-ორი პრეზიდენტიც ყავდათ.

— რა ეძრახვით, რაც მაგათ გადაიტანეს...

— აბა! პირდაპირ შუა ცეცხლში ვაგებდით ობიექტებს. ყოველ ნახევარ საათში თავშესაფარში უნდა გავქცეულიყავით.

— დიდი გამბედაობა კია, — გულწრფელად ვუთხარი მე.

მთავარ ინჟინერს გაელიმა.

— „გაქირებებაში ჩავარდნილი ვაქცაო გინახავს...“ როგორ ამბობს კონსტანტინე? — უჯრიდან უცნაური საფერფლე ამოიღო და მაჩვენა, — იქ ჩვენ ერთი თვითმფრინავი ჩამოვადგეთ მშენებლობა... ეს საფერფლე მისი ნამსხვრევიდან არის გაკეთებული და სამსახუროდ მაქვს. ხედავთ, შიგ წარწერაცაა. ეს კი ჩვენ რომ ჩამოვადგეთ, ის თვითმფრინავია. — ცელულოიდის ნაჭერი დამანახა თვითმფრინავის ტვიფრით. იქვე იყო მთავარი ინჟინრის სურათიცა და წარწერაც.

— სიგელივითაა, — სიგარეტს მოუყიდა მან, — მადლობას მიცხადებენ. ხომ არ მოსწევთ?

— არა, გმადლობთ.

— ბობი! — გაუწყრა მერე მაიმუნს, იგი ფანჯრის თავზე ასულიყო და ფარდას ეკონწილებოდა, — ძირს!

— დიდი მოუსვენარი ვინმე ჩანს.

— უპ, ნულა მკითხავ! შინ არავინაა და წამოვიყვანე. ცოლი და ბავშვები ზღვაზე წავიდნენ. ნეტა გამეტნია, ბავშვებს მაინც გული დაწყდათ. ჰო, მართლა, — მკითხა მერე, — მამათქვენი მგონი ჩვენი მხრიდან უნდა იყოს ჩასახლებული იმ სოფელში, არა?

— დიახ, სულ ხუთიოდე მოსახლე ვართ.

— ასეც ვფიქრობდი, ერთი განყოფილება ვიქნებით-მეთქი. ჩვენი გვარი ისედაც ცოტაა საქართველოში... სა-

გიორგი ლაბაძე
თოვლი

ლაპარაკოდ კი ვერ იქნა და ვერ მოვიცალეთ.

— მშენებლობის ამბავი, მოგეხსენებათ.

— ეგეცაა. როგორ გაქვთ საქმე, ჩავაბარებთ შვიდი ნომბრისთვის?

— ვალდებულება ვალდებულებაა, ამ თვის ბოლოს ხურვას ვიწყებთ. თუმცა...

— დიახ, დიახ, ამ დილით თათბირზეც ამბობდით რალაცას.

— თქვენ როგორ ფიქრობთ, ბატონო ლადო?

— მე თქვენი აზრი მაინტერესებს, მაშინ არ დაგიმთავრებიათ.

— ვინ დაგამთავრებია, — ვუთხარი მე, — ის ქვა უნდა დავაბრუნოთ უკან და ჩვენი მოვიტხოვოთ.

— ვითომ ეს ასე აუცილებელია? დაკვირვებით შემომხედა, — გარეგნულად ხომ ძალიან გვანან ერთმანეთს, თითქმის ვერც განასხვავებ.

— გარეგნულ მსგავსებას რა ფასი აქვს, ათი-ოცი წლის მერე დაიწყებს ფხვნას.

— და გაძლებს ას წელიწადს.

— კი, მაგრამ რისთვის ან ვისთვისაა ეს საჭირო?

— სახელმწიფოსა და წარმოებისთვის უპირველესად, — წამოდგა მთავარი ინჟინერი და ოთახში გაიარ-გამოიარა. — აბა დაფიქრდით: სახლი საშვიდნობროდ უნდა ჩაბარდეს. მერე და როგორღა ფიქრობთ ამის გაკეთებას? თუ მაგ ქვას უკან დავაბრუნებთ, წლის ბოლომდეც ვერ მოვებათ საქმეს თავს. თქვენს მოსვლამდე, შარშან, აგური დაეიწუნეთ ეგ რე. როგორ გგონიათ, რა გამოვიდა? ჩვენ თვითონ მოგვიხდა უკან ჩამოხიდვა უკონვეიეროდ თვითმცლელი მანქანებით. ნახევარი თითქმის გზაში დატყდა.

— და არავინაა, ამისათვის რომ პასუხი მოეთხოვოს?

— გასაგებია, — ცივად თქვა მთავარმა ინჟინერმა, — მაგრამ მთლად

მომარაგებასაც ვერ დავაკისრებთ ყველაფერს. თქვენ ჭერ კიდევ არ იცით, ჩემო კარგო, მშენებლობა რა ლაბირინთიცაა, საუკეთესო გზამკვლევესაც აუბნევს დავთრებს. რა გგონიათ, ჭერ მზა პროექტიც არა გაქვთ ხელში და დამკვეთი წელებზე ფეხს იდგამს. მშენებლობა დაიწყოს. ოღონდაც დაიწყოს! შემდეგ როცა საჭირო მასალაზე მიდგება საქმე, აღმოჩნდება, რომ არათუ მასალა არ არის მზად, ის ქარხანაც არ გაუშვიათ ჭერ, რომელმაც ეს მასალა უნდა მოგაწოდოს. გეცინებათ? თქვენს უკან კი ამ დროს მთელი სამმართველო დგას, მთელი ქალაქი და მათი პრესტიჟი. აბა, ვაართვი თავი... ჰოდა, ასეთ წვრილმანებს აღარ ვაქცევთ ყურადღებას.

— თქვენ ფიქრობთ, რომ ეს წვრილმანია, ბატონო ლადო?

— მე ვფიქრობ, — მთავარმა ინჟინერმა ლილას დააკირა თითი და მაგიდის ლამპა ჩართო, — მე ვფიქრობ... კაცმა ისეთი ქული უნდა დაიხურო, არ ყვიროდეს და ცნობისმოყვარეებს სურვილს არ აღუძრავდეს იქ ჩაიჭყიტონ, სადაც მათ არაფერი ესაქმებათ. მაგ ქვის გაბრუნება, როგორც თქვენ ამბობთ, ბევრს არაფერს ნიშნავს, მაგრამ ხმაურს ხომ გამოიწვევს? გაზომვებს, შემოწმებებს... ხმაური კი არც ერთ საქმიან კაცს არ აძლევს ხელს. ახლა ხომ მიმიხვდით? თუმცა, — დაუმატა მან შთამაგონებლად, — მოდით უფრო გულახდილად ვისაუბროთ.

რალაც შეირხა ჩემს სულში, რალაც აწრიალდა. დავაყურე: ნადირის მშობლიური ალღო რეკდა გამაფრთხილებლად საუუენეთა უღრანებიდან და გასაქცევად მაკვლიანებდა, მაგრამ მე არ გავტყუებულვარ.

— თქვენ იცით ალბათ, — წყნარად, ისე, რომ კილო არ გამოუცვლია, თქვა მთავარმა ინჟინერმა — რომ შინა სამუშაოები ჩემი უშუალო განკარგულებით მოგეცეს?

— კი, ბატონო.
 — ალბათ იმასაც ხვდებით, რატომ?
 — ვილაცას ხომ უნდა გაეკეთებია...
 განა სულ ერთი არ იყო?
 — მომწონს თქვენი სიფრთხილე.
 — გაელიმა მთავარ ინჟინერს, — რა-
 ხან მე წამოვიწყე გულახდილობაზე
 საუბარი, მევე უნდა ვთქვა. არ რა, ჩე-
 მო კარგო: თქვენ რომ მოხვედით პირ-
 ველად და ჩვენ სხვის მიერ მიტოვე-
 ბული ობიექტი ჩაგაბარეთ, არც ეს
 იყო შემთხვევითი. მე ერთი თვის თავ-
 ზე ველოდი თქვენს ახსნა-განმარტე-
 ბით ბარათს... მერე თითქმის ყოველ
 დღე, მაგრამ თქვენ ღუმდით და ამან
 საბოლოოდ დამარწმუნა, გაბედულ
 კაცთან რომ მქონდა საქმე, დამარწმუნა
 და გამახარა, რადგან ლაჩრებს მხეციც
 კი ვაუბრის, შემთხვევითი შიშისგან გა-
 ვარდნილი თოფის მსხვერპლი რომ არ
 გახდეს...

— მადლობელი ვარ... მაგრამ მამა-
 ცებს, ალბათ, თავიანთი მამაცობის
 მორალური საფუძველიც ექნებათ,
 თორემ თოფის გასროლაც არ უნდა
 იყოს ძნელი...

— მორალური საფუძველი? — მთა-
 ვარი ინჟინერი კვლავ ფეხზე იდგა მა-
 გიდის გადაღმა და ხელები სკამის
 ზურგისათვის ჩაეკლო. ჩვენს შორის
 ელექტროლაშა ციალებდა. მხოლოდ
 ის ერთო ოთახში, — მშენებლობის
 საქმეში ეგ ცოტა სხვანაირად გამოი-
 ყურება, ჩემო კარგო, და გულუბრ-
 ყვილოდ შედგენილ ზოგიერთ კანონს
 (გნებათ მორალური აიღეთ) არ ემორ-
 ჩილება. მარტოდენ კეთილშობილება
 და მამაცობა თუ კიდევ შეიძლებოდა
 ჩვენი საუკუნის დასაწყისში ადამიან-
 ნის მთავარ ღირსებად ჩაგვეთვალა.
 დღეს ყბადაღებული ღონკიხობაა.
 საქმეში ჩაუხედავ კაცს ეს შეიძლე-
 ბა სხვანაირად მოეჩვენოს, მაგრამ
 თქვენ უკვე აღარ გეპატიებათ. მე ცხა-
 ღია, რაიმეს გაიგივებას არ ვაპირებ, ეს

ინელი საქმეა, მაგრამ თუ მოინდომებ,
 შეუძლებელი როდია.

— გაიგივება?
 — თქვენ სხვა რამე გინდოდათ და-
 გერქმიათ?

— არ ვიცი, არ მიფიქრია, — სკა-
 მის ზურგს მივეყრდენი მე, რაც უნ-
 და იყოს, საყრდენი იყო.

— იცით რა, თენგიზ, — ჩემ წინ
 საეარძელში ჩაეშვა მთავარი ინჟინე-
 რი, — მოდით, სულში ხელის ფათურს
 მოვეშვათ... ეტყობა, დავბერდი, რახან
 ასე მაჯავრებს, კაცს რომ კეთილ რჩე-
 ვას ვაძლევ და არ მიჯერებს, — გაი-
 ღიმა მან, — სულში ხელის ფათური
 და ჩხრეკა აძაბუნებს ადამიანს, უუნა-
 როს ხდის. რა საჭიროა? რაც არ უნ-
 და თქვათ, ჩემი სამასი მანეთი ბე-
 რად ჯობია თქვენს თოთხმეტ თუმანს
 და ეს კარგად ესმოდათ ჩვენს დიდ
 წინაპრებსაც: ისინი ერისთვის, სი-
 მართლისა და პატიოსნებისათვის თავ-
 გადადებული ხალხი იყვნენ, მაგრამ
 ფული წყალში არ გადაუყრიათ, არც
 ქონება დაუნაწილებიათ სხვათათვის.

— კაი გაკეთილია, — ვთქვი მე და
 მივხვდი, რა საქმეშიც ვაგები. ამ თა-
 მაში ეტყობა, კარტი წინდაწინ იყო
 დარიგებული, ოღონდ მთავარი ინჟი-
 ნერი მართლა იმაზე თამაშობდა, რა-
 საც ბედ ჩამოდიოდა, თუ სხვა რამეც
 ელო გუნებაში?

— სიცრუე და ორპირობა ძალიან
 მომქანცველია, მით უმეტეს, ჩემს ასაკ-
 ში, — თითქოს ჩემს აზრებს კითხუ-
 ლობსო, თქვა მთავარმა ინჟინერმა, —
 რა გამოვა, თუ ყველაფრის ვაჩხრეკა-
 სა და განქიქებას მივყოფთ ხელს?
 აღარაფერი წმინდა აღარ შეგვარჩება.
 ხომ ხვდებით რასაც გეუბნებით...
 ადამიანები ხშირად დროზე ვერ ვა-
 ქვრთ ხოლმე ენას კბილს.

— ალბათ მაგის სწავლაც შეიძლე-
 ბა, — წყენა არ შემომჩნევია, მაგრამ

გიორგი ლაბაძე
 თოვლი

მაინც მიმიხვდა და მზრუნველად და-
მადლო მხარზე ხელი.

— თქვენ ვერ გამიგეთ, მე დუმოლ-
ზე ვამბობ. ყოველ ადამიანს ცხოვრე-
ბის თავთავიანთი საიდუმლო აქვთ.
ჩემი საიდუმლო დუმოლშია. რასაც
ხმამალლა არ იტყვი, მას ადვილადაც
დაივიწყებ, ასე არ არის? ამ დი-
ლით თუთიმ რაო?

— რა ბ რ ძ ა ნ ე თ ?

— თუ დაგპატივით-მეთქი, — ჩემს
ხელმეორედ გაფხუციანებაზე გულსავ-
სულ გაცინა მთავარ ინჟინერს. — მა-
მამის ორმოცდაათი წელი შეუსრულ-
და და ამ შაბათს აქვთ წვეულება.

— ამას რაღა მნიშვნელობა აქვს?

— არაფერი ისეთი. ჩემი კარგი მე-
გობარია თუთის მამა. შევხვდებით,
ვისაუბრებთ, სხვა ხალხსაც გაგაც-
ნობთ. მანამ თითქმის ერთი კვირაა...

ფანჯარასთან მივედი და ბინდდა-
რულ ცას გავხვადე.

— თქვენ ხომ შეგეძლოთ ეგ შინა
სამუშაოები სხვისთვის მიგეცათ? —
არ შემოვბრუნებულვარ, ისე ვკითხე,
— ასე ვთქვათ... უფრო გამოცდილის-
თვის?

— რა თქმა უნდა, შემეძლო.

— მერე რატომ არ მიეცით?

— არ მიყვარს კითხვის ნიშნები.

— აჰა! — ფანჯრის რაფაა მივეყრ-
დენი. ვერ გავიგე, ასე რამ მომქანცა,
გულახდილობამ თუ სიყალბემ?

მთავარი ინჟინერი მომიახლოვდა.
ისევ ვიგრძენი მზრუნველი ხელის შე-
ხება მხარზე.

— არც სახელმწიფო გეგმას ელა-
ლატება, ჩემო თენგიზ. უღელში კი
მამლარი ხარი თუ არ შეაბი, ღონიერად
ვერ გასწევს.

უკვე საკმაოდ გვიანი იყო, სამმარ-
თველოდან რომ გამოვედით და დარაჯს
გამოვეთხოვეთ, რომელსაც არაბა
ჰქონდა სადარაჯო. მაიმუნი წინ მიხ-
ტოდა. გზის გასაყართან მოიხედა და,
როგორც მე მომეჩვენა სიბნელეში.

გავგილიმა კიდევ. მერე ისევ წინ გა-
ვარდა.

ჩვენ უკან მივყევით.

IV

ტექნიკური უსაფრთხოების უფრო-
სი კასიანე ჭელიძე, ცქრანტი, ფურ-
ფუტა ბერიკაცი, თეთრ ტილოს შარ-
ვალ-ხალათში რომ გამოწყობილიყო და
თავზეც კილის თეთრი ქუდი ეხურა,
ობიექტის შესამოწმებლად მიეშურე-
ბოდა. მიდიოდა უღვაშების ცმაცუ-
ნით, მუდამ მდიმარი, მუდამ კაი გუ-
ნებაზე მყოფი, რომელსაც ვალმოხ-
დილი კაცის სულიერი სისასვე და იმის
კერკეტი რწმენა, ვალი მოვიხადეო, გა-
რეშე თვალთაგან შეუცნობელ შუქს
ჰფენდა და თავადაც ამ შუქში გახვეუ-
ლი, საღდაც იქ, სულისძირში რომ
სცემდა, ამაყად მიიწევდა წინ იმ მა-
რადიულისაკენ, იმ ერთადერთისკენ. ეს
იყო დიდებული გზა და ამ გზაზე
არაბა იყო ცხოვრების წვრილმანი ინ-
ტერესები და გარჯა, რასაც იგი ან ვერ
ამჩნევდა, ან თუ შეამჩნევდა, გულთან
ვერ მიჰქონდა, იმდენად სუფთა და
სინათლით სავსე ჰქონდა გული. იქ
მხოლოდ ორი რამ დავანებულიყო სა-
მუდამოდ: ერთი ნივთიერი — წითე-
ლი მანდატი, მეორე არანნივთიერი,
მაგრამ ისევე ნაღდი და ხელშესახები.
როგორც ის პირველი გახლდათ, რად-
გან მასაც იქ ინახავდა. ეს იყო სიტყ-
ვა „ამხანაგო!“ ამ სიტყვას, რო-
გორც ხაკის ბლუზა-შარვალს და თე-
ძოს თავზე ჩამოკიდებულ მაუზერს,
ერთ დროს ყოველ დღე ხმარობდა.
იგი მახვილივით ბასრი იყო, ორლე-
სულივით მჭრელი და თავადაც წაბ-
ლისფერ ქურანაზე გადაშვადარი, იმ ენ-
თადერთისა და მარადიულისკენ ასწ-
რავებული უშიშრად დაჰქროდა რევი-
ლუციისა და სამოქალაქო ომების გა-
დასარბენზე. მერე ხაკის ბლუზა-შარ-
ვალი უფრო ინტელიგენტურმა სამოს-
მა შეცვალა, მაუზერი მუზეუმს ჩა-
ბარდა; თავადაც ერთი წუთით შედგა

ამ ძველი იარაღის, ძველი მუნდირებისა და ფარაჯების გვერდით... მოხმაურე, აბობოქრებულ, აწ უკვე რკინის ცეცხლისმფრქვეველ ჭურანაზე ამხედრებულ ცხოვრებას ვამოხედო... ისე, უბრალოდ კი არა, — შემფასებელი, ამაყი მზერით:

— ოო, ამხანაგო! — თქვა და მანდატთან ერთად გულისჯიბეში შეინახა ის ჯადოსნური სიტყვაც — ვალმოხდილი, საფარები, მოსაფრთხილებელი. რათა კვლავ და კვლავ ეშიშვლა საჭიროებისამებრ.

საჭიროება კი აღარ იყო, რადგან ცხოვრება შეუფერხებლად მიიწევედა წინ და არანაშულ სიმაღლეებს იპყრობდა. ქალაქი, რომელსაც ამ ოციოდე წლის წინ დიდ სოფელს თუ დაუძახებდნენ, დღითი დღე იზრდებოდა და მშვენიერდებოდა. და ბერეკაცი ახლა მხოლოდ სიხარულით თუ იტყოდა — „ამხანაგო“. იმ სიტყვას, გულის ჯიბეში რომ თვლიდა, ძველი სურნელება დაჰკრავდა. იმასაც, იმ მეორესაც, წითელ სიამაყეს, სამოქალაქო ომებისა და კოლექტივიზაციის პერიოდში რვალის ფარად რომ იდო იქ, ტყვია რომ არ ეკარებოდა და მახვილი ვერ ჰკვეთდა. ამ სამთა შუა, უხილავი, მაგრამ საიმედო ჯაჭვით რომ იყვნენ ერთმანეთთან დაკავშირებულნი, მთელი სამყარო მოქცეულიყო, სადაც დულდა და გადმოდრიოდა ახალი რომანტიკითა და იდეებით გასხივმფინარებული ცხოვრება, რაზეც ოცნებობდა, რისკენაც მიილტვოდა მთელი თავისი ჰაბიტუარი გზნებით: „მე ვიცი, მოვა დრო და ადამიანები ერთმანეთის ცქერით დატკბებიან, ყოველი ადამიანი სანატრელ ვარსკვლავად იქცევა მეორესთვის: დედამიწაზე ივლიან გულმართალი და თავისუფალი, თავისუფლებისაგან დიადად ქმნილი ადამიანები და თვითულის გული განიწმინდება შურისაგან. მაშინ ცხოვრება სიმართლითა და თავისუფლებით კიდევ უფრო წარმატცი და ლამაზი გახ-

დება და უკეთესებად ჩაითვლებიან ისინი, რომლებიც მთელ ქვეყანას დაიტევენ თავის გულში“.

და აჰა, აქ არის განუყოფელი და ერთიანი ამ მშობლიური პატარა ქალაქიდან დაწყებული ქვეყნის კიდითიკიდე.

დიახ, ამხანაგო!

ხილზე რომ გადავიდა, მთელი ქალაქი ხელისგულოვით გადაეშალა თვალწინ, რომლის უბეში ზვიადად წამომართულიყო სახლი, ერთადერთი გიგანტი, ის „ქყინტი“ ბიჭი რომ აშენებდა; მოსწონდა კია იგი ბერეკაცს. არა. თავის ახალგაზრდობას როდი აგონებდა, ახალგაზრდობაში თვითონ ცეცხლი იყო, მაგრამ ამ ბიჭში, ამ კოხტა, ყოველთვის უზადოდ და ლამაზად ჩაცმულ ბიჭში უფრო მეტი იყო მისეთელი, ვინემ საკუთარ სისხლსა და ხორცში, ახლა იქ, თბილისში, კაბინეტიდან კაბინეტში რომ დაჩოჩავდა; თავად ბერეკაცი კი, კარგა ხანია სამოცს რომ გადასცილებოდა და ჭერიც იყო და რიგიც დასვენებისა, მშენებლობას ვერაფრით ვერ შეულოდა.

მერე ბერეკაცი სიამაყითა და ალტაცებით მიაბიჯებდა სახლის კიბეებზე ალერსით უტატუნებდა ხელს შიშველ კედლებს, „ამხანაგო“ ეძახდა და მხოლოდ ბოლო სართულზე შეიკრა შუბლი: კალატოზებს, მოთავებულ კედლებზე არშია რომ გამოჰყავდათ, ხარაჩოს ნაცვლად სახელდახლო ცალფიცრები გაეწყით ჰაიპარად.

— ჩამოდით, ბიძებო, თქვენ ძირს, — უთხრა მან მუშებს ალერსიანად, — ასე... გამარჯობა თქვენი!

— გაგიმარჯოს! — უბასუხეს ღიმილით.

— აბა რას გავს ეს? — იმ ცალფიცრებზე მიუთითა, — ასე მუშაობა გავონილა? სადაა თქვენი ინჟინერი?

— კანტორაში არ შეგიხედავთ?

ბიორგი ლაბაძე
თოვლი

— არა. იჯდეს, აბა, კანტორაში და კიდევ ვბეთქავ ჯარიმას... მამალაძე სადღაა, თქვენი ატამანი?

— მამალაძე, კასიანე ბიძია, დედლებს დასდევს ეზოში, — უპასუხა ლიფსიტა ბიჭმა.

— უყურე შენ ამ მაკვარანცხს! — გაეცინა ბერიკაცს, — ვატყობ, მაგას უფრო მოუხდება ჯარიმა.

— ჯარიმა რა საჭიროა, კასიანე ბატონო, — თავი მოიფხანა ხნიერმა მუშამ, — თქვენი საქმე ლანძღვაა, ჩვენი მოსმენა...

— შენ მე, ამხანაგო, ყურებს ნუ მიხედნი. — გააწყვეტინა ბერიკაცმა, — ამას წინათ მებათქაშე რომ გადმოვარდა მეორე სართულიდან და დაიმტვრა?

— რომელი მებათქაშე? ეგ ჩვენთან არ ყოფილა.

— ვიცი სადაც იყო. ეგლა გვაკლია, ყველა ობიექტზე გვჭონდეს შემთხვევა. გააწყვეთ ეგ ფიცრები წესიერად და მერე დაიწყეთ მუშაობა. აბა, ცოცხლად, წელი ნუ გწყდებათ!

— უკვე სამუშაო მთავრდება, ბატონო კასიანე.

— წელი ნუ გწყდებათ-მეთქი, თორემ ვბეთქავ თქვენს ინჟინერს ჯარიმას და იმას გამომჩვენებთ.

— გაუძლებს, ფული ბლომად აქვს, — მუშებმა ზღაზვნით დაიწყეს ხარაჩოს შეკვრა, რასაც აზრი აღარ ჰქონდა და კაცმა რომ თქვას, არც მოუკლავთ თავი. დაუყვა თუ არა ქვემოთ ბერიკაცი, ისევ იმ ჰაიპარად გაწყობილ ფიცრებზე შეხტნენ და მუშაობა განაგრძეს.

ამასობაში ბერიკაცი დაბლა ჩამოვიდა, იმ „ჰკინტ ბიჭს“ (ამას ალერსიანად და სიყვარულით ამბობდა თავის გულში) მიუხტა და ტყავი გააძრო. ბიჭი შუბლგახსნილი უსმენდა და ბერიკაცმა ჯარიმის გამოწერა გადაიფიქრა. დატუქსვით კი გვარიანად დატუქსა. მერე დასხდნენ და მშენებლობის საშურო საქმეზე გააბეს საუბარი.

ამ საუბარში ბიჭს თვალი ბერიკაცის ზურგს უკან გაექცა, მაგრამ ამ უკანასკნელს მისთვის ყურადღება არ მიუქცევია, სანამ ინჟინერმა მტკიცედ და მაკარად არ მოჭრა:

— არა!

ბერიკაცი შებრუნდა. ღია კარებში თვითმცელის მძლოლი იდგა და რალაცას ხელით ანიშნებდა ინჟინერს. ეს რომ შებრუნდა, ხელების ქნევას თავი დაანება და ხმამაღლა თქვა:

— სულ ცოტაა, თენგიზ, წავიღებ.

— არა-მეთქი.

— მანქანაში დავიტოვე, ძალიან მჭირდება, — არ ეშვებოდა მძლოლი.

— არ შეიძლება, შენ ქართული არ გესმის? — ბიჭი მშვიდად იყურებოდა, — ქარგილები ყველა მზადაა, იქნებ არც გვეყოს, რას მელაპარაკები, წაიყვანე და დაცალე მანქანა!

— არ შეიძლება, არ შეიძლება!.. — აჯუჯუნდა მძლოლი, — სხვისთვის თუ შეიძლება, ჩემთვის გაწყდა მიწა? უფროსობას ტონობით, შეკითხვაც არ უნდა, მუშას კი გრამებზე მისდევენ. ესეც სამართალია, მე ამისი...

— რა ხდება აქ? — ბერიკაცი ხან ერთს მისჩერებოდა და ხან მეორეს, — რატომ იგინები, ბიძიკო, შენ?

— შეგინება კი არა, ბენზინი უნდა გადაასხა აქაურობას.

— რა უნდა ამ კაცს, — უნებურად გაეცინა ბერიკაცს.

— ცემენტი, — თქვა ბიჭმა, — ერთი მანქანა ძლივს გამოვგლიჯე გაფრინდაშვილს ხელიდან, იქნებ სარტყელს მოვრჩე-მეთქი და ეს ბოგირისთვის მთხოვს.

— რაო? — განცვიფრდა ბერიკაცი, — სახელმწიფო ქონება შენ ნინიას ბალი ხომ არ გგონია, ყმაწვილო? ციხე მოგენტრა?

მძლოლს ერთხანს კიდევ ჰქონდა იმედი, რალაცას გავაწყობო, მაგრამ მოხუცის აპილპილებულ სახეს რომ შეავლო თვალი, მიხვდა, ყველაფერი დალუპული იყო და ამან გააცოფა.

— ციხე? — შეუღრინა ბერიკაცს, თან გაზინთული ქუდი, რომელიც ეტყობოდა. ერთდროულად ასრულებდა როგორც ქუდის, ისე ხელსახოც-ციხვრისახოცის დანიშნულებას, ბრაზიანად მომუშა, — ყველანი ღლებზე ხართ გადასული და მე მომენტარა ციხე? იმდენი ბაბუაჩემს ცხონება, რამდენი ცემენტი, აგური და ჩის მასალა აქედან გასულა. მე რა, ბრმა ხომ არ გგონივართ? თუმცა ჩვენ ბოდისში... როცა საქმე თანამდებობის პირებს გეხებათ, ცოტა სიტყვებს უნდა დაუყვირდეთ ხოლმე, არა?...

— ა მ ხ ა ნ ა გ ო !

აჰა, გულისკარი გაუხსნა, ამოუშვა, ამოაფრინა ის მაგიური სიტყვა. არა, ჩვეულებრივი ალერსით ან გულისწყრომით როდი უთქვამს, იმ გარდასული რიხით შეუყვილა, კვლავ აღარასოდეს დამჭირდებო, რომ ფიქრობდა, მაგრამ — სად... სად წავიდა, სად გაქრა ის შემართება? ნუთუ დაბერდა, დაჩაჩანკდა? მაგრამ სიტყვა? სიტყვის დაბერება ვის გაუგონია?

ბერიკაცი გაოგნებული იჯდა და თავის სანუკვარ სამყაროში შემოჭრილ უცხო ხმებს აუურადებდა. კაცმა რომ თქვას, არაფერი ისეთი არ მომხდარა, ამდაგვარი საუბარი მას ადრეც შეეძლო მოესმინა და ალბათ ბევრჯერაც მოუსმენია, ოღონდ საოცნებო ქვეყანაში განრიგებულს არ შეეძლო ყურადღება მიექცია მათთვის. ან კიდევ რომ მიექცია, ალბათ ვერც ჩაწვდებოდა, ვერც გაიგებდა...

არა, ეს გულუბრყვილობა და თავის მოტყუება არ იყო. ეს იყო რწმენა! დიდი ნათელი გულის პატრონი უზაკველად დააბიჯებდა ალოღლეტიანობასა და ხელმრუდობაზე მდლა. ახლა თუ გაირღვა სინათლითა და სისპეტაკით შემოზღუდული ღობე, ეს არ იყო შემთხვევითი. ზუსტად ეს დრო, ეს რიცხვი, ეს დღე და საათი, წუთები, წამები, მზისა და ვარსკვლავების ეს მდგომარეობა და სხვანი და სხვანი

გახლდათ ალბათ საჭირო, ეს რომ მომხდარიყო. ასე შეიძლება თვალდახუჭულმაც იარო, ვიდრე არ დაპკრავს ეამი და შეწუხდა ბერიკაცი ამის ჩამკვირებელი. მაგრამ ამ დროს, მორიანლე უცხო ხმათა შორის, გაისმა ნაცნობი, მშობლიური, მტკიცე, ვითარცა „ამხანაგო,“ ახალგაზრდული ხმა იმ „ქყინტი ბიქისა“ (ბერიკაცმა ახლა უფრო სიყვარულით თქვა გულში ეს სიტყვები):

— გეყოფა! შენ რომ გისმინოს ადამიანმა, მთელ ქვეყანაზე შენზე პატიოსანი კაცი არ უნდა დადიოდეს. წადი ახლავე და მანქანა გაათავისუფლე!

მძლოლმა დამცინავად გაიღრიჯა და გავიდა.

— იხუმრა, — უთხრა მერე ბერიკაცს, — გლახა ენა აქვს.

— იხუმრა? — წამოდგა ბერიკაცი და სასოებით შეხედა ბიქსს, — მაშ, იხუმრა ვითომ?

— გლახა ენა აქვს, — მზრუნველად უთხრა ბიქმა და კარამდე მიაცილა, — ნუ მიაქცევთ ყურადღებას.

„არა, არა... — ფიქრობდა შეწუხებული ბერიკაცი, — ჩემთვის ეს არ შეიძლება... ეს ჩემს ძალას აღემატება. ეს ნიშნავს ერთი ცხოვრებით კი არა... ერთბაშად რამდენიმეთი... მე კი ჩემი მოგათავე“

ნელა მიუყვებოდა ქუჩას. ხიდი განვლო და მოედანზე გავიდა. ქალაქი ჩამავალი მზის შუქით იყო განათებული და ბერიკაცს ცოტათი მოეშვა გულზე. მერე გასტრონომში შეუხვია, ლამაზად ჩაწიქვილებული თაროები დაათვალიერა. ცოლმა — შაქარი და პური წამოიძღვანა, დაუბარა ამ დილით. შაქარი აქ იყიდა, პური კი გვერდზე მალაზიაში იყო და, ეტყობა, ახლახანს მოეტანათ, რადგან ხალხს ბლომად შეეყარა თავი. ბერიკაცი რიგში ჩადგა. ყოველთვის სიამოვნებას გვრიდა რიგში დგომა. ყველაფერი ნათელი და

აიორგი ლაბაძე
თოვლი

მარტივია აქ. იცი, ვის შემდეგ დგახარ, მერამდენე ხარ, ერთი სიტყვით, გარკვეული ადგილი ვიჭირავს სივრცესა და დროში, თუ აკრძალულ სივს არ შეაზებ ხელს და იმის გაგებასაც არ მოიწადინებ, საერთოდ ვინ ხარ..

მოლარე-გამყიდველს გვერდში სამი-ოთხი წლის კიკინებიანი გოგონა ეჯდა და გაფაციცებული აღევნებდა თვალყურს დედის მუშაობას. სანამ ქალი ტალონს ამოუწერდა და ხურდას მისცემდა, ბერიკაცი გოგონასკენ დაიხარა.

— შენ ვისი ხარ? — ჰკითხა გოგონამ.

— მე? — დაიბნა ბერიკაცი, მერე უცებ გადაიხარხარა, — ერთი ამას უყურე!

გოგონამაც გაიცინა და ლოყაზე პაწია ფოსოები დააჩნდა.

— ეს რა გოგო გყოლია, ბაბულო, ა? — ტალონი გამოართვა ბერიკაცმა და მეპურეს გადააწოდა, შენ ვისი ხარო, კაცო, რა მითხრა, გაიგონეთ?

რიგში მდგომი ხალხი იღიმებოდა, ბერიკაცმა პური აიღო და ჩუმი ხითხითით გამოვიდა მაღაზიიდან.

უცებ რალაცამ სლიპად გადაუარა გულზე.

„მოიცა მოიცა... რაო წელან მშენებლობაზე? პო...“ — და გზა განაგრძო.

ბალის კიდეზე მისი კბილა ბერიკაცები ჩამომსხდარიყვნენ. ისინი ყოველ დილით მოდიოდნენ აქ და საღამომდე ხან დომინოს თამაშით იქცევდნენ თავს, ხან ჯიბის ჰადრაკს უკირკიტებდნენ, ხან კიდევ გულითად საინტერესო საუბარში ჩაეღეოდათ დღე. ბერიკაცი მათთან მივიდა.

— გამარჯობათ, უსაქმურებო! — მიესალმა ღიმილით, — ჩაიწიეთ და დამაჯინეთ მშრომელი კაცი.

— ო, კასიანე, ნეტა რა ძალა ვაღგია — უთხრა ნიკომ, ძველმა ზეინკალმა, — მიაფურთხე ეშპაკს და მოდი ჩვენთან.

— თქვენთან რა, ენა ქალამნად კა

არ მინდა. ნეტა რა გაძლებინებთ მთელი დღე ამ ბაღში.

— შენ მოდი და მერე გაიგებ, — ეშპაკურად ჩაუქრა თვალი ნოშრევანმა, აღმასკომის ყოფილმა მდივანმა.

— რაო, რა ხდება ქალაქში? ჩამოყაჭეთ ბარემ. ვიცი ერთი სული გაქვთ, როდის მოხსნით გუდას თავს.

— კაი დაგემართოს — თქვა ნიკომ. მერე მთელი ნახევარი საათი თავი თავს ჰქონდათ მიღებული და პატარა, უასაკო ბიჭებივით კისკისებდნენ და ხითხითებდნენ.

უცებ არა, ნელა, შემპარავად წამოვიდა ზედ გულის კოვზთან გაჩენილი უსიამო ყლარტი: „იმან... რაო, რაფერ თქვა“ და შეშფოთებით დახედა საათს. ექვსის ნახევარი იყო.

ბერიკაცი აწრიალდა, ოღონდ ამჯერად მთელი მისი არსება სიხარულის ნაცნობ მოლოდინს აეფორიაქებინა. ექვსი სრულდებოდა... ექვსი საათის შემდეგ კი კვლავ იქ იქნებოდა, იქ... იმასთან, ასე მგრძნობიარედ რომ ჩამოჰკრავდა ყველა სივს და მის დაშაშრულ ურწყულ სულს მაცოცხლებელ წყაროდ გადაევლებოდა. ყოველ საღამოს მის წინ მჯდომარე, ნატურისა და ახდენილი ოცნების ციალში შეიცნობდა სისხლის ჰაბუჟურ ჩქროლას და უმაღლესი მხედრის ქურანაზე ამხედრებული მხედარიც გამოუქროლდებოდა, წელთა მიღმიდან დაშურებული...

მერე მოდიოდნენ ესენი — ახალუხლები, ქვეყნის სიყმე და სიკაბუკე, იმედი და მომავალი. მოდიოდნენ გამწევი, თვინიერი ხარებივით და თან მოჰქონდათ ფაბრიკები და ქარხნები, კოლმეურნეობები და გიგანტი მეურნეობები, თეატრი და კინო, კოსმოსი და მიწისქვეშეთი, სიმღერა და ცეკვა.

და ბერიკაცს იმ მხედრის ყოფინაც ესმოდა მათ ზმაში, ოცდაათიანი წლებიდან აქეთ რომ გამოაჭენა ცხენი და იმ ცხენის ჰიზვინიც გაისმოდა ამათ გრდემლსა თუ სიმღერებში.

მერე, როცა დიქტორი იტყოდა „ხვალ“, დივანზე მისვენებული და თვალმილულული ბერიკაცი მთელი არსებით გრძნობდა ამ სიტყვას, გრძნობდა როგორ ფეთქავდა მის ძარღვეებში დრო და რომ „ხვალ“ ისევ წინ იყო.

— რა გეჩქარება, კასიანე, — უთხრა ნიკომ — გველაპარაკა კიდევ.

— ცოლს პური უნდა მივუტანო.

— პური ხომ? — გაეცინა ნოშრევანს, — კი ეშმაკი ხარ, კაი!

— ცუდლუტობ ბერიკაცი? — მხარი აუბა ნოშრევანს ნიკომაც.

— აბა, რა ექნა, — არ გააწბილა „ბიჭები“ ბერიკაცმა, — დიდები დაფრთიანდნენ და გაფრინდნენ... მარტო გამოყრუებულ კედლებს შევაჩერდეთ მე და ჩემი დედაკაცი? ნურას უკაცრავად!

— ო, რა ხარ რა ხარ, კასიანე, სულ ასე კერკეტა იყავი, — უთხრა ნიკომ, — გახსოვს ოცდასამი წელი?

— ოცდასამი მახსოვს და ორმოცდასამიც... — თქვა ბერიკაცმა, — აბა, წავედი, კარგად იყავით ბიჭებო!

— კარგად, კარგად! — ღიმილით გააყოლა თვალი ნოშრევანმა, — ნახე, არ გაჩერდა.

— ექვსი სრულდება, — გაეცინა ნიკოს.

— ტელევიზორზე ამბობ ხომ?

— აბა!

— სულ არ ეტყობა წლები, — ამოიხზრა მან, — ეკ, მე ამ დასიებულ ფეხებს ვერაფერი მოვუხერხე...

ბერიკაცი კი ამასობაში შინ შესულიყო (იქვე ცხოვრობდა ბაღის გვერდზე) და სამზარეულოში ცოლს ემუსაიფებოდა:

— ვაზშამად რა გვაქვს ამხანაგო ეენია? საცივი? კარგია, კარგი. ზედ ნელ-თბილ ჩაის დავაყოლებთ და მერე...

ცოლმა იცოდა, რაც იყო ეს მერე. ჩუშად ამოიხზრა: რაც ტელევიზორი ვიყიდეთ, სულ გამოიწერჩეტა ეს ბერიკაციო, ფიქრობდა. ხანდახან ქმარ-

საც გაუზიარებდა თავის აზრს — გამოვასულელებს, კაცი, ყოველ ღამე ამ ტელევიზორის მიშტერებაო. ეს იყო უბრალო, გამარჯე და უთქმელი ქალი. რაც ერთხელ ქალაქის ქუჩაში ეს კაცი შემოეყარა, მას მერე ერთად წივენ ცხოვრების ჰაპანს. იმან მაშინ რაღაც ჰკითხა. ეს ცამეტი წლის ძვერით გოგო იყო და ასწავლა — აქეთ წადი ბიძიაო. მხედარმა ცხენს მოულარჯა კისერი: „იცი რა, გოგონი... ბიძიას ნუ დამიძახებ, კარგი?“

გოგო გაწითლდა და გაიქცა. მერე მთელ ღამეს თივის ბაღიშში თავჩარგულს სულ ის ესიზმრებოდა, როგორ მოსდევდა ეს კაცი წაბლისფერ ქურანანაზე ამხედრებული და გოგო ოფლში იწურებოდა. ადრე ამაზე სალაპარაკოდ სად ეცალათ, ახლა კი ბერიკაცი ხშირად იხსენებდა ამ ამბავს და ექილიკებოდა:

— ბიძიაო ხომ? მოგტეხე თუ არა? ხომ მოგტეხე?

მართლაც, მიუხედავად თორმეტი წლის სხვაობისა, ბერიკაცი უფრო ყოჩაღად გამოიყურებოდა.

ქალმა მზრუნველად გააწყო მაგიდა და ბერიკაცმაც თავისი ბალიშიანი სკამი მოიჩოჩა.

— ბიჭს ხომ არ დაურეკია? — ჰკითხა ცოლს.

— არა, ნანულის წერილი მოვიდა ამ დილით.

— რაო?

— დასასვენებლად წასულან. გაგრიდანაა გამოგზავნილი.

— დაისვენონ, — ალერსიანად თქვა ბერიკაცმა. — აბა რისთვის ვიბრძოდით მე და შენ, ამხანაგო ეენია.

— გაწყვი შენ! — უთხრა ცოლმა.

ამგზობასაც გულისკოვზიდან დაიძრა ის უსიამოვნო ყლარტი:

„რაო, რაო... რა მითხრეს დღეს?“

უმაღოდ განაგრძო ჰაპა, ცოტა წაციქნა და ადგა, ჩაიც არ დაუღევია.

გიორგი ლაბაძე

თბილისი

— დაგელია, კაცო.

— არ მინდა რაღაც.

კარი გამოაღო და თავის ოთახში გავიდა. ტელევიზორს მზრუნველად გადაუსვა ხელი... ჩართო.

სავარძელში ჩაეშვა. გულისკოვზიდან დაძრული ყლარტი სიხარულს უწამლავდა, მაგრამ ცისფერი ეკრანი რომ აციმციმდა, უმალ მოეშვა გულზე.

აქ... აქ იყვნენ ისინი — მისი ხარისქედა მემკვიდრენი, მისი ახდენილი ოცნება. აგერ დაიძრა... ეს რამხელა ქარხანაა კაცო! არა, ასეთ რამეს მაშინ ოცნებითაც კი ვერ წარმოიდგენდა. ჰეი, რა წესრიგია, რა სისუფთავე!.. ჰმ... ამ მამაძაღლებს უყურე, როგორ მარჯვედ ხტებიან. აუჰ, რამსიმალეზე გადაეგლო! ყოჩად, ყოჩად!.. ეს ნეტა რა ცეკვაა? ჩვენებურს არ გავს. აჰა, მოლდაველები ყოფილან. (იმან... რაო? ჰო...) ეს კი ნამდვილად ჩვენებურია ჩვენი გამოშვებაა. ბერიკაცი აღტაცებული მისჩერებოდა ეკრანს და ისიც კი არ შეუმჩნევია, ცოლი როდის წავიდა მეზობლებში სალაპარაკოდ. მგონი რაღაც კი დაიბარა. „მოიცა, მოიცა, იმან რაო?“ და ნეტარების ამ უმალლეს ციალში უფრო და უფრო ხშირად

ახსენებდა თავს ის უსიამო ყლარტი, მკერდქვეშ რომ გალივგებულოყო და მოსვენებას უკარგავდა. რაღაც ყრულ შემოკვენსოდა ბერიკაცს... თვალი მილულა და ტანტზე გადაწვა. ეკრანზე ახლა კოსმონავტებს უჩვენებდნენ და სიხარულით ფრთაშესხმულმა, როცა კვლავ იმ უსიამო მოგონებამ გაკენწლა, მკერდქვეშ უჩვეულო ბიძგი იგრძნო. თითქოს ცას ის კოსმონავტი მოსწყდა ვარსკვლავით და დაბლა დაექანა, ოღონდ მერე და მერე შენელდა, კიდევ უფრო შენელდა, თითქოს ფრთები გამოესხაო, ნელა, ძალიან ნელა გაიწვართა სივრცეში და გაფრინდა. ახლა იგი ლაყვარდში მილივილებდა.

ცნობიერების ბოლომდე ჩამწვარა სანთელი კიდევ ერთხელ, უკანასკნელად აბრიალდა და ბერიკაცმა თვალი შეასწრო, თუ როგორ დაეშვა ციდან თეთრი საკვირველება — ქათქათა, ნელიად მოდენილი, ცისა და ხმელის შემაერთებელი ფანტელები...

მოგვიანებით, როცა დიქტორმა თქვა „ხვალ“, ბერიკაცს იგი აღარ გაუგონია, რადგან მისთვის უკვე აღარც „ხვალ“ არსებობდა, აღარც „დღეს“ და აღარც „გუშინ“.. ყველაფერი იყო ერთიანი, მარადიული, განუყოფელი.

კარი მმორა

თოვდა. რაღაც უცნაური, მოცისფრო-მოიისფრო სინათლე გახნულიყო ქალაქის ქუჩებში და თეთრი ფანტელების ქათქათა ზომილი პირდაპირ იქ ეშვებოდა. სადაც ეს უცხო შუქი გაიბრწყინებდა. ისე ჩანდა, თითქოს არაფრისგან იზადებოდა ეს სინათლეცა და ეს თოვლიც.

თენგიზი მდუმარედ მიყვებოდა პროცესიას. წედა თანამშრომლებს სამომარზე რომ შეჰყვა და ერთი წუთით მიცვალებულის სახეს შეავლო თვალი, ელდა ეცა: რაღაც არ მომქვდა რა იყო ამ კაცში, რაღაც კვლავ განაგრძობდა სიცოცხლეს და არსებობას.

მიცვალებულს მთავარ ქუჩაზე მიახვენებდნენ. თენგიზმა პერანგის საყულო გაიხსნა და სახელოები აიკეცა. იგი შორიახლო მიჰყვებოდა სახახლებს. მალე სასაფლაოზეც მივიდნენ და მიცვალებული ახლადგაჭრილი სამარის წინ დაახვენეს. თენგიზმა გაბედა და კიდევ ერთხელ გაიხედა მისკენ... რაღაც აშკარად ცოცხალი იყო ამ ბერიკაცში — დადარაჭებული, უბილავ თვალთა იღუმალ მოფაფურე და მჩხრეკელი.

მერე, როდესაც კუბო დაქედეს და სამარეში ჩაუშვეს, ის რაღაც, რომ არ მოკვდა და სიცოცხლეს განაგრძობდა, სასახლიდან ამოხტა... რამდენი კი მიუარეს მიწა, იმდენი ამოძვრა და ზევით-ზევით წამოვიდა.

აბა, ამოსცდა მაწინაპირი, ამოისინათლა და უცებ თენგიზმა იგრძნო უცხო არხების ჩახახლება სხეულში. იქ ერთი წუთით ისეთი გამწარებულნი ბრძოლა გაჩაღდა. ტრავილისაგან წყლში ორად მოიკეცა, მაგრამ ეს იყო მხოლოდ ერთი წუთით. როცა გაამართა, უკვე უველაფერი რაღებო.

V

ნეტავ, რამ მიბიძგა?

ჭერ კიდეც მაშინ, ტელევიზორში იმ ფრანგულ ფილმს რომ ვუყურებდით და ის ქალიც, ამისი ცოლი, შუაში გვეჯდა გულარძილი და მოზვიმე, პირველად აი მაშინ გამიჩნდა რაღაც ამდაგვარი გრძნობა. მერე კი, რაც დრო გადაიდა, უფრო და უფრო ღვივდებოდა იგი და სამოქმედოდ მეძახდა. რას იზამ? ერთადერთი მთავარი საკითხი ახლა მორალის საკითხია და კიდეც ის — რამდენად შეესაბამება ჩვენი ფიქრები და აზრები სხვებისას, რამეთუ... სტომაქი სავსე გვაქვს.

— პულსი, აი რა გადაწყვეტს ბოლოს ყველაფერს, — გივი აღერსიანად უთათუნებდა ღვინის ბოთლს ხელს, — სიცოცხლის წყნარი, სათუთი ფეტქვა. შენ რა გგონია, ყველანი მასზე ვართ ჩამოკიდებულები, მაგრამ ოთხმოცდაცხრამეტი პროცენტი ჩვენი მოდგმისა სულ იმის ცდაშია, როგორმე შეწყვიტოს ეს წყნარი ფეტქვა.

— ვითომ რატომ?

— სულ უბრალო მიზეზის გამო: შერეკილები არიან როგორც მე და შენ.

— გივი, — რაკი გადავწყვიტე, უკან აღარ დამიხვევია, — ერთმა კაცმა ამას წინათ ერთი საქმე შემომთავაზა.

— რა საქმე?

— სამსახურში...

ბოთლს ხელი გაუშვა და სერიოზულად შემომაჩერდა. დარტყმა იმდენად მოულოდნელი იყო, მაშინვე ვერ ჩახვდა და ვერც ის გაისიგრძეგანა, მისგან რაღას მოვიტხოვდი. მერე უცებ გაუნათდა სახე.

— ოჰო! — წამოიძახა აღტაცებით და ჰიქას დაავლთ ხელი, — ბედი მოგდგომია, ძმაო, კარზე, მოდი სასწრა-

ფოდ დავლოცოთ, რომ უკან არ გადარინდეს.

— მაშ, ასეა?

— ასეო? მაგას კითხვა უნდა? აბა ჩამოყაჭე ყველაფერი.

— კარგად ვერც მე გავრკვეულვარ, მოსინჯვისა ჰგავს: თუ გადავბტი, პო... თამასაც საკმაოდ მალაღუბა აწეული და ან ასე უნდა იყოს, ან ისე.

— გასაგებია. ვინ არის ის კაცი?

— მაგარი კაცია.

— მიაწექი! — მოკრა გივიმ.

— მაშ, მირჩევე?

— მიაწექი-მეთქი, თუ გინდა ამოძვრე ამ ჭაობიდან.

— რა ჭაობზე ლაპარაკობ?

— მომწვანო, ბიისფერ მიწის ნაჭერზე, — ალერსიანად თქვა მან, — პროვინციას რომ ეძახიან, რომელიც იტაცებს და აღარ უშვებს, ვინც კი ფეხს დაადგამს მის ზედაპირზე. ეს არის დიდი ქვეყნის პაწაწინტელა კუჭი. კუჭის საქმე კი, მოგვხსენება, მონელებია. ჩქარა უნდა მოუხსენათ აქედან.

— მერე ფული სადაური მფრინავი ხალიჩა ნახე?

— მფრინავი ხალიჩა არ არის, მაგრამ ფულით შეიძლება მისი შოვაც... მისმინე, შენ ჩემი თუ გჯერა?

— არა.

— ჰეშმარიტებაც მაგაშია, — გაეცინა გივის, — ფული, ჩემო ძმაო, მეც ვიცი, რაც არის და სახელსაც იმას ვეძახი, რასაც შენ, ოღონდ არის კიდეც ერთი გარემოება: ფული ათავისუფლებს ადამიანს, პატარა საჭირო თავისუფლებას აძლევს, მიმიხვდი?

— კი, მიგიხვდია... მაგრამ დიდს რაღა იძლევა?

გიორგი ლაბაძე
თიოცალი

— ეგ, შენი არ იყოს, არც მე ვიცი. თუმცა კიდევ რომ ვიციოდე უარს ვამბობ. მე ის პატარა მირჩევნია. არ კმაია, მაგრამ სწორედ იმიტომ, რომ საკმარისი არ არის, ცხოვრებას უფრო საინტერესოს ხდის.

— მერე რა გინდა ქნა მაგ შენი პატარა თავისუფლებით.

— მოვუსვამ აქედან. შენ რა გგონია? თბილისში დავიბადე, თბილისში გავიზარდე, მშობლებიც იქ მყავს და დაძმებიც, მეხალისება ამ წითელი აყალოს ზელა? ორ წელიწადს ვიმუშავე, ბატონო, სამს, უკან დაბრუნების რაიმე იმედი რომ იყოს, მაგრამ არ დაიჯერო, დღეს სხვა კანონი მოქმედებს: ვაქვს —ინებე, არა — გაიარე!

— ეტყობა ძაან ძნელია, იმ ცხოვრებით იცხოვრო აღამინა, რისთვისაც ხარ მოწოდებული, როგორი მოკრძალებული და უპრეტენზიო არ უნდა იყოს ეგ შენი მოწოდება... — ნაღვლიანად ვთქვი მე.

— მიხვდი? — გაეცინა გივის, — აბლა კი ცხვირი მალა! ამ ქვეყნის საიდუმლოება იცი, რა არის? კაცმა მზიარულად უნდა იცხოვრო და მზიარულადვე მოკვდე. უფალსაც არ უყვარს მოწყენილი მიცვალებულები.

— მაშ წავიდე ოქროს საწმისის მონატაცებლად?

— მიაწეკა.

— მერე დრაკონი?

— ფეხებზე დაიკიდე.

— იცი, კი, რა ჰქვია იმ დრაკონს?

— არც ვიცი და არც მინდა ვიციოდე. მე ცხოვრებას ვუყუარებ. თუ გინდა, სხვანიარად მესმოდეს, ჯერ ცხოვრება შემიცვალე.

— სკოლაში კი გვასწავლიდნენ: სიკეთე, სათნოებაო...

— სკოლაში კი, — თქვა გვიმ, — მასწავლებლები მამაცი ხალხია, ძალიან ეყვართ სიმართლისთვის თავის გაწირვა... ლაპარაკში. რაც შეეხება სათნოებასა და სიკეთეს — ეგენი ცხოვრების მიერ იმთავითვე კარგად მორგებული ნიღბებია. მაგრამ სინჯე, ერთი,

და ააფარე მეოცე საუკუნის გაწამებულ ადამიანს სახეზე, სინჯე, ერთი.

— რა იცი, არ მისინჯავს.

— მაშინ ჩამოხსნა აღარ გაბედო, — სერიოზულად თქვა გვიმი.

ერთხანს უხმოდ ვიჯექით.

— როცა რამე არ არსებობს, იგონებენ, შენც ადექი და მოიგონე.

— რა მოვიგონო?

— რაიმე, თავი რომ მშვიდად იგრძნო. მე, მაგალითად, ჰონორარს ვეძახი, არაა ცუდი სიტყვა.

— წყალწაღებული ხავსს ექიდებოდაო, რაღაც ამდაგვარი არ გამოდის?

— ხავსს შენ ეგრე ნუ ეხუმრები. თუ მოინდომებ, რვაღად აქცევ.

— ვითომ?

— წყალი არ გაუფა. მე ექიმი ვარ და ჩემზე უკეთ ვინ იცის ეგ? ზოგი ისე აჯანდაკებს — ესაა, ბედის სამძღვარი გადავლახე და უკვდავებაში გადავიდო, ფიქრობს.

— ბოლოს კი მაინც პულისი გადაწყვეტს ყველაფერს...

— ბოლოს კი.

— ნაღვლიანი ფილოსოფიაა.

— ნაღვლიანია, მაგრამ საიმედოა.

— წამოდა გივი, — მეტს აღარ დავლევ. ხომ იცი, მორიგე ვარ, არ მინდა ნასვამი მუშაობას მივეჩვიო... შენ კი ჰქვიანად იყავი და იმ კაცს დაუჯერე, კარზე მომდგარ ბედს ხელს ნუ კრავ.

— არ ვიცი, — წყნარად ვთქვი მე,

— სულელი ხომ არა ვარ, ხელი ვკრა, მაგრამ ფული მაგ პატარა თავისუფლებასთან ერთად სულში ექვსა და შფოთს რომ ასახლებს? ისეთ უკუპროპორციაში კი თავისუფლებასა და სულის სიმშვიდეს შორის რომ იგულისხმება, არც ისე ძნელია კისრის მოტეხვა.

— ო, ეს მათემატიკოსები, — თვალები აუციმციმდა გივის, — მაგ უკუპროპორციებს მოეშვი და პირდაპირ მიაწეკი-მეთქი. „ეძიებდეთ“ ჩვენმა მაცხოვარმა, მაგრამ, მე თუ დამიჯერებ, იმისთვის რომ ვერ „ჰპოვო“, არ ღირს სიცოცხლის გამწარება.

და გავიდა.

თითქმის წინდაწინ ვიცოდით, ასე რომ იქნებოდა და არავითარი შეგება აღარ მიგრძენია. პირიქით რაღაცნაირად გულდამძიმებული ვიჯექი მიწურული გაზაფხულის თბილ ბინდში გახვეული და ხეირიანად იმის თავიც კი აღარ მქონდა, რაიმეზე მეფიქრა.

არც მეორე დღეს, უთენია სახლის სულ ზედა სართულზე ავარდნილს, ქალაქის ნაცნობ და საყვარელ ვადვიძებს რომ ვუტყვევდი, აღარ განმიცდია ის შემავსებელი და ყოვლის გამაწონა-სწორებელი სიხარული, ასეთ წუთებში რომ დამეფუფლებოდა ზოლმე. ან იქნებ მარათალი იყო მთავარი ინჟინერი, რომ მამუნათებდა — ეს გამუღმებული მამიებლობა და მჩხრეკელობა სპობსო აღამიანს? ისედაც ბევრი რამაა წინ ჩწმენისა და ხალისის ხელიდან გამოშვებული, ძალათი რომ არ გამოქეცო კაცმა. უვიცობა და სიბრძევე — აი, რა უჩინარყოფს ყველა იმ ზღუდეს, რასაც ბეკიანი მოჯადოებულებით ზეაწყდება. ან თუ არ იცი, იქნებ არც არსებობს? ამანაც ხომ იგივე მითხრა, ოღონდ სხვა სიტყვებით: იმისათვის რომ ვერ „პოვო“, არ ღირს სიცოცხლის გამწარებაო. ნეტავ საიდან მოდის ეს შა-შა სიტყვები? ნუთუ სიტყვებს საგანგებოდ იზებირებენ, მერე შენ რომ გითხრან, თუ მართლა ცხოვრობენ ამითი? ან ეს მაძლარი და ნებიერი ცხოვრება საით მიგვაქანებს? გასული, გაძვალტყავებული და მშიერი წლები თავის თავში ამას ატარებდნენ — სიმდიდრესა და მორკმულობას, ესენი კი, აწინდელნი, გაზულუქებულნი და თვითკმაყოფილნი რაღას გვიზადებენ?

უნდა შევიძლო რაღაც, ვფიქრობდი საკუთარ არსებაში გაქცეული და მოფათურე. ახლაც, მოსამსახურესა და ინჟინერს, სოფელში ჩასულს მცირე დანაზოგით ნაყიდი მცირე საჩუქრებით, წამოსვლისას დედის ხელი ისევ ისე მიძვრება ჯიბეში, სტუდენტობის დროს რომ იცოდა მამაჩემის ნამალავად ფულის ჩადება... არ მინდა დედა — ფუნსაცემელი გაცვეთია შეილო, არ

მინდა დედა — კოსტუმი გამოიცვალე შეილო... და როდემდის?

ოხ, როდემდის! როდემდის!..

მთავარ ინჟინერს სცოდნია ბადის სროლა. ბევრი ვიარე თუ ცოტა, მაინც აქამდე მოვედი, ვერაფრით ვერ ავცილი ამ ყელს. აქ წყალი ღრმაა და ძაბრივით ჩახვეული. მდინარის პირას ვავიზარდე და ბავშვობაში „ორომს“ ვეძახდით ასეთ ადგილს. რას იზამ! თუ ამგვარ მორკეში მოხვდი, კარგი მოცურავე უნდა იყო და მკლავიც გიჭრიდეს, თორემ წასულია შენი საქმე, ველარასოდეს გააღწევ ნაპირს.

უნდა შევიძლო-მეთქი რაღაც და ისევ იქითკენ მივიქეცი, საიდანაც ესაა დედის ხელების სითბო და სინათლე გამომყვა. არ იგუა ჩემმა ტვინმა ეს ხილვა, უკუაგლო და ახლა მისი მჩხრეკელი მზერა სულ სხვა საგანს მიაცივდა, მეხსიერების ბნელ ღიობში ჩაკვებობლს და მიყურისძირებულს.

ჯერ კვაზივით გაფხეილი კეფა გამოჩნდა, მერე დიდი პარტყუნა ყურები... ბოლოს თავდაც წარმოიმართა — მაღალი, გამხმარი, წინათ რომ კინოში გერმანელ ოფიცრებს უჩვენებდნენ — ისეთი. როგორც კი მომიახლოვდა, არც შემოუხედავს, ისე თქვა: ორი ათასი უნდა მაგ საქმესო და უმალ გაუჩინარდა, მაგრამ მე აღარ ვამიშვია, ისევ უკან ვამოვიხმე.

— უფრო უნდა გვემარჯვა, თენგიზ, ბიძიკო, უფრო უნდა გვეყოჩაღა, — მითხრა მან, — ოცდაორი ქულა ოცდახუთიდან — ცოტაა, ძალიან ცოტა. იმათ — მეტის მომატება აღარ შეგვეძლო; ის ორიათასიც სულ დაიხარჯა... ახლა რა ვქნათ? ემაგ ოცდაორი ქულით რომ ჩაგრიცხონ, ორი ათასი მანეთი უნდა კიდევ, მიმღები კომისიის მდივანს ველაპარაკე.

— ორი ათასი კიდევ? — შევკრთი მე, — ნახევარი ის ფულიც ნასესხები იყო.

— არ იყო ნასესხები, — აღერსიანად მითხრა იმან, — საქმეს თუ დაკირდეს, ქვას გავაბობ და კიდეც ვიშოვო, მამაშენმა... ზოდა, ჩადი ახლა სოფელში, ამ საღამოსის მატარებელს გაგაყოლებ. მე ვერ წამოგყვები, იმ კაცის დატოვება ახლა არაფრით არ შეიძლება; ხომ იცი, ქვეყნის ხალხი აწუხებს... ზოდა, ჩამოიტანე ის ორი ათასი მანეთი და მორჩა, ხვალღიან სტუდენტი იქნები, მომავალი ინჟინერი...

„გამსვლელი ქულა ოცდაერთი!“ ანთო უცებ ჩემს თავს ზემოთ ფერადი რეკლამასავით და უმალ ის ბიჭი დავინახე — გამხდარი, ლიფსიტა ბიჭი, ვისაც ეს კაცი ელაპარაკებოდა: ტროლეიბუსში იდგა, ცალი ხელით ილღიაში ამოჩრილ წიგნებს იკავებდა, ცალით კი, რომ არ წაქცეულიყო, ვიღაც ხნიერ მგზავრს ჩასკიდებოდა. მგზავრი ღიმილით გადმოხედავდა ზოღმე, მაგრამ თქმით არაფერს ეუბნებოდა... და აჰა, ისევ გამოჩნდა გაფხეკილი კეფა და პარტყუნა ყურები:

— ბიჭო, ის სახელური შნოზა კი არ აქვს ტროლეიბუსს, — ჩაუქილიკა და თან იმ ხნიერ მგზავრს გადახედა.

— არაფერია, არაფერი, მეგობარო, — გაიღიმა მგზავრმა, — იყოს...

მაგრამ ბიჭმა უმალ უშვა ხელი და რკინის სახელურს ჩაებლაუქა. მაინც რა უსიამოო იყო აგვისტოს ამ დანთებულ ხვატში რკინის ის მაკოცხლებელი სიგრილე...

კოტა მოგვიანებით, სოფლისკენ რომ მივეშურებოდი, სამოროდო, დალატულ ყანაში თავზე ცხვირსახოცწაკრული გლეხი შევნიშნე. ორმოცდაათიოდე წლის იქნებოდა, ხელში „ოყიანი“ თოხი ეჭირა, როგორც თვითონ უყვარდა თქმა და კი არ ურტყამდა ან კი არ უხათქუნებდა გვალვაშეპარულ მიწას, ძირს უფხვიერებდა სიმწიფეში შესულ სიმინდს. უყვარდა ამ კაცს ეს საქმე. მზე კინკრიზოში აჭერდა, ოფლი ღვარად ჩამოდიოდა, მაგრამ მაინც რუდუნებით, გულდაგულ და ფრთხილად უსევამდა იმ „ოყიან“ თოხს. მერე,

იტყობა, შესვენება გადაწყვიტა, სვრელის თავში ჩაჯდა და თუთუნი გააბოლა სიმინდების მეგობრულ ჩრდილს შეფარებულმა. მე რომ მივედი, ვერ მიცნო. ამნაირი მერე უნდა ვენახე, მაშინ სად დამკრავდა თვალს... წამოდგომა დააპირა, მაგრამ არ დავანებე, თვითონ მივუჭექე გვერდით, როგორც ადრე ვიცოდი, ბავშვობაში.

— ახლა ერთი წვიმა მონათლავს ყველაფერს, — თქვა გლეხმა, — თქვენ საიდან მობრძანდებით?

— ქალაქიდან...

— თბილისიდან? ბიჭი აბარებს ჩემი წელს, საინჟინროზე.

— კარგი მომზადებულია?

— საუკეთესო... სამი „ოთხის“ მეტი არ გამოყოლია სკოლაში, სულ ხუთებზე დაამთავრა. თან ეს მათემატიკები ემარჯვება ძაან. მაგრამ ზომ იცი, რა დროა, ცარიელი ხელით არავის უნდინხარ... ისეთ კაცს ჩავაბარე, ჩემი კვიდრი ბიძაშვილია, მთელი დასავლეთ საქართველოს მთავარი მშენებელი. ზოდა, ფულიც ქე გავატანე... ახლა, თუ სადმე სამართალია, უნდა გამიმართლოს.

— ნუ გეშინია, ვაგიმართლებთ, — დავაიმედე მეც, ამ ცხელ გულზე ვეღარ მივახალე, კიდეც ორი ათასი მანეთი უნდა-მეთქო.

— თქვენ სწავლობთ?

— არა, დავამთავრე, საამშენებლო საინჟინრო... ცხრასართულიან სახლს ვაშენებ.

— ბიჭოს, ბიჭოს! — თქვა გლეხმა და გაიღიმა, კეთილად, თბილად. მზერა შორს გაექცა, მომავლისკენ და როცა იქიდან გამოხედა, უცებ შეკრთა, ვიღაცას მიმამსგავესა, რაღაც იაზრა, აწრიალდა, მაგრამ მე აღარ გავუჩერდი. იქვე დავტოვე სვრელის თავში მჯდომარე, ჩამქრალი პაპიროსით ხელში, ჩაფიქრებული და შინაგანად მოწრიალე.

„გამსვლელი ქულა ოცდაერთი!“ — დიდხანს ენთო ეს წარწერა, სანამ ბოლოს და ბოლოს იმ ბიჭმა არ წაიკითხა. პირველი სექტემბრის დილა იყო.

სიხარულისაგან გულამოვარდნილი მი-
ჰყვებოდა ინსტიტუტის ფართე, ნათელ
დერეფანს. უღიმოდა ყველას და ყვე-
ლაფერს, ნაცნობსა და უცნობს. და აი,
წარწერაც... ჩუმად კითხულობდა, ჩა-
მარცვლით და ნელ-ნელა უჭრებოდა
ბავშვურ სახეზე სინათლე. რაღაც გა-
დიოდა მისი სულიდან, რაღაც ძალიან
ძვირფასი და ახლობელი. მერე ყველა-
ფერი გაზავდა, გადნა ვალიგვებულ ცნო-
ბიერებაში და ბიჭი კვლავ დაიძრა ად-
გილიდან, ოღონდ ახლა აღარც ეს კრი-
ალა დერეფანი უჭრებოდა გულს,
აღარც ფართე, ნათელი აუდიტორიები
და აღარც იმედითა და მომავლით მსუ-
ნთქავე სტუდენტობის პირველი დღე...
დღე, რომელიც აგერ კვლავ გრძელდებო-
და — ამომავალი, ვითარცა ღამის
შავი ნივარდიან მარგალიტი, დიდებუ-
ლი და მოზენიმი. ყიოდნენ ქალაქის ყი-
ნჩი მამლები სინათლის სადიდებელს,
ფრთების ფათქუნით იუწყებოდნენ
მეუფის მოახლოვების ჟამს, გაისმოდა
ფრინველთა გალობა და გნიასი, ფუთ-
ფუთებდა და იღვიძებდა ქალაქი, რი-
ტრაჟის საერთო ფერხულში ჩაბმული-
ყენენ ადამიანებიცა და ბუნებაც... და
ამდენი ხნის სიმძიმისის შემდეგ კვლავ
ჯაიბრწყინა ჩემს წინ სიცოცხლის მთე-
ლმა სილამაზემ და მომხიბვლელობამ,
ოღონდ ამჯერად სულიერი თანხმობა
არ ხლებია ამ ხორციელ, მათრობელა
განცდას...

კიბეებს დავუყვები და კანტორაში
ჩავედი. მუშები ყველანი მოსულიყ-
ვნენ. აღმრიცხველს სამმართველოდან
ჩემი ხელფასი წამოეღო და მომიტვა-
ლა.

— ფული არ გინდათ, თენგიზ ინეი-
ნერო? — მოხრა ქალმა, — ბანკში
უნდა დაებრუნებინათ, მე რომ არ წა-
მომეღო.

— ვერ მოვიცალე. ნინო დეიდა.
გმადლობთ.

ფული ისევ ხელში მეჭირა. ჯიბე-
შიც არ ჩამიდევს. გუშინდელ თათბირ-
ზე გამოწერილი მასალა ჭერაც არ მო-
ეტანათ და ხალხი რომ არ გამცდენო-

და, საუშაო უნდა გადამენაწილებინა.

— მოიგონეს რაღა დისპეტჩერობია.
— უქმყოფილოდ ბუზღუნებდნენ მუ-
შები, — წამოასკუბებენ იქ ფრჩხილებ-
შედებულ გოგოს (ამას ალბათ თუთიზე
ამბობდნენ), მისგან რა ხეირი უნდა
იყოს? ან ეს ტრესტი რაღაა, ფლავია?
თუ რამე თქვი, ხელად ტრესტს მოგა-
ფარებენ შუბლზე. ვილაცამ ხომ უნდა
აგოს პასუხი? შენ, თენგიზ ინეინერო,
მაგრად დაუდებქი მაგათ!

როცა ბრიგადას საქმე გავუჩინე და
გავუშვი, ხელი გავშალე და ნელა და-
ვუწყვე თვლა ჩემი ერთი თვის ნაოფ-
ლარს. ვთვლიდი გულისყურით, აუჩქა-
რებლად, გამოზოგებით. მაინც მალე
შემომეღია. მერე ისევ გადავთვალე და
კვლავ მუჭში მოვიქციე.

ქონი ჭურში ჩაასხი!

და პირველად მთელი ამ ხნის მანძი-
ლზე, რაც აქ ვმუშაობდი, მეცოტავე
ფული...

VI

კარი თუთიმ გამიღო.

— ო, მადლობა ღმერთს! — წამოი-
ძახა მან, — შემოდი... რანაირად შეიყ-
რებ.

— არასოდეს მინახიხარ ასე ჩაცმუ-
ლი.

— კარგი რა... — თუთი წინ წამი-
ძღვა და მშობლებთან მიმიყვანა.

— მოხარული ვარ, მოხარული, —
ხელი მაგრად ჩამომართვა მამამისმა,
გაზეთის რედაქტორმა და ცნობილმა
ჟურნალისტმა შალვა გვენეტაძემ, თე-
თრი; უკან გადავარცხნილი თმა რომ
ჰქონდა და სათვალის შიგნიდან კეთი-
ლად გამომზირალი თვალეები.

— ვველაპარაკა თუთი თქვენზე, —
ღიმილით გამომიწოდა ხელი ქალბატ-
ონმა ძაბულიძემ — (თუთის დედა მე-
გრელი იყო), — როგორ შეეწყვეთ
ჩვენს ქალაქს?

დიდებული ქალაქია-მეთქი, მივუგე-

მაშინვე მომეწონა ეს ხალხი. ან იქნებ ძალიან მინდოდა მომწონებოდა და გამკლავად აღირ შემიხედავს?

შუახნის სანდომიანი ქალი იყო დიასახლისა. შესაშური გემოვნებითაც ეცვა: ბუკდებიც ბევრი ეყუთა ხელზე, ყელსაბამითა და სხვა ძვირფასი სამკაულითაც გამოჩინებულყო, მაგრამ თვალში არაფერი გეცემოდათ, თითქოს ყოველივე აუცილებელი და საჭირო იყო ამ ქალისათვის; თუმცა დაკვირვებული თვალი მაინც შენიშნავდა, რომ ამყაობდა კია ამით, ოღონდ ეს სიამაყეც ზომიერი იყო და არა თვალშისაცემი.

სტუმრებს დიდ ოთახში მოეყარათ თავი. ისინი ჭგუფ-ჭგუფად იღგენ სხვადასხვა კუთხეში და საუბრობდნენ. ერთ მხარეს, დაბალ მაგიდას ჩვენი სამმართველოს თანამშრომლები შემოსხდომოდნენ. შორიდან დაეუქნიე თავი. მთავარმა ინჟინერმა ხელით მანიშნა — მერე ჩვენთან მოდიო.

— შენ ძმას რატომ არ მაცნობ, — ვკითხე თუთის.

— გონელის? არ ჩამოსულა, გამოცდა აქვს ხვალ. დეპეშა გამოგზავნა.

— სტუმრები ბლომად გყოლიათ.

— კი, ყველანი მოვიდნენ. მარტო შენ და ქალაქკომის მდივანი აკლდით.

— მთავრობა ყოველთვის იგვიანებს, — თავდაბლად განვაცხადე მე, — მდივანიც მოვა?

— აბა! მაძას ფრანტის ამხანაგია.

ნელ-ნელა შემოვუარეთ დარბაზს, თუთი სტუმრებს ზოგს პირადად მაცნობდა, ზოგს კი ისე მიზანიათებდა. თითქმის ქალაქის მთელი რჩეული ინტელიგენცია იყო შეკრებილი — მხატვრები, ჟურნალისტები, ინჟინრები და ექიმები. წელან ამირანსაც მოვკარი თვალი — თუთის ბიძაშვილს... იმ წვერმოშეებულ ბიჭს ელაპარაკებოდა, თუთიმ რომ მითხრა, მხატვარიო და მერე სულაც მეორე ოთახში გაიყვანა. ამას ალბათ ყურადღებას არც მიაქცევდი, ცოტა ხნის შემდეგ უკან რომ არ შემობრუნებულყო და ახლა სხვისთან

ერთად არ გაუჩინარებულყო ისევე მსკარში. ნეტა რა წრიალი აუტყდა-მეთქი, გავიფიქრე. მესამე შემოსვლაზე მეც შემამჩნია და შორიდან ამიწია ხელი. სალამს როგორ დავამადლოდი, რაც ჩვენ მაგან კაფეში პატივი გვცა მაშინ! ყავის დასალევად შევედით მე და თუთი და ამას და მის ამხანაგს კი გადავეყარეთ. გაღეშილები იყვნენ.

— რა გინდა, გოგო, შენ აქ? — გააჩერა თუთი.

— რა იყო ამირან? — გაეცინა თუთის, — ყავა დავლიეთ.

— ყავა დალიეს! — თანამეინახეს გადახედა ამირანმა, — ეს ვინ არის?

— ამხანაგი.

— რაღაც არ მეცნობა.

— თბილისელია.

— აჰა, ხედავ დუხუნია შენ? რა ეკუთვნის ახლა ამას? კაფეში დაჰყავს გოგოები.

— გამიშვი ერთი მაგისი! — წამოიწია დუხუნია, მაგრამ სკამი წაექცა და თვითონაც წაბორძიკდა. მე ხელი შევშველე და ისევ სკამზე დავსვი. ამირანს ესიამოვნა, ასე რომ მოვიქეცი.

—კია ბიჭი ჩანხარ და მაგისთანებს მოეშვი, იცოდე, — მითხრა მერე შემარიგებლად, — ქართველ ქალებს რა უნდათ კაფეში? აფსუსს, როგორ გადაგვარდა ჩვენი ერი! ქართველ ქალებს, დუხუნია, შენ ხომ იცი, კოჭებამდე ეცვათ კაბები. ახლა კი... კაფეებიც რომ მომინდომეს! ჩვენს ქალაქში მაინც ვერაფერ გაბედავს მაგას.

— ფეხებზე მკიდია ჩაბრაძის წისქვილი! — თავის მხრივ ჩაურთო დუხუნია მაც.

ასე გავიციანი ამირანი. ერთი-ორჯერ მერეც შევხვდი კაფეში, ოღონდ ამჯერად გვიისთან ერთად ვიყავი, თან ყავის ნაცვლად კონიაკს ვწრუპავდით და ამირანსაც მოწყალედ დამიწყო ყურება. ახლა კი, აგერ, ძმაკაცურად მომესალმა და ჩვენსკენ გამოემართა, მაგრამ, სანამ იგი მოვიდოდა, თუთიმ თავის მეგობარი გოგონები გამაცნო: ჩემი მაკა, ჩემი ნუნუკა და ჩემი თამუნიაო. მხია-

რული გოგონები იყვნენ და ხელი რომ ჩამომართვეს, მაშინვე ქილიკს მოჰყვენენ:

— აი, თურმე როგორი ყოფილა ახალგაზრდა მშენებელი!

— ნეტა ცოლიანია თუ ისევ უცოდველი დადის ამ ცოდვილ დედამიწაზე?

— კარგი. გოგო, ნუ გააწითლეთ, ბიჭი!

მე გამეცინა.

— ნუ გეშინიათ, — დავამშვიდე საშთავე. — ცოდვებს მხოლოდ მშენებლობის საქმისთვის ვინახავ...

თუთი ილიმებოდა და რალაცნაირი გაორებული მზერით მიყურებდა. სადღაც წამიკითხავს: სიყვარული, სულ რომ არ განიზომება რაიმე ღირებულებით, ყოველთვის ცდილობს თავი მოიწონოს და გაიმართლოს სატრფოს განსაკუთრებული ღირსებითა და სახელით. რა მეთქმის, ასეთი რამ წელანაც შევნიშნე თუთის, დედ-მამას რომ მაცნობდა და ახლა ხომ პირდაპირ ენათო მისი იღუმალი მზერა და ღიმილი ამ კეშმარიტების ნათელსაყოფად.

გულზე უჩვეულო თბილმა ტალღამ გადაშიარა. საოცრად ახლობელი და მშობლიური იყო ახლა ეს გოგო ჩემთვის.

— პარღონ, — მოაღწია ამირანმაც, — ჩემზე იცინით?

— აბა რა, უკვე მოასწარი?

— მოვასწარი... რა გიკვირთ მერე? მე დიდი სიყვარულისა და პატივისცემის გამოსახატავად ყოველთვის ოთხზე ეხვდები დღესასწაულებს.

— ოთხ საათზე? ჭერ ხომ რვაჯ არ არის, ამირან?

— ოთხზე, ოთხზე! — ხელები და ფეხები გაჩაჩხა ამირანმა, — მიხვდით? აბა ახლა დაგვანებეთ კაცებს კაცური საქმე.

— რა საქმე?

— ეს ჩვენ ვიცით.

— სტუმარი არ შეგვიწუხო, იცოდე!

— პარღონ. — თქვა ამირანმა, — ჩვენ. მეოცე საუკუნის ლიტერატორე-

ბი, მეოცნებე ადამიანები ვართ. მზრუნველობა — ეს ბინძური, მიწიერი თვისებაა. გაიგეთ?

მკლავში გამომდო ხელი. მე გოგონებს გავუღიმე და გავყვივი.

— თითო-თითო, მეტი არა, — მითხრა ჩუმად, — ამათთან ყველასთან დალეული მაქვს. მარტოს კი, რომ მომკლა, წვეთი არ გადამივა ყელში... ხომ იცი, საბჭოთა ეპოქაში ვარ დაბადებული და კოლექტივიზმის სულისკვეთებით ვაზრდილი.

— არ ჯობია სუფრას დავუცადოთ? — ხელი გავაშვებინე მე.

— სუფრას? ვინ გალარსებს ჭერ სუფრას? ქალაქომის მდივანს ელოდებიან... ქალაქომის მდივნის გარეშე ვინ მიგასუნიანებს სუფრასთან. წელან მამაჩემი გამიბრაზდა და წავიდა. რატომ სვამო, თავს რაზე მჭრიო... პატოსანი კაცია. მამაჩემზე ვამბობ. განა არა! ოქტომბრის რევოლუციის ორდენით დააჯილდოვეს ახლახან, შენ მასხრობ? სიგელებიც ბლომად აქვს... ხალხი ბინებს ღებულობს, ფულებს ხვეტავს, ამას კი სიგელებს აძლევენ. უკეთესს რას ინატრებ? გინდა ერთი სიგელი გაჩუქო? მოვპარავ მამაჩემს და გაჩუქებ.

— არა, მადლობელი ვარ, — ვუთხარი ღიმილით.

— შეგერგოს! — მითხრა რატომღაც, — ჰოდა, კიდევ მეუბნებიან, რატომ სვამო: ფეხებზე არ მკიდია ჩაბრადის წისქვილი? სანამ აქეთ გადმოვიდოდით, მანამ ერთოთახიან ბინაში ვცხოვრობდით და ეს სამიანი რომ მივიღეთ, მამაჩემმა ის ერთი უკან ჩააბარა ქალაქის საბჭოს: ხალხი უბინაოდ არის, ჩვენ მოვთავსდებით როგორმეო. მგონი ამაშიც კიდევ ერთი სიგელი მიცეცს... ახლა ვართ შეხურხლულები იმ სამოთახიან ბინაში — ჩემი ძმა თავის ცოლშვილით, მე — ჩემით, ისინი — ძველი გვარდია. როგორ არ მოვთავსდებით? აბა, მოთავსდი თუ ბიჭი ხარ!

გიორგი ლაბაძე
თოვლი

დააღებენ ლაწირაკები პირს და მთელი დღე ღნავიან... გამოვდივარ და ვსვამ. აბა რა გგონია შენ? ყველაფერს ვსვამ — ლვინოს, არაყს, კონიაკს, ოდეკალონს, პასტას, მელანს... პატიოსანი კაცის, მამაჩემის სადღეგრძელო ხომ უნდა დავლიო?

— შენ თვითონ არ მუშაობ, ამირან?

— ვკითხე მე.

— მე? ვმუშაობ? აჰ, მიგიხვდი მოხევე, საითაც უკაცუნებ... განა ვერა? უმალლესი მაქვს დამთავრებული, ეგრე კი არ არის საქმე! ფი-ლო-ლო-გი-ური! გინდა ახლა ვიტყო?

— არა, რას ამბობ!

ამირანმა ვადაიხარხარა და მხარზე დამკრა ხელი.

— რატომ უნდა ვიმუშაო? ბიჭები მყავს ჭიგრიანები, ჯერ მამაჩემი მარჩენს, ამასობაში ბიჭები წამომეზრდებიან და მერე ისინი შემიწახევენ. ფეხებზე არ მკიდია ჩაბრაძის წისქვილი!

— მშვენივრად ავიწყვია ცხოვრება.

— სიგელს ხომ არ მომცემ? მომეცი, მამაჩემს ღიუჯტან, გაეზარდება, — მთხოვა ამირანმა.

მე გაშეცინა. ბედზე ამ დროს ისევ იმ წვერიანმა მხატვარმა ჩამოიარა. ამირანს, ეტყობა, ჩემი იმედი მაინცდამაინც არ უნდა ჰქონოდა, რადგან დაინახა თუ არა, უმალ მისკენ გასწია: წამო ფრანც, ბარემ ელ გრეკოს შესანდობარიც დავლიოთო. თან მეც დამამიმედა, არ გეწყინოს, ახლავე დავბრუნდებიო. მე ჩვენი თანამშრომლებისკენ გავემართე. მაგიდას შემოვუარე და ყველას სათითაოდ ჩამოვართვი ხელი. მთავარი ინჟინრის გარდა, აქ იყვნენ მთავარი ბუღალტერი და მომმარაგებელი, საგეგმო განყოფილების გამგე, უბნის უფროსი თხელიძე (შენც ლექსო?) და ქალაქის საბჭოს მშენებლობისა და არქიტექტურის განყოფილების უფროსი ნესტორ ბაღდავაძე. ნარდს თამაშობდნენ, მაგრამ ყველას ისეთი სახე ჰქონდა, ეტყობა, ჩემს მოსვლამდე სხვა მნიშვნელოვან საკითხზეც უნდა ჰქონოდათ სჯა-ბაასი.

— რაო ამირანმა, ისევ მამამისს ლანძლავდა? — მკითხა ღიმილით მთავარმა ინჟინერმა.

— ზუსტად გამოიციანთ, — მიეუბნე მე.

— რას იზამ, სამოცდაათიანი წლებია, იწყება მამებისა და შვილების ტრადიციული ბრძოლა.

ბაღდავაძემ გამომცდელად შემავლო თვალი.

— ეს ყმაწვილი...

— დიახ, — უთხრა მთავარმა ინჟინერმა, — ცხრასართულიანს რომ აშენებს.

— კეთილი.

საუბარმა თანდათან მიიღო საქმიანი იერი, უფრო სწორად, იმ კალაპოტს დაუბრუნდა, ჩემს მოსვლამდე რომ მიეძინებოდა. ძალიან შინაურულად ნექციკოდნენ და ამან ჯერ გამაოცა. მერე შემაცბუნა კიდევ. მთავარი ინჟინრის ეს რისკიანი ფანდი საბოლოოდ მანიარაღებდა და უუნაროს მხდიდა. ამ თამაშში ყველა სვლა ზუსტად იყო გამოთვლილი. ამას მოითხოვდა გამოცდილებისა და საქმეთლების უტყუარი ალღოც. წკრიალეზა კამათლები და დუშაშა და დორიჩართან ერთად სხვა ბერი წაგება-მოგების საკითხიც წყვეტოდა. მთავარი ინჟინერი, როგორც ყოველთვის, მშვიდად და აუღელვებლად ლაპარაკობდა, მომმარაგებელი ხევისბერივით არხვედა ცხვირს — დროშას: „ა, ბატონო, ამას ჩვენ ახლა ასე გავსკვანჩავთ, — მოკლული ქვა ნარდის კიდზე დადო, — აბა, მიდი, ნოშრევაინი!“ მთავარი ბუღალტერი მელიისებურად იღიმებოდა. რაღაცით ჰგავდა კიდევ ეს კაცი მელას: ჩია იყო, კაფანდარა; წინ თმა სულ გაცვენოდა და კეფიდან წამოღებული ორიოდღერი სწორედ რომ მელის კუდივით დაეკვარასჭინებინა შუბლზე. საგეგმო განყოფილების უფროსი თაბახების გარეშეც ქალაღიჩიჩქნია მუდოსავით აცმაცუნებდა ტუჩებს, ხოლო ალექსანდრეს, ყოველივე ამის მხილველსა და ყურის მიმგდებელს, ისეთი შთავგონე-

ბული და მოკრძალებული სახე ჰქონდა, გულში ვინატრე: ნეტა ერთი წუთით ის მაგრაძნობინა, რასაც ეს ბიჭი ახლა განიცდის-მეთქი. მაგრამ ამის ნაცვლად ტანში მსუსხავი ეკლებივით დამიარა უსიამო ჟრუანტელმა ისედაც შემერთალსა და შეცბუნებულს, რადგან სწორედ ამ დროს, აქ ჩემი სახელიც გაისმა: „თენგიზ, არ ითამაშებთ?“.

უნდა მეთამაშა.

კამათლებს დავწვდი და გავაგორე.

— ყოჩაღ! — თავის მეღიისებური ღიმილით ჩაიღიმა მთავარმა ბულალტერმა, — მაგრად მოგდით, მაგრად, ჰაბუჟო და მთავარიც ეგ არის — ციფრი! რაც მეტ ციფრს გააგორებ, მით მეტი გამარჯვებული გამოიღიანარ. ასეა ნარდშიც და ასეა ცხოვრებაშიც... ბევრ მშენებელს, ჩემო კარგო, ძალიან მყდარი წარმოდგენა აქვს მთავარი ბულალტერის საქმიანობაზე. მთავარი ბულალტერის მიზანი ის კი არ არის, ფული გასცეს, არამედ როგორმე მოხერხებულად დაუძვრეს ანგარიშსწორებას... მიმიხვდი? — კამათლები შეათამაშა ხელში, — ციფრი, ციფრი, გახსოვდეს, ჰაბუჟო, პატივი ეცი ციფრს, რადგან იგია ყოვლის ბატონ-პატრონი და მეუფე, კაცმა კი, თუ გინდა წინ წახვიდე და რაიმეს მიაღწიო, თვით ციფრზე უნდა იბატონო, მამა!

— აა, ააბუნძულე ნოშრევაინი? — ცხვირი შემართა მომმარაგებელმა, — შენ ეტყობა გვარიანად თამაშობ, მაგრამ ჩვენთან ნურას უკაცრავად ძმობილო, ჩვენ ამას ახლა ასე გავსკვანჩავთ. ვერ მიხვდი? გავსკვანჩავთ — ე. ი. მოვკლავთ. ენის მარტივი კომბინაცია... ენა, ძმობილო, კარგი, მოქნილი, ტკბილი ენა — აი, რა არის მთავარი. გველსა ხერვლით ამოიყვანსო, ხომ გავიგონია? კაცს შეიძლება უმაღლესიც არ ჰქონდეს დამთავრებულა, მაგრამ ვისაც ენა უჭრის, ვისაც კარგად ეხერხება უფროსებთან მასლაათი, იმან ქაფჩა რატომ უნდა დაიჭიროს ხელში?.. ან გგონია, რაც უნდა კარგი აკე-

თო. თავდადებით და უანგაროდ იმუშაო, ვინმე შეამჩნევს ენის ჰკვიანური ტექნიკის გარეშე, რომელსაც ზოგიერთი გაუნათლებელი მაამებლობასა და მლიქვნელობას ეძახის? არა და არა! ყველა წარმატებების სული სიტყვაშია და არა საქმეში, ძმობილო.

— თქვენ ლატარეას თუ თამაშობთ? — კამათლებს ტურების ცმაცუნიც ააყოლა საგვეგმო განყოფილების გამგემ, — არა? აუცილებლად უნდა ითამაშოთ. ამისთანა იღბლის პატრონმა... ხედავთ, როგორ მოგდით, ყმაწვილო? უსათუოდ მანქანას მოიგებთ. მანქანა კი ახლა, ჩვენს დროში, ყველაზე მთავარია — კოხტა, კრიალა, მუდამ წესრიგში მყოფი ავტომანქანა... აუცილებლად შეიძინეთ ლატარია, ყმაწვილო, აუცილებლად იყიდეთ მანქანა და დროზე გამოაღეთ კარი... გარწმუნებთ, გამარჯვება იმთავითვე თქვენს მხარეზე იქნება.

ალექსანდრეს თავის შთაგონებითა და კრძალულებით აღსავსე მზერა ახლა ჩემს ზურგს უკან, დარბაზისაკენ მიეპყრო და, თუმცა არ მიმიხედავს, მიინც მიხვდის, ვისაც ეკუთვნოდა იგი.

— შენი გაგორებაა — კამათლები მივაწოდე და როცა ალექსანდრე კვლავ ნარდს დაუბრუნდა, ვუთხარი ჩემი მოძღვართ-მოძღვრების კვალზე შემდგარმა: ფიქრი, ლექსო, ფიქრია მთავარი. სიტყვები გარეგნული სამოსელია. თუ გინდა ისე იცრუო, რომ ეს სიცრუე მაშინვე ყველას დასანახავად შუბლზე არ დაგეწეროს, ჯერ ფიქრში უნდა გაუსწორდე სიმართლეს.

— ვითომ, რაო? — შეიქმუნხა ალექსანდრე.

— ისე, — გამელიძმა მე, — მგონი წააგე.

მთავარი ინჟინერი მოგვიახლოვდა.

— თენგიზ თქვენ, გატყობთ, აღარც ხუმრობთ.

— ბედი მწყალობს.

გიორგი ლაბაძე
თოვლი

— ყველას მოგვიგო, — თქვა მომძა-
რავებელმა.

— მოდი, აბა მე დამსვით.

— დაბრძანდით, — უმალ წამოლდა
ალექსანდრე.

კამათლები დავატრიალეთ. ზედინედ
ამდენი მოგების შემდეგ თამაში მოწ-
ყენილიც კი მქონდა, წელან ალექსან-
დრესაც ალალებდნენ ვუსვამდი ქვებს,
მაგრამ ახლა მთავარ ინჟინერთან პირი-
პირ გასული კვლავ შემოიყრო თავის
გამოჩენის სურვილმა. ამ სურვილს
ალბათ ისიც აძლიერებდა, რომ თამაშს
უკვე ყველანი ადევნებდნენ თვალს და
შიგადაშიგ აქებებდნენ კიდევ მთავარ
ინჟინერს.

მთავარი ინჟინერი ფრთხილად და
საზრიანად თამაშობდა. თან, ეტყობო-
და, ბედი ჩემზე ნაკლებ როდი სწყა-
ლობდა. შუა თამაშში გარკვეულ უპი-
რატესობასაც მიაღწია და არ ვიცო,
რით დამთავრდებოდა ჩვენი ეს შერკი-
ნება, ქალაქკომის მდივანი რომ არ მო-
სულიყო და ზასპინძლებს ყველანი სუ-
ფრასთან არ მივეწვიეთ. მე და ალექსან-
დრე სუფრის შუაში მოვხვდით ერთ-
მანეთის გვერდი-გვერდ. ჩვენს წინ
თუთის ამხანაგები ისხდნენ და იმ ცა-
რიელ სკამსაც ალბათ მისთვის ინახავ-
დნენ. მთავარი ინჟინერი სუფრის თავ-
ში დაჯდა. ეტყობოდა, წინდაწინ იყო
თამადად შეგულებული. მე ქალაქკო-
მის მდივანს გავხედე. ადრეც მყავდა
ნანახი ეს კაცი. თვალად ორმოცდაათი-
სა იქნებოდა, მაღალი, შავგვერემანი.
მოკლედ შეკრეჭილი თმა უკან ჰქონდა
გადავარცხნილი. დიასახლისის გვერ-
დით იჯდა და უხერხულად დასჩერებო-
და წინ დაწყობილ თევზსა და დანა-
ჩანგალს. საკმარისი იყო თავი აეწია,
ან გვერდზე გაეხედა, რომ ვიღაც წა-
მოუღვებოდა და მოკრძალებით მიესა-
ლმებოდა. არადა სადღაც ხომ უნდა
ეცქირა ამ კაცს.

თამადად სასმისები მოითხოვა, ჯიხ-
ვის ყანწები მიართვეს. ღვინომ გაზაფ-
ხულის თბილ სუნთქვასავით დამიარა
ძარღვებში. ყანწები მშვიდობის ლუ-

ღუნა მტრედებივით დაფრინავდნენ ჰა-
ერში და სუფრას ერთ მთლიან მხია-
რულ ფერხულში აბამდნენ (ნეტა სხვა
ვინმეს თუ მოსვლია ასეთ მკრებელუ-
რი აზრი, ყანწები მტრედებისთვის შე-
ედარებინა?). მოძალდა ქალების კისკი-
სი და კაცების დალიე და დამილიე.
მერე, თითქოს ლამპას აუწიესო, ოთა-
ხში თუთი შემოვიდა... გაუნძრევლად
ვიჯექი, ცოტა დაძაბულიც და ახალთ-
ვალახელილივით ვჩჩვევოდი ამ უცხო
და იმავდროს ძალიან ახლობელ, ერთ-
ხელ უკვე ვანცილ და გათავისებულ
შუქს. ღიმილით მოდიოდა, გამართული
და როცა მის სახეზე კვლავ იმ ლიც-
ლიცა სინათლის ჰავლამ იფეთქა, სარ-
კეში გამოცხადებულს რომ დაეუნახე
პირველად, უმალ ყოველივე, რისგანაც
შედგებოდა ეს საღამო: მთავარი ინჟი-
ნერი და მომმარაგებლის ცხვირ-დრო-
შის ქვეშ გაერთიანებული დანარჩენი
თანამშრომლები (ისე მომმარაგებელს
წელან ენაო კი არა — ცხვირიო უნ-
და ეთქვა), ქალაქკომის მდივანი, ამი-
რანი, თუთის დედ-მამა, სტუმრები,
ხმაური, თამბაქოს, სუნამოსა და კერ-
ძების ერთმანეთში არეული, საკმევე-
ლივით მოტკბო და მათრობელა სუნი
— შემოიჭრა ჩემს გულში როგორც
ერთიანი, ჰარმონიული, ვნებიანი, ლი-
რიული, მომაჯალოებელი და მშობიარე
სიმღერა. ამ სიმღერის არც ჰანგი
მასსოვს და არც სიტყვები, ოღონდ მის
ამოდსასმენელ მოძახილში ყვაოდა
ლიმონი და ფორთოხალი (ოქროს მწი-
ფობის ქამს) და თვალუწვდენელ, თვა-
ლშეუღვამ ამ ქვეყანაზე იდგა ბაღჩაში
ჩაფლული ერთი პატარა ლამაზი სახ-
ლი. მის წინ კი — თითის სიგრძე გო-
ლო და ბიჭი, ჩემი ორი ბარტყი, სისხ-
ლო და ხორცი ჩემი და ქალი (მწიფე,
ვითარცა მსხმოიარე ლიმონი), თიბათ-
ვის სურნელი რომ ასდიოდა ოქროსფ-
რად გაშლილ მის თმას.

მაღე ქალაქკომის მდივანმა ბოდიში
მოიხადა და წავიდა. ყველამ თავისუფ-
ლად ამიოსუნთქა. ახლა აქა-იქ სიმღე-
რაც გაისმა. მერე თამადად მოხდენი-

ლი სადღეგრძელოთი შეკოჭა დაფანტული სუფრა და, როცა სადღეგრძელო ჩამოთავდა, ისევ მიუშვა თავის ნებაზე — შესვენება და ცეკვა-თამაში ბრძანა.

თუთის ნუსხისთვალეებიანი ამხანაგი როიალს მიუჯდა. ყველანი მხიარულად წამოიშალნენ და ერთმანეთის მიყოლებით დაწყვილდნენ. მე თუთის ხელი დავეჭნიე და მისკენ გავემართე. ერთი ფეხით დავასწარი ალექსანდრეს.

— მაგ ბიჭს ვუყვარვარ რომ იცოდე, — მითხრა თუთიმ, დარბაზის მეორე მხარეს რომ გავიტაცე.

— ვის?

— ალექსანდრეს.

— ოჰო! ისე, რომ იცოდე, მეც მიყვარხარ.

— მაღლობელი ვარ, ჩემს სახლში რომ მაინც მეუბნები ამას.

— ხვალაც გეტყვი, ზეგაც და ყოველთვის გეტყვი: მიყვარხარ, მიყვარხარ, მიყვარხარ!

— რა მთერალი ხარ, თენგიზ! — გაცეცნა თუთის, — აკი ვტოვებო?

— რას ვტოვებო?

— ყველაფერსო, რა ვიცი, რაც ჩვენამდე ყოფილაო.

— არა! არაფრის გამოტოვება არ შეიძლება, ყველაფერი უხსოვარი დროიდან მოდის და ყველანი უხსოვარი დროიდან ვარსებობთ. ისიც, ვინც ამ უხსოვარ დროში ცხოვრობდა და ჩვენც. ნუ იციანი, რომეოსა და ჭულიეტას ნაღვლიანი სიყვარულიც კი, როგორც მითხრეს, გუშინ დასრულებულა ხრეითში.

— ხომ არ ეტვიანობ?

— კი, მაგრამ იმ ბიჭზე კი არა, შენზე. შენს ყელსაბამზე, შენს საყურეებზე, ემაგ ჭკუიდან შემშლელ ღიმილზე და მოალერსე, განუმეორებელ ხმაზე... — მივიზიდე.

— გაგიყდი თენგიზ?

ახლა ჩვენს მხარეზეც ცეკვავდნენ წყვილები.

— მგონი კი, — ვუჩურჩულე, — მთლად უნდა გავეციდე ამ საღამოს.

მთავარი ინჟინერი მოგვიახლოვდა.

— აბა, შევიღებო, — ხელი მოგვხვია და გვერდში ამოგვიყენა, — დროა წაგიღეო და სუფრას მიეტუსდეთ.

ლბინი კარგა ხანს გაგრძელდა. მასპინძლებს რომ გამოვეთხოვე და ქუჩაში გამოვედი, საკმაოდ გვიანი იყო. მთავარის შუქში გახვეული ქალაქი თერთრად ქათქათებდა. ფეხებმა თითქოს თავისით წამიყვანეს იქითკენ. შევხედე და გული ჩამწყდა... სახლს სადღაც უნდოდა წასვლა: კარ-ფანჯრებით, ერთმანეთზე შეწყობილი აგურებით, ბეტონის სარტყელითა და შეუკრავი ქობით, ლურსმნის ბაწაწკინტელა თავებიც კი ჩემსკენ შემობრუნებული ამ წასვლის მოლოდინად ქცეულიყო...

— ვერა, — ვუთხარი, — ველარა, სახლო-ბატონო... „ვერცხლი, ვითარცა მიწა და ოქროს ვითარ თიჯამ უბნისა ვიუნჯენ მე და თაყუანის-ვეც ანგაპრებისა მამონას... და აწ, მომდრეკე-ელო მუქლთა გულისათამ, ვკობ: მილბინე, ჰ მეუფეო, მილბინე, და ნუ წარმწყმედ ცოდვათა შინა და ნუ მოიქსენებ ძვრათა ჩემთა და ნუ დამსჯი მე ქუესკნელთა ზედა...“

შუა სადარბაზოში შევედი და კიბეეებს ავეუყვი. სახლი კვლავინდებურად გასუსული იყო, ოღონდ ლოდინად ქცეულ ამ სიჩუმის წილ ფართქალებდა რაღაც მუქში გამომწყვდეული ჩიტივით. ყური მიეუგდე: გული იყო... ჩემი გული!

VII

ვალეკო მამალაძეს დაბალი, ერთსართულიანი სახლი ედგა კოლხეთის ქუჩაზე. ყველა წყალი რომ გადამიწურა — ახლომახლო ბინას არავინ აქირავებსო, მერე შემიჩნდა და თავისთან გადამიყვანა. მე ერთხანს ისევ უარზე ვიყავი, არ მინდოდა შემეწუხებინა, მაგრამ კოლხეთის ქუჩაზე ვცხოვრობო, რომ მითხრა, ჩემდაუნებურად დავთა-

გიორგი ლაბაძე

თოვლი

ნხმდი: რაკი ოქროს საწმისის მოსატაცებლად გადავწყვიტე წასვლა, ამ ქუჩის სახელწოდებაც სიმბოლური გამოდოდა.

ოთახი სახლის უკანა მხარეს გამოიყვეს. ფანჯრები ბღში გადიოდა და ცალკე შესასვლელიც ჰქონდა. ვალიკომ თვითონვე გამოიყვანა თავისი ტელეფონიდან პარალელური ხაზი: ახალგაზრდა კაცი ხარ, შენთვის აუცილებელიაო. ჩვენ, აბა, ათასში ერთხელ თუ დავრეკავთ, ხანდახან გვაიფიქრებთ კიდევ, ტელეფონი რომ გვაქვსო. ქალვაჟი ჰყავდა. ბიჭი ექვსიოდ წლის თუ იქნებოდა, ეზოში დატანტალებდა ტიტლიკანა, ხელში ხისაგან გამოჩორკნილი ხმალი ეჭირა და ერთ ამბავში იყო: აბა, მიდი, გია მამალაძე, მისცხე გია მამალაძეო (ხმლის კულტი ჯერ ისევ ძლიერია ჩვენში). გოგო პიონერთა ბანაკში ისვენებდა. ცოლი ჰყავდა ვალიკოს, ორი ვაჟკაცი ვერ შემოაწვდენდა ხელს, მაგრამ საოცრად კეთილი და გულუბრყვილო ქალი კი იყო. საერთოდ ვალიკოს კედელ-ყურაში სულ მუდამ თბილი შუქი იდგა; საღამო ხანს ტელევიზორის საყურებლად რომ დავსხდებოდით, ვალიკო ბიჭს მუხლებზე დაისვამდა. ცოლიც, ცხადია, გვერდით ეჯდა და ისეთი გრძობითა და გულაჩუყებით შეჰყურებდნენ ეკრანს, ასე მეგონა, ქარიანში პატარა გადამყურდრობელ ადგილას მოგხვდი-მეთქი.

თვითონ ვალიკო ერთი ალაღმართალი მუშაკაცი იყო. ამ ექვსი თვის წინ შრომის გმირის წოდება მიანიჭეს, ტელევიზორშიც გამოიყვანეს, გაზეთებში დაწერეს და ვალიკოც ცოტა, არ იყოს, ვატრაბახდა, მაგრამ ეს ტრაბახიც უეშმაკო იყო და მიამიტი. რამდენჯერ შემინიშნავს შესვენებაზე მუშებში მდგარი, პაპიროსს აბოლებდა და თან ყვებოდა: „პირველად არ იცოდნენ, ვინ ვიყავი, ჰოდა ასე ქნეს. მეც არ ამომიღია ხმა. მეორე დღეს კი გავიკეთე ვარსკვლავი და მივედი...“ როგორი საქმეა? „მეორეს დღეს“ სულ

ასე იკეთებდა ვარსკვლავს და მიდიოდა.

თორმეტი იქნებოდა, ნაბახუსევი ისევ საწოლშია კოტრილობი, ანდრომ რომ დარეკა.

— ვალიკო ხარ?

— არა, თენგიზი.

— სწორედ შენ გეტბდი, თენგიზ, — მითხრა მან, — შემიყლა ცოლ-შვილმა ხელში: აქამდეც უნდა გადმოგვეყვანაო, ბავშვის ხელმძღვანელი იყო. დედაკაცის ამბავი არ იცი? ერთი სიტყვით, ამ საღამოს უნდა გვესტუმრო..

— მაღლობელი ვარ, მაგრამ მე ჯერ წუხანდელიც არ გამომნეტებია.

— საღამომდე ქვეყნის დროა, მოასწრებ. იუბილარი რაგაა? ჩვენგან ბევრი იყავით?

— ხუთი-ექვსი კაცი. შენ რატომ არ წამოხვედი?

— მე მასეთ ბრწყინვალე საზოგადოებაში გასარევი ვარ ვითომ? — გაცინა ანდროს, — ე. ი. შევეთანხმდით.

— მწყერი იქნება?

— რა დროს მწყერია, შე კაცო.

— კარგი მოვალ.

— ნახვამდის!

— კარგად იყავი!

ყურმილი დავეკიდე. შეცბუნებულ ვიყავი. იმიტომ კი არა რომ ამ მიპატიებებს არ ველოდი, პირიქით — სწორედ დღეს მოველოდი და ასე დაბარებულავით რომ ამიხდა, ამან შემაცბუნა.

საღამოს კვლავ საგარეო კოსტუმრი რომ ჩავიცვი, ვალიკომ ღიმილით ამათვალისწინებდა.

— ახლა საით?

— ანდრომ დამპატიყა.

— ანდრომ?

— ჰო, რა იყო?

— არაფერი, მგონი, შენი ჩასიძების საქმე მართლა მოგვარდეს.

— რაზე ამბობ?

კარგი გოგო ჰყავს ანდროს.

— რა გოგოა, ბავშვია ჯერ... ხომ არ წამოხვალ?

— არა, მე ტელევიზორს მივუჭდე-

ბი, „გიორგი სააკაძე“ გადის ამ საღამოს.

— აბა, შენ იცი!

ქუჩაში გამოვედი, ზაფხულის თბილი, უქარო საღამო იყო. მთელი ქალაქი სასიეროდ გამოსულიყო.

ანდროს სახლს რომ მივეუახლოვედი, დავინახე, როგორ გაიღო კარი და თამარიკო გამოიქცა ეზოში. მოკლე, წითელი კაბა ეცვა, სისხლივით წითელი... ქიშკარი შევადე.

— გამარჯობა, თამარიკო!

— გააგვიმარჯოს! — ეუთხარი მე.

გიზის ლურჯი, ზოლებიანი კოსტუმი ეცვა და წითელი პალატუნი ეცეთა, სისხლივით წითელი...

უცნაურია, როგორც კი ამ ბიჭს თვალს მოვკრავ, მაშინვე მისკენ გავრბივარ. თითქოს რაღაც დამიყარავს, რაღაც ძალიან, ძალიან ძვირფასი და ახლობელი და ეს ყოველივე მან უნდა დამიბრუნოს. მაინც რა ძალაა, ასე რომ მიმადრენს მისკენ? გული ამოვარდნაზე მაქვს... ახლა ვიცი, რა უცნაურად შემომხედავს გიზი, როგორ გამიღიმებს — ისე, ამ უჩვეულო დანაკარგის პატრონს რომ ეკადრება, მაგრამ იგი როგორც ყოველთვის, ისე მექცევა, ლამის ენა გამოიყოს და თავზეც კი მისვამს ხელს, თავზეც კი მისვამს... მივფარფარებ ძალაგამოცლილი, ფრთამოტეხილი ფრინველივით და მივეუძღვები სახლისაკენ. წამომეშველება ჩემი საყვარელი ბუსიკა. რაღაცას ძალიან გასაგებად და გულშიჩამწვდომად ამიხსნის... მე სტუმარს მამას, ვაბარებ და საძინებელ ოთახში შევრბივარ. ერთხანს სარკის წინ ვდგავარ და გულისტკივილით ვათვალიერებ ჩემს ორეულს: კნაჭა, გალეული... ნეტა რას ვვავარ:

დიდი ოთახიდან მამაჩემის ხმამალალი ლაპარაკი ისმის. მერე დედაჩემის ხმაც მწვდება. ეტყობა, თენგიზს გაეცნო. დავაყურე, მაგრამ ვერაფერი გავარჩიე. რაღაცაზე ლაპარაკობდნენ და იცინოდნენ.

მამა!

ერთი ეს მყავს კიდევ საღარდელი და საფიჭრალი. ვერაფრით ვერ მივხვდებარ, ყოველთვის ასე ნაზსა და მოსიყვარულეს, რა ემართება სიმთვრალეში ამ ბოლო დროს? გარეთ არც მაშინ ერჩის ვინმეს. ერთი ხმამალალი სიტყვა რა არის, ისიც არავის ახსოვს მისგან. სახლში შემოსულს კი ვეღარ ვცნობ; მე, რა თქმა უნდა, ხმას არ მცემს, ნაწილობრივ ერიდება და სჯერა კიდევ ჩემი, მაგრამ დედა ჰყავს ამ ოჩემებულში. შემოვა სახლში და რაღაცას იტყვის. დედამ რაც არ უნდა უბასუხოს, ატყდება და ატყდება. კარგად იმასაც ვერ გაიგებ, რა უნდა, რაზე ჩხუბობს.

დედაჩემი ტირილით გარბის თავის ოთახში. მე მამას ვეხუტები, ვამშვიდებ. არ ვიცოდებ მაინც, როგორ უყვარს დედა. ფრჩხილი რომ წამოსტკივდეს, სასთუმალიდან არ შორდება და დამეებს უთევს. თანაც უნდა განახათ, რა უმწეოა, როცა ჩაცხრება და დამშვიდდება. მხარში შევეუდგები ხოლმე და ასე ხელგადახვეული მიმყავს დასაძინებლად. „ჩემო გოგო, ჩემო ბიჭო, ჩემო ერთადერთო...“ ბუტბუტებს იგი და, როცა ჩათვლემილს საბანს ვუსწორებ, გული მეკუმშება: რაღაც ნელ-ნელა კვდება მასში, რაღაც ძალიან წმინდა და სანუკვარი, ვერაინ რომ ვერ მივხვდარვართ და გავვიგია.

ახლაც დალია თუ არა ორიოდე ქიქა, ხელად მოექუშა სახე, სადღეგრძელო წამოიწყო და საივკლო მიზეზიც უმალ გამოძებნა.

— ამით ქალებს გაუმარჯოს! — ქიქა ქიქაზე მიუჭახუნა თენგიზს, — ქალებს რას გაუგებ! შენ შეიძლება, ბრძენი მინდოც ვახდე, მაგრამ ქალის ბუნების გამოცნობას კი ვერ შესძლებ.

— ეგ ვერც მინდოამ შეძლო, — გაეცინა თენგიზს.

— ჰოდა, ქალებს გაუმარჯოს!

გიორგი ლაპაძე
თოვლი

ჩემი საწყალი, მარტო თვალებად-
ქცეული დედიკო წამებულებით ილიმე-
ბოდა. მამამ თვალი შეავლო და მანაც,
ეტყობა, ეს გაიფიქრა.

— წამებულებს, წამებულებს ერი-
დე, თენგიზ. დღეს ენა კი არ არის ურ-
თიერთგაგებინების საშუალება — ცო-
ლი უპირველესად! და განა დიდი შეც-
დომა არ იქნება, მოიყვანო უმშვენიე-
რესი მარმარილოს ქანდაკება ეკლის
გვირგვინით თავდამშვენიებული?

დედამ ბოდიში მოიხადა, სამზარეუ-
ლოს მივხედავო და გავიდა. მე მამაჩე-
მის აკვირება რომ მიმეჩქმალა, თუ
გესიამოვნება, რაიმეს დავეუკრავ-მე-
თქი, შევთავაზე სტუმარს.

— დავეუკრა თენგიზ?

— დი დ ე ბ უ ლ ი ა, — ვ უ თ ხ ა რ ი
მ ე, — ვნახოთ ერთი, როგორ ემზა-
დები კონცერტისთვის.

— კონცერტისთვის? — შეცბა თამ-
რიკო, — არა, სხვას დავეუკრავ. კონ-
ცერტისთვის... ხომ მოხვალთ კონცერ-
ტზე თენგიზ?

— აუცილებლად!

თამრიკომ შალითა გახსნა და ვიო-
ლინო ამოიღო. მერე ოღნავ იბრუნა
პირი და ხემი შემართა.

მე მუსიკის ბევრი არაფერი გამეგე-
ბა, მით უმეტეს კლასიკური მუსიკისა,
ამიტომ ერთთავად თამრიკოს შევცქე-
როდი, რომელიც იმ წუთიდან, პირვე-
ლმა ბეგრამ რომ გაისინათლა (მე მთე-
ლი იმ ხნის მანძილზე, სანამ ის უკრა-
ვდა, სულ მეჩვენებოდა, რომ მუსიკა
კი არ ისმოდა, არამედ უჩვეულო შუ-
ქად იღვრებოდა და ირგვლივ ყოველი-
ვეს ამ არამიწიერ თბილ შუქში ზვევ-
და), იგი თითქოს უცებ გაიზარდა,
დიდ, მოწიფულ ქალად იქცა, მაგრამ
იმავედროს აშკარა იყო მისი ბავშვური
ასაკიც. ამ ორ შეგრძნებას შორის თან-
ხმობა როდი იყო, პირიქით — ისინი
კვალში ედგნენ, ებრძოდნენ ერთმა-
ნეთს და უჩვეულოდ აღაგზნებდნენ
ისედაც მგრძნობიარე მუსიკოსს.

და აი, საოცრად გაფითრდა და გაი-
ცრიცა იგი, სახე ჩაეტეტკა, თვალები

აენტო. თვალსა და ხელს შუა გაჭრა
და წავიდა ჩვენგან. დარჩა მხოლოდ
მომბრახბა და მუსიკა, რომელიც კი არ
ისმოდა, ანათებდა.

მერე ნელ-ნელა, თითქოს პირდაპირ
სიზმრიდან ვადმოაბიჯაო, დაბრუნდა
თამრიკო — გამოწურული, გამოცარი-
ელებული, ადამიანის ფერი არ ედო
სახეზე. ვიოლინო სკამზე დადო და
უხმოდ დააჭდა ჩვენს გვერდით. ერთ-
ხანს არც ჩვენ გაგვიღია ხმა.

— თამრიკოს ვაუშარჯოს! — ვთქვი
ბოლოს მე და ჰიქა ავწიე.

— ეგრე იყოს, — ქალიშვილისავე
შებრუნდა ანდრო, — გავიმარჯოს ჩე-
მო გოგო, ჩემო ბიჭო, ჩემო ერთადე-
რთო...

— დათვერი მამა? — გაელიმა თამ-
რიკოს და საბოლოოდ დაბრუნდა ჩვენ-
თან.

— სამადლობელს არ დალევ? — ჰი-
ქა გადავუდღი მე.

— არ მომკლავს მამაჩემი?

— რატომ მოგკლავ შვილო, თუ გი-
ნდა დალიე.

— არა, არ მინდა, — ოღნავ მოსვა
თამრიკომ და ისევ დადგა.

მოგვიანებით, როცა ჩემი წამოსვლის
დროც მოვიდა და გამოსათხოვებლად
წამოვდექი, ანდრო მკლავში ჩამაფრინ-
და.

— არა, თენგიზ, — იგი საკმაოდ შე-
მთვრალიყო, — ვერ გავიშვებ. ამაღამ
ჩვენთან უნდა დარჩე. ამაღამ მე და
შენ უნდა ვილაპარაკოთ, რალაც-რალა-
ცა უნდა გითხრა.. მარტო შენ თუ გე-
ტყვი და ისიც ამ საღამოს, სხვა დროს
ვეღარასოდეს... გავიდეთ აგერ გვერ-
დით ოთახში, წამოვწვეთ და ვისაუბ-
როთ. მამა, ღმერთმა ხომ მხარეთმძოზე
წამოწოლილმა შექმნა სამყარო. შენ
რა გგონია, ადამიანსაც მისთვის რომ
მიებაძა და სანამ აღგებოდა და საქმეს
შეუდგებოდა, მანამ ეფიქრა, ნაკლები
უბედურება დატრიალდებოდა ამ ქვე-
ყნად. მაგრამ ახლა მხარეთმძოზე წამო-
საწოლად ვიღას სცალია. ახლა ხალხი
დაფრინავს და ისე ფიქრობს და სანამ

ხეირიანად რამეს გადაწყვეტდეს, უკვე აღვიღზე და პულტზე თუ რაღაც ამ-დაგვარ ოხრობაზე აქვს თითი დაჭერილი. დარჩი, ამ საღამოს მიანიც ვიხსნათ სამყარო განადგურებისაგან, — ნახევრად ხუმრობით, ნახევრად სერიოზულად დამთავრა მან.

აღარ გავძალიანებივარ. თამრიკომ საწოლი გავციშალა და კარი გაიხურა. ღია ფანჯრიდან ღამის ნოტიო სიგრილე შემოდოდა.

— უპ, რა სუფთა ჰაერია, — ფანჯრის რაფას გადავეყრდენი, მე.

— ჰაერი? — ანდრომ ხალათი გაიხადა, — ჰაერი, იცოცხლე, სუნთქვა კირს თორემ.

საოცრად აგზნებული და ალესილი იყო, ასე აგზნებული მხოლოდ ერთხელ ვნახე, აი მაშინ, თათბირზე რომ იყვირა, არ ვარ პატიოსანიო. სწრაფად გავიხადე და საწოლისკენ გავემართე. ანდრო უკვე იწვა.

— სინათლე გამოვროთ?

— გამოვრთე.

ჩაეწეკი და ერთხანს ორივენი ვდუმდით. მერე, თითქოს სულ სხვა სამყაროდან შემოიჭრაო, გაისმა სიბნელეში ანდროს ხმა:

— მთავარია, შენი თავის არ შეგრცხვეს, თენგიზ, შენი თავის არ შეგრცხვეს, რადგან აქედან იწყება ყველაფერი, ამ სირცხვილიდან... სადამდე მიგიყვანს კაცს საკუთარი თავის სიძულვილი?

ისევ სიჩუმე ჩამოვარდა.

— რამდენჯერ მინატრია, ან ეს გული არ დაეყოლებინა ჩემთვის ღმერთს, ან ჭაბანი არ ვიყო-მეთქი. — განაგრძო მან. — რა დიდებულად უთქვამს, ვისაც უთქვამს: ლაჩარი ასჯერ მოკვდებო, ასჯერ! მაგრამ ყველა ლაჩარი კი არა, ნამდვილი ლაჩარი, გულიანი ლაჩარი.. სად ნახავ ახლა ასეთებს? ახლა ლაჩართა უმრავლესობა საერთოდ არ კვდება. გული, გული, მითხარი შენ, თორემ ყველა ლაჩარი არ არის? მთელ ქვეყანას სილაჩრეში არ ხდებდა სული? სწორი არა ვარ?

— გააჩნია რას გულისხმობ, — ვუთხარი მე, — საერთოდ კი ბევრი რამ გაუგებარია ჩემთვის.

— ვიცი, შვილო (შვილად არ შემეფერი? ორმოცს გადავაბიჯე უკვე), — რაღაცნაირი მოტეხილი ხმით თქვა მან, — მაგრამ რას იზამ, შენ თავს რას მოუხერხებ? ბოღმა რომ ყელში მოგაწეება, იტყვი: წავალ და პირში მივახლი ყველაფერს! წახვალ კიდეც, აგერ მისი კაბინეტი, წამწამებწათხიპნილი გოგო და შავტყავდაკრული კარები. გოგო ზედაც არ გიკურებს, ისე ისგრის დაზეპირებულ სიტყვას „ჩაკეტილია“. ამ დროს კი იგი, ვინც მართლა ჩაკეტილი უნდა იყოს და სულ სხვა ადგილას, შეიძლება, წინა დამის ნაბახუსევი დივანზეა წამოწოლილი და სძინავს. როგორღა ვინდა გაუძლო ამას? სულ ეს შავი კარები დგას შენსა და იმ სამყაროს შორის, ასე რომ გავტყვებს და გლრღნის, შავი ტყავის კარები!.. მერე გებულობ, იმ კარების პატრონმა დამსახურებული ინჟინრის წოდება მიიღო და უკვე ყველაფრისაგან დაცილილსა და ძალაგამოლეულს გიევივით გეცინება: დამსახურებული ინჟინრის წოდება? მთელი ტრესტი გაატყავა, მთელი წარმოება გაძარცვა და ამაში მხოლოდ დამსახურებული?... ეპ, უმადურია ეს სოფელი!

ჩუმად ვიწეკი და რაღაცნაირი სევდიანი გულისყურით ვუსმენდი ანდროს, რომელსაც ჩემი არსებობა თითქოს გადავიწყებოდა და ახლა თავის თავს უფრო ელაპარაკებოდა ხმადილა, ვინემ მე.

— დამსახურებული ინჟინრობა!.. — გაიმეორა გაბზარული ხმით, — აი, ჩვენი დროის ყველაზე დიდი უბედურება: აღარც კი იცი, ვის სცე პატივი. და ვანა მართო ეგ? აქამდე ხომ სხვათა სიყალბე და ყალბაბანდობა მზარავდა, ახლა ამ ჩემმა სიმართლემ შემაძრწუნა. აღრეც დავეჭვებულვარ.

გიორგი ლაბაძე
თოვლი

მოხუცი ხალხის უკმაყოფილო ლაპარაკი რომ მომისმენია — გაფუჭდა ქვეყანა, სინდისი და პატიოსნება დიოკარგაო. პატიოსნება! ნუთუ ჩვენს ასაკში ისინი პატიოსნები იყვნენ? მაშინ რატომ ჩვენ ვერ გვასწავლეს ჩვენმა მამებმა და პაპებმა, როგორ დაგვეცვა და შეგვენარჩუნებინა იგი? თუ პატიოსნებაზე თავის დადება სიბერის საქმეა? ბოლოს იმასაც მივხვდი, სილანჩის საქმეც ყოფილა.

— ეგ როგორ? — შევეხშიანე მე.

— როგორ და ასე: აბა გაბედე და თქვი? გაბედე ერთი! რატომ ვერაფერ ვერ ბედავს? რატომ ერთხელ მაინც ვერ გაბედა ვინმემ? პანიკის ეშინიათ. როგორ, ჩვენში, ამ გაჩაღებული სოციალიზმის დროს? რა ხანია მოვსპვით, რა ხანია გავანადგურეთ.. მაგრამ რას მოსობ. ასე ადვილი მოსასპობია? ჭირივითაა ეგ, ხელად ამოჰყოფს თავს, თუ მარჯვედ არ იქნეა. მე მგონია, შენ უკვე ხვდები, რაზეც ვლაპარაკობ?

— ცოტ-ცოტას...

— თავს ხომ არ იკატუნებ, თენგიზ? მე კი ვიცი და აღარც თავის მოკატუნება მჭირდება. კარგა ხანია ეს ამბავი გრძელდება, მაგრამ ვერაფერ ვერ ბედავს მისთვის სახელის დარქმევას, როგორი პანიკა იქნება! მთავარია უბანიკოდ და თუ გინდა შუა საუკუნეებისაკენ მიიბრუნე საჭე...

გაჩუმდა და დიდხანს, ძალიან დიდხანს აღარ გაუღია ხმა. ბოლოს როცა დაილაპარაკა, ისეთიარის ჩამცხრალი და გასაცოდავებული ხმა ჰქონდა, გული მეტყინა: რა ლაც ნელ-ნელა კვდებოდა ამ კაცში, რაღაც ძალიან წმინდა და სანუკვარი.

VIII

გადაავდე, თუთი, გადაავდე სავარცხელი!

აჰ, ისინი ისევ აქ არიან — მითავამიდან მოყოლებული მოაქეპამამდე. აღარე ამ ადგილს სხვა სახელი ერქვა, ესენი კი კუნძულს ეძახიან. ყველამ იცის,

რაც უნდა მოხდეს ახლა. როცა იგი პირველად ხდებოდა და თვითონვე ჰყვებოდა თავის ამბავს, მაშინაც ასე იყო, მერცე, ყოველთვის... და ახლაც ასეა. მთელი საიდუმლოებაც სწორედ ესაა: ერთხელ, დიდი ხნის წინათ მომხდარი ამბავი ხდება ყოველ დღე და ყოველთვის პირველად.

— რა უცნაური მუხაა, — თქვა ვაქმა, — ნახე!

— ეს? — გაეცინა ქალს, — შენ რა, პირველად უყურებ?

— არა, მაგრამ იმ თავიდან ისე ჩანდა, თითქოს ნახევარი ტანი საღლაც დაუქარგავსო.

— დიწყვე შენებური?

— მართლა, მართლა. — მუხას შემოუარა ვაქმა — ამას კი ტანი თურმე ჰქონია, ოღონდ ხედავ, როგორ გადახნიქილა? ნეტა რა ძალა დაადგა, რამ გადრიკა ასე საშინლად წელში?

ქალს მისი სიტყვებისთვის ყურადღება არ მიუქცევია.

— ბავშვობაში ცხენობანას ვთამაშობდით აქ. გადავკდებოდით ზედ და პერი! რომელი ქვეყანა გინდა, რომ არ მოგვევლო.

— ქვეყნების რა მოგახსენო, მაგრამ ხრამს გადაღმა კი გადაგიყვანდათ. შეხედე, ხიდივით არაა გადებული?

— ჩვენი მოგზაურობაც სწორედ ამით თავდება.

— ჩუ!

— რა იყო?

— რაღაც სასწაულს მიაშობოვენ მაგ მუხის ფოთლები, თუთი!

ქალმა ისევ გაიციანა და მკლავზე უჩქმიტა.

— აუტანელი ხარ! ღმერთო, რა აუტანელი ხარ!

მერე კვლავ ბალახებში იწვნენ ერთმანეთის ტურნებს დაწაფებულები.

— უპ, სული შემოვებდა, — კენესოდა ქალი, — კარგი გეყოფა...

— არა, — ცეცხლი ეკიდებოდა ვაქს, — არ შეყოფა.

ქალი ხელიდან უსხლტებოდა და სი-

ცილით გარბოდა. ვაჟს გახურებული პირსახე ბალახებში ჰქონდა ჩარგული. ფეთქავდა მიწისგული, ფუთფუთებდნენ, ჩუჩუნებდნენ, წიაკობდნენ მოყვასი და ძმანი მისნი: მწერები, ხელიკები, სირთა გუნდი. ის კი იწვა ახმაურებულ ბუნებაში როგორც სიჩუმე და აყურადებდა.

ფრთხილად, თითისწვერებზე წამოეპარა ქალი. თვალეებზე ხელი ააფარა და:

— თუ მიხვდები ვინ ვარო — ჰკითხა.

— ჩემი ძვალი და ნეკნი ხარო, — ამან უპასუხა.

— არა, მაინც ვინ ვიქნებიო?

— თუთარჩელაო.

— მერე თავს რატომ არ დამანებებ, რას გადამეციდევო.

— უნდა მოგიტაცოო.

— მთვარის მოტაცება ვის გაუგონიაო.

— აბა, თუ არაო და... — ხელი წაავლო ვაჟმა.

— ვაიმე! — დაიკვნესა ქალმა, — შენი ჭირიმე, გაჩერდი... ხომ არ გინდა ახლავე სამი შვილის დედას დავემსგავსო.

— მინდა, — გაიცინა ვაჟმა, მაგრამ უცებ გაჩუმდა და დააყურა: რაღაც ფხიზელი და უცხო გაწკრიალდა ქალის ხმაში. — მინდა, — გაიმეორა მერე, — სახლს რო ჩავაბარებ, უნდა წავართვა დედაშენს და მამაშენს შენი თავი.

— ოჰო, — გაუქილიკა ქალმა, — მეც საშუიდანოემბრო გევმაში გკავარ შეტანილი?

— აბა, როგორ, ერის ბურჯო! — ხელი მოხვია ვაჟმა, — ვინ იცის, იმ სახლში იქნება ჩვენთვისაც გამოიძებნოს ერთი ოთახი. შენ საწინდარი მიბრძანე, რა მოგართვა.

— უჩემოდ ხომ არ ჯობდა გადაგეწყვიტა.

— არა, ასეთ საკითხებში გამოუცდელი ვარ, პირველად ვთხოულობ ცოლს.

— იქნებ მეორედაც ფიქრობ გუ-

ნებაში? ჩემთან შეთანხმებას არ გირჩევ, საწინდარზე გეუბნები.

— რატომ?

— მაალა გემოვნებასთან გექნება საქმე და შენი ჯიბე ვერ ასწევს.

— შენ მაგას ნუ დარღობ. მალე მილიონერი გავხდები.

— არა, მართლა, — გაეცინა ქალს, — მარტო ოქროულობას ხუთიათას მანეთში გამოგიყვან.

— აგიშენებივარ და ეგაა.

— ბევრია? ამაზე ცოტა რაღა იქნება. საათი ხომ იცი რომელია ახლა მოდაში? ერთიც ბრილიანტისთვლიანი ბეჭედი, სამაჯური, საყურე, საქორწინო ბაჯალლო...

— მართლა დიდი გემოვნება გქონია.

— ხომ გითხარი.

— ასე გიყვარს ბრილიანტები მთვარის ქალო?

— მიყვარს... და განა მარტო ბრილიანტები? ლამაზი კაბებიც მიყვარს, მაღალქუსლიანი ფეხსაცმელებიც, მანქანაც, დროსტარებაც და კიდევ მიყვარხან შენ!

— მადლობელი ვარ, ბოლოს მაინც რომ გავახსენდი.

— შესაერებთა გადნაცვლებით ჯამი არ იცვლება, — გადაიკისკისა ქალმა და ვაჟს აბურდულ თმებში შეუცურა ხელი.

ვაჟმა ისევ დააყურა: რაღაც წკრიალებდა ქალის ხმაში მისთვის უცხო და ძალიან, ძალიან ფხიზელი, ჯერ რომ არ შეუნიშნავს და ახლა აგულისყურებდა პირველად.

— ბანკს გავძარცვავ, — თქვა მან.

— აი, თურმე, რა ყოფილა! ეგრე გინდა გახდე მილიონერი?

— არ მოგწონს?

— ძველია. რამე უფრო ახალი და ორიგინალური მოგეფიქრებინა.

ვაჟმა ტანდაკარგულ მუხას გახედდა.

გიორგი ლაბაძე

თოვლი

— არის ახალიც და ორიგინალურიც. (რატომ ვამბობ ამას? რატომ ვიწროი-
ლევ და მაინც ვთქვი? იქნებ არ იყო
საკურო?)

— აბა? — ქალი შეტრიალდა და
ზურგით ზურგზე მიეყრდნო. ლამაზად
ისხდნენ ორნი ველური ყვავილებით
გადავილ მინდორში. თავზე ვეებე-
რთელა კრიალა ზეცა დაჰნათოდათ, სა-
იდანაც ღვთიურ რეკვასავით ჩამოის-
მოდა რეაქტიული თვითმფრინავის
შორეული გუბუნი.

— სახლს ძირი უნდა გამოვუთხარო,
— თქვა ვაჟმა და ისევ გახედა ტანდა-
კარგულ მუხას, — მე რომ ვაშენებ, იმ
სახლს.

— მშენებელიც ამას ჰქვია, — გაე-
ცინა ქალს. — რატომ, რას ერჩი?

— გავიგე, ვილაცას ოქრო ჩარჩე-
ნია ბალავარში.

— მართლა?

— ჰო, ყველა სახლის ბალავარშია
თურმე ოქრო, ოღონდ დროზე უნდა
შენიშნო და ჩაიჯიბო, სანამ ვინმე და-
გასწრებდეს. ეს ერთმა კაცმა ამიხსნა
სამსახურში.

— ვინ არის ის კაცი?

— არის ერთი, რა მნიშვნელობა
აქვს? რაც მთავარია, იდეაა მომხიბვ-
ლელი და, მგონი, კვივიანურიც. თუმცა
შენ, ინჟინერ-ეკონომისტს, ჩემზე ნაკ-
ლებად არ გეცოდინება, რა ოქროც
ყრია სახლის ბალავარში.

ქალს ისევ გაეცინა.

— ძალიან კარგადაც ვიცი და იმა-
საც ვხვდები, რასაც ამბობ, რომ იცო-
დებ.

— არ თქვა ახლა, ცუდი იდეააო.

— ცუდი არ არის, მაგრამ ორიგინა-
ლურის კი რა მოგახსენო. ახლა ქვეყანა
ეგრე არ ცხოვრობს?

— მაშ, შენი აზრით... დაეჭერება იმ
კაცს?

— რატომაც არა, — თითქოს მი-
უწვდომელი სიშორიდან მო-
ესმა ქალის ხმა, — ის კაცი, თუ
არ ვცდები, საკმაოდ გამოცდილიცაა
და საკმაოდ დაფასებულიც.

— ჩემზეც გული შეტკივა, თორემ
არც შემიამხანაგებდა.

— ალექსანდრე მავას ამბობდა.

— ალექსანდრე? — შეცბა ვაჟი —
ვინაა ალექსანდრე?

— ჩვენი.

— შენ ალექსანდრე გგონია ის კაცი?

— ვიცი, ვინცაა, — ეშმაკურად მო-
ხედა ქალმა, — ნათესავეებადაც ზომ არ
მოხვდებით ერთმანეთს?

— არა, მოგვარეები ვართ და თქვე-
ნი ოჯახის კარგი მეგობარიც უნდა
იყოს.

— სხვათა შორის, სულ შენს ქებაშია.
ჩვენთან სახლში იმდენს გააქებს, მგო-
ნი, ჩემზე მეტად დედაჩემს და მამა-
ჩემს შეაყვარა შენი თავი.

— ასე რომ, ნახავ ამ ერთ წელიწად-
ში რა საქმეები დაეატრიალო, — გაე-
ცინა თავესი ხმავე შორიდან
ესმოდა, — სიზმარიც სწორედ შესა-
ფერიის ვნახე ამას წინათ: ცა —
ქულად, მიწა — ქალამნად, რომ იტ-
ყვიან. თანაც იქვე მზეც იყო — ოქ-
როსთმიანი ლამაზი გოგონა...

ქალს გაეცინა.

— ლაღო ბიძია თუ მოგეხმარა, კი
დაატრიალებ. აბა მაშინემი და ბიძა-
ჩემი არიან ერთი! ახლაც ოცდაათია-
ნი წლების მორალს გვიკითხავენ.

— მომიყვა ამირანი, სიგელსაც და-
მპირდა, გაუჩქებო.

— მართლა? ამირანი, რომ იცოდებ.
ცუდი ბიჭი კი არაა. ღვინოშია ისეთი.

— ვინ ამბობს ცუდიო? მშვენიერ-
ად დაემგობრდით, — ქალისკენ შე-
ბრუნდა, — მაშ, ალექსანდრეც
არა?

— რაზე, ამბობ?

— ვიდეგ უყვარხარ?

— არ ეტყობა? ღმერთო, რა სასა-
ცილო იყო, პირველად რომ მოვიდა
ჩვენთან სამსახურში... შენ რომ დრო-
ზე არ გამოჩენილიყავი, ახლა მისი
ცოლი ვიქნებოდი.

— თუ არ მოგწონდა, ძალას ვილა
გატანდა.

— რა იცი, იქნებ ცოტათი მომწონდა კიდეც.

— რა საცოდაობაში ჩამიდგამს ფეხი, ხედავ?

— აუტანელი! — გულაღმა გაწევა ქალი და თავი ვაჟს მკერდზე დაადო.

ვაჟმა გულნაწყვეტად გადაუსვა თავზე ხელი (ჩემი ოჭროს ფერი თმას) ქალი ტუჩებით მიელამუნა.

— თენგო, — თქვა მერე თვალდახუჭულმა, — ბევრი ფული რომ გვექნება აქ ავაშენოთ ლამაზი, ლამაზი სახლი, ხომ? უკეთეს აგარაკს სად ნახავ?

— სასახლე! — აპყვა ვაჟი, — ერთი მხრიდან ასაწევე ხიდს ვავუკეთებთ და ვინმე რომ მოადგება ხევს, სათოფურიდან გაეძახებთ: „ჰეი, რომელი ხართ მანდ? ასწიეთ ხიდი!“

ქალმა გადაიკისკისა.

— ჰეი, რომელი ხართ მანდ... — და მერე უცებ: — მანქანა?

— მანქანა თავისთავად იგულისხმება.

— შივი „ვოლგა“, — თვალები დახუჭვა ქალმა, — თეთრი ხელთათმანები..

— იაპონური მაგნიტოფონი დავავიწყდა.

— სამოგზაუროდაც წავალთ, მოგზაურობა არ გიყვარს, თენგო?

— ძალიან, იტალიაზე ვოცნებობ.

— შე იაპონიაზე, პარიზის ნახვაც მინდა.

— პარიზიც ვნახოთ და იაპონიაც, ჩვენი ნება არაა? საითაც მოგვეპოვება, იქითვე გავუტევთ.

— რა კარგია! — წამოჭდა ქალი, — გაისად ინსტიტუტსაც დავემთავრებ...

— მანამ კი წადი და ის ბოთლი მოიტანე, წყაროში რომ ჩავდგით გასაციებლად, თორემ არსადაც არ წაგაიყვან.

— ახლავე, მზრძანებელო! — ხაზგასმული მორჩილებით წამოდგა ქალი და მუხისკენ გაიქცა. მოზღვნილი გოგო იყო, ჯინსის შარვალ-ხალათიც მშვენივრად ადგა ტანზე. ფეხი რომ აებოტკა, ვაჟს მოუტრიალდა და თითი დაუქნია, ნუ მიუყურებო. მერე ისევ გაიქცა.

ვაჟმა თავი კვლავ ათას ხმაზე მოფუთფუთე ბაღახებში ჩარგო. ნუთუ საერთოდ ასეა, ფიქრობდა იგი, ხან ცხოვრება ტყუის, ხან სილამაზე? ნუთუ ჭეშმარიტი თანხმობა მათ შორის არ არსებობს?

ქალმა შეორთქლილი ბოთლი მალდა ასწია.

— თბილისშიც სომ ვიყავით, თენგო, სახლს? დედაქალაქია, რაც უნდა იყოს.

— თბილისში? — ვაჟმა ბოთლი ჩამოართვა. (ყველა მტრედ იუკან მოფრინავდა) — თბილისშიც, რა თქმა უნდა.

პარი მსხამი

თოვლში გახვეული ქალაქი ახლა საგანგებოდ მორთულ ხცენას გავდა: ქუჩაში კვლავ ის მოციხფრო-მოაისფრო შუქი იღვრებოდა, ოღონდ ახლა იგი ფუნქციონირის გორაკთან დაპარული მალაქიტის უცხო ცილით გაჭერებულად და ამ საკვარველი ნაქრის წილ, ქარის მიერ რევეზორული ზომიერებით არეული ფანტელეები არტისტული ხმისუბუქით ეცემოდნენ მიწის გაზურბულ ხცენაზე და იღუბებოდნენ.

თენგიზს მისი შემოსვლა არ გაუგია. თავი რომ ასწია, მანინდა შენიშნა: კარბში იდგა საგარეოდ ჩაცმული და... მკერდზე ვარსკვლავი ეკეთა. იმ კარბს არც გამოშორებია, ქვაო ისე თქვა.

— ჭევა? — მიუხედა თენგიზი, — აჰ, გასაგებია, მაგრამ ახლა რაღას უშველი, დაცურდა.

— როგორ თუ დაცურდა?

— ისე, როგორც დაცურებულა ამ მილიონი, მილიარდი, უხსოვარი წლის წინათ. ხშირად არ ვაგიჯონია? ცხოვრობდა ჩვენამდე ასეთი კაცი, რომლის ხსნა ის იყო, იმ ჭევას აიტანდა თუ ვერა მოაწე, რა გგონია?

მზის ამოხველას იწყებდა მუშაობას და მზის ჩახვლის უახს, როცა ქიშხიალწვედა, ერთი, ერთადერთი ნაბიჯი რომ უკლდა წვერზე მოქცევას, კვახელიდან უცურდებოდა.

ახეა, ჩემო კარგო, წამოდგა თენგიზი, იქიდან მოყოლებული დღემდე სწორედ ის ერთი ნაბიჯია, რომ გვლუპავს ყველა ჩვენგანს, იმ ერთი ნაბიჯის სიბრძნე და გამჭრიახობა გვაკლდება გადაშწყვეტ წუთებში... წადი ახლა შენ, ეგ ვარსკვლავი შოიხსენი და ქაფჩას მოჰკიდე ხელი. იმ ქვაზე კი პასუხს მე ვაგებ.

მერე გვიანობამ დაეხეტებოდა იგი ქალაქის ქუჩებში და სული სავეტქონდა თოვლით.

ძველი ბინის ეზოში (განუხჯელად, განუფიქრებლად, თითქოს ფეხებმა თავისით მოიყვანესო აქ) ონკანთან ქალი დალანდა. ღამეში კარგად არ ჩანდა, მაგრამ გუმანით მიხვდა, ვინც უნდა ყოფილიყო და უჩუმრად, ნდომით, ალტკინებით მიეახლა ჭურჭლისკენ დახრილს და ძალღმად შემოხვია ხელი.

— ოჰ! — წყნარად წამოიკვილა ქალმა.

— წამოდი ჩემთან!

— გაგიუღი? გივი სახლშია.

— ფეხებზე მკიდია, წამოდი!

— არა.

— წამოდი!

— არა-მეთქი! — გაიბრძოლა ქალმა, — მაშინ ხომ არ გინდოდი, მაშინ ხომ გამიქეცი, ახლა მე აღარ მინდისარ.

— ვერ მოგართევს, — კვლავ მკლავებში მოიქცია თავისი საუფლო — ვერ მოგართევს, მუყნა!...

მაგრამ უცებ ქალი საღლაც გაჰქრა და მას არცეი უგრძნია, როგორ მოხვდა მუშტი სახეში... მუხლი მოექვეთა, ჩაიკეცა. „არ ვარ მე პატოსანი!“ — იყვარა უცებ რალაცამ მის არსებაში... ის უჩინარი მუშტები კი ხედებოდნენ და ხედებოდნენ და მის ამღვრეულ, თოვლით ამოვსებულ სულში კიოდა რალაც მისივე ხმით: „არ ვარ მე პატოსანი, არა!“.

IX

— არა!

ეს იყო ჯადოსნური სიტყვა.

პატარა რომ ვიყავი და უფროსები იმის გაკეთებას მომთხოვდნენ, რაც მაინცდამაინც გულზე არ მეხატა, სულ ეს სიტყვა მეკერა პირზე, თუმცა მაშინაც მშვენიერად ეუწყოდი, აზრი რომ არ ჰქონდა ჩემს სიჭიჭტეს: ისინი ხომ მაინც იმას მაკეთებინებდნენ, რაც თვითონ სურდათ ან სასურველად მიიჩნდათ. ყოველცისმარე, გულისკანკალითა და მტანჯველი მოლოდინით ვიმეორებდი ამ სიტყვას, რომ ერთხელ არის და, გაჰრიდა იგი, ერთხელ მაინც იქნებოდა შეწყნარებული და მიღებულ, მაგრამ უფროსობაც არ თმობდა თავისას („ბავშვს გაზრდა უნდა, შენი ჭირიმე!“) და მერე და მერე, როცა ამ ამბავს ჩაუუკვირდებოდი, ყოველთვის

მეჩვენებოდა, რომ სწორედ ეს ჭიბრი, ეს უღმობელი, ნაბიჯმოუცვლელი ბრძოლა იყო ამათი მხრიდან იმის მათეწეხული, თუ რა საოცარი გულიოსკანკალითა და მტანჯველი მოლოდინით ანადგურებდნენ ისინიც თავისსავე სისხლსა და ხორცში აღჩენილ ამ თითის სიგრძე უარყოფას, რომ ერთხელ მაინც მოესმინათ ნანატრი სიტყვა „კი“ და გადაერჩინათ, გაემართლებინათ სამყაროში თავიანთი არსებობის ფორმა („ბავშვს გაზრდა უნდა, შენი ჭირიმე!“)

ყველა საჭოკმანო საქმეს ალბათ ასე სჩვევია. იგი უმნიშვნელო, თავშესაქცევი ამბებით იწყება და მერე ვერც კი გაიგებ, როგორ ნელ-ნელა ერევა სერიოზული, საქმიანი კილო ამ თავშესაქცევი ამბავში.

მთავარი ინჟინერი სიგარეტს ეწეო-

და და თან თავის ახალბედა ინჟინრობას იხსენებდა. პირველად მასაც ჩემსავით დამართნია: დურგლები დასჭირვებია მშენებლობაზე და როცა გამოცხადებულან, ვაჭრობა დაუწყეთ, რას მოგვცემო.

— როგორ თუ რას მოგვცემთ, — ღიმილით ყვებოდა მთავარი ინჟინერი, — თქვენ რა, სახელმწიფო ნიხრი არ იცით? რასაც გამოიმუშავებთ, იმას მიიღებთ-მეთქი.

ეშმაკურად ჩაიციენს იმ მამაძაღლებმა.

— არაო, — მითხრეს მერე, — მაგ ფასად ვერ ვიმუშავებთო, — და წავიდნენ.

ეჰ, გამოუცდელიობა, გამოუცდელიობა!

ახლა ჭერი ჩემზე იყო.

ისევ მის კაბინეტში ვიჯექით ერთმანეთის პირისპირ, საწერი მაგიდის გადაღობა-გადმოღობით, ოღონდ ამჯერად მე გამოუძახებლად, თვითონვე გამოცხადდი და არც მიაშინი ესწრებოდა ჩვენს საუბარს — ცოლ-შვილი ჩამოსვლოდა მთავარ ინჟინერს და შინ დაეტოვებინა.

რა მემამბნა? როცა ორი ადამიანი თავიანთ თავგადასავალს უყვებიან ერთმანეთს, ისინი ნელ-ნელა ერთმანეთის თანაზიარნი ხდებიან. იქნებ ამის შიშმა ამომადგლო თავშესაქცევი ამბების კალაპოტიდან? ან კიდევ სულ სხვ: რამ შემიჯდა და წესი დამარღვევინა? რას გაიგებ კაცის გუნება-განწყობილებას, თუნდაც ეს კაცი შენ თვითონ იყო. თითქოს ჯიბრზე გამოტყვრა ბიძა-ჩემიც თავის გაფხეკილი კეფითა და წარტყუნა უბურებით: „ვერ ვინმარჯვეთ, თენგიზ, ბიძიკო, ვერა...“

მამე, ვერ ვინმარჯვეთ?

— პირველად, თბილისში რომ ჩავედდი, — ვთქვი ჩემდა წილად, — სულ ის მივირბოდა, კუჩაში ხალხი როგორ დადის, მანქანები, რატომ არ სრესს-მეთქი.

— მერე შეეჩვიეთ.

— კი, ოღონდ ტრანსპორტში ერთ.

ხანს ისევ მგზავრებზე ვიყავი ჩაფრენილი... სანამ ბიძაჩემმა არ გამაშვევინა და იქვე, სახალხოდ არ დამმოძღვრა: ტროლეიბუსში ხალხს კი არ უნდა მოკიდო ხელი, სახელურსო. მერე კუჩაში გადასვლის წესიც მასწავლა: ჭერ მარცხნივ უნდა გაიხედო და მერე მარჯვნივო. აი ამაში დაიხარჯა სულ ის ოთხი ათასი მანეთი

მთავარმა ინჟინერმა სივარტი ჩააქრო.

— ძიან ბიძა გამოგჩენიათ, — მითხრა გულგრილად, — მაგრამ იქნებ აჭარბებთ, თენგიზ?

— რაზე ამბობთ, ბატონო ლაღო?

— უმადური საქმეა... ერთმა პატარა ექვმა, შეიძლება, პატროსანი კაცი გაგალანძღვინოს.

აჰა, ყველაფერი რიგზეა! ასეც ვიცოდი. ახლა ის უნდა მეთქვა, აქ რისთვისაც ვიყავი მოსული. წელან ბავშვობისაყენ რომ გვენი პირი, პირველად ის მოვიხილე, რა არ დამიკარგავს, რა არ დამიფანტავს და დანიისამარებიო, უკან რომ ვეღარ დავიბრუნებ-მეთქი ვეღარასოდეს. და აი, ამ ჩემი საოცარი ჯაღოსურთი სიტყვით შემოვიქეცე იმ სამყაროში, სადაც სწორედ ის უოფილა მთავარი, ბავშვებს რომ სულაც არ სჭირდებოდათ: პასუხისმგებლობა და მოვალეობა — შენი თავის, შენი ხალხის, შენი ქვეყნის წინაშე. ახლა მე ვიტყოდი „არას“ და წინდაწინ მახარებდა ის ახრი, რომ ამ „არას“ ამჯერად ანგარიშს გაუწყვდნენ, რადგან იგი იმ დიდი პასუხისმგებლობისა და მოვალეობის გრძნობით იქნებოდა გამავრებული.

და მე ვთქვი:

— არა!

ჩემს სიტყვას დანიშნულების ადგილამდე მაშინვე არ მიუღწევია, სადღაც ჩვენს შორის გარჩა ფერად წარწერასავით ჰაერში გამოკიდებული. ორიგენი დიდი ინტერესით შევეცქეროდით ახ-

ბიორბი ლაბაძე

თ. ო. ვ. ლ. ო.

ლა ამ წარწერას და ჩვენ-ჩვენთვის თითქოს ვკითხულობდით კიდევ. მე კვლავ მოველოდი, მოველოდი იმავე ბავშვური სიკვრებით, სიჯიუტით და, თუმცა ამჯერად ჩემს გამარჯვებაში ეჭვი არ მეპარებოდა, რაღაც მაინც მიკარგავდა მოსვენებას.

მაღე ყოველივე ნათელი გახდა, როცა წარწერა გაქრა და მე და მთავარი ინჟინერი ისევ პირისპირ შევერჩით ერთმანეთს საწერი მაგიდის ვადაღმა-ვადაღმომით მჭდომარენი: არაფერი არ მომხდარა... ყოველივე ეს თითქოს ჩემი მორიგი ბავშვური ანცობა იყო და ორკოფულად მოლიმარი მთავარი ინჟინერიც საცაა პატარა ბიჭივით დამტუქსავდა (როგორც ადრე მიშვებოდნენ ხოლმე) და მერე იმას გამაკეთებინებდა, რაც მას სურდა ან სასურველად მიაჩნდა. ამან საოცრად გამამწაწა და გამაღიზიანა.

— გაუეთილს გატეხილი სჯობს, ბატონო ლადო, — ვუთხარი პირდაპირ, — ან რა არის დასაფიცი? მართალს ბრძანებთ, ადამიანთა ურთიერთობაში არსებული დაბნეულობა, ბევრი რამის შესაძლებლობას იძლევა: ისინი სანამ გაიგებენ — დუმან, გაიგებენ და — იციან... მე კი ხომ დანახეთ, რვა წლის მერეც ვერ მოვახერხე იმ ოფიხი ათას მანეთზე გაცივნება.

— არ მესმის, — წამოდგა მთავარი ინჟინერი, არადა მშვენივრად კი ესმოდა, ოღონდ ასე უცებ უჭირდა შეგუება, — მე თქვენთვის სიკეთე მსურდა.

— დარწმუნებული ვარ, ოღონდ... როგორ აგიხსნათ... ეს ისეთი რაღაცაა, ვერ გამოთქვამ. იგი დედის ძუძუსთან ერთად შეიწოვება და ორგანიზმისათვის ისევე აუცილებელია, როგორც გული, მაგალითად, ფილტვები და კიდევ რა ვიცი...

— მაგრამ თუკი არსებობს ორმაგი მოგება, რომელსაც ვნება არ მოაქვს არც გულისთვის და მით უმეტეს, არც ფილტვებისთვის, რატომ უნდა ვკრათ ხელი?

— არა მგონია, ე. ი. არა მჭერა მაგ

ორმაგი მოგებისა. მე კი იმ ადამიანების რიცხვს არ ვეკუთვნი, რასაც უნდათ იმას რომ სჩადიან და მერე ამას ხალხისა და ქვეყნის სიყვარულით ნათლავენ.

— ეგ მე გადმომკარით?

— არც მიფიქრია, მაგრამ თქვენთვის ხომ იცით, რა დამიჯდა მე იმ სახლის კედლების ამოყვანა?

— ვიცი, თენგიზ, ვიცი და გვერდშიც მიტომ მინდა ამოვიდგეთ.

— მაღლობელი ვარ... მაშინაც იცოდით, ალბათ, იმ საფრთხობელა ობიექტს რომ მაძლევდით.

— ხომ გითხარით, ვიცოდით და გენდეთ.

— დიდი ნდობაა... მეტი გამოცდილება რომ მქონოდა, შეიძლება, ანგარიშიც არ გამეწია ამ დიდი ნდობისათვის, მაგრამ რახან მოვკიდე ხელი, უკან ხომ ვეღარ მოვკურცხლავდი შეშინებული კურდღელივით.

— და კარგადაც გაართვით თავი, — გამომცდელად შემომაჩერდა მთავარი ინჟინერი, — ახლა რაღა გემართებათ, თენგიზ, ახლა რაღა გემართებათ?

— მესმის, ბატონო ლადო, რისი თქმაც გნებავთ, თქვენს ადრინდელ ნათქვამსაც ჩაუფიქრადი და დღევანდელ ჩვენს ყოფასაც გადავკვლე თვალი... განა ბრმა ვარ? და სწორედ იმიტომ, რომ ბრმა არა ვარ, გეკითხებით მე თქვენ: რის ფასად მოიპოვება ყოველივე ეგ? ვიცი, რასაც მიპასუხებთ — განა ღირსო ამაზე ფიქრი? ღირს, ვინც ჩაუფიქრდება, ვინც არა და — არა. თქვენ წარმოიდგინეთ, იმათაც კი, ვინც ასეთ რამეზე არ ფიქრობს, ეს წინასწარი განზრახვით როდი მოსდით, უბრალოდ, არ იციან, ვერ ხედავენ და იმიტომ. ისინი ყოველგვარ ზღუდეებს აბიჯებენ, რა ფასადაც არ უნდა დაუჯდეთ ეს გადაბიჯება, რადგან ვერ გრძნობენ ამ ზღუდეების არსებობას. მაგრამ ვინც გრძნობს? ვინც იცის?

მთავარი ინჟინერი გულისყურით მსმენდა, მერე სიგარეტს გადასწვდა, მოუკიდა.

— მაგრამ ასე თუ გაპყევით, ყველაფერი ხომ ინტერესს დაკარგავს? — თქვა მან, — ცხოვრება, ჩემო კარგო, ჰადრაკის დაფას ჰგავს. ამ დაფაზე ყოველივე გარკვეულია. თუ ყველა სვლას სწორად გააკეთებ — ორჯერ ორი ოთხი გამოვა და მორჩა. მამაცმა და ალოლიანმა მოთამაშემ კი სწორედ ეს სისწორე უნდა დაარღვიო, რომ ფასი ჰქონდეს თამაშსაც და მოგებასაც.

— თქვენ ჰადრაკი, ეტუობა, ძალიან გიყვართ, — ვთხოვარი მე ღიმილით.

— ძალიან.

არც განაწყენებული იყო და არც აღელვებული, უბრალოდ, გულითადაც კი მელაპარაკებოდა, ოღონდ სიტყვები იყო სხვა და რასაც გულისხმობდა — სხვა. გვიმ მთავარი დიაგნოზის დასმაო, მაგრამ თუ ავადმყოფობის გამომწვევი მიზეზი არ იცა, რას გიშველის? ამან კი შემატყო, აღრენილიაო, ლაჩარიც რომ არ ვიყავი, ისიც მიხვდა, მაგრამ რა მალიზიანებდა, იმას ვერ ჩასწვდა და იაღლიშიც მოუვიდა. ოღონდ მისი შინაგანი ხილვის სასარგებლოდ უნდა ითქვას, წინდაწინ თითქოს გრძნობდა კიდევ, ასე რომ იქნებოდა, მაგრამ არ სჯეროდა კი და ახლა ვეჭვაცურად და ღირსეულად იხევდა უკან.

— რა გაეწყობა, — წამოდგა. იგა, — თუ თი...

— თუთის მოვეშვით, — ავდექი მეც, — მან იმაზე მეტი არაფერი იცის, რაც თვითონ თქვენ არ გითქვამთ. ოღონდ ალექსანდრეცო, ასე კი წამოსცდა ამას წინათ.

— ალექსანდრეცო?...

— დიახ. თუმცა გასაკვირი არცაა. გარიგებაში ასეთი რამ ყოველთვის შეედის. ახლაც ხომ ასეა? თქვენ პატრონნად შეასრულეთ თქვენი პირობა: ოქრო, დადება, სიყვარული ჩემს ფერხთქვეშაა... ახლა ჭერი ჩემზეა.

მთავარმა ინჟინერმა ხმაძალა გაიკინა.

— დიდი წარმოსახვის კაცი ხართ, თენგიზ. — თქვა მან, — რასაც გაი-

ფიქრებთ, ცოცხლად წარმოიდგენთ თვალწინ. ეს კარგი იქნებოდა, პოეტობას თუ მიჰყოფდით ხელს, მაგრამ არა მგონია საქმეში გამოვადგეთ. თუმცა ჭერი ისევ ბავშვი ხართ, გეპატივებათ.

— ბავშვი... — მოლიმარ მთავარ ინჟინერს გავხედე მე. კბენის სიმწარემ როდი გამაღიზიანა, პირიქით, დამამშვდიდა. — ბავშვი! არ არის ცულრა სიტყვა. ბიძაჩემიც ასე მეძახდა ზოლმე, ჩემი კეთილისმყოფელი... მე კი საცაა ოცდახუთი შემისრულდება.

— მაინც ვინაა ეგ ბიძათქვენი, ასე რომ გატკინათ გული?

— თქვენ, ბატონო ლადო! — და უმაღლესად დავტოვე კაბინეტი.

X

— დიახ, დიახ! სწორედ რომ ყასაბი ვარ, — ვივის, როგორც ყოველთვის თვალეები უყვიცივებდა, — მე თქვენსავით წიგნებში არ ვიქექები და არ ვწერ დისერტაციებს, მაგრამ კარგად ვიცი, როგორ ვინმარო ნაჯახი. ვინახავთ ოდესმე მუცლის ღრუში მაკრატელი ჩამეტოვებინოს ან კონიაკის ბოთლი? რას იტყვი დოცენტ? მგონი, შენ უნდა იყო დღეს ჩემთან ერთად მორიგე. არა, ხომ? თქვენ კი ყველანი რალა-რალაცის სპეციალისტობას იჩემებთ. კაცი რომ თეძოამოვარდნილი მოვადგეთ, ეტყვი: არა, გეთაყვა, ჩვენ თეძოს არ ვეჭურნალობთ, ჩვენ ბეჭის სპეციალისტები ვართო.

ექიმები იცინოდნენ და თან ხალათებს იხლიდნენ. სამუშაო დღე მთავრდებოდა. თერაპიული განყოფილების გამგემ მხარზე დაჰკრა ხელი.

— ძველი ხარ გივი, გეტყობა, ალიოშას კლასი! თვითონ შვეებულებაში მოუსუვა და შენ დაგტოვა ჩვენდა გასანათლებლად ხომ? მართლა, ის ავადმყოფი როგორ გყავს, აშენებას რომ დაგპირდა?

— დიდებულად, გუშინ სულ დედ-

გიორგი ლაბაძე

თოვლი

მამის სული მიტრიალა და ლოთი მეძახა... ოპერაციის წინაც თუ მაგ ჭკუაზე იქნა, მე მგონია, გადაიტანს.

— შენ რომ პირში წვეთს არ იკარებ, როგორ დაგწამა ასეთი ცილი? — ჩაერია საუბარში მორიგე თერაპევტი.

— რომ იცოდე ასეცაა, — სერიოზულად უთხრა გვიმ, — მით უმეტეს, როცა ვმუშაობ... მოიცა, შენ სადღა მიღიხარ?

— ცოლი მყავს ცუდად გვიმ, — მორცხვად გაელიმა თერაპევტს. ცოლი ორსულად ჰყავდა. — ერთი საათით გადავირბენ, თუ რამე იყოს, დამირეკე.

— ე. ი. შენ მამადმერთი არ გწამს, ხომ?

— არა.

— აბა, მოუსვი სახლში და ცირუკალი არ დაგავიწყდეს.

— მიმაქვს, — გაეცინა ექიმს.

ყველანი გაიკრიფ-გამოიკრიფნენ. გვიმ ხალათი ჩაიცვა და ვერანდისაკენ გაუხვია, სადაც გამოჩანმრთულების კვალზე შემდგარ ავადმყოფებს უყვარდათ ჯდომა და გარესამყაროს ჭკრეტა. ექიმის გამოჩენაზე ისინი მოწიწებით წამოდგნენ და მიესალმნენ. გვიმ თავის ავადმყოფები მოიკითხა. მერე პალატები ჩამოიარა. ისიც ინახულა, ვისთვისაც უახლოეს ხანში ოპერაცია უნდა გაეკეთებინა.

— როგორ ხარ, ბებერო, — საწოლზე ჩამოუჯდა, — აღარ კვდები?

— არა, — ორმოცი წლის ჩასუქებული კაცი საწოლიდან წამოიწია, — ოპერაციას როდის გამიკეთებ, ექიმო?

— იმ სამშაბათს გაგჭრი, — უთხრა გვიმ, — მანამ რა წამლებიც დაგინიშნე, ისინი მიიღე და მომაგრდი.

— ჰე, ექიმო? — თავი წამოყო მეზობელი საწოლიდან ცამეტორედ წლის წრიპა ბიჭმა, ფეხბურთის თამაშის დროს ფეხი რომ ეღრძო.

— შენ რალა გინდა?

— კვკვდები, — შესიცინა ბიჭმა. ყველას უყვარდა ეს მსუქანი, გულკეთილი და ხუმარა ექიმი.

— ნუ გეშინია, — ქოჩორში წაავლო ხელი გვიმ, — ავადმყოფობის მიზეზი ფეხი კი არა, ემაგ ქეციანი თავია, რაც შეეხება სიკვდილს, რომ მოკვდე, ჯერ უნდა იცხოვრო, ჩემო ბიჭუნავ...

პალატიდან გამოვიდა და საორდინატოროსაკენ გაემართა. იქ დიდი ხანია წკრიალებდა ტელეფონის ზარი. გვიმ ყურმილს დასწვდა. მისაღებში ეძახდნენ სასწრაფოდ. კარი გამოიხურა და კიბეებს აჩქარებით ჩაუყვა.

მისაღებში ქალი და ორი მამაკაცი დახვდა. ავადმყოფი ტახტზე იწვა და ღმუროდა. გვიმს თვალში მოხვდა ტკივილისაგან გაწამებული და გაფითრებული სახე. შუბლზე სიმწრის ოფლი ესხა; ცხვირი, ტუჩები და ყურები გალურჯებოდა. თვალები შიშისაგან გაფართოებოდა.

გვიმ გვერდით მიუჯდა ავადმყოფს და მაჯა გაუსინჯა, მერე ჰკითხა:

— აბა მაჩვენე სად გტკივა? ჰო, კარგი! პირველად სად დაგეწყო ტკივილი? კარგი-მეთქი, კაცო! სიცხე გქონდა?

ავადმყოფი ხმას არ იღებდა, კენესოდა და კბილებს აღრჭიალებდა.

— შენი ჰიორიმე ექიმო, გვიშველე, — ვედრებით მიმართა ქალმა, — ამფერი უჯიათი კაცია ეგ უბედური. სამი დღეა ასე კბილით გლვჯს ყველაფერს და არაფრით ექიმთან არ მიგვყვა. ახლა ნამეტანი შეაწუხა და დაგეთანხმდა, თორემ არაფერი სჯერა წამლების, ექიმო.

გვიმ მისაღების ექთანს ანიშნა — მომესმარეო და დაკვირვებით გასინჯა ავადმყოფი. აპენდიციტის მეორე ან მესამე შეტევა უნდა იყოსო, დაასკვნა, თუმცა სურათი არც ისე ნათლად ჩანდა. ძალიან გვიან მოეყვანათ.

ლაბორანტი გამოიძახა და სისხლის ანალიზი დაავალა. ამასობაში ავადმყოფს ტკივილები მუცლის არეში კიდევ უფრო გაუძლიერდა, არტერიული წნევა დაეცა, რალაც ხდებოდა მუცლის ღრუში. მოგვიანებით ეს სისხლის ანალიზმაც უჩვენა.

გივი ტრეფონს მიუჯდა, ჯერ თერაპევტს დაურეკა, რომელიც ზაზარში წასულიყო და ცოლს დაუბარა, როგორც მოვა, სასწრაფოდ საავადმყოფოში გადმოვიდესო. მერე ბუხუტი მოიკონხა, ჭირურგიული განყოფილების ორდინატორი, მაგრამ არც ის აღმოჩნდა შინ: ამხანაგებმა გამოუარეს და კინოში წავიდნენო. გივის გაელიმა. კარგად იცოდა, რა კინოშიც დადიოდა უცოლშვილო ექიმების ეს შეთხლებული ჯგუფი. არადა, უასისტენტოდ არ გინდა ასეთი დაბნეული ოპერაციის გაკეთება? სამშაბათი მაინც არ ყოფილიყო დღეს — ოპერაციების დღესტერილური მასალაც აღარ დარჩებოდა სამყოფი.

დრო კი მიჰროდა. ავადმყოფი მისასაღებში თითქმის ორი საათია წევს. რაღას ელოდება?

— ექიმო, — ახლა კაცი მიუახლოვდა, — გეტყობათ ოპერაციაზე თავს იკავებთ, — დაიხარა და ხალათის ჯიბეში დაუწყო ფათური, — ეს ისე... თქვენი ჰირიმე, ძმა ჩემი. თავის დღეში ფრჩხილი არ წამოსტკენია.

გივი ავადმყოფს დააკეჭრდა. არა, ეს კაცი არავის არ ჰგავდა, ვისაც კი მის ხელში გაუვლია მთელი ამ ორი წლის მანძილზე. სტუდენტობიდან მოყოლებული, პრაქტიკა-ლექციაზე, ავადმყოფთან პირველად რომ გაიძახა პროფესორმა და ხერხემლის პულსის მოძებნა დაავალა, მან კი — მესამე კურსის ფრიადოსანმა სტუდენტმა, აფორიაქებულმა და აწითლებულმა, ვერაფრით ვერ მიავნო და მერე ისევ ავადმყოფი შეეშველა — პროფესორისაგან მალულად იმ ადგილზე დიდი ხელი, სადაც პულსი ისინჯებოდა, აი აქედან მოყოლებული ავადმყოფებში მისი მოკავშირენი იყვნენ: ეხმარებოდნენ, ამხნევებდნენ, თავადაც მხნეობდნენ და იმედის თვალით შეჰყურებდნენ. ეს კი ლოკოკინასავით შემძვრალიყო თავის ავადმყოფობის ნიჟარაში და თუმცა ტკივილი სულს ხდიდა, გარეთ არც აპირებდა გამოსვლას. არავითარი

ნდობა, არავითარი მხარდაკერა! თუმცა ერთი წუთით, მისი ძმა რომ ექიმს მიეახლა და ხალათის ჯიბეში დაუწყო ხელის ფათური, მოულოდნელად დამშვიდდა, ტკივილები დაიურვა და იმედიანად შეხედა მკურნალს.

გივის გაელიმა.

— *Hericulum in mora!* — მიმართა ექთანს თავისი პროფესორის საყვარელი სიტყვებით და წამოდგა. — მოამზადეთ!

თვითონ კი ნელა, ძალიან ნელა შემოიკვია საოპერაციო ხალათი, ასევე აუჩქარებლად დაიხურა ქული. ექთანი გვერდით ედგა და ხელს აშველებდა. მანვე აუკრა ცხვირ-პირი სტერილური ნიღბით. ყოველივეს ისე ზანტად აკეთებდა, რომ ექთანმა ერთ-ორჯერ გაკვირვებით შეავლო თვალი. გივიმ სკალპელი მოიმარჯვა და... ოპერაციის გეგმა უცებ შეცვალა. იგი შეფიქრებულნი იყო. ვინ იცის, ბრმანაწლავი იქნებ სულ არაფერ შუაშიაო. საჭირო იყო უფრო დიდი ჭრილის გაკეთება მუცლის თეთრი ხაზის გასწვრივ. დანა ასწია და დამაჯერებლად დაუსვა ორდის ზსნარით გაჯერებული მუცლის კანს. სისხლის წვეთებმა გამოჟონა.

— დამკურნები!

მიაწოდეს და მანაც ზანტი, მაგრამ ჩვეული მოძრაობით გადაკეტა რამდენიმე სისხლისძარღვი. შემდეგ სტერილური აბრეშუმის სხვადასხვა ნომრის ძაფი დაადო და ოპერაცია განაგრძო. მუცლის ფარის აფსკს რომ შეეხო, ავადმყოფი ტკივილისაგან აყვირდა. ისევ შეუშხაპუნა გამაყურებელი და გახსნა მუცლის ღრუ. მარჯვენა ხელი შეყო შიგ. კუჭი დაზიანებული არ აღმოჩნდა, არც ნაღვლის ბუშტი, ლვილიც ნორმალური ფერისა და სიდიდის ჩანდა. გივი გოჯა-გოჯა ათვალეიერებდა ნაწლავებს, ყველაფერი რიგზე იყო. ამან

¹ დაყოვნება საზიფათოა (ლათ.).

შეაშფოთა იგი და ტანში მოულოდნე-
ლად გამჯდარი სიზანტე ერთი ხელის
მოსმით გაუქრო. სწრაფად უნდა შემო-
წმებულებიყო ჭიკაძე. აგერ
მისი თავიც და ფუძეც. გვიგის გააქრ-
ეოლა... არავითარი ანთებითი პროცე-
სი! აბა, რა მოხდა?

ექთანო, თავთან რომ ედგა ავადმ-
ყოფს, წინ გადმოიხარა:

— ექიმო მაჯა არ არის!

გვიგომ გაგანიერებული თვალებით
შეხედა მას. მერე ერთი წუთით შეწყ-
ვიტა ოპერაცია, რათა გულის მოძრაო-
ბა წესრიგში მოეყვანა და როცა ექ-
თნის იმედია იხმა გაისმა — მაჯა
არისო, იგი დაუნდობელ ბრძოლაში
ჩაება. არა, ეს არ იყო ბრძოლა მარ-
ტოოდენ ავადმყოფის გადარჩენისთვის,
აქ სულ სხვა რაღაცამ იჩინა თავი —
— ორი წლის პრაქტიკის მანძილზე
დაგუბებულმა და ახლა უხორცო, არა-
ჩვეულებრივ ძალად განსხეულებულმა,
რომლის ხელშიც ეს განწირული კაცი
საშინელ იარაღად ქცეულიყო. ან იქ-
ნებ სულაც მოჩვენებაა ყოველი? ტვი-
ვილებსაგან გათანგული ადამიანის
მუცელში სნეულება უნდა იყოს და
არ არის... რა ხდება? რაღაც მზაკვრუ-
ლად აჩურჩულდა ორტოლი ენით. და-
ყოვნება აღარ შეიძლებოდა. მუცლის
ფარზე ამოლაგებულმა ნაწლავებმა
შრობა იწყეს, შეიძლება დამსკდარი-
ყვნენ კიდევ. საჭირო იყო სწრაფად
უკანვე ჩალაგება და დახურვა. ამის
ისიც ემატებოდა, რომ ერთდროულად
ოპერაციაც უნდა გაეგრძელებინა და
გულის სისხლძარღვთა მწვავე ნაკლო-
ვანებაც გამოეწვორებინა.

და თითქოს ჯიბრზე, ამ დროს ავად-
მყოფს გულის რევა და ჭინთვა დაეწ-
ყო: ჩალაგებული ნაწლავები ისევ
უკან მოსრიალებდნენ...

კვლავ აჩურჩულდა რაღაც ორტოლი
ენით და მის წიაღ ექთნის სასოწარ-
ვეთილი ხმაც გაისმა:

— ექიმო მაჯა ისევ გაქრა.

გვიგის მტკივნეულად შეეკუმშა გუ-
ლი. ბრძოლა დასასრულს უახლოვდე-

ბოდა. გაასკეცებული ენერგიით უტე-
ვდა ის უხორცო და უსხეულო
ძალა. ავადმყოფის პატრონებს საო-
პერაციოს კარები გაეღოთ და ოთახ-
ში იქვრივობდნენ.

— კარი, კარი დახურეთ! — დაიყ-
ვირა მან და ექთნისაკენ შებრუნდა
ექთანმა ოფლი მოხოცა შებლიდან.

— თერაპევტი არ მოსულა? — აღ-
ყაში მოქცეული მეციხოვნესავით იქ-
ითხა ბოლოს მაშველი ძალა.

მაგრამ ამაო იყო ყოველი — გული
გაჩერდა...

გვიგო საოპერაციო მაგიდას მოშორ-
და და სარკმელს მიეყრდნო გახურე-
ბული შებლით. ფანჯრიდან მზის სხი-
ვებით აფერადებული ქალაქი მოჩან-
და. იგი ღიღბანს, დაქინებით უთვალთ-
ვალებდა გარემოს, უთვალთვალებდა
თრთოლვითა და მტანჯველი მოლოდი-
ნით.

უცებ დაინახა, როგორ შეიმდგრა
ცა. გაფრთხილდა და გაქრა მზის
სხივები. ათამაშდნენ და საამოდ აშ-
რილდნენ სარკმლის წინ ჩარიგებულ
ქადრის დასიცხული ფოთლები. თეთ-
რი სინათლე შეუდგა ლაქვარს.

გვიგომ თვალები დახუჭა.

XI

ამასობაში ქალაქის დიდ სცენაზე
ყველაფერი შეიცვალა: ქარმა-რეჟისო-
რმა მოქმედების გეგმა დახვეწა და
ენერგიულად შემოპკრა ფრთა ფრთას.
უმალ გაკრთა და გაილაყნა ელვა. უც-
ნაური ცახცახი შეუდგა ცას. არილდ-
ნენ, აროკდნენ, ათამაშდნენ ფანტელე-
ბი. მერე ის იყო, მოიხსნა ზეცისპირი
და მწყობრ, გაწვრთნილ ათასეულზედა
დაძირა თოვლის ლაშქარი. წამოვიდა
მეწინავე ფანტელთა წყება, მათ სხვა
გამოეკიდა და თავაწყვეტილი ჯირი-
თით, ტრილით, ტრილით დაეშვენ მი-
წისპირისაკენ. თავბრუდამხვევი სისწ-
რაფით შემოიჭრნენ ისინი ქალაქის გა-
შლილ სცენაზე, ისევ აროკდნენ, ისევ
აკეკდნენ, ისევ ათამაშდნენ, მერე
მოულოდნელად გამოეცალნენ უკან

დადევნებულ ნაკადს თოვლისას და დახვავდნენ მომლოდინე ქუჩებში, შენობათა სახურავებზე, ბორცვებსა და ხეთა მაღალ წვეროკინებზე.

უცხო რამ ნათელი ალოცილიდა ქალაქის თავზე.

არა მარტო ბავშვებმა, ახლა უფროს-სებმაც აღაპყრეს მზერა ცისკენ.

„თოვლი, თოვლი!“

უჩვეულო გამოცოცხლებამ და სიხარულმა მოიცვა მთელი ქალაქი.

დიდი და პატარა გარეთ გამოეფინა. მღეროდნენ, ცეკვავდნენ, იცინოდნენ.

გაკვირვება და შიში მერე მოვიდა. როცა თოვლმა ერთი დღე-ღამის განმავლობაში სახე უტევალა ქალაქს.

ამოავსო ქუჩები, წელამდე მისწვდა ხეებს, ჩაჩუშქრა და თეთრ სუღარაშა გახვია მდინარე. ეზო-კარიც გადაფარა ნამქერმა. სახლები კი მიტოვებულ პირამიდებს დაამსგავსა.

შეწყდა მოძრაობა, დადგა და გაჩერდა ყოველგვარი ტრანსპორტი. მოიშალა რადიოკავშირი, ტელეფონი. მხოლოდ ელექტროზაზი გადარჩენილიყო სასწაულად და ნათურებიც იმედის შუქითი ლიცილიცებდნენ ქალაქში.

თოვლი კი მოდიოდა და მოდიოდა. ღუნღულა ფთილები ეფინა ყველგან: თითქოს ჯიბრზე შეიდფერად მოხასხასე სიმწვანეშიც და წყალსადენის ყან-გიან მილებზეც, აყვავებულ კორდებსა თუ შავად მოლაპლაპე ასფალტის ზურგზე. დაქენაობდნენ ვაზულუქებული თეთრი ფანტელები და ქვეყანას კიდით კიდემდე ამოპირთავებით ემუქრებოდნენ.

შიშის ზაფრამ შეიპყრო ქალაქი: თოვლი შუა ზაფხულში?!

მოსუცებს მიეტანა ხალხი. ისინიც ისხდნენ და იგონებდნენ დიდთვლობის ამბებს. ჰყვებოდნენ ნახულს თუ გავონილს, ტყუილსა თუ მართალს: გვირაბებით დავდიოდით ერთ წელიწადს ერთმანეთთანო. თოვლი სახლის სახურავამდე უწყევდაო.

ალაპარაკდნენ ბნელმიმთხრობნიც:

მეორედ მოსვლის ნიშანია ეს თოვლიო. როიათასი წელი ახლოვდება, სწორედ ამ წელსაა ნაწინასწარმეტყველები მეორედ მოსვლა. უეჭველია, თოვლითა და ნამქერით განგვიკითხავს მაცხოვარიო.

შიშმა ღონი და დროსტარება გაახსენა ხალხს. სულ მუდამ საქმეებში, ჩხუბსა და წერილმან კინკლაობებში ჩაფლულნი, გულლიად ეპატივებოდნენ ერთმანეთს.

მაგნიტოფონები გაშართეს გოგო-ბიჭებმა და ახლა მთელს ქალაქში, თოვლით პირთამდე ამოვსებულ ქუჩებსა და მოედნებზე, გაისმოდა ერთ დროს პოპულარული, მაგრამ შემდეგ მივიწყებული სევდიანი სიმღერა:

თოვლი მოსულა,

მოსულა!

თოვდა იმ დღესაც, მეორე დღესაც... მესამეც თოვლისფერად გათენდა უთვალავ ფიფქთა თავბრუდამხვევ რიალში.

ფეხზე დადგა ქალაქის ხელმძღვანელობა. სხვადასხვა უბნებში შეიქმნა მე-თოვლეთა რაზმები:

ისინი წმენდნენ ქუჩებს, თოვლავდნენ სახლებს, გადააქონდათ და გადმოაქონდათ პროდუქტები.

სახეშეცვლილ და გადათეთრებულ ქუჩებში კი სულ უფრო ნელვლიანად ისმოდა მივიწყებული ქართული მელოდია:

თოვლი მოსულა,

მოსულა!

XII

სიზიფე უჩვეულო წკრიალმა გამოადღეძა. რალაც რეკავდა მისი ცხოვრების უღრანიდან, რალაც წკრიალებდა. თვალი ზანტად გაახილა და უშალ ქვეც გაახსენდა — თავის საბედისწერო ლოდო.

მხოლოდ ერთი ნაბიჯი, ერთადერთი... და ეს მერამდენედ!

მილიონი, მილიარდი, უსსოვარი წე-

ბიოგრი ლაპაპი
თოვლი

ღია ამ ერთ ნაბიჯს შეპყურებს მთელი მისი მოდგმა და ვერ იქნა და ვერ დასძლია, ვერ იქნა და ვერ ვადაღდა. მთელს სხეულში უნაყოფობისა და უღონობის მსახვრალი ბინდი ჩასდგომოდა. კვლავ მიღულა თვალი, მაგრამ ისევ დარეკა, ისევ დაიწვია ილა იმ იდუმალმა ზარმაც. სიზიფემ ყური მიუგდო. არა, ეს ხმა მისი არსებიდან არ მოდიოდა; სადაც, მახლობლად, გარესკენელში წკრიალებდა რაღაც და სიზიფეს უნაყოფობითა და უღონობით მოცულ სულში უჩვეულო, კაშკაშა სინათლედ იღვრებოდა.

სწრაფად წამოდგა და კარი გამოაღო. მოძალებული შეუქისაგან თვალმდაბრმავებულმა ერთხანს ვერაფერი გაარჩია. მერე, როცა მზერა შეაჩვია უცხო ნათელს, მის წინ ზღაპრული სურათი გადაიშალა: თეთრ, ქათქათათოვლს ამოვესო ცისქვეშეთი. მოსარკულ კაბადონზე დიდებულად ამომავალ მზეს სხივთა ლეკურით ვადესხიბა უცხო ციალი და მთელი ქვეყანა ახლადდაბადებულს დამსგავსებოდა.

სიზიფემ უჩვეულო ძალის მოზღვაგება იგრძნო. უკან მოუხედავად გამოიხურა მღვიმისკარი და ქალაქისკენ გავალულ ბილიკს მიჰყვა.

დიდებული ღლე იყო. გაქათქათებულ ქუჩებში, ვიწრო ბილიკებად რომ დაეკვალათ მეთოვლეებს, მოდიოდნენ გულღია და მხიარული მოქალაქენი. მოდიოდნენ ფეხით, ხალისით, კისკასით. კარგა ხანია სიზიფეს ასე გამხიარულებული მოდგმა თვისი აღარ ენახა. სულ მუდამ მოლუშულნი, სულ მუდამ შეზღუდულნი, სულ მუდამ საქმიანად თავჩაღუნულები დააბიჯებდნენ ან ავტომობილებს დააქროლებდნენ ქალაქის ქუჩებში და აზრადაც არ მოსდიოდათ ერთხელ მაინც აეხედათ ცისკენ. ათას წვრილმან საფიჭარლასა და საზრუნავში ჩაფლულთ, რომლებიც არაა იყო თვალშეუდგამ, მაღალ ცასთან შედარებით, თვითმფრინავის ბორტზეც კი ავიწყდებოდათ ლავეარდი და ისევ და ისევ დედამიწი-

სკენ ჩამოიცივებოდნენ ხელმწიფის შვილებივით.

ახლა კი მოდიოდნენ მხიარულნი, გულგახსნილნი, სახენათელნი და მათ სიცილსა და კსკასში ჰვიოდა ლურჯი, საოცნებო ზეცა.

ისევ იგრძნო ძალების მოზღვაგება სიზიფემ და თავის საჭილდაო მიზნისკენ გაუწია გულმა.

ლუდის ფარდულთან უამრავ ხალხს მოეყარა თავი. დაეღაჟა, სქელკისერა გამყიდველი ჩამოსხმას ძლივს აუდიოდა. სიზიფე ხალხს შეერია. ყველა თოვლზე ლაპარაკობდა.

— რა გგონიათ თქვენ, — ამბობდა ერთი, — თოვლი თვითონ ცხობრებაა, ადამიანია, აბა! სწორს არ ვამბობ გერონტი? ხუთივე შვილს ვაფიცებ, მართალი მითხარი.

— არ მომკლა ამ კაცმა? — იღიმებოდა გერონტი, — სად მყავს, ადამიანო, ხუთი შვილი?

— ხუთი შვილი არ გყავსო, — ახლა სხვებიც ჩაერინენ ლაპარაკში, — აბა, რატომ ვაფიცებს?

— ეშმაკმა იცის მაგის თავი. სამი მყავს, ორზე ცოლმა მუცელი მოიშალა.

სიზიფემ ლუდი დალია და თავის გზას გაუყვა. ბევრი იარა თუ ცოტა, შუაგულ ქალაქში ამოჰყო თავი. შორიდან დალანდა: მაღალი, გამხდარი, მხედრული გარეგნობის კაცი უახლოვდებოდა. მხარზე ციკქნა მაიმუნი შემოესგა და მოდიოდა ნელა, გამართული ნაბიჯებით. ერთმანეთს რომ გაუბარისპირდნენ, სიზიფე შედგა და მიესალმა:

— თოვლი მოსულა, ბატონო ლადო!

— ჰეშმარიტად, ჰეშმარიტად მოსულა თოვლი! — უპასუხა მან. მერე ერთი აღმა აუყვა ქუჩას, მეორე კი — დაღმა თავის ციკქნა მაიმუნთან ერთად.

შეირხა მოგონების შრილა ხე, მაგრამ სიზიფეს გახსნილმა და განათებულმა გონებამ არ მიიღო წარსული; იგი ძალიან შორიდან მოდიოდა, თითქმის

უხსოვარი დროიდან და აძაბუნებდა მის ნებისყოფას, უფნაროს ხდიდა. ამიტომ არ უყვარდა სიზიფეს წარსულზე ფიქრი. უკან არ მიიხედოო, ტყუილად ზომ არ უთქვამთ ბრძენ მეზღაპრებს. ათასი რამ უცხო ხმა შემოგესმება, გარდაცვლილთა შენთა გულისმომწყველელი კვითინიც, მაგრამ არამცდაარამც უკან არ უნდა მიიხედო!.. სიზიფე დღევანდელი დღით ცხოვრობდა, დღევანდელით და მომავლით. ახლაც ხელი აუჭნია მოგონების შრიალა ხეს და მოხუც მეფანდურეს მიაპყრო სმენა. იგი ბაზრის წინ ძელსკამზე იჯდა და ტუბილი ბებრული ხმით ძველ ქართულ სიმღერებს ამღერებდა ფანდურზე.

ამასობაში მოკალაქეთა ახალი ნაკადი გამოიშალა ქუჩაში. ესენი ქალაქის ერთი დიდი საწარმოს მუშეები იყვნენ და სამუშაოზე მიეშურებოდნენ. მოხუცს რომ გაუსწორდნენ, ერთმა ეშმაკურსახიანმა მუშამ ჩაუქილიყა ბერიკაცს:

— ძია კაცო, რომ მღერი, თვალებს რად ხუჭავ, ა?

— რათა, შვილო, და ყველა სიმღერა ზეპირად ვიცი, — უთხრა მოხუცმა, — კითხვა აღარ მჭირდება.

— ეგეც შენ! — ახარბარდნენ მუშეები, — მოგიჭრა თუ არა!

— ბიჭებო!

— რა იყო?

— ქალაქკომის მდივანი!

ყველანი მათეკენ მომავალ ბეჭებრტყელ, ახოვან ვაჟკაცს შეაჩერდნენ. მდივანი როგორ არ ენახათ, მაგრამ ასე უბრალოდ, ფეხით მოსიარულე — არასოდეს. ეშმაკურსახიანს კიდევ უფრო გაუერთა მარტი თვალეებში. თოვლი მომუჭა და სანამ ვინმეს რამეს ეტყოდა, მდივანს ესროლა. მდივანმა წარბები აწიპა, სახეგაშლილ მუშებს ჭიდახედა და უცებ თავიდაც გაეხსნა შუბლი. სწრაფად დაიხარა, ძალუმი მხრები შეაბრია და ამ მარღს ზედ ცხვირპირში მიაფარა გუნდა.

მდივანი გუნდაობსო!

იხუვლა ყველამ ერთად, ზოგი იქით ვაიყო, ზოგი აქეთ და დადგა თოვლის კორიანტელი.

ცოტა ხნის მერე მდივანი შეუმჩნეველად გამოეცალა ეშხში შესულ მოგუნდაეებს, ტანისამოსი დაიფერთხა და ქალაქკომისაკენ გაუხვია. სიზიფეს რომ ჩაუარა, ღიმილით მიესალმა. საოცრად კმაყოფილი და მხიარული სახე ჰქონდა.

სიზიფემ, შორს თეთრად მოლივლივე მთას გახედა. ისევ აჩქამდა ძარღვებში სისხლი. გამოჯანდაკებული კვიმთლელივით მოეხარა მხრები, ხელები წინ წამოუცვივდა და ასე განაგრძო გზა თავის საჯილდაო მიზნისაკენ.

ძველ პავილიონს რა უწია, ვილაც გამობანცალდა გზაზე და პირი მისკენ ქნა. სიზიფემ პირველად ვერც იცნო იგი: საკინძე მოლლეტოდა, თვალები ჩაშავებოდა და გაუბარსავ სახეზეც თანგისფერი ვადაჰკრავდა.

— შენა ხარ? — ხელი ჩაავლო სიზიფეს, — კი, შენ ხარ...

— რა იყო, რა მოგივიდა? — გაოცდა სიზიფე.

— ნულა მკითხავ!.. ამ ხელებს ხომ უყურებ, სისხლით მოთხვრილ ხელებს... ჰოდა, ნულარ მკითხავ!

სიზიფეს გაეცინა.

— ილოთე? წადი სახლში, დაისვენე.

— სახლი!.. ნუ ყვირი, სადაა სახლი? ნუ ყვირი-მეთქი... არსად არაა სახლი და დასვენება... ისინი კი შენ როდისღა გთხოვენ შეველას, ქალაღდის ნაგლეჯს, თავიანთ სატკაცუნო ქალაღდის ნაგლეჯს, შენი ზალათის ჯიბეში რომ გაუჩინარდა... ესაა მთელი უბედურება. აბლა ვიღას გინდა დაუბრუნო ეს ნაგლეჯები, ჯიბეს რომ გიწვავს? ვიღას უბრუნებ?... ნუ ყვირი, თუ ღმერთი გწამს, ნუ მიყვირნი!... თუმცა არა... ჩემი ხმა ყოფილა. აპატეე შენს ძმას, შენს ლოთ, ცოდვილ ძმას...

და წავიდა, წაბარბაცდა.

გიორგი ლაბაძე

თოვლი



სიზიფეს ყელი გაუშრა. ისევ შეივრხა მოგონების სანუკვარი ხე და ისევ უკუაგდო მისმა ტვინმა, ოღონდ პავილიონისკენ მაინც შეუხვია და წარსულის მწარე შარბათს, დღევანდელი ცივი ღუღი მიაყოლა. სანამ სვამდა პავილიონში ერთი მოხუცი ქალი შემოფრატუნდა.

— ნახევარი კილო ძეხვი ამიწონე, შვილო, — უთხრა დახლიდარს და ფული გაუწოდა.

— დღეს ხორცის ქამა როგორ შეიძლება, დედი, — გაეხუმრა დახლიდარი, — მარხვაა.

— იპ! — ტურები მოწყურა დედაბერმა, — ყველანი თუ წაწყდით და ჯოჯოხეთში მოხვდით, შვილებო, მე რა შავი ქვა მინდა სამოთხეში.

სიზიფეს გაეღიმა და ის იყო, გარეთ აპირებდა გამოსვლას, რომ გვერდით, მოფარებული კუთხიდან, ეალოკოს ხმა მოესმა. ეტყობა, თავის ამფსონებში იჯდა. ვერ ზედავდა, მაგრამ ნამდვილად მისი ხმა იყო. ერთი პირობა მისვლა და გამოლაპარაკებაც კი მოუნდა, მაგრამ უცებ ნაცნობ სიტყვებს მოჰკრა ყური და ფეხი შეიჩერა:

— ასე იყო, აბა! — ყვებოდა ვალიკო, — მაგენი მასწავლიან ქვის ამბავს მე? (ბიკოს!). პირველად გაჩუმებული ვიყავი, ვფიქრობდი, ვაცდი ერთი, რას იზამენ-მეთქი. მერე კი გავიკეთე ვარსკვლავი და მივედი...

სიზიფეს კეთილმა ღიმილმა გაუნათა სახე. უკან გამობრუნდა და ქუჩას მიაშურა. კვლავ ამორგდა ძალა, კვლავ აებურთა კუნთები. გზა მოჰკრა და პირდაპირ მთავარ ქუჩაზე ამოჰყო თავი. აქედან უკვე ახლოს იყო მიზანიც.

მთავარ ქუჩაზე კიდევ უფრო იგრძნობოდა გამოცოცხლება. ფართოდ ვაკვალულ შარაზე მოდიოდა დიდი და პატარა, ნაცნობი და უცნობი. ისინი თითქოს არც ლაპარაკობდნენ, უბრალოდ უღიმოდნენ ერთმანეთს. მათ შორის კი იწვა თოვლი და თეთრად ეღვარებდა პირველყოფილი სიწმინდით... ასეთი ერთიანობა, ასეთი ადამიანური ურთი-

ერთგაგება ამ ხალხის სახეებს დასდევდა. ისინი თითქოს უთქმელად, ულაპარაკოდ კითხულობდნენ ერთმანეთის ღიმილში მთავარსა და არსებობას. კითხულობდნენ თოვლსაც, დიდ თეთრ წიგნს, რომელიც ნაწილი იყო მათი და თავადაც ამ თეთრი სიბრძნის ნაწილებად ქცეულიყვნენ.

გულმოცემულმა სიზიფემ ნაბიჯს აუჩქარა და მალე მთასაც მიადგა. იი, აქედან იწყებოდა მისი ყოველდღიური ილაჯამწყვეტი ჯაფა და აქვე მთავრდებოდა უნაყოფოდ და უშედეგოდ. სიზიფემ ზეახუნდა. მთა თეთრ გამოწვევასავით ქათქათებდა, თითქოს სადღაც, უფრო ზევით, კიდევ უფრო მაღლა უნდა წასვლაო, და სიზიფესაც თავისკენ ეახნდა. სიზიფე დაიძაბა, თხელი ნესტოები აუთრთოლდა, მაგრამ უცებ მოეშვა და გარკებისაგან წარბები შეჰყარა.

ვიდაცას დაესწრო და წასულიყო მთისაკენ. პატარა, ბავშვური ნაფეხურები აჩნდა უბიწო თოვლს...

სიზიფემ გაიხედა და მთის კალთაზე წითელ... სისწლივით წითელ წერტილს მოჰკრა თვალი... წერტილი მოძრაობდა და თეთრი თოვლის სიქათქათეში ალისფრად ანათებდა.

სიზიფე ადგილიდან მოსწყდა. ვეფხის სიმარდით ევლებოდა პატარა ნაფეხურებს და მაღლა-მაღლა მიიწევდა.

აბა, უყველა მოსახვევში, ზელში აიტაცა და მკერდზე მიიკრა თავის საბედისწერო ტვირთი, რომელიც ახლა გალიგებებული როდი დავანებულიყო მის უბეში, თბილად, თბილად ფშვინავდა და თან ამოდსამენელი ზმით ტიტინებდა:

— რატომ არ მოხვედი, გიზი, ჩემს კონცერტზე? ვერაფრით ვერ დავუკარი.. გულისყური სულ კარისკენ მქონდა... მთელი პროგრამა ჩამეშალა...

აცხუნებდა მზე, ქათქათებდა თოვლი, ამოდოდა ზუზუნიდან კვამლი...

უსათუოდ დასძლევდა სიზიფე იმ ერთ საბედისწერო ნაბიჯს, უსათუოდ ავიდოდა მაღალ მთაზე.



ნისლეგი საარაგოზო

აქა-იქ დაჩნდა წყალ-ჭალა,
აქა-იქ — სველი ქვიშანი...
ჯერ რა ვთქვა?...
ავის მაცნეა,
თუ სამწყალობო ნიშანი?..

ნისლებო,
ცრემლი — ნადავლი,
თქვენ რაისთვისლა გჭირდებათ?...
რა ვთქვა...
წახვალთ კი, გადივლით
ან ზეცა დამენმინდება?..

ბიჭურიც მიდის,
როსტომიც და ხვარამზეც მიდის,
გზაზე სუნსულებს
შემოდგომის ნიავი ფლიდი.

ტოტებს აქა-იქ
შერჩენილი ფოთლებიც სცვივა...
მინასაც,
ცასაც ეხლა უფრო რალაცა სტკივა.

რალაცა მიიქვს
ჩემიდანაც სალამოს სურნელს,
დიდხანს მეძებდა
შელამების ნუთები თურმე.

მთელი ცხოვრება მოგელოდით...
ვიცი, ამაღამ
ეს განშორება
დამიძახებს უფრო ხმამაღლა.

სათივის მშავილაგთან

ყვავილნო, თქვენი წამის სიცილი
საცაა უნდა გამომესალმოს.
როგორ უდროოდ
მაწებთ სიცივით,
როგორ უდროოდ
მიხვალთ მკვნესარნო!

გაგზუნებიათ ლამაზი ყრმობა,
გზას გავცქერ:
იყო, არა იყო რა...

და წუთისოფლის ვეება ბორბალს
აბრუნებს ჭამი,
ლოდიც მიგორავს...

ასე ყოფილა...
ბუნების წესრიგს
ასე მოვყავართ ლხინით, გოდებით...
ჩემს გასაუღელსაც
ეყრება ხერგი
და დაღვრემილი გემშვიდობებით.

ჯამთრის სოფელი

სოფელი,
სადაც ერთი-ორი თულაა კომლი,
მიჩუმებულია შუაჯამთრის ნისლით და თოვლით.

ხოლო სოფლის გზა
ჩაკარგულა ზევაებში ისე,
რომ საეჭვოა მზე იხილოს მაისის პირზეც....

აი, სოფელი:
შესაბრალო, ხმაგაკმენდილი
თოვლის კალთაში,
თოვლის გზაზე — როგორც წერტილი.

ლამის სარკმლიდან

მდინარის ჩქამი...
ძაღვების ყეფა..
სარკმლიდან მიმზერს
დრო უცხადესი.

ვის ველოდები...
ამ ყიამეთში
არავინა ჩანს...
ფიფქი შრიალით

თავბრუდამხვევი
ქარბუქის ფრთები
მახვევს ზრუნვის
და ფიქრის ბადეში.

ჩამოდის ციდან,
ბუ მოთქვამს გაღმა,
არ იფერფლება
ღამე იოლად...

გაიტკაცუნებს
ბნელში ბუხარი,
დიდი თრთოლვის
და დარდის ზიარი.

გავალებ სარკმელს,
რომ ძალისძალად
თოვლში გავაგდო.
მონყენილობა.

სტრიქონები ერთი ლამის ფიქრებიდან

უმონყალო ხარ დროის ნისლო,
ტკბილ-მწარე წამო,
აგორებული ლოდი ხარ და ხავეს არ იკიდებ...
საწუთროს ფრთებზე მბრუნავო დღეო,
ლამის ფიქრებში გაღვიძებულო,
რას მეუბნები,
რას მიყვები მდუმარე ჭერქვეშ,
რომ იხედები ჩემს სარკმელში შავი თავშიდან.
ა, ვგ წიაღი: ცხადით თუ სიზმრით,
მოლოდინით თუ წინაგრძნობით
მაგ წყლულებს ვუვლი,
ყმანვილკაცობის ბილიკიდან რომ მოგვეყოლია.

მხოლოდ არაგვთან ვსაუბრობ,
 მხოლოდ მე ვისმენ მის საიდუმლოს.
 მიყვება წყალი ძველისძველ ამბებს,
 თითქოს ნაპირთა ცოდვა-მადლით გულს მიოხებდეს,
 ამ ერთი წუთის ლალი მკურნალი.
 ქოხის კედლები — მუნჯი კედლები,
 ქოხის სარკმლები სანთლის წვეთებს გაუფოთლიათ,
 არა, მდინარეს არ ძინებია...
 არა, მდინარეს არა ძინავს...
 არა, მდინარე ვერ დაიძინებს...
 ოდესმე თუკი დაივანა — მიწის ძარღვებში გაიყინება.

ვერ გავექეცი შენთან შეხვედრის
 სურვილს, ვერ დაგთმე უერთგულესმა...
 დღითიდღე უნდა მოგხედო და გბანო ჭრილობა,
 რომ შენი სივრცის შუქ-ჩრდილები გადაეფინოს
 გასაველელს ჩემსას, რომ აღმოცენდეს
 იმედის ყლორტი უღრანებში, რთელის მოსვლამდე.

ისევ ჩამესმა მომაკვდავი ბერის ჩივილი,
 შვილმკვდარი დედის მოსასხამზე წვიმს განუწყვეტილ-
 თქვენი პირმშო და კაი მოყმე
 სადა გყავთ, მთებო!..
 ვისთვის,
 სად ძინავს,
 ვისი ნახმლევიტ
 წევს ბრძოლის გზებზე და მითვალთვალებს...

სიბნელე სუფევს მეზობლის სახლში.
 არა, ჯერ მამალს არ უყვივლია,
 არ გადმოწულა ნათლის სვეტი აღმოსავლიდან —
 ტყეზე არ ელავს ღამის ღილები.
 ღრმა ძილში თვლემენ სოფლის ძაღლები,
 დავიწყებით მგზავრის ფეხის ხმა...
 თუმცა შორსა ხარ, მოგზაურო,
 მაინც გახსოვარ,
 მო... ჩემი დარდი გიხაროდეს, მსაჯულო ჩემო!



მოთხრობები

მ ს ხ ა ლ ი

რმსტორანი გზის პირას იდგა. სულ ხანი და ვალტერი არც კი დაფიქრებულან, ისე შეუხვიეს ღია ქიშკარში. მანქანა რესტორნის უკან, მოასფალტებულ ეზოში გააჩერეს, რკინის მესერთან, რომელიც „საქმიან“ ტერიტორიას ბალისაგან ყოფდა. ბაღში მსხლისა და ნაძვის ხეები სჭარბობდა. მაგიდები მსხვილი, ბოლოში წაწვეტებული ლითონის ფეხებით ჩაესოთ რბილ მიწაში. ბალის პატარა, რკინის კარი ღია დახვდათ. ვალტერი დაჩერებულად გაეშართა მაგიდისაკენ.

უნაზესი სილა სულხანს ზღვის სიახლოეს აგრძნობინებდა. აქა-იქ მსუყე, მეჩხერი ბალახი გადაწოლილიყო. უფრო მომცრო მაგიდასთან მივიდნენ, მაღალ, ზრდადასრულებულ მსხლის ხესთან რომ იდგა. სწორი არჩევანიაო, — გაიფიქრა სულხანმა.

მაგიდას მიუსხდნენ.

გზატყვეილი სულ ახლოს იყო, ტრანსპორტი განუწყვეტლად მოძრაობდა, და მაინც ირგვლივ ღრმამდუმარებას დაესადგურა.

ბალის სიღრმეში, გრძელ მაგიდებთან მოპურმარილეთა ორი ჯგუფი იჯდა. სხვადასხვა ასაკის, განსხვავებული

ხალხი ჩანდა, თუმცა მათში არც ერთი არ იყო ორდინარული გარეგნობისა. ამ პირთა თითქოს უცხო, თავისებურად დახვეწილი, მეტყველი სახეები უჩვეულო სიტუაციას მიანიშნებდა: პირველი, რასაც ორივე ჯგუფს შეამჩნევდით, ის იყო, რომ ერთნაირად ჩუმები იყვნენ — მათი ხმები სულხანისა და ვალტერის ყურამდე ვერც კი აღწევდა. იმასაც შეატყობდით, კულინარიული გემოვნება რომ არ აკლდათ. ორი ოფიციანტი ქალი, საპატიო მისიის ღრმა შეგნებით, ბეჯითად ემსახურებოდა მათ მაგიდებს.

სულხანს თვითონაც ვერ აეხსნა, რატომ აღიზიანებდა ეს სიწყნარე. უბრალოდ, ისევ ის შეხურებული მასლაათის აკომპანიმენტი თუ ერჩივნა ასეთ ხაზგასმულ, ასეთ „შეთქმულთა“ სიჩუმეს.

ვალტერი სულაც არ აქცევდა ყურადღებას არც რესტორნის სტუმრებს, არც გოლიათ მსხლებს თუ წიწვოვანთა ანსამბლს.

ეს დასაავანებელი კუთხე — ნაძვარი და მსხლიანეთი, თითქოს ბაციმწვანე, გამკვირვალე ჰაერით გაშუალებული, არანამდვილის ზღვარზე ესახებო-



და სულხანს. იღუმელი და ამოუხსნელი იყო ეს მხარე, — განსაცვიფრებლად ძველი და, ასე ჩვეულებრივ, ასე უწყვეტად. ამ დრომდე მოტანებული; ზღვის თვალსაწიერზე მზის ჩასვლასავით ნატიფი, ამდენადვე მრავალნიშნა და აზლობელიც. იღუმელების ამ შეგრძნებაში ნაკლულობაც ეცანურა სულხანს: ალბათ, დროთა მანძილზე, ამ სილამაზეს რომელიღაც თვალთუხილავი ფერმენტი თუ დაჰკლებოდა... მოპურმხარეღეთა საპირისპირო მხარეს გააყოლა თვალი: რკინის მესერთან ინდიფერენტული, მსუქანი ძაღლები გვერდიგვერდ ეყარნენ, უხალისოდ, თითქოს არ უნდათო, თვლემდნენ...

ჰუმანურ გარემოში სილამაზე მოკრძალებულ აღტაცებას ბაღებს... რატომ ემტერებიან ვანუმეორებელ სრულქმნილებას, უცნაურს, უმანკოსა და უმწეოს განსაკუთრებით? იქნებ შემცირდა ან აღარ არის კეთილი გარემო, იქნებ მონუმენტური ქანდაკება ითვისებს სულდგმული მშვენიერის სუნთქვას? თითქოს განიერყო სილამაზის არეალი... მშვენიერების ზარდასახვათა გააზრება იგივე კაცობრიული ისტორიის გააზრებაა, ადამიანის არსობის საიდუმლოს წვდომა... არსობის მიზანი რაღაა, თუ არა ის, რომ მშვენიერებისათვის აღანთოს ადამიანი...

ფასეულ სიტყვას როდის იტყვის მავანი და მავანი, არავინ იცის. ის ღირსეული ბაჯალო სიტყვა მაშინაც ითქმება, როცა არავინ ისმენს ან არავის გაუგონია — უსაზელო ჭარისკაცი იგიერთა თვად ის სიტყვა... სიტყვის მთქმელს კი ისღა დარჩენია, საკუთარ თავს უთხრას: მე ხომ ვთქვიო, ამასაც აქვს მნიშვნელობა... საბოლოოდ დრო ყველაფერს შველის — იკარგება მხოლოდ „მე ხომ ვთქვი“ და არა ის, რაც ითქვა, ის კიდევ არაერთხელ ითქმება...

... სულხანი ავად იყო, როცა ვალტერმა შინ მიაკითხა: პირველი შეხვედრა იყო მათი. ფინურ კოსტიუმში გამოწყობილი. სწრაფი ნაბიჯებ-

ით, თვით შემოუძღვა სულხანის მეუღლე ლეს ოთახში. ვალტერი ხუთიოდწლით იქნებოდა მასზე უფროსი. ერთი შეხედვით, სულხანს იგი რომელიღაც ქვეყნის პრეზიდენტს თუ სრულფელებიან ელჩს აგონებდა — ახსოვს, რა ყურადღებით შეათვალიერა საშახურის საქმეზე მოსული სტუმარი: შუბლზე ოდნავ ჩამოშლილი ჰალარა თმა და მოზრდილ ცხვირზე შესამჩნევად ამობერილი ძარღვი აუბრალოებდა მის გარეგნობას.

სულხანის ცნობიერებაში აირეკლა ხელის ჩამორთმევის ექსტი: ვალტერმა, თითქოს რაღაც შეფარული წადილი აისრულაო, ისე დაიქნია სულხანის ხელი. კარგი იყო ეს თუ ცუდი, რაიმე ნიშნეული იყო ამაში თუ არა, სულხანს ამაზე არ უფიქრია. ვალტერი სასთუმალთან რომ დაადგა თავს და ხელის ჩამორთმევას ცდილობდა, როგორღაც განიარაღებულად იგრძნო თავი...

— რას მიირთმევთ, ბატონო სულხან, ბრძანეთ, — ვალტერს თავი ოდნავ დაეხარა და გაყურსული თვალებით ამოსცქეროდა უფროსს.

— ბატონო ვალტერ, პირველ რიგში ღომს და სულუგუნს; სხვა უკვე სულ ერთია, — უპასუხა სულხანმა.

ოფიციალტი ქალი მათ მაგიდასთან შეჩერდა. კორექტული, თავის თავში დარწმუნებული ჩანდა. ჩაცმულობა, ვარცხნილობა, თმის ფერი, პომადა, საყელო გემოვნებით ჰქონდა შერჩეული. მთელ მის იერს გაცნობიერებული საკუთარი ღირსების კვალი ემჩნეოდა, შეფარული, გამომწვევი გამომეტყველება ჰქონდა, თითქოს კლიენტს აფრთხილებდა: უშუალო ემოციების გამოხატვას არ ვაპატიებო.

— ჩვენ არც კონიაკს, არც ღვინოს არ დავლევთ, — უთხრა სულხანმა, — მაგრამ გემრიელ საჭმელს და პატივისცემას მოვითხოვთ. უფრო მეტიც, ჩაიც კი უნდა დავგაღვიწიოთ! — ამ

ოთარ ნოზია
მოთხრობები

ვაფრთხილებს შემდეგ სადილიც შეუკვეთა. ვალტერი მკაცრი გამომეტყველებით შესცქეროდა ოფიციანტს.

ოფიციანტმა მშვიდად მიიღო სულხანის ვაფრთხილება.

— Все будет сделано, и чай по-прошу сварить, — უპასუხა.

ვალტერი ჩვეულებრივ საუბარს განაგრძობდა. სულხანს თითქოს შორიდან მოესმა მისი ფრაზები: „... იოსები მამაჩემის გაზრდილია, თბილისში როცა სწავლობდა, — არ მახსოვს რომელი სკოლაში იყო, — მაშინ ძალიან უჭირდა, ჩვენთან დადიოდა ხშირად... ნოდარს ბავშვობიდან ვიცნობ, ძალიან ვუყვარვარ, ჩემს ხელში გაზრდილი ბიჭია, ეხლაც რომ შემხედვება, არ იცის, რითა მცეს პატივი... თენგიზს პირველად ჩხუბი მე ვასწავლე, უბანში თუკი ვინმე იყო, მეც მაგარი ბიჭი ვიყავი...“

სულხანი მოპურმარილეთა იმ ორ სიზმარეულ გუნდს ვაჟუტრებდა ისევე. ესტიკულაცია, ყრუ, ჩუმი ხმები, დელიკატეზებით, ხორაგით საესე სუფრა, შამპანური, კონიაკი, სამარკო ღვინოები და, მაინც სათუო იყო მათი არსებობა, რეალობის ნიშნები აკლდათ. ცოცხლებს არ ჰგავდნენ... სულხანი და ვალტერი თითქოს მარტონიც კი იყვნენ ამ ჩაჩქმათებულ ბაღში.

ოფიციანტმა მკაღი, ყველი, მწვანელი და საფირმო, გამაგრებულევი წყალი მოიტანა.

— Сейчас будет и остальное, — დაამთხდა ისინი და მაგიდას გაეცალა. ვალტერი გაჩუმებულიყო; გონს მოეგო, მიხვდა, პარტნიორი რომ არ უსმენდა.

თავისი წესრიგი მართავს ამ მიკროსამყაროსაც. ეს ადამიანებიც, — სულხანის აზრით, — ამ წესრიგს ექვემდებარებოდნენ. მაგრამ, მაინც რა ზომით, რა შეფარდებით მონაწილეობს ბუნების კანონზომიერება ადამიანთა ამ ერთიან საკრებულოში; მაინც რაა ამ ბაღში ის იდუმალი და ამოუხსნელი, რასაც გული გრძნობს თითქოს და აზრი კი

ვერ ჩასწვდომია; საიდან ჩნდება უკმარისობის ეს განცდა...

უცბად მოულოდნელმა ზათქმა გააყრუა სულხანი: რაღაც საშინელებამ იფეთქა მაგიდაზე, ვალტერმაც იღრიალა. სულხანს მთლად ვერც კი მოეწრო ფიქრებიდან გამორკვევა, გაოგნებული იჯდა, მხოლოდ ამჯერად ვალტერს შეჰყურებდა. ვალტერს ფერი არ ედო, ცოტათი კიდევ აკანკალებდა. მსხვილი, ყვეისფერი ლაქები პეპლებივით დასხდომოდა სახესა და პერანგზე. სულხანმა შევება იგრძნო, გაუყვირდა — თვითონ როგორ გადაჩა ისე, რომ არც ერთი წინწკალი არ მოხვედრია არც პერანგზე და არც სახეზე. „მაინც რა გიგანტი მსხალი იყო ასეთი, — გაიფიქრა. — ალბათ, მარტო ცალი გვერდი თუ ჰქონდა დამპალი“.

— ბატონო ვალტერ, საბარგულში ხომ გიღვეთ პერანგი, გამოიცვალეთ, მაგას სხვა არაფერი უშველის.

ოფიციანტი მაგიდას მიუახლოვდა, შეწუხდა.

— გთხოვთ შეგვიცვალოთ, ხედავთ, მკაღი გამსხალდა. მაგიდას კი არ გამოვიცვლით, მეორედ ასეთი რამ არ მოხდება, — დაჭერებულად უთხრა სულხანმა.

ვალტერი დაბრუნდა, პერანგი გამოეცვალა, უხერხულად ჩამოჰდა მაგიდასთან.

— ბატონო ვალტერ, — ხმას დაუწია სულხანმა. — ვგონებ, კმაყოფილები უნდა ვიყოთ იმისა, რაც მოხდა: კეთილი ნიშანია, რაღაც სერიოზულ ხიფათს გადავფრჩხობით ალბათ, დაიმახსოვრეთ ჩემი სიტყვა.

ვალტერი მთელი გულისყურით უსმენდა უფროსს. ბოლომდე მაინც ვერ გაერკვია, თუ რატომ უნდა ყოფილიყო კმაყოფილი, ან რატომ მოასწავებდა დამპალი მსხლის მაგიდაზე ლაცემა. გადარჩენას...

ილიკო ღობნამე გაახსენდა სულხანს. არაერთხელ ჰქონდა დაცდილი: სადაც უნდა შეხვედროდა მას, რაიმეს, მოულოდნელსა და არასასურველს გადაეყ-

რებოდა აუცილებლად. ბოლოს ისე წავიდა საქმე, თვალს მოჰკარავდა თუ არა, უმალ ხასიათი უფუჭდებოდა, ცდილობდა მისი მხედველობის არეს გასცლოდა.

მოსკოვში, აეროფლოტის სალაროებთან, პირდაპირ წაადგა თავზე ბილეთის რიგში მდგომს. მიესალმა, გამოელაპარაკა კიდევ, მაგრამ დიდხანს არ გაუჩერდა და სულ სხვაგან — მეტროს სადგურის სალაროში შეიძინა ბილეთი თბილისის თვითმფრინავზე. გაფრენის დღეს, გაელვინა თუ არა, წამსვე ილიკოსთან შეხვედრის უსიამოვნო ვახსენებამ გაკენწლა: „შეხვედრით კი შევხვდით, მაგრამ მასთან დამგზავრებას ხომ მაინც გადავრჩი“, — დაიიშვინა მისი თავი...

თვითმფრინავში ჩასხდომა სამჯერ გადაიდო. დაგვიანება და გადადება საქმოდ ხშირი იყო იმ ხანებში და სულხანიც დიდად არ შეწუხებულა. მაგრამ გამოცხადდა თუ არა ჩასხდომა, იმ წუთიდან დაიწყო მათი წვალეობა: აეროფლოტის მორიგე ისეთი კაბასი და ისეთი უუნარო გამოდგა, მგზავრებს სულ თავ-ბედი აწვევლინა — რიგ-გოც არია, წესიც, და ყველა გაანერვიულა. ზოგმა ვეღარ გაუძლო ამ განუკითხაობას, ბარგი იქვე, თვითმფრინავის ტრაპთან მიატოვა და აეროფლოტის შენობისაკენ გაიქცა სამართლის საქმზნელად.

სულხანმა რის ვაივაგლახით მიადწია თავის ადგილამდე, პალტო და ქუდი ზემოთ, თაროზე შემოდო, სახეზე ოფლი შეიწმინდა, სავარძელში ჩაქდა და თავისუფლად ამოიპუნთქა. მარჯვნივ, სარკმლისაკენ მიიხედა და სახტად დარჩა — გვერდით ილიკო უქდა ჩვეულებრივი, სერიოზული გამომეტყველებით: პენსნეს შუშებიდან ნაღვლიანი თვალები შემოჰკაყურებდნენ სულხანს. რა ექნა, სად წავიდოდა. ისლა... გაიფიქრა: შეიღებს ჭერჭერობით კვირდები, თუ რამ მადლია ქვეყანაზე, ალბათ ღმერთი არ გამწირავს და ამალამ ჩემს ლოგინში დავიძინებო.

ბოლო რეისი იყო. თვითმფრინავში გამოთვლილ დროზე გაცილებით მეტხანს დაჰყო ჰაერში. ისეთი ჭარიშხალი ამოვარდა, სალონის კედლებს სულ ჭრაჰაჰრეტი გაჰქონდა. პილოტმა დიდი გაჰირეგებით დასვა ხომალდი თბილისის აეროდრომზე. ამას იოლი გადაჩრჩენა აღარ ეთქმოდა.

იმ დღეს კი სულხანს ერთი ძველი მეგობარი შეხვდა. შუადღე იყო. აქვე, ინტურისტში ერთად ვისადილოთ, ახალი ხბოს ხორცი აქეთო. — მიიპატივა სულხანი. მეგობრები რესტორნის სიღრმეში, მარჯვენა მხარეს მიუხსნდნენ პატარა მაგიდას და სადილის მოლოდინში მშვიდი, ძალდაუტანებელი საუბარი გააბეს.

სულხანმა ინტურისტის შემოსასვლელში ილიკოს მოჰკრა თვალი. უმალ დაიძაბა. მტკიცედ იყავიო, — თავი გაიძხნევა და მეგობარს გადაულაპარაკა: — მოემზადე, აქ ისეთი ადამიანი შემოვიდა, ცოტა ხანში რალაც უჩვეულო მოხდება.

მეგობარს გაელიმა, თითქოს არაფერიო, მაგრამ სულხანის მღელვარება მასაც გადაედო. საუბარი განაგრძეს. ის იყო მეორე კერძი დაამთავრეს, მხოლოდ ნაყინი და ყავა დარჩნოდათ. ილიკო შორიახლო, რესტორნის დიდი ჰალის ქვეშ უქდა მაგიდას და მშვიდად მიირთმევდა პირველ კერძს.

უეცრად ყუმბარის გასკდომასავით იქექა; შეშინებული მოსადილენი ანგარიშითუცემლად წამოხტნენ ადგილებიდან. სულხანს მაშინაც გულზე მოეშვა: ჰალზე, დღისით-მზისით, სამას თუ ხუთასსანთლიანი ნათურები გასკდა, წვრილ-წვრილ ნამსხვრევებად იქცა და ზოგიერთ კლიენტს კერძშიც ჩაუცვივდა. ილიკომ ჰამა მიატოვა, ადგილიდანაც არ დაძრულა, ისე ელოდა სუფრის განახლებას...

სულხანს და ვალტერს სუფრა განუახლეს. მაგრამ არც ღომსა და მჭადს

ოთარ ნოდია
მოთაროზაბი



და არც სულუგუნს ჰქონდა ის გემო, რასაც მანამდე ჰოელოდნენ. სადილმა უფერულად ჩაიარა.

გზა განაგრძეს.

ვალტერი დუმდა, ამჟერად ისიც ფიქრებს მისცემოდა.

სულხანს, ჩვეულებისამებრ, საქართველოს მაგისტრალურ გზებზე მანქანით მოგზაურობისას სევდანარევი სიმწვიდე ეუფლებოდა; ერთსა და იმავე რკალში ტრიალებდა ოცნებებით შეზავებული მისი ფიქრები. მთლიანობაში აღიქვამდა თავისი ქვეყნის წარსულს. დროდადრო წარმოესახებოდა ტრაგიზმის, საცოდაობის თუ განუკითხაობის, მარტვილობის თუ თავდადების, მტერთა ძლევის აღმწერი ფურცლები. უსამართლობით, ვერაგობით, კაცთა თუ მომხდურთა შეუბრალებელი, გაუგონარი სისასტიკით წამებული და ნატანჯი ყოველი ქართველი სულხანისაგან ითხოვდა თითქოს მხარდაჭერას, სამართლის და ცოდობრალის განსჯას...

... საქართველოს ყოველთვის ჰყავდა ხალხის მესაიდუმლე, მის გულის-თქმასა და მომავლის რწმენას ნახიარები პიროვნებები — დროთა კვშირი არ შეწყვეტილა. ბუნებრივია, ალბათ, რომ ქართველს, რაც უნდა ძნელბედობის ფაში დასდგომოდა, არასოდეს გაუზნდია ტირილი და უსასოობა თავდაცვის იარაღად — მეტრძოლის სიხალისე და იუმორი სჭარბობს მის ხასიათში... თქმა არ უნდა, უვნებლად ვინ გადარჩენილა, ის რომ გადარჩენილიყო... სიხალისესთან, იუმორთან ერთად დიდი სევდის და ტრაგიზმის მძაფრი შევრძნება სამუდამოდ შეესისხლხოტა მის ბუნებას.

წამოკინებლა, სულხანი მარჯნივ და მარცხნივ ჩამწკრივებულ ოდა-სახლებს აყოლებდა თვალს. თითქოს ერთმანეთს ჰგავს ყველა ოდა, და მაინც ყოველ ოდა-სახლს თავისი სახიერება

და გამომეტყველება აქვს. განსაკუთრებით წვიმაში დგანან ასე გატრუნულები და გასულიერებულნი. ამ ცისქვეშეთში გულრიად და შეუდრეკლად ხვდებიან თავიანთ აუცდენელ, ვარდულვალ ხედრს. წვიმაში თვალადები, ტანადები და ჩაუქები ხდებიან უფრო, მათი პატრონების წინაპართა ხასიათი და ბედი გამოსკვივის მათ სილბოში, უცოდველ, უდრტვინველ ერთგულებაში...

სულ სხვა სახლებია კახეთში გზის გასწვრივ ჩამწკრივებული. ისინი გვერდიგვერდ, ზურგმეტკევეთ, გაბუტულები დგანან, ვერ ენდობიან — გზას, მას შემდეგაც კი, რაც, აი უკვე ორი საუკუნეა, მშვიდობა სუფევს ამ გზებზე. მაინც ეკვით არიან სავესნი, — დიდი, მოურჩენელი ტყვილები აქვთ მახსოვრობაში ჩარჩენილი. მძიმე-მძიმედ, აქაიქ თუ შემოტრიალდნენ ფასადებით გზისაკენ.

განახლებული საქართველოს გზებზეც კი ამოიკითხება საქართველოს ტრაგიკული ისტორია...

წარსულის დიდი საიდუმლოა ქართულ სახლებში შემონახული. სვანებს ციხე-სიმაგრეები და საცხოვრებელი სახლები ერთად აუგიათ — სიმაღლისაკენ, ცისკენ მოუწოდებია ისტორიის მათთვის, ალბათ იმიტომ, რომ აქაც, ამ მხარეშიც გადარჩენილიყო ქართული მადლი და სილამაზე. მესხეთ-ჭავჭავთში მესხსა და ჭავჭავს მიწის სიღრმეში გაუმართავს ფართო დარბაზი, კლდეში გამოუკვეთია ეკლესია-მონასტრები და ქალაქები. და ასე ყველგან, ყოველ კუთხეში, მიწაზე, ცაში თუ მიწის სიღრმეში დაპატრონებია ქართველი თავის ქვეყანას, თავისი სუნთქვით დაუმუხტია ჰაერი და საკუთარი სხეულით გაუთბია მიწა...

... კიდევ დანგრეულა სრა-სასახლები, გატალღებული ბაღნარები, გაჩენილა ტყე და ვენახი, უგზო-უკვლოდ ჩაქარგულა ქართული გენი, შთანთქმულა და განადგურებულია ქართული ბელ-

ნაწერები, სიველ-გუჯრები — ქართული სიტყვა, მარილიანი და პილიპილი... მაინც გადარჩენილა აურაცხელი სიმდიდრე — ქართული სულის ცხოველი სვეტი. რა შემთხვევითობამაც არ უნდა შეუშალოს ხელი ამ სხივის შეღწევას ადამიანთა სულსა და გულში, ცხადია ერთი: სრულქმნილი და ერთიანი ვერ იქნება კაცობრიობის ისტორია ქართველი კაცის განცილებისა თუ ნამუშავეის გარეშე, თუნდაც ამ თავმდაბალი ოდა-სახლების გარეშე... ირგვლივ უკვე ბნელოდა. ნაწვიმარზე, ღია სარკმლიდან, სასიამოვნო ოზონი აესებდა მანქანის სალონს. ვალტერი გზას მისჩერებოდა.

— ცოტაც და მალე გორში ვიქნებით, — გამოელაპარაკა სულხანი მძღოლს.

— რასაკვირველია, ბატონო სულხან, ოღონდ ბენზინი თუ გვეყო; თუმცა თუ გაკირდა და „ბენზოკოლონკა“ დაკეტილია, მაინც მოვახერხებ გორამდე ჩასვლას, — მოულოდნელად აუწყა ვალტერმა უფროსს თავი გასაჭირი.

თავისებური კაცია ვალტერი: ისე დააყენებს სულხანს რაიმე დაბრკოლების წინაშე, თითქოს ასეც უნდა ყოფილიყო; ერთი მეორის მიყოლებით არც ერთმანეთის საწინააღმდეგო აზრების გამოთქმას ერიდება. ისიცაა, უჭირს ზღვარის გავლება სინამდვილესა და გამოგონილს შორის, ჩვეულებრივ, რეალურ ამბებში ფანტასტიკურსაც აქსოვს.

დასასვენებელ სახლში, საიდანაც ახლა ბრუნდებოდნენ, სულხანმა და ვალტერმა რამდენიმე დღე დაჰყვეს. ვალტერს ღონეცკელ მალაროელთან მოუწია ერთ ოთახში ღამის გათევა. მშვიდობიანი, უწყინარი კაცი აღმოჩნდა მისი პარტნიორი. იგი პირველად იყო საქართველოს ზღვისპირეთში, წაქლებად იცნობდა ქართველებს და აფხაზებს. ჰოდა, მორიდებით გაანდო თავისი ექვები ვალტერს:

— პირადად არაფერი ვიცი, მაგრამ გამივია, აქაური ხალხი რომ მეტისმეტად ფიცხია. სიფრთხილეა საჭირო.

თორემ, ალბათ, ადვილად გადაეყრებოდა კაცი ფათერაკს.

ვალტერს წარბიც არ შეუხრია. ისე დაუდასტურა ახალშეძენილ მეგობარს ეს ყურმოკრული ინფორმაცია აფხაზებისა და ქართველების ხასიათის თავისებურებებზე.

— დღისით ხომ ძალიან უნდა გაფრთხილდე, ჩემო ძვირფასო მიხეილ, ღამეც ვაბმულად ძილი სახიფათოა; ფხიზლად თუ არ იქნები, ისიც კი შესაძლოა, ფანჯრიდან გადმოძვრეს ვინმე და ყელი გამოგლადროს, — აუხსნა სტუმარს.

მეორე დღეს კი, პლაჟზე, თავის უფროსს უყვებოდა: იმ საცოდავს თურმე მთელი ღამე არ დასძინებია, ვაითუ ვინმე თავს დაგვესხასო, — ამის მოლოდინში თეთრად გაუთენებია, ერთიც არ დაფიქრებულა, ამ ჩემს მეზობელს ეგრე არხენიან რადა სძინავსო. ვალტერი ჭრელ საბანაო ტრუსებში ნაპირის ახლოს დაეკურავდა მხარულით. ხანგრძლივი ნაოსნობით გადაღლილი აღმირალივით ერიდებოდა ზღვის სიღრმეში შესვლას.

— დრო იყო, „აკულას“ მეძახდნენ, მე რო ვცურავდი ის სხვა იყო, — თქვა და თავი მკვეთრად ააქნია ზემოთ. — ისე შორს მივდიოდი, თვალის დასანახად აღარ ეჩანდი. ხალხს უკვირდა, ბევრს ეშინოდა კიდევ, არ დაიბრჩოსო, — ხალისიანად იხსენებდა ვალტერი. მეგრე თვალები დააბრიალა, წამოდგა, მკლავები ზე აღმართა, ერთი ომანიანად შეჰყვირა და შეხტა, იქვე, მუხლებამდე წყალში მოადინა ზღართან, ფეხები წყალზე აატყაპუნა, დგაფუნ-დგაფუნით გაეკურა ისევე ნაპირის გასწვრივ. სულხანი ახლავდა მიხედა, წყლისა რომ ეშინოდა მის მძღოლს და იმიტომაც ტრაბახობდა ასე უმოწყალოდ...

გორის უღელტეხილზე დაეშვნენ. ვალტერი დროდადრო, ბენზინის ეკონომიისათვის, ძრავას გამორთავდა ხო-

ოთაჲ ნოღია
მომხარუზაბი

ლმე — თავდამართში ინერციით მია-
გორებდა მანქანას. საცაა სოფელ ტი-
ნის ზღისაჲ ჩაუჭროლებენ. ამ სოფ-
ლის გზაზე „ჩაქლისას“ სულხანს ეს
მერამდენედ (ალბათ სულ ასე იქნება
სიკოცხლის ბოლომდეო, ფიქრობდა
იგი) ახსენდებოდა ერთი ნაცნობი და-
ბაისელი მწერლის მოთხრობა „ტინის
ზიდიდან გორამდე“, სადაც მთავარი
პერსონაჟი — გლეხი სულ იმის ნატე-
რაშია, როგორმე გორში იმოგზაუროს.
ახლა კი გორი „თავის ფეხით“ ამოსუ-
ლა ტინის ზიდამდე...

ყოველივე უცაბედად მოხდა. მანქა-
ნა ერთ ადგილზე დაბზრიალდა, რამ-
დენჯერმე იცვალა მიმართულება...
სულხანი როგორც „გულის ვარეთ“,
ემოციების ჩაურთველად აღიქვამდა
მანქანის ამ გაუგებარ ტორლიას. ბო-
ლოს მანქანა ისევ იმავე ადგილზე შე-
ჩერდა. ვალტერი ორივე ხელით სულ-
ხანს ჩაფრენოდა მარცხენა მკლავში,
გვარიანად კანკალებდა.

— ბატონო ვალტერ, ყველაფერი
კარგად დამთავრდა, გვერდზე გადააყე-
ნეთ მანქანა, შევისვენოთ ცოტა ხნით.

ვალტერი ასე იყო ერთხანს — ორი-
ვე ხელით სულხანის მკლავს ჩაჭიდებ-
ული.

— ვინ ყოფილხართ, ბატონო სულ-
ხან, — გაკვირვებით, წყნარად წარმო-
თქვა ვალტერმა. მანქანა გვერდზე დაა-
ყენა. კარი გააღო. სინათლეზე სულ-
ხანმა ვალტერის ბავშვივით შიშნაკამი
თვალები დაინახა — იგი ნელ-ნელა
მოდითოდა ფერზე. „თხუთმეტი-ოცი
წუთი თუ არ გავჩერდით, მანქანას ად-
გილიდან ვეღარ დაეძრავ“.

— ბედი ჩვენი, უკან რომ სხვა მან-
ქანა არ მოდიოდა; იცით კია, რას გადა-
ვურჩით? აუცილებლად გადაგვატრი-
ალებდა. მადლობა ღმერთს, რომ უკვე
გვიანაა და მოძრაობა ნაკლებია, — ჯერ
კიდევ ვერ დამცხრალიყო ვალტერი.

— ვალტერ ბატონო, გასსოვს ამ-
დღევანდელი კოლხური მსხალი, ის
ნაშანი? გამოდის, რომ აგვიხდა კიდევ,
— უთხრა სულხანმა.

... გული ძალუმად ძვრის იმ რალაც,
შინაგანი სულიერი კოდის პასუხად,
აზრიც სწვდება თითქოს იმ იდუმალ
წესრიგს: ისაა, ის უხილავი ძაფებია
გაბმული დედაბუნებასთან, ის აღელ-
ვებს სულხანს, — ერთიანი, ორგანუ-
ლი რომ არის მისი მეობა, სულიერ
წყობა წინაპრების სულიერ წყობას-
თან და ასევე ერთიანი და უწყვეტი
რომ იქნება შთამომავლობასთანაც. აჭ-
ედან მოდის ალბათ ეს სიმშვიდე და
შეუვალობა განსაცდელის ეამს... დრო-
თა განმავლობაში ყველაფერი იცვლი-
ბა ირგვლივ, მაგრამ იცვლება თვალით
ხილული, თვალი მაცდურია! — საუ-
კუნეების მანძილზე არ იცვლება შინა-
განი, ღრმად ჩამკვიდრებული აღნაგობა
სულისა, როგორც ეს ერთიანი დამთლი-
ანი, მარადიული და შეფარული
დედაბუნება, ქართული სულის გარე-
განი წესრიგი.

გული წინასწარ ჰვრეტს, რომ არ
გაცივდება მზის სხივი, არ გადაიქცევა
გაყინული ისრების კონად, იოლად რომ
იმსხვრევა და იფანტება კოსმოსში;
სულხანს ემცნაურა ეს სულიერი ამ-
პლიტუდა — წინაპრის გენი, წარსული
მისი და, ამავე დროს, თანამედროვე,
სრულიად თანამედროვე ცხოვრების
აზრი: იქნებ საერთო საჭმის ერთი ულა-
ლატო ჭარისკაცი ისიცაა, ამიტომაა
ალბათ, რომ არ სცალია, ჯერ რომ არ...
ამიტომაა მისი არსი იმ უხილავი ძაფ-
ებში დაკავშირებული ყველაზე დიდ
საიდუმლოსთან — ხალხთან. ამი-
ტომაა, რომ არ უნდა გაჭრეს განუმეო-
რებელი სილამაზე, რავინდ დიდი ქალ-
აქები აშენდეს და მონუმენტური ქან-
დაკეებები „წვივონ“ ცხოვრების თეატრს.
მარტოოდენ გონით, აზრის მეოხებით
ვერ შეინახავ გულში სიმართლის სხივს
და უხილავ ძაფთა კავშირებს. გრძიო-
ბათა ბუნების აღზრდაა, სულიერ
წვდომას რომ ამძაფრებს და ადამიანის
სურვილებს ასხივოსნებს... სხვა გარე-
მოში, სხვა საზომით თუკი გაიზომ-
ება მშვენიერება — საოცრად იოლად
წყდება მაშინ მრავალი ძაფი, თაობიდან

თაობამდე ლარიბდება ადამიანი — იცვლება სახე, ფერი, ნიშატი...

დაბოლოს, იქნებ ასეთი წესრიგი — საგანთა და მოვლენათა ეს შინაგანი, იდუმალი კავშირი საერთოდ არც არ-

სებობს და მოჩვენებითია; იქნებ მხოლოდ და მხოლოდ სურვილია, კაცის სურვილი, რომ მარადიული დედაბუნება კიდევ უფრო სრულყოფილი, უფრო ცოცხალი და ადამიანური იყოს.

გაიფანტება ღრუბელი...

ისმ ძლიერი იყო შინაგანი ბიძგი, რომ ძილ-ბურანიდან უმაღლ გამომაფილა. ვერ ამეხსნა, მივიკირდა, საიდან გაჩნდა ჩემს გონებაში ლექსოს სახე. ცხადშიაც მასზე განვავრძობდი ფიქრს.

არც კი ვიცი, რა ხანი გავიდა მას შემდეგ, რაც არ გამხსენებია და არც მინახავს ეს პატარა ტანის, გრძელციხვირა კაცი. იგი უმეტეს დროს სახელოსნოში ატარებდა. ექვი არ მეჭარებდა, რომ ნაცნობ-მეგობრებსა და ნათესაებს მისი წარმოდგენა ბუნებრივი ბუდე-სამყოფელის გარეშე გაუჭირდებოდათ კიდევ: მარტოდმარტო ქუჩაში მიმავალი ლექსოს დანახვა ჭერ უჩვეულობის შეგრძნებას იწვევს, შემდეგ კი თვალწინ წარმოგესახებათ სახელოსნოს დარბაზი, შესასვლელთან დადგმული ხის გაფშევილი უღეიბო ტახტი, სქელი რუხი პლედითა და მუთაქით, თავისი პატრონის „მისაღებად“ მუდამ ემს რომ მზადაა. ძილი კი ნამდვილად უყვარს. თვითონაც არ უარყოფს, ხშირად ამბობს: ძილის სიყვარული კეთილ ადამიანებს სჩვევიათო.

იქნებ ვინმეს, ლექსოს შემხედვარეს, მოეჩვენოს, რომ მას უკვე უკან მიუტოვებია შემოქმედებითი აღმაფრენითა და შინაგანი დამაბულობით სავსე ცხოვრება. შესაძლოა, სიმშვიდე და აუმღვრევლობა ან თუნდაც ეს უდრტვინველი ძილის უნარი ბედთან დამორჩილებად, მხატვრის დაღმამავალ ცხოვრებად ჩაუთვალოს. შეიძლება, მაგრამ განა ადვილია ადამიანს ასეთი განაჩენი გამოუტანო, ირწმუნო, ახალ თემას, მშვენიერსა და ამაღლებულს რომ ვეღარ ჩასწვდება?..

ლექსომ, როგორც იტყვიან, უკვე ბევრ ჩანაფიქრს შთაბერა სული, მრავალ ქმნილებას მიანიჭა დამოუკიდებელი ცხოვრება. მამაკაცის „მტკიცე ხელი“ და გაუნელებელი გზნება გამოსჭვივის მისი ნამუშევრებიდან. დღე-ნიადაგ გატაცებით მუშაობს იგი ცოცხალ ნატურასთან. მისი პორტრეტული ნამუშევრები ნატიფი და, იმავდროს, ძლიერი ვნებებით აღბეჭდილი სახეებია...

შეიძლება ბოლომდე ვერც ამოიცნო ადამიანის საიდუმლო და მაინც ქვეცნობიერად შეიგრძნო მოძრაობა სულისა, გამოავლინე პიროვნების განუმეორებელ თვისებათა იშვიათი ერთობლიობა — განსხვავებული, სულ სხვა დოზით გაწონასწორებული...

ლექსოს თავისი ანგარიში აქვს ცხოვრებასთან. ყოველთვის არ არის ასე, მაგრამ ლექსოსათვის ასეა: სულის თვითმყოფად პლასტიკას საკუთარი, თვითცნობიერი აზროვნებაც ახლავს თან. დაუკმაყოფილებლობის კემარიტი, გულის ამაჩქაროლებელი გრძნობა შემოქმედს სწორედ ამ დროს შემოეჭრება სულში და უმოწყალოდ დაუწყებს რბევას მისი სიმშვიდის საზღვრებს.

თავისებურია მაინც ლექსოს გატაცება ნატურით. ხოლო ქალის ფიგურის წარმოსახვისას თითქოს ირღვევა კიდევ მისი შემოქმედებითი მრწამსის მთლიანობა, პარმონიულობა მიზანსა და საშუალებას შორის. თუმცა არაფერს ისეთს არ სჩადის, რაც ადამიან-

ოთარ ნოდია
მოთხრობები

თა გულსწყრომას გამოიწვევდა ანდა სხვის, მის წინამორბედ შემოქმედს მანამდე არ ჩაედინოს. ლექსოს ხასიათის უშუალობა ამ ნახატებშიც იპყრობს ყურადღებას. ლექსოსეული მხატვრული კონცეფციაც სადა და გასაგები მოსაზრებებითაა ნაკარნახევი. იგი მომთხოვნია და უჭირს სილამაზის რაიმე ნაკლებობა აბატოს თვით „ნატურასაც“ კი. დაუღშვათ, ქალის ტორსი მის გემოვნებას აკმაყოფილებს, ბიუსტი კი იმდენად არ მოსდის თვალში; მაშინ ლექსო მცირე კომპილიციას მიმართავს: სხვა ნატურის ბევრად უფრო „გამართულ“ ბიუსტს შეუქმნევლად ასესხებს იმ უნაკლო ტორსს და ასე შემდეგ, თუ დასჭირდება თავსაც სხვისას. უფრო „შეკრულაა“ და სრულყოფილს დაადგამს. არავითარი გამოწვინი, დაულალავად, მუყაითად არჩევს და წარმოგვისახავს, როგორც მას მიაჩნია — იდეალური, მსუყე ფორმების, ჭანიანი ქალის ფიგურას. ეს საოცნებო ქალი, ჩვეულებისამებრ წამოწოლილია. ასე მოსწონს: „გემოზე გლიათ ლამაზი ფორმა...“

ამ გამთენიისას მაინცდამაინც ლექსოზე ვფიქრობ, თვალწინ მისი სახელოსნო მიდგას. იმდღევანდელი საკუთარი აღჭმა და შთაბეჭდილებები მახსენდება, თანაც ისე ნათლად, თითქოს გუშინ იყო ეს ყველაფერი...

... ლევანთან, ჩემს მეგობართან მივდივარ სახელოსნოში. ლევანისა და ლექსოს სახელოსნოები ერთ სადარბაზოში, ერთ სართულზეა. ლევანი თავისთვის მუშაობდა, მე სურათებს ვათვალიერებდი, მერამდენეჭერ... უფრო პორტრეტებს ვაკვირდებოდი. დროდადრო სიტყვას გადავუგდებდით ერთმანეთს. იმ დღეს ის საუბარად არ გამოდიოდა, ჩვენს შორის ტრადიციული რომ იყო ათეული წლების მანძილზე. ვინ იცის, რაზე არ გვისაუბრია მე და ლევანს — ფერწერაზე, ძველ და ახალ ისტატებზე, პოეზიაზე, ჩვენს საერთო მეგობრებზე, სიყვარულზე, პოლ-

იტეკაზე და სხვადასხვა სათავგადასავლო ამბებზე. თავისთავად ამ საუბრის თემა ამოუწურავი იყო. ამდენი ხნის მეგობრებს ურთიერთნდობა და ერთმანეთის ღრმა წვდომა გვახალისებდა. მაგრამ იმ დღეს დილიდანვე უკმარისობის მძაფრი შეგრძნება მაწუხებდა. ეტყობა, ლევანთან მისვლას ამიტომაც დავეშურე — იქნებ წონასწორობა აღმედგინა. ხასიათზე მოვსულიყავი...

... ქვეცნობიერად გაწუხებს რაღაც, უსიამოვნოს მოლოდინი გწიწინის და შენში მოუშთავრებლობის თუ ბურთის იანი გაურკვეველობის შეგრძნებას აღძრავს. თითქოს ყოველმხრივ ამოუცნობ „შუქნიშნებს“ ამჩნევ — ვერ ამოგიხსნია, საიდან, რისგან და ვისგან რას უნდა მოელოდე. რა იცი, რაში სცდები. თუ შემოქმედებითი ექვიც დავერთო ზედ, და დიდ საქმესთან ერთად დიდი პასუხისმგებლობაც გაწევს მხრებზე, ეს კიდევ სხვა ტვირთია... ფიქრებია, მხოლოდ ფიქრები... მთავარი ისაა, რა არის ის, რაც მოსალოდნელია. ახლობელ ადამიანთა ბედს ხომ არ შეეხება — ეს საბედისწერო იქნება; ღმერთმა ნუ ქნას! ან ნაადრევად, ბუნებრივი ზღვარის დადებამდე ხომ არ შეგზულდავენ შენი მრწამსის, შენი იდეალებისათვის სამსახურში? იქნებ რაიმე საჩოთიროს გწამებენ, რისი „მოწესრიგებაც“ — სიმართლის დადგენა სულიერი ენერჯის დაძაბვასთანაა დაკავშირებული და ამიტომ არ გინდა თითქოს „შავბნელ ძალებთან შებმა“, წინასწარ ერიდები გართულებებს, მაგრამ თუ სხვა გზა აღარ გექნა...

ეს უსიამოვნო მოლოდინი იმით ხომ არაა გამოწვეული, თვით შენში, შენს სულში, რომ გადაიხსნება ახალი, ჭერ არნახული თვალსაწიერი და ეს გაწვალებს სწორედ? არც ადვილი ასატანია ზრდის ტყვიულები: სულიერ განახლებასა და ამ განახლების ცხოვრებაში გამოვლენას შორის დიდი ზღვარი დევს. ხომ უნდა შეძლო და შეინარჩუნო პიროვნული მთლიანობა, ხოლო

როცა საკუთარ თავს ერწმუნები, მაშინ ცხოვრებისეული მარტივი შინაარსიც კი „სხვა“ მნიშვნელობას იძენს. იგი, ეს „მარტივი შინაარსი“, შენს პიროვნულ „საიდუმლოს“ — პიროვნულ ფენომენს უკავშირდება და თავისი, უკვე სიღრმისეული მალალი შინაარსით, აზროვნების სულ სხვა ხარისხში გადადის. ამიტომაც არ შეიძლება შეჩერდეთ შეცნობის დაუსრულებელ გზაზე მავალი, ასეთი „შეჩერება“ კვდომის დასაწყისია. ადამიანს მუდამ ესაჭიროება ძიება... ჩვენს ყოველდღიურობაში ადამიანის აღმოჩენა და შემდეგ მისი მხარდაჭერაც გმირობას მოითხოვს, ამ მისიისათვის გმირს უხმობს სინამდვილე...

და მთავარი მაინც ისაა, რომ გაიაზრო, გაითავისო შინაარსი, წყარო იმ უამური მოლოდინისა, რათა ზედმეტი ტვირთისაგან, გაურკვევლობის დამქანცველი შეგვრძნებისაგან განთავისუფლდე. რაკი ჩახვდები საკუთარი თუ სხვისი შეცდომების არსსა და ზომას, მაშინვე შეგიძლებუბდება ის ზედმეტი ტვირთი. ეს უკვე დასაწყისია იმ გზისა, ადამიანს სულიერი წონასწორობის აღდგენამდე რომ მიიყვანს...

... იმ დღესაც ასე იყო — ვერ მივხვდაროყავი, რა მაწუხებდა. ანაზღად გამოსავალს მივაგენი თითქოს, სულ სხვა რამ გადავწყვიტე: ვიფიქრე, ლექსისთან შევალ, თუ სძინავს — გავალვიძებ და მის ნამუშევრებს გულდაგულ გავეცნობი, ამას ზომ რა ხანია ვაპირებდი-მეთქი. ლევანსაც ვუთხარი. გაღვიძებ, ნუ მოერიდებო, — მიპასუხა.

ყველაფერი ისე ამიხდა, როგორც მოველოდი. კარი არ იყო ჩაკეტილი, პირდაპირ შევალე. ლექსო წამსვე გამოერკვა ძილიდან, ტახტიდან წამოხტა, მობრძანდითო, — შემიბატიყა.

სახელოსნოს დათვალიერებას შევეუდექი. თითოეულ ნამუშევართან დიდხანს ვჩერდებოდი, ვაკვირდებოდი სურათს და სურათის მიღმა — ჩემს „მესაც“. თითქოსდა გარეშე, უცხო პირო-

ვნებად აღვიქვამდი საკუთარ თავს. ვგრძნობდი ამ გაორებულ ხედვას: ლექსოს ნამუშევრებიდან მიღებული შთაბეჭდილებები სულ არ უშლიდნენ ხელს საკუთარი რეაქციისადმი მიპყრობილ კრიტიკულ თვალს. ასე მეგონა, პარმონიულად, კანონზომიერად ენაცვლებოდნენ ერთმანეთს სურათებიდან მიღებული შთაბეჭდილებები და ჩემი ფიქრები, რომლებსაც ახალმა გარემო-სიტუაციამ საბოლოოდ მაინც ვერ შეუცვალა თემა და მიმართულება. თუმცა ფიქრებისა და უშუალო აღქმათა ეს მონაცვლეობა უკვე სასიამოვნოდ და დამამშვიდებლად მოქმედებდა ჩემს განწყობაზე.

მხატვრის ერთადერთი ტილოც საკმარისია ზოგჯერ, ხელოვანის სამყაროს რომ ჩასწვდე; შესაძლოა, ამ სურათიდან მიღებულმა შთაბეჭდილებამ საგულისხმო ცხოვრებისეული იმპულსიც მოგანიჭოს ან რაიმე ამოუხსნელ მოვლენას ახადოს ფარდა, მაგრამ მხატვრის შემოქმედება მის ნამუშევართა მთლიანობაში, სურათების შედარებით დასრულებულ ერთობლიობაში უნდა აღიქვას ადამიანმა — ხელოვანის სამყარო, ხელოვანის სული უნდა შემოვიდეს ადამიანის სულში.

საკუთარი სულიერი ყოფაც ცხოველ ინტერესს იწვევს. ალბათ ესეც რადიკალს ნიშნავს. რამდენი რამ უჩვეულო და საყურადღებოა შენს ირგვლივ. ისეთივე ბევრი რამ ითქმება და ხდება, რის თქმასაც თვით აპირებდი და რის მოხდენასაც თვით მოელოდი. რამდენი რამ საგულისხმოც ისე ჩაივლის, უნდა აღსრულდეს და არ-კი აღსრულდება; სათქმელიც ბევრზე ბევრი გრჩება. მთავარია, შენს სათქმელს კუთხე მოუძებნო, საკუთარ გასაგებ ტალღაზე შეძლო მისი გადმოცემა: არ ეძებო კიდევ სხვა, ხელოვნურად ამაღლებული ასპარეზი. შეიძლება, ისიც მოგეჩვენოს, რომ არ არსებობს ნამდვილი სიუჟეტი

ოთარ ნოდია
გომთხრობები

ან ქეშმარიტი კომპოზიცია. შემცდარია ეს ვარაუდი, რადგანაც თვით ცხოვრება, თვით პიროვნება ყველაზე მარტივი და ყველაზე რთული საუქვეტიც და კომპოზიციაც.

სიუჟეტი ჩვენი სულიერი ყოფისათვის მხოლოდ ერთი მომენტია. შემოქმედებისათვის სხვაც ბევრი რამ არის საჭირო. მით უფრო — პიროვნებისათვის, სულისათვის. პიროვნულობა ხომ ადამიანის უმაღლესი ნიჭი, უმაღლესი მონაპოვარია. იქნებ მარტოდენ მოწამებორივი პიპოსტასი არ კმარა ადამიანისათვის, ცოტათი მაინც მისმა „ჭიამაც“ უნდა იხაროს... საზოგადოებაც მეტი ერთსულოვნებით უნდა იცავდეს კეთილის სარბიელზე მოღვაწე სულს; მშვიდად არ უნდა უცქიროს საქმონების მცდელობას — ჩანასახშივე გადააგვარონ პიროვნება ან მანამდე „ჩაუნგრინონ“ მას სულიერი შეუვალობა, სანამ მოასწრებდეს საერო საქმის, კეთილი საქმის აღსრულებას. ისიც არ არის ალბათ გასაკვირი, საყვედურიც რომ აღმოხდეს ადამიანს თავისი მძიმე ხვედრის გამო და ზოგჯერ, დიჩივლოს კიდევ. თუმც იმავე ადამიანს უამხვედროდ არსებობაც გაუძნელდებოდა. საბოლოოდ კაცი მაინც ვერ დათმობს სულიერი არსობის პურს: „ჭიამაც“ თავისი გზით იხაროს, მაგრამ სიუჟეტისა და კომპოზიციის დაკარგვა უთუოდ მომაკვდინებელია, ისევე, როგორც გაუნელებელი ცხოველმყოფელი სურვილების ბედის ანაბარა მიტოვებაც არასოდეს ჩაივლის უკვალოდ — გაადარბებებს, გაძარცვავს ადამიანს.

პარადოქსია, მაგრამ თავკერძა სტრატეგები, თუკი თავი სამშვიდობოს დაიგულეს, თუ დარწმუნდნენ, რომ არ უპირებენ მათ ცოდვებს სამზეოზე გამოტანას, უმალ განაახლებენ თავიანთ ყაჩაღურ აქტიურ მცდელობას. არავითარ იარაღს არ ერიდებიან: საერთო საქმე თუ იდეალები, პატრიოტიზმი თუ სხვა მაღალი ღირებულებები მათთვის უბრალოდ ბანკოს ნიშნებია. ცილისწამებასა და დასმენას მით უფრო დი-

დი სიამოვნებითა და აზარტით მიმართავენ, რაც უფრო წმინდა და უმწიკველია ცილისწამების ობიექტი. ამ „ჩგუფებთან“ პოლემიკურ „კონტაქტებს“ ერიდებიან, ვინაიდან მათთან დავა საბოლოოდ აზიანებს ადამიანს. თუმც თავისთავად მოჩვენებითია ამ გაფუყულ გვამთა ძალმოსილება, მაინც, სრულიად აუცილებელია კეთილშობილ ადამიანთა ერთობლივი წინააღმდეგობა და ეს მოჩვენებითი, გარეგნულად და შინაგანად შეკაზმულ-განელებული, ტრაგიფარსისტული „თამაშის“ მონაწილენიც წამსვე უძღურნი შეიქმნებიან...

... ლექსოს სურათების მკვეთრი ფერები პირიქით — მამშვიდებდნენ. ალბათ იმიტომ, რომ ფერთა ეს სიმკვეთრე ლირიკული, მაყურებლისადმი მიმდობი პეიზაჟების, ცხოვრებისაგან დაღდასმული პორტრეტების, თამამი კომპოზიციების, თუნდაც ქალთა წამოწოლილი ფიგურების უშუალობასა და სიწრფელეს წარმოაჩენს უფრო ხაზვასმულად. ეს სურათები არავითარ ჩასაფრებას, რიგორისტულ მსჯელობას, არავითარ უარყოფასა და ტუჩის აბზუებას არ ელიან ადამიანისაგან, ნლობას უცხადებენ მას.

თითქოსდა ნიშნის მოგებით და, იმავდროს, დაუნჯებულად მიედინება ჩემი ფიქრები ლექსოს სურათების თანხლებით... ბევრ მხატვართან ვყოფილვარ სტუმრად, ალტაცებაც ბევრჯერ განმიცდია. არ ვიცი, არ დამამახსოვრდა — პირველად როდის გამიჩნდა სურვილი ან, იქნებ, თანდაყოლილი ჩვევაც კი იყო, მრავალი სურათიდან განსაკუთრებით ერთს რომ გამოვარჩევდი მხოლოდ და იმ ერთს ვთვლიდი „ჩემს სურათად“. ალბათ იმიტომ, რომ ის ერთი ყველაზე უფრო ესადაგებოდა ჩემულ ალქმას. ჩემს ალქმაში კი გონების განსჯა ნაკლებად ერეოდა — სულ არ მაფიქრებდა, თუ როგორ შეფასდებოდა ეს „არჩევანი“ მცოდნეთა თუ ოსტატთა თვალში. ამას, უბრალოდ, არ ჰქონდა ჩემთვის არავითარი მნიშ-

ნელობა. ის ერთი სურათი მე მინდოდა საკუთარი სულიერი და ფიზიკური ყოფისათვის — ჩემს ოთახში, ჩემს კედელზე თუნდაც...

აქ კი, ლექსოსთან, ის, რაც სხვაგან თავისთავად ხდებოდა, არ სრულდებოდა — ვერ მელაიარებინა ის ერთადერთი „ჩემი სურათი“. თითქოსდა, ჩემში რამდენიმე კომპოზიციის მდორედ, უნიათოდ ებრძოდა ერთმანეთს. ვერც კი შევნიშნე, როდის ჩავაცქერდი სულ პატარა ტილოს. განსაკუთრებული არაფერი მომხდარა, მაგრამ თითქოს ის ვიხილე, რის ხილვასაც დიდი ხანია ვესწრავდი. ის განწყობილება იყო, ის „ნაპირი“... ჩემს გულში აღტაცებამ იფეთქა — უყოყმანოდ, აშკარად, ძლიერად. ნაცნობი და ახალი სამყაროც გადაშლილიყო ჩემს წინაშე — გზა იყო, წითელი ფერი და სახლი სიღრმეში, ვნით გამოუთქმელი სევდა და პაეროვნება ჩართვოდა მთელ პეიზაჟს, თვით აღგანთებდა სურვილით — ჩასწვდომოდი რასმე დიდებულს, მშვენიერს. ახლობელსა და ძნელად ამოსაცნობსაც... ლექსოს მივუბრუნდი:

— ჩემთვისაც უნდა დახატო ეს სურათი, ულაპარაკოდ, რაც გინდა ის თქვი. ის სურათია, მე რომ უნდა მქონდეს აუცილებლად... ურიგო მხატვარი რომ არა ხარ, დიდი ხანია ვიცი, მაგრამ სინამდვილეში ვინ ყოფილხარ — ბოლომდე მაინც არ მცოდნია.

ლექსო როგორღაც შეკრთა, სწრაფად მომიახლოვდა, გვერდით დამიდგა, სურათს უყურებდა. ვიგრძენი, ჩემი აღტაცება როგორ გადაედო. ლეღვანარევი ხმით მითხრა:

— შენ რასაც ამბობ, ეგ მე არ მეჩება. სილოვანს მოვტაცე მე თვითონ ეს სურათი. იმისია, მეც ყოფა მიტირა. — ლექსოს ხმაში სიხარულიც ისმოდა და სინანულიც.

ღაღიბენი. ერთხანს გაოგნებული ვიდექი და ხმა ვერ ამომეღო. თითქოს რაღაც დავარღვიე... შემოქმედის გულის სიღრმეში მუდამ ღვივის მოლოდინი

— დიდი ზნეობრივი წრთობის წილ, შემოქმედებითი წვის ფასად რომ დაეჭვებოდა ადამიანს და ამ სულიერი მწვერვალიდან ახალი და ჭერ კიდევ გამოუცნობი, ლურჯი და უკიდევგანო სივრცე რომ გადამშლება. ერთი შეხედვით, ზოგს ბედი სწყალობს — სულიერი ძალების ნაკლები დაძაბვით, „მოკლევზე“ აღწევს უმაღლეს მწვერვალს... მაგრამ ეს მხოლოდ ერთი შეხედვა, სხვისი ზედასვლის ერთი ზმანებაა მხოლოდ. თანდათან გაიფანტება ღრუბელი... თავისებური კანონზომიერება, ერთადერთი და თითქოს საკრალური წინასწარმეტყველება წარმართავს შემოქმედის ბუნებას; მისი სულის მოძრაობას მარადისობასთან გამართულ სამკვდრო-სასიცოცხლო ომს უმორჩილებს.

ადამიანი თავისი ბუნებით შემოქმედია (დავეთანხმდეთ ამ აზრს). ზოგჯერ მას უჭირს კიდევ თავის ნამუშევარზე უკეთესი ქმნილების აღიარება და ამას ვიცი იქნებ მისი სიმართლე. მან ზომს სხვებზე უკეთ იცის საკუთარი სულიერი სამეფოს საზღვრები... იგი გაბუნებოვებული პლანეტაა, სამყარო მასთან ერთად მოძრაობს და სუნთქვა მისი კოსმიურ სუნთქვას ერთვის...

დგება წამი, როცა ოსტატის სულს ნათელი სხივი ეფინება, იგი უყოყმანოდ აღიარებს სხვათა ქმნილებას. ნამდვილი მხატვრის ბუნებაა, ასეთ დროს თავს არა თუ დამარცხებულად, გამარჯვებულადაც კი რაცხდეს. მას მუდამ რჩება საკუთარი, სხვებისათვის დაფარული შთაგონების საგანი; სულიერი ტივილებთან მინარევი სხვა ფიქრები, სხვა მისწრაფებები... ზედმეტია სახელისა და დიდებისათვის ქმუნვა, მით უფრო — შური, „მწუხარება სხვისა კეთილსა ჰქვდა“. ადამიანს სიამაყე მართებს — სიმდიდრე სულისა, რათა მაღლს გასცემდეს ხელგაშლილად, არ ეშინოდეს გაღარიბების. მარ-

ოთარ ნოღია
გომარობანი

თალია, დრო ისწრაფვის, მაგრამ ახალ დროს ახალი სიმდიდრეც მოაქვს... სხვა საზომით, სხვა საწყაულით იზომება და იწონება ნამდვილი შემოქმედის „მეობა“, ნაღვლი და ნამოქმედარი.

დროის გამოცდას ვერ უძლებს ბევრი; ბევრის მიზნები ამქვეყნიური ინტერესებით იფარგლება მხოლოდ, მაღალი მწვერვალების გაიშვიათებულ პაერს ვერ ჰყოფს მათი სუნთქვა... არავისათვის არ არის ტრაგედია, თუ რომ ვინმემ თავისას ვერ მიაღწია, ლელო ვერ გაიტანა... სანუკვარი და დიდებულია ის, რომ ხალხი იყოს სული-

ერი ცხოვრებით სავსე, იყოს გამძლე, დაუღვეელი...

...ვიგრძენი სილოვანისა რომ არა შურდა ლექსოს... ეს იყო, დილაუთენია რომ გამახსენდა და ძილიც გამიკართო. გამახსენდა ის, რასაც მაშინ უნებურად არ მივაქციე ყურადღება — ლექსოს სულგრძელობა, ნამდვილი ბიჭობა, ის, რაღაც იღუმალი, საკუთრივ მისი საიდუმლო, საოცრად მიმნლობ და მკვეთრ სურათებში რომ გლინდება, ამქვეყნად ყველაზე დიდი ნიჭით — მაღალი პიროვნულობით რომ გამოიხატება.

კ ა კ ა ნ ა თ ი

ვილი ასათიანს, თენგიზ ფერაძეს

ჩამოსვლისთანავე სასიამოვნო შეგრძნება დაეუფლა. ოთხი დღე დაღამე ბანგდალეულივით ეძინა, საკმელზე თუ აღგებოდა და ისევ ეძინა. ოთახში მარტო იყო. ყველაზე მეტად ის ჰგვირდა კმაყოფილებას, თავად რომ არავის აწუხებდა. უჩვეულოდ დაუნჯებულს კარგად არც კი ესმოდა, რას ეუბნებოდა სადილობისას მიმტანი. ნაცნობებს ჩვეული ღიმილით ესალმებოდა, თუ რამეს შეეკითხებოდნენ, ერთსა და იმავე მარტივ პასუხს იძლეოდა — „კარგად... კარგად... ვუძლებთ... გმადლობთ“. არც ისინი უგრძობებდნენ საუბარს, ზედმეტად აღარ აწუხებდნენ.

ნიკამ უცბად იგრძნო, გამოძინებული რომ იყო. ირგვლივ მიმოიხედა, დაკვირვების უნარი დაბრუნებოდა: მისდაუნებურად გარემოსადმი ინტერესი ისევ ვალვიძებოდა. ჯერ კიდევ მკრთალი, სუსტი იყო გაფხიზლება, თუმცა სიტუაციებში გარკვევის, დამსვენებელთა პიროვნული გამორჩევის სურვილი უკვე გასჩენოდა.

პლაჟზე ჩავიდა. დასასვენებელ სახლს პლაჟი საკუთარი ჰქონდა, შემოკავებული, მუდამ მოწესრიგებული. ნიკამ ფიცრის საწოლი აიღო, ზღვის ნაპირ-

ას, ფხვიერ სილაზე დააგდო და ზედ პირაღმა დაწვა.

მზიანი ამინდი იდგა. ზღვა მშვიდი იყო, დაოკებული. დროის სვლა შენელებულიყო თითქოს, შორს გადაენაცვლა საათის წიკწიკის, იგულისხმებოდა მხოლოდ, რომ სამყარო თავისთვის, ზანტად, მაგრამ მაინც ასრულებდა გარდუვალ ჟამთასვლას. ზღვის მონოტონური ხმაური აკვანივით არწევდა გარემოს. მკერდზე, მარჯვენა მხართან, მზით გამთბარი სილა ეყარა. ნიკა მეგობრის ხელივით შეიგრძნობდა სილის სიმხურვალეს. ლაყვარდს შეჰყურებდა ღრუბლების მოძრაობას მიჰყვებოდა მის გონებაში წარმოსახული სურათები, ერთმანეთთან დაუკავშირებელი, მხოლოდ მებსივრებით გამთლიანებული, ფიჭრი და აზრი...

... ნათლად ზედავდა სოფლის ეზოში მშვიდად მოსივრნე „მადონა ლიტას“, შავი, ღირდონი სევდიანი თვალები და გრძელი, გახვეებული წამწამები რომ ჰქონდა, ბავშვებს გვერდით რომ ჩაუვილიდა და ასევე მშვიდად ვრძელ, ხორკლიან ენას ტიტველ მკლავეზე აუსვამდა...

... თავის წმინდა საწყისს, როგორც

სიცოცხლის ნერგს ისე უბრუნდება
კაცი. ასეა მთელი ცხოვრება. ალბათ ესაა
ადამიანის ზვედრი... სინამდვილე მუ-
დამ აიძულებს მას მცირე თუ დიდი მან-
ძილით დასცილდეს თავის თავს... საკ-
ვირველი ისაა, რომ იცი როდის სცდე-
ბი და მაინც რომ გირჩევნია შეცდე
იმის წილ, ვიდრე ეკვით შეურაცხყო
სხვა... სულგრძელობაა ეს თუ სიბრძ-
ნეა, — ალბათ ორივეა ერთად... არ
ღარს საკუთარი თავის, საკუთარი საქ-
ციელის შეცვლა...”

“...საკვირველი პიროვნება იყო პენრი
IV, საკუთარი მისიის განჭვრეტის უნა-
რით... ეპისტოლური სტილი საყვარე-
ლი ქალისადმი მიწერილ ბარათებში
იხვეწებოდა... დაუნდობელ ცხოვრებ-
ას, თუთიისფერ, უსიხარულო დღეებს
ბედნიერ წამებს ჰპარავდა; აქედანაც
ჩნდებოდა მასში მოქმედების სურვი-
ლი, მოქმედებითი საწყისი, იწრთობო-
და აზრი, იზრდებოდა რწმენა, რწმენა
იმისა, უპირველესი ბრძოლის მოგება
რომია მთავარი...”

თვალეები მილულა. „უკვდავების ნა-
ზი ნიავე ჰქროდა მაშინ, თათბირზე,
დამლუპველი ნიავე, სულსა და გულს
რომ ესალბუნება... უქმარისობის მძაფრ
შეგრძნებას აღვიძებს... საზღვარ-
დაუდებელ ცვლილებებს მოითხოვს;
განსაკუთრებულის, საკარგის გამე-
ლავების სურვილებს ბადებს... სუფ-
რით მთავრდება ზშირად, სურვი-
ლების შემდგომი გამძაფრებით და გა-
ბრუნებით...”

ნიკა ვადმობრუნდა, იდაყუებს დაე-
ყრდნო. შორიანლოს ოცდახუთიოდე
წლის ქალიშვილი იწვა პირაღმა, ცხვი-
რზე ქალაღდაფარებული და სათვა-
ლეწამოკოსებული. ეტყობა, ის იყო
გამოიძინა და ისიც პირქვე ვადმობრ-
რიალდა, წამოჭდა, გამჟვირვალე ცე-
ლოფანის პარკიდან ქალაღდაფარებული
გაბე-
ული მოხარშული წითელი კიბორჩხა-
ლა ამოიღო. კისერი გადაუხლიჩა, ჯერ
ამოწუწუნა, მერე ხორცსაც მადიანად
შეჟქცა. ნარჩენები ქალაღდაფარებული
შეაზვია,

კარგად დააგუნდავა და იქვე, გვერდით
დადო; ერთი ორჯერ ხელიც დააქირა
— ქეიშაში ჩაფლო. ისევე პარკს დაუბ-
რუნდა, წინასწარ გარჩეული კაკალი
ამოიღო მუქით და კნაწაქნუწით დაუწ-
ყო ჰამა. კაკალს ვაშლი დააყოლა —
სერიოზული, ცივი გამომეტყველებით
აკეთებდა ყოველივეს, და ისევე დიძინა.
სევა დადვადის ხმა მოესმა. ათასი
კაცის ხმაში შეეძლო გამოერჩია —
ეერიქონის საყვირით მგრავინავი,
პლაქზეც და ზევითაც, მთის კალთებზე
განლაგებულ დამსვენებელთა კორპუ-
სებშიც ესმოდათ მისი ხმა. სევა ყვე-
ლასთან ახერხებდა ურთიერობას,
გაცნობისთანავე, ერთი საათის შემ-
დეგ, უნდოდათ ეს თუ არ უნდოდათ,
ახალგადაცნობილები უკვე თავისიანად
თვლიდნენ. ყოველ წელს აქ ისვენებ-
და თურმე. საოცარი ნიჭი ჰქონდა სასა-
უბროდ ნეიტრალური და მოსასმენად
საამო ამბების გამოჩახვისა. საგანგებ-
ოდ არც კი უფიქრდებოდა, თუ რა იქ-
ნებოდა მისთვის სამასლაათო თემა.
სიტყვაც ისეთივე ბუნებრივად გამოს-
დიოდა, როგორც ეესტო, მიხრა-მოხრა
თუ საქციელი. საერთო სიმპათიას იწ-
ვევდა — მოსწონდათ მისი სიმსუბუქე
და უბრალოება. სევას ყველასთან,
დამსვენებლების ბავშვებთანაც კი სათ-
ითაოდ გამოცალკევებული დამოკიდ-
ებულება ჰქონდა. ისინიც ჯეროვნად
აფასებდნენ ამ პატივდებას და გულ-
გრილად და უღიმილოდ არც ერთი
მათგანი არ ჩაუვლიდა ხოლმე გვერ-
დით...

ზღვაზე კატერით გასულიყო სევა
სათევზაოდ. ორი დამსვენებელი აე-
ყოლებინა — მოსკოველი რუსი, ახო-
ვანი ჰაბუკი და საკმაოდ ხნიერი შუა-
აზიელი ებრაელი, ჩია ტანისათვის შე-
უსაბამო მოზრდელი. ცხვირი რომ ჰქონ-
და; თევზით დატვირთული დაბრუნდ-
ნენ. კაფანდარა, გაძვალტყავებული
სევა, შავ საბანაო კოსტიუმში მოზრ-

მთარ ნოლია
მოსხროვანი

დილ კალიას რომ წააგავდა, თამბაქოს ბოლით გაქლენთილი, ქლერადი ხმით უყვებოდა პლაჟზე მიგებებულ ქალებსა და მამაკაცებს თევზაობის თავგადასავალს... ყველაფერს სერიოზულად ამბობდა. მონათხრობი ფარული იუმორით იყო შეზავებული, სევას უხდებოდა ეს მოჩვენებითი, სიცილნარევი სერიოზულობა.

ნიკამ პლაჟის მარცხენა მხარეს „სოკოს“ ჩრდილიდან ერთი ნაბიჯით გამოსული გოგონა დაინახა. იგი საბანაო კოსტიუმში გაშეშებული იდგა, თავი უკან ვადაწყო. ნიკა მიხვდა — მზეზე იყო მიფიცებული, მზეზე გაშავება უნდოდა; ეტყობა, უპირველესად კისრისა და ფეხების ფერს აქცევდა ყურადღებას. ნიკას რატომღაც უცნაური ეჩვენა გოგონას ასეთი პოზა, თუმც კარგად იცოდა, ჩრდილოეთიდან ჩამოსულები მზის სხივებს ისე ესწრაფვიან, რომ შუადღის თაკარა სიცხესაც არ ერიდებიან და მზის გულზე თვლემენ ჭიუტად. „მეშვიდე ან მერვეკლასელი თუ იქნება, ადრე ზრდადასრულებულია. რაა ამაში უჩვეულო, ალბათ ბავშვებიც ეხარბებიან მზეს“, — გაიფიქრა ნიკამ. „სოკოს“ მარჯვენა მხარეს მზეს მიფიცებოდა ტანშესუქებული მოხუცი ქალი: მისი ხნოვანების კვლობაზე სანაქებოდ შენარჩუნებული სწორი ნაკეთები ჰქონდა, ოღონდ წვრილ-წვრილი ნაოჭები მოსდებოდა ტანზე. „ალბათ ამ გოგონას ბებიაა“, — გაიფიქრა ნიკამ.

ნაპირს ნავი უახლოვდებოდა. ნიკა წამოდგა, მისალმების ნიშნად სევას ხელი დაუქნია. ნავის სათხოვნელად პლაჟის მორიგისაკენ გაემართა, — დასასვენებელ სახლს საკუთარი ნავები ჰქონდა, — „სოკოს“ ჩაუარა, ისევ მოჰკრა თვალი იმ გოგონას. „არა, მეშვიდე-მერვე კლასის მოწაფე კი არა, შესაძლოა პირველი კურსის სტუდენტიც იყოს“, — დაასკვნა ბოლოს. მორიგეს მიუახლოვდა.

— Можно взять лодку? — ჰკითხა.

— Берите, — ნება დართო მორიგემ.

— Молодой человек, вы не возмете меня в лодку, на прогулку?

— შემოესმა ნიკას.

ვერც კი დაიჭერა, რომ ის გოგონა მიმართავდა. ახალგაზრდად კი მიაჩნდა თავი, — ორმოცი წლისა ჯერაც არ შესრულებულიყო, მაგრამ ამ გოგონას სითამამე მაინც მოულოდნელი ეჩვენა. უნებლიეთ მოხუც ქალს შეხედა.

— Пожалуйста, возьмите ее, ей скучно, — გამოელაპარაკა მოხუცი.

ნიკამ ორივეს თავი დაუქნია, მობრძანდითო, მიიწვია ქალიშვილი, ნავი ნაპირთან მიაყენა. ჩასხდნენ, გოგონა პირდაპირ დაუჭდა. მეტად ახალგაზრდული, თითქოს ბავშვური, სწორნაკეთებიანი სახე ჰქონდა, ბერძნული ცხვირი და ცისფერი თვალები ოდნავ ცივ გამომეტყველებას აძლევდა. ნიკას ერიდებოდა ქალიშვილის სახეზე თვალის შეჩერება. არ იფიქროს, რომ ამ ხნის კაცი არშიყობას მიპირებდო — ეს აზრი საუბარშიც კი ბორკავდა.

ნაპირს მოსცილდნენ. გოგონა ჭიქურ, თამამად შეჰყურებდა ნიკას. დაურიდებლად ეკითხებოდა საქართველოზე, აქაური ხალხის კულტურაზე. ნიკა ხედავდა, რომ მის „თანამენავსს“ ქართველებზე მეტად თავისებური — „კავკასიასა და შუა აზიას შორის საშუალო არითმეტიკული“ წარმოდგენა ჰქონდა, არ ღიზიანდებოდა. „ტყუილა ყოფნას იმას მაინც ვავიგებ, სხვა ტომის ახალგაზრდა როგორ აზროვნებს, რითი სუნთქავს. მერე რა, რომ ბევრი რამ არ იცის. ხდება ხოლმე, ახალგაზრდებს უფრო უცხო კულტურა აინტერესებთ. სხვა რომ არაფერი, ამ ასაკში ცოდნის შექმენისა და შეცნობის პროცესი ჯერ კიდევ წინ აქვთ“, — ფიქრობდა და ხალისიანად უსვამდა ნიჩბებს.

საუბრის თემამ შეიყოლია. მოთმინებით პასუხობდა კითხვებზე, ცდილობდა ვასაგებად და არსებითად აეხსნა გოგონასათვის ამ ხალხის წარსული თუ

თანამედროვეობა. მერე თავადაც და-
ინტერესდა ქალიშვილის ვინაობით.

აღმოჩნდა, რომ გოგონას ალინა ერ-
ქვა, ჩვეულებრივ კი ლინას ეძახდნენ,
მოფერებით — ლინუსიასაც. ლაპა-
რაკში ისიც დადგინდა, მოხუცი ქალი
ლინას საყვარელი დეიდა რომ ყოფილა
და უცნაური სახელი „მავრიტანია“
რქმევია.

ლინამ უთხრა, საყვარელი დეიდაა
იმიტომ, რომ მკაცრი, აუტანელი მა-
მისა და პანიკოური დედისაგან განს-
ხვავებით, იგი არაფერს არ მიშლისო.
უფრო მეტიც, ჩემი მეგობარი და მე-
საიდუმლოც ეგ არისო.

— მაინც რა უნდა გქონდეთ თქვენ
ამდენი სასაიდუმლო და სამეგობრო?

— რატომ, ჩემს მდგომარეობაში
მყოფ ახალგაზრდა ქალს თუ არ სჭირ-
დება შეწვევა და მესაიდუმლე, აბა
სხვას ვიღას უნდა?!

— ქალს?!

— დიახ, ქალა, მაინც რამდენი წლი-
სა გგონივართ? — აქეთ ჰკითხა ლინამ.

— პირველად რომ დაგინახეთ, „სო-
კოსთან“, მზის სხივების აბაზანას რომ
იღებდით, ცამეტ-თოთხმეტი წლისა
მეგონეთ, ახლა კი თექვსმეტი-ჩვიდმე-
ტისა მგონიხართ, — უპასუხა ნიკამ.

— თქვენ გგონივართ! მე კი ოცდა-
ცხრა წლისა ვარ, ქმართან გაცილებაც
მოვასწარი, — ნაღვლიანად ამცნო ქა-
ლმა.

ნიკას დაბნეულობა შეამჩნია და და-
სძინა:

— სხვებსაც ეშლებათ ჩემი ასაკი,
რა ვუყო, ასეთი შტერული გამომე-
ტყველება მაქვს, — მის ხმაში სიკეკ-
ლუცეც ისმოდა და სინანულიც.

ნიკამ ვერც კი შენიშნა, როგორ გა-
ირბინა დრომ.

ნაგი ნაპირს უახლოვდებოდა. ლინა
მღელვარე ხმით უზიარებდა ნიკას თა-
ვის მოსაზრებებს თანამედროვე მუსი-
კალურ ესთეტიკაზე — თურმე ამ
სფეროში მოღვაწეობდა. ნიკა ყურად-
ღებით უსმენდა. ქალის მღელვარება

— ხმა, ტუჩების მოძრაობა, სახის გა-
მომეტყველება მასაც უმძაფრებდა აღ-
ქმას, თუმც ლინას აზრებში მისთვის
არაფერი იყო ახალი ან საგულისხმო.
ცხადი იყო ერთი რამ: ლინას რაღაც
აწუხებდა. გარკვევით თვითონაც ვერ
წარმოედგინა, რა იყო ის. რაც აწუხა-
ვებდა, მაგრამ იცოდა, რაღაც ნათელი
და კარგი რომ ეწადა... იგი არც იმის
პრეტენზიას აცხადებდა, ადამიანებს
ჩემი არ ესმითო, პირიქით, მეტად ჩვე-
ულებრივ არსებად სახავდა საკუთარ
თავა.

ნიკას მაინც ვერ გადაელახა თავისი
წარმოდგენა ლინაზე, როგორც უჩვეუ-
ლო, მისგან დიდი მანძილით დაშორე-
ბულ პატარა ქალზე. ჭერ კიდევ არ
ძალუდდა, ერთი ნახვით და ერთი საუ-
ბრით მისი განსაკუთრებული ბავშვეუ-
რი გარეგნობის, — ლამაზი, მაგრამ
თავისებურად ცივი გამომეტყველების
მიღმა ჩვეულებრივი ქალი ეგვრნო.

ნაპირზე გადმოვიდნენ. მავრიტანია
ჩაქმული დახვდათ.

წასასვლელად გამზადებული სევა
ახლა თვითონ მიესალმა ნიკას, აგრძ-
ნობინა დიდად რომ აფასებდა და იწ-
ონებდა მის არჩევანს.

ნიკა პლაჟიდან დეიდასა და დისშვი-
ლთან ერთად გამოვიდა. ქუჩა გადა-
ჭრეს და დასასვენებელი სახლის აღ-
მართს ფეხით შეუდგნენ. ქალბატონი
მავრიტანია მორიდებული, ხაზგასმით
ზრდილობიანი, შემპარავი ტონით ესა-
უბრებოდა ნიკას, ეტყობოდა, საერ-
თოდ ჰქონდა ლაპარაკის ასეთი მანერა.

— დიდი ხანია ჩამობრძანდით, ნი-
კოლაი ევსტაფევიჩი?

— მეხუთე დღეა, მავრიტანია სამ-
სონოვნა.

— ო-ო, აქაურ პირობებში ეს უკვე
დიდი დროა — ჩვენ მხოლოდ გუშინ
ჩამოვედით. დიდებულია აქაურობა —
ზღვა და მთის ჰაერი ერთდროულად,
რა შეიძლება უკეთესი ინატრო!

მთაკ ნოფია
მომთხრობანი

— სწორი ბრძანებაა, ულამაზესი კუთხეა, — დაეთანხმა ნიკა.

ერთხანს დუმდნენ.

— ჩვენი კორპუსია ზევით შესანიშნავი ტყეა, — სცადა საუბრის გაგრძელება ნიკამ.

— აუცილებლად გავისეირნოთ, — ნიკას ნათქვამი მიწვევად მიიღო ლინამ, — ხვალ დილით ზღვაზე შეგხვდებით, ტყეში გასეირნება „წყნარი საათის“ შემდეგ იქნება კარგი. მაგ დროს გრილა კიდევ. — გადაწყვიტა მან.

— თქვენ ისეირნეთ. მე კი ვერანდაზე სავარძელში ნებევრობა მირჩევნია: ზღაპრული ხედებია ბალისაყენ და ზღვაზე, — დასძინა ქალბატონმა მავრიტანიამ.

სადილზე ერთმანეთს აღარ შეხვედრიან. ნიკა ჩვეულებრივზე უფრო მაღიანად შეექცა საკმელს. ხასიათზე მოვიდა, სულ სხვა ტალღაზე გადართულიყო მისი განწყობილება. „დადებითი ემოციები, დადებითი ემოციები“, — თავისთვის იმეორებდა და ვერც კი შენიშნა, ისე მიაბიჯებდა ტყისაკენ, სადაც ხვალ ლინასთან ერთად უნდა წასულიყო სასეირნოდ...

ლინა სასეირნოდ მოკაზმულიყო: ვარდისფერი ქუდი დაეხურა. გრძელი სარაფანი ჩაეცვა, ფეხზეც მათბუქი ნაჭრისპირიანი ფეხსაცმელები ემოსა. ნიკამ მოუწონა ჩაცმულობა. მომზიბვლელი ხარო, — დაუფარავად გამოთქვა აღტაცება.

აღმართს შეუდგნენ. მოკირწყლული გზა კარგად იყო მოვლილი. ტყეში ძეხორციელი არ ჰკანებდა. დამსვენებლები იშვიათად თუ იზამდნენ ტყისკენ პირს — რაეი ზღვა მათი იყო.

— თქვენ არ იცით, როგორ ვიტანჯები ჩემი მშობლების გადამკიდევ, — შეთქმულის მიმნდობი თვალებით შეხედა ქალმა ნიკას, — ვიცი, ერთადერთი ქალიშვილი ვყავარ, მაგრამ სულმთლად უტკუო ვგონივარ ორივეს...

ხან რა ელანდებოთ და ხან რა. მამაჩემი პროკურორია და საკმაოდ დიდი უფროსი გახლავთ, დედაც იმავე ხაზით მუშაობს, ისიც უფროსი ბრძანდება, მხოლოდ ცოტათი ნაკლები. ათასნაირ ჩახლართულ ისტორიებთან აქვთ საქმე და, მე მგონი, სხვებს კი სცემენ შიშის ზარს, მაგრამ თვითონაც არანაკლებ არიან შეშინებულნი... მამაჩემი ბავშვით მკაცრად მექცევა, იოტისოდენასაც ვერ მიგებს. ზოგჯერ ისეთი გრძნობა ამიტანს ხოლმე, თითქოს სულ არ მიცნობდეს, ქალიშვილი რომ არ ვიყო მისი, სხვა მხრივ არაფერი გვექნებოდა საერთო. დედა კი, დედაჩემი ძალიან კარგად მიცნობს და ამიტომაც არ მენდობა თითქოს, ცდება ნამდვილად, მე უფრო ჰკვიანი ვარ, ვიდრე ჰგონია...

ერთი რამ ვერ გაუგიათ მაინც, ვერც ვალერიმ — ჩემმა ქმარმა ვაიგო ბოლომდე: ადამიანი ვინმეს საკუთრება რომ არ შეიძლება იყოს... მე თავისუფალი ვარ! ჩემი ფიქრები, სიცილი თუ ცრემლები ჩემია, საკუთარია, ისევე, როგორც სხეული ჩემი, თვალები და ტუჩები, მკერდი და მკლავები, ყველაფერი. ყველაფერი ეს ჩემია და მხოლოდ ჩემი, ჩემს გამგებლობაშია, — ლინა თვალებში ელვა გამოკრთა, — ეს არ ესმის არავის; მე კი, მე სხვა ვარ, — მე კიდევ ვიცი წინასწარ და არც ვიცი რა მინდა...

„რა რთულია ადამიანი, — ფიქრობდა ნიკა. — რომელ ქალთან რა საშიშროება მოელის მამაკაცს — ღმერთმა უწყის! ეს პატარა ქალი უდავოდ ჰკვიანია, მოვწონს თუ არ მოვწონს მისი აზრები, ეს სხვა საქმეა. რაწამს დამოუკიდებლად დაიწყო მსჯელობა და თავისი აზრები გადმოაღვა, მაშინვე გამოავლინა ანალიზის უნარი. თითქოს ყველაფერი აქვს: ახალგაზრდაა, ლამაზია და უზრუნველყოფილი, განათლების ცენზითაც აღჭურვილი, მაინც არა აქვს სულიერი წონასწორობა... გათხოვება მუდამ შეუძლია, მაგ-

რამ ალბათ სიბნელეში დაეძვბა, თუ-
კი დაეძვბა, თავის ცალს. იქნებ ვერც
იპოვოს ვერასოდეს, — შეებრაღა ქა-
ლი: — ალბათ, არც არასდროს ჰყვარ-
ებია ვინმე ან არ შეუძლია შეყვარება,
თორემ ამ „საკუთრებათა“ შესახებ
ასე შემზარავად, გაშიშვლებულად არ
იტყვოდა...”

გზიდან გადაუხვიეს, ამოლტილ შრი-
ალა ხეს მიუახლოვდნენ. ნიკამ შორი-
დანვე გამოარჩია ეს ხე. ლინამ, თით-
ქოს მოფერება მოუნდაო, ხელი გამოს-
დო ხის ზროს. ნიკამ ანგარიშშიუტემა-
ლად, მეორე მხრიდან მარცხენაი და-
უჭირა ქალს მარჯვენა. ლინა უცბად
ვერ მიხვდა, თავისდაუნებურად როგ-
ორ შემოუარა ზროს და ნიკას შეეჩე-
ხა, ლამის მიეჯახა. ნიკამ ხელი მოჰხვია
და ტუჩებში აკოცა.

ლინამ სული მოითქვა, გულიანად
გადაიკისკისა.

— ასე უცბად არ ველოდი, მით უფ-
რო თქვენგან. თქვენც კარგი ეშმაკი
ყოფილხართ...

გზა განაგრძეს. დიდი ხის ძირას მ-
გადა იდგა, მიწაში ჩაბეტონებულნი.
მაგიდასთან, გრძელ სკამზე ჩამოსდნენ.

ლინას უცებ სევდა შემოაწვა. სერი-
ოზული ლაპარაკი წამოიწყო. თითქოს
იგივე თემას განაგრძობდა, ისევე ურ-
თიერთგაგებაზე, გულისხმიერებაზე
ლაპარაკობდა, მაგრამ მაინც სულ სხვას
ამბობდა. ნიკა უსმენდა, იგრძნო, ლი-
ნას განმუხტვა, თქმა რომ ეწოდა, მას
კი მოსმენის უნარი ჰქონდა.

— ადამიანები არ უფრთხილდებიან
გულისხმიერების, ურთიერთპატივის-
ცემის უნარს... ადვილად ჰკარგავენ ამ
ნიჭს და მასთან ერთად ბევრ ადამიან-
ურ თვისებას. ჩვენ ყველაფრის გამარ-
თლება შეგვიძლია მოუცლევლობით,
ვითომდა ყოფის მიმართ პროგრესუ-
ლი, რაციონალური მიდგომით, რამდენ-
ი რამ შეგცდება ასე, როცა უბრალოდ
დაიზარებ, როცა გულგრილობას იჩენ...

— ნაცნობები მომიყვენენ, ამას წინათ,
ჩვენთან, ერთ-ერთ კულტურულ დაწე-

სებულებაში, ადამიანი, რომელიც იქ
ოც წელიწადს მუშაობდა — მას, ყვე-
ლა გულმართალ და პატიოსან პიროვ-
ნებად თვლიდა — უტყვად გარდაი-
ცვალა. დაკრძალვა შაბათს დღეს დანიშ-
ნეს. დაწესებულების უფროსმა თანა-
მშრომლები შეკრიბა და სთხოვა, თუმ-
ცა შაბათია, მაგრამ გაიჭირვებთ და
დასაფლავებაზე მოდითო, აამაგიეროდ,
ვინც მოხვალთ, სუყველას თავისუფალ
დღეს მოგცემთო. თქვენ წარმოიდგი-
ნეთ, ორი კაცის გარდა, — ერთი ფი-
ციონ უფროსი იყო, — ცარიენ მოვიდა
იმ დამსახურებული პიროვნების ცხე-
დარს, ახლო ნათესავებთან ერთად სულ
ხუთი კაცი მიაცილებდა...

— შეიძლება, არ არის გამორიცხუ-
ლი, რომ დაენახათ კიდევ — აუბა მხარი
ნიკამ. — მაგრამ აქ, თავისთავად, რაცი-
ონალური და, მით უფრო, პროგრესუ-
ლი არაფერი შეაშია, ეს უფრო ადამი-
ანისადმი უგულობის, უფრო მეტიც
— უტიფრობის გამოვლენაა.

— არც მოჩვენებითი ცერემონიები
ვარგა, ვიცი ეს, მაგრამ მე რომ მკით-
ხოს კაცმა, ისევე ის, თქვენი ქართული
წესები ბევრად სჯობს ასეთ ტოტალურ
უყურადღებობას... გვეყოფა, ვიკმა-
როთ საუბარი ადამიანის არასრულყო-
ფილებაზე.

— დღეს კარგი ფილმია საღამოს.
გნახოთ ერთად, ხომ არაფერი გაქვთ
საწინააღმდეგო, ნიკა? — კეკლუცად,
სახელის დამარცვლით ჩაეკითხა ლინა.

— რა თქმა უნდა, ერთად გნახოთ,
სიამოვნებით, სხაენაირად ვერც წარ-
მომიდგენია, — უმაღ დაეთანხმა ნიკა
და თვალის კუთხეში, სასაფეთქელთან
ეამბორა ქალს...

ლინამ წელზე მოხვია ხელები, თავი
მბრებზე ჩამოუდო.

— არავითარი მნიშვნელობა არ აქვს.
მერე რა იქნება. თქვენ მაინც მუდამ
მემახსოვრებით. არ ვიცი, რატომ ვარ
თქვენთან ასე სრულიად გულგრილი, თვი-

თონე აღმეძრა სურვილი, რაც შეიძლება ბევრი რამ დაუფარავად გითხრათ ჩემზე... მართალია, ეგოისტიც ვარ, იქნებ საკუთარი სიამოვნების დათმობაც მიჭირა. იქნებ არც ისეთი გულუბრყვილო ვიყო, როგორც ეს ერთი შეხედვით შეიძლება მოეჩვენოს ვინმეს... რაც ჩემთვის აუცილებლად და სასარგებლოდ მიმაჩნია. ვგონებ, წინასწარ მაქვს გადაწყვეტილი... თქვენთან კი სულელოდ გაწმენდილი ვარ თითქოს, სრულ ნდობას და გულწრფელობას განვიციდი, ისე ჩემად ვგრძნობ ჩემს თავს, იმდენად „მე“ მე ვარ ამ წუთებში, რომ სიამაყეც მეუფლება... ალბათ არ შეიძლება ეს დიდხანს გაგრძელდეს...

ნიკა არ ინძრეოდა. მისი პირველი შინაგანი მოძრაობა იყო, არ ესარგებლა ქალის აღსარებით, არ „დაეფრთხო“ მისი გულახდილობა.

— მე მუდამ, მუდამ მემახსოვრებით, — გაიმეორა ლინამ.

— იმედია, ზვალ კიდევ შეგხვდებით ერთმანეთს, — ღიმილით უთხრა ნიკამ.

ღილით, გაეღვიძა თუ არა, ნიკამ, ჩვეულებრივ, პირდაპირ ხეობის თავში მღვარ პალმას გახედა, — ხეობა მალედიან ზღვის ნაპირამდე ეშვებოდა; გზატკეცილი და რკინიგზა ზემოდან უვლიდა მას. პალმის ნორჩი ყლორტები კანკალით, ნერვიულად ირხეოდა ერთ რიტმში, თავისებურად მკვეთრ, შორიდან მომდინარე ხმას გამოსცემდა. ბალიშიდან თავაუწყევლად ხედავდა ნიკა საშუალო სიმაღლის, ლაღად გამწვანებულ პალმას, მის მსხვილ ზროსა და ვეება ფოთლებს.

ყოველ სისხამ ღილით ესმოდა ამ ყლორტის რიტმული ფარფარი. ზუსტად ამ დროს ეღვიძებოდა. ზღვის სპეციფიკური სურნელი ავებდა ოთახს. ერთხანს გაუჩიებულო, გაუნძრევლად იწვა ხოლმე ნიკა, ერთი და იგივე ფიქრი გაუქრთებოდა ძილ-ღვიძილში

მყოფს — კიდევ ცოტა ხანს დავიძინებო, — მაგრამ ვიდრე ისევ ძილს დანებდებოდა, დილის სიგრილეს თავისი გაჰქონდა: ცივი ნიავე ცხვირში უღიტინებდა, საკუთარი შუბლის სიდიდეს ხელშესახებად შეიგრძნობდა, ფხიზლდებოდა და ძილიც საბოლოოდ ეკარგებოდა.

ამ დილასაც ადრე წამოდგა. ტანთ შილივად ჩაიცვა და ზღვისკენ ჩამავალ ბილიკს გაუდგა.

ასე ადრე პლაჟი მუდამ უკაცური იყო. დღესაც მხოლოდ ორადორი ადამიანი — ხანშიშესული ცოლ-ქმარი მოსულიყო. მზე ჭერაც არ ამოწვერილიყო. შეიძლება ვინმეს ეფიქრა, ღრუბლიანი დღე დადგებო, მაგრამ ნიკამ გამოცდილებით იცოდა, დილის უღიმლამობა ამინდისათვის ჭერ კიდევ არაფერს არ ნიშნავდა.

ნიკა ზღვაში შევიდა. ჰაერი ღრმად შეისუნთქა და წყალში ჩაყვინთა. საკმაოდ შორს გასცურა. ამასობაში ზღვამ მზის სხივებიც აირეკლა. ნიკა გადმოტრიალდა, ზღვის ზედაპირზე გულამა დაწვა, თვალები მილულა, თითქოს დაეძინაო და ასე გატრუნული დაქანაობდა ტალღებზე. თანაბრად სუნთქავდა, გამოკვეთილად არაფერზე არ ფიქრობდა.

მას შემდეგ, რაც ლინა გაიცნო, ხალისიანი განწყობა თან სდევდა მუდამ: მისი სახე ედგა თვალწინ, მოსალოდნელ, ახალ შეხვედრებს სასიამოვნო რეალობად აღიქვამდა. დრო დაჩქარებულყო — ყოველი წუთი და წამი ახალ სიხარულს, ახალ წვდომას და ილერსს უჭაღდა... ნიკა უკან აღარ იხედა, შეხვედრიდან შეხვედრამდე სითამამე ემატებოდა, მთელი არსებით შეიგრძნობდა, რომ უფლება ამ კოპწია ლამაზ ქალზე უკვე მას ეკუთვნოდა; ყოველ შემთხვევაში აქ, ამ მიკროსამყაროში ორივეს ერთმანეთი გამოერჩია დანარჩენი საზოგადოებისაგან...

„სამი დღეც არ არის მცირე დრო ასეთ პირობებში, თორმეტ-თორმეტ

საათს თუკი ატარებთ ერთად ყოველ-
დღე, — ასკვნიდა ნიკა, — უკვე მეოთ-
ხე დღეა... ლაპარაკს ვუკვლით. თუმც
ყოველი სიტყვა ჩვენს შორის საგულ-
ისხნოა, ჩვენი ენერგიითაა გამთბარი...”

სევას ნათქვამი გაახსენდა, — ლინას
გაცნობის მეორე დღეს, სადილობის
შემდეგ რომ უთხრა, როცა დეიდა და
დისწული დროებით დაემშვიდობნენ,
ხოლო ნიკა მასთან და რამდენიმე დამ-
სვენებელთან ერთად ზანტად მიაბიჯე-
ბდა აღმართში. აი, მაშინ თქვა ლინაზე:
„მშვენიერი ქალია, მე ვიცი ეგ ჯიში,
მაგას ბრიტელუბიანი კაბა ჩააცვი, სამ-
ოცი წლის ასაკშიც ეგეთივე ტანი და
ბავშვური შესახედაობა ექნება, შენ მა-
გისი არ მოგერიდოს“, — და თავის
მოსაზრებას პრაქტიკული რჩევებით
მიაყოლა.

ნიკას არ მოეწონა ასეთი ლაპარაკი.
ადრეც არასდროს შეეძლო ქალის ასე
გულგრილად განსჯა, მაღავდა კიდევ
თავის სისუსტეს: ბავშვობიდანვე დას-
ცინოდნენ ბიჭები, როცა ამჩნევდნენ,
გოგონები რომ ეცოდებოდა და ინდობ-
და მათ. ბევრჯერ სულელურ სიტუაცი-
აშიც კი მოხვედრილა ამის გამო.

ნიკას ეგონა, რომ ქალის საქციელში
— ქალისა, რომელიც მას მოეწონე-
ბოდა, ვისაც გამოარჩევდა და, ცხადია,
გამოარჩევდა არა მხოლოდ მომხიბლა-
ვი გარეგნობით, არამედ პიროვნული
თვისებებითაც, — ასეთი ქალის საქ-
ციელში ყველაფერა ხედავდა. მაგრამ
ასე ეგონა მხოლოდ. იგი თურმე, თავ-
ისდაუნებურად, კარგის დანახვას ცდი-
ლობდა. სხვა სულიერი და ემოციური
განწყობით შეიგრძნობდა ნიკა ქალის
ბუნებას. იქნებ ხშირად ცდებოდა კი-
დეც და მაინც მართალი გახლდათ. მის-
თვის ეს არსებითი არ იყო, არ ითვლე-
ბოდა ეს შეცდომად. იმ წუთში, იმ მო-
მენტში თავის თავთან პირნათელი იყო.
უფრო მეტიც, თუკი სურდა საკუთარი
„მეობის“ ფარგლებს არ გასცდენოდა.
არ დაეკარგა ის კეთილი მარცვალი, რაც
მისი ბუნების საწყისს განსაზღვრავ-

და, მაშინ უნდა შემცდარიყო კიდევ.
შემცდარიყო კი არა, არ უნდა ყოფილ-
ყო წვრილმანი და „მუხანათი“...

სანუკვარი. საოცნებო ქალიც ასეთ-
ად მიაჩნდა, სულგრძელად რომ მიენ-
დობოდა და გაბედულად წაპყვებოდა.
ჩასწვდებოდა კი არა. უმაღლ რომ იგრ-
ძნობდა მის სულს და უპასუხებდა მას...

„ასე შეიძლება დამეძინოს კიდევ“,
— გაიფიქრა ნიკამ. თვალეები გააჩილა,
იყევ ჯადმოტრიალდა და აუჩქარებე-
ლი ცურვით წავიდა ნაპირისაკენ. პლაცს
არ უყურებდა, მაღალი ტყიანი მთების
სიდიადე იპყრობდა მის თვალს. მწვე-
რვალებს შესცქეროდა... ახლოვდებო-
და ნაპირი. ქედია თხემიდან შუბივით
გამოწვერილიყო ერთადერთი ღრუბე-
ლი, ზაფხულის ხანმოკლე წვიმის მაცნე.

ლინა ნასაუზმევს გამოჩნდა პლაჟზე.
ჩვეულებრივ, ქალბატონ მავრიტანიას-
თან ერთად მოვიდა. ფერმკრთალი ჩა-
ნდა. სევდიანი ღიმილით მიესალმა
ნიკას.

— თქვენ რა მალე გაშავდით, ნიკო-
ლაი ეესტაფიევიჩ, — მიმართა ქალბა-
ტონმა მავრიტანიამ, — მე კი ვერა და
ვერ მომეკიდა მზე.

— თქვენ ისე ცდილობთ, მავრიტა-
ნია სამსონოვნა, რომ მალე აუცილებ-
ლად მოგეკიდებათ, — დაამედა იგი
ნიკამ.

ლინა და ნიკა ზღვაში შევიდნენ.
შორს გასცურეს.

— ლამე ცუდად მეძინა, — უთხრა
ლინამ.

— მზის ბრაღი ხომ არ იქნებოდა?

— არა, არა მგონია, უბრალოდ ფი-
ქრებმა არ მომასვენეს. ერთი მეორეს
გამოება და გაიმართა კარუსელი.

— მაინც რას ფიქრობდი, თუ საი-
ღუმლო არ არის?

— დამთავრდება საკურორტო ვადა.
დავბრუნდები შინ, დაიწყება ისევ ერ-
თი და იგივე, ისევ ოჯახური ექვები და

ოთარ ნოდია
ნოთხროვაძე

სამსახურის ერთფეროვნება, სახარბიელო არაფერი მიმელის. ვერ წარმოიდგენ თუ როგორ განვიციდი ამ ერთფეროვნებას, ფიზიკურადაც კი მაწვალუბს... აი, თუნდაც ჩვენი მამაკაციები რომ ავიღოთ: გონების თვალთ ხეხედავ, თავისებურად განსხვავებულნი რომ არიან, მაგრამ იმასაც ვხვდები, მათ შორის ინდივიდი, თავისთავადი ადამიანი რომ იშვიათია: განათლებულებიც, ნიჭიერებიც კი არიან, მაგრამ ყველანი მაინც ერთ თარგზე გამოჭრილებს გვანან, — მოსაწყენები, ერთნაირად ეგოისტები და მეტისმეტად გონიერნი... მათ შორის ვინ ცუდია და კარგი, არც ამაშია საქმე, ზოგჯერ ყოველმხრივ „დადებითი“ და „კარგი“ უფრო ვაღიზიანებს... რაღაც ისეთი რამ უჩვეულო ვინდა, ისეთი სიახლე, დროებით მაინც რომ გავიტაცებ და დაგვიწყებს უსიხარულო ყოველდღიურობას... ვიცი, შენ ეს პრობლემები ნაკლებ გაწუხებს, თქვენთვის უფრო ბუნებრივია უშუალო სულიერი ყოფა, მაგრამ რატომღა ეს ასე, რაშია ის არსებითი სხვაობა ჩვენს შორის, ბოლომდე ვერ გამოვიგია...

ნიკა უსმენდა. ღონა ნამდვილად ვერ იყო დღეს ხასიათზე. ასეთ განწყობას თავისით უნდა გაეყოლო...

— იქნებ არ არის საჭირო ამდენი თვითნაწილი, — თითქოს სასხვათაშორისოდ უთხრა.

— შეიძლება, ალბათ ასეა, — დაეთანხმა ღონა.

ამასობაში შორს გასულიყვენ შეუმჩნეველად. ძალდაუტანებლად მიცურავენ. ნიკაც ამოუხლოვდა. ხელი მკლავზე მოავლო ქალს, მოიზიდა, ტუჩებში აკოცა და უმალ გაეცალა. გვერდით გაჰყვა ცურვით.

უკან გამობრუნდნენ. ნიკა გრძობდა თუ როგორ ეღვრებოდა გულში ამ ქალისადმი ადამიანური სიახლოვის გრძობა, როგორ ევსებოდა სხეული თბილი. ლურჯი სურვილების მდინარეებით...

დროდარო ქალის სხარტ ტანს ჰკიდებდა თვალს, იმ უჩვეულო თვალების გამოუთქმელ მზერას დაიჭერდა და, მამაკაცური სიამაყის სხივი გამოუქროდა თვალებიდან... ქრუანტელის მომგვრელი სევდა ეუფლებოდა...

ალბათ, ჩვეულებრივ, ფხიტი აუცენენ. ნაწვიმარზე ფიჭვის სუნი სდიოდა გაბორჯილი, მსუყე ხეებს... პირველ კორპუსთან დროებით, სადილობამდე დაემშვიდობნენ ერთმანეთს...

სადილზე დეიდა და დისწული არ გამოჩენილან. წყნარი საათის შემდეგ ნიკა ნირწამხდარი ჩავიდა ზღვაზე: გული რაღაც უამურს უგრძობდა. ვერ გაეგო, რა დემართათ, სად გაუჩინარდნენ.

... შეუღამეს, ალბათ უკვე პირველი საათი იქნებოდა, ძილში მანქანის ხმაური და ჩუმი, ყრუ საუბარი ჩაესმა. ხმები ვერ გაარჩია, მაგრამ უმალ გაიფიქრა: „ის მოვიდა...“

გათენდა, ახლაც დილის ნიავზე გამოვლიძა. ბალიშიდან თავაულებლად გახედა მოპირდაპირე პალმის ნორჩ ყლორტს — ისევ ნერგულად კანკალებდა ყლორტი და ისევ შორიდან მოისმოდა მისი რიტმული ფარფარი. იმწამსვე ღონას გუშინდელი გადაკარგვა და შუალამისას მანქანის ხმაური გაახსენდა. უკვირდა კიდევ, მაგრამ რატომღაც ბუნებრივად ესახებოდა ეს ფაქტი, თუმცა რა იყო თვით „ეს ფაქტი“, რა მოხდა, ეს კი აღარ იცოდა, ისევე, როგორც არ იცოდა რატომ ეახებოდა ბუნებრივად ღონას გუშინდელი გაუჩინარება.

ზღვაზე ჩავიდა. იქ ვერავინ ნახა, ვინც უნდოდა. ღონა საუზმეზეც არ მოვიდა. ქალბატონ მავრიტანიას მოპკრა თვალის მხოლოდ: მაგიდას უჯდა, თავის მეზობელს ესაუბრებოდა. გულგრილად კენკადა საქმელს. მავრიტანიას თანამესუფრე. ტანსრული და მკერდსავსე, მრგვალი პირისახის, მშვი-

დი, უწყინარი გამომეტყველების ქალი. ჩვეულებრივ არავის ელაპარაკებოდა. დარიგებულებით მხოლოდ რამდენიმე დამსვენებელთან ჰქონდა ურთიერთობა — თავისი გამორჩეული წრე ჰყავდა. უდრტვინველი, კმაყოფილი და ერთ-თავად გაბრუებული ჩანდა. ნიკამ ადრევე შენიშნა, რომ საუბრებზე, როგორც წესი, მუდამ დადიოდა. სადილზე და ვახშამზე კი იშვიათად თუ გამოჩნდებოდა. სადილობამდე, დაახლოებით ერთი საათით ადრე ამ ქალის «Cabal-lieri» — თბილისელი ინტურისტის მუშაკი, ორმოციოდ წლის მოხდენილი კაცი, დღის ამ მონაკვეთში მუდამ მზიარულ გუნებაზე რომ იყო, ხოლო დილაობით — უსალმო და პირქუში, მათი წრის რამდენიმე მამაკაცთან და ქალთან ერთად გასძახებდა ხოლმე ამ ქალს მეორე სართულზე, ისიც ჩამოდიოდა და მთელი ეს კრებული ორი ან სამი „ვოლგით“ ტოვებდა დასასვენებელი სახლის მიდამოს. სადღაც ოცდაათი კილომეტრის იქით, ხევში გამართულ ფეშენებელურ რესტორანში დადიოდნენ სადილად.

— Едем к мишке — გაიძახოდნენ მოხდენილი მამაკაცის სტუმრები.

— К мишке, мишке! — იზიარებდა საერთო ენთუზიაზმს ტანსრული ქალი. რესტორანში მოშინაურებული დათვი ჰყავდათ. დათვი თურმე ლიმონათს სვამდა უზომოდ, ბევრს ციგნობდა და დამსწრე საზოგადოებას ამზიარულებდა.

უცნაური გრძნობა ეუფლებოდა ნიკას ამ ქალის დანახვაზე, ეცოდებოდა რატომღაც, აი, ბავშვი რომ შეეცოდებათ ხოლმე, რომელსაც უფროსები ატყუებენ, თუმცა ქალი პატარა არ იყო, ოცდაათი-ოცდაათორმეტი წლისა იქნებოდა, იცოდა რა უნდოდათ მისგან და ისიც იცოდა, თვითონ რა უნდოდა. არ მალავდა, ნებისმიერ დროს მზადყოფნაში რომ იყო, თავის თაყვანისმცემელს საგანგებოდ მორთულ-მოკაზმული ვაკ-ყოლოდა, სადაც კი ის მოისურვებდა...

აი, ამ ქალს ესაუბრებოდა ლინას დეიდა. ქალბატონ მავრიტანიას სახეზე არავითარი კვალი წუხილისა არ ემჩნეოდა და ნიკა მიხვდა, ლინას ცული არაფერი მოსვლოდა, ჰოდა, ზედმეტად ჩათვალა მასთან მისვლა და ამბის კითხვა... წყენამ გაჰკრა გულში, თუმცა რა ჰქონდა საპრეტენზიო: ლინას სადაც უნდოდა, იქ და ვისთანაც უნდოდა, იმასთან წავიდიოდა...

გარეთ გამოვიდა. სევას ხმა შემოესმა და მოიხედა. სევა ნაჭიფთარი ჩანდა, უჩვეულოდ უზრუნველი, კარგ ხასიათზე იყო. ჰალარა ქოჩორი ეკხიან ცხვირზე ჩამოშლოდა, თვალები ეშმაკურად უცინოდა.

— ნიკა, რასა იქ, ხომ არ მოიწყინე? — ჰკითხა ნიკას.

— რა მიშავს, ვარ ჩემთვის, ვბანაობ, ვსევირნობ, მეტს რას იზამს აქ კაცი. — უპასუხა ნიკამ.

— კაცი რას არ იზამს, ჩემო ნიკა.

— არა ჩანდით, ერთად ხომ არ იყავით დათვან? — დაინტერესდა ნიკა.

— ვიყავი, მომწყინდა აქაური საქმელი, ცოტაც შევუბერეთ, ლინას ძალიან მოეწონა იქაურობა, ახლაც იმისგან მოვდივარ, წევს. წუხანდელს მერე თავი სტკივა. — უყვებოდა სევა.

„გამომვიდა ესეც მურმანი“. — გაიფიქრა ნიკამ. უკვე წინანდელივით აღარ ახალისებდა სევას ლაპარაკი, თუმცა იხტიბარს არ იტებდა, მაინც იღიმებოდა; უჭირდა გაღიმება, მარტო ყოფნა მოუნდა, მოწმის გარეშე. ლინასადმი ინტერესი უცხად დაეარგა, თითქოს გამოფხიზლდა. უკვირდა კიდეც თავისი ხანმოკლე გატაცება. და მაინც მარტოკას უნდა მოენელებინა ეს „მარცხი“, სწორედ ლინასთან რომ მოუხვდა ასე მოულოდნელად, ერთი შეხედვით ძნელად ასახსნელიც რომ იყო...

„... კაცმა რომ თქვას, არაფერი არ მომხდარა, — ფიქრობდა ნიკა. — სევამ ვერც შენიშნა თუ რა ჰქნა, მასთან

ვერავითარი პრეტენზია ვერ მექნება. მაინც გაუგებარია, ღიმილის მომგვრელია სევა მეტოქის როლში. ძნელი დასაჯერებელია, ლინას მეტი სიმპათია რომ ჰქონდეს მისადმი...”

თუმც, ყოფით ნიუანსებში ნიკაზე უფრო ყურადღებიანი და გამგები სევა არავითარ სირთულეს არ უქმნიდა ლინას... პროფესიასაც თავისი გაჰქონდა, იგი გინეკოლოგი გახლდათ.

ზედმიწვევით იცოდა სევამ ქალის ორგანიზმი. იმასაც ცდილობდა, — შედარებით მარტივ სიტუაციაში, — ქალის ფიზიოლოგია ქალის განწყობასთან დაეკავშირებინა. სევას თვალში ქალის ხატება უმოძრაო რჩებოდა. სახეცვლილებას არ განიცდიდა, მოკლებული იყო გარდასახვის განუმეორებელ და მარადიულ პირობითობას... ქალები კი, სკირდებოდათ მისი დახმარება თუ არ სკირდებოდათ, მაინც ადვილად უახლოვდებოდნენ, შინაურად თვლიდნენ მას... მასთან ჩადენილი ცოდვაც ცოდვად არ ითვლებოდა თითქოს... მსუბუქი იუმორი, ხმის უჩვეულო ჟღერადობა და კომიკური გამომეტყველება ამ საქმეში მხოლოდ ხელს უწყობდა...

ნიკამ მიმოიხედა. ამ ფიქრებში გართული შეუმჩნეველად ჩასულიყო პლაჟზე. გრილ ქვიშაზე დაჯდა, მუტში მოიგროვა კენჭები და საითთაოდ ესროდა ნაპირზე მიხლილ ტალღებს.

სწრაფად ბინდდებოდა.

სალამოს, ფილმის დამთავრების შემდეგ ნიკა ბაღში გამოვიდა. გრილი ჰაერი სიამოვნებით ჩაისუნთქა, გვიანი იყო უკვე. აქა-იქ თითო-ოროლა დამსვენებელი სეირნობდა, ხმადაბალი საუბარი ისმოდა. მუსიკეცვამდე მივიდა. ანაზღად ქალბატონ მავრიტანიას, სევას და ლინას შეეჩხება. ჯერ იყო და, თვითონვე მოერიდა, გაიფიქრა, თავს ავარიდებო, მაგრამ ეს კიდევ უფრო უხერხულად ჩათვალა. მერე ჩიქურ მივიდა მათთან, ყველას ისე მიესალმა, თითქოს არაფერი მომხდარიყო, და

თვითონაც გვერდით გაჰყვა. სევა რაღაც ამბავს უყვებოდა ლინას და ქალბატონ მავრიტანიას. ისინი ხმადაბლა იცინოდნენ, სევა წამით შეყოვნდა, ნიკამაც იღროვა და სერიოზული სახით მიუბრუნდა ქალებს:

— როგორ ბრძანდებით, კარგად გაატარეთ ეს დღეები? — აუღელვებლად, გულგრილად იკითხა.

— კარგად, რა გეშავს, ბევრი საინტერესო ადგილი ვნახეთ, — ლინას ხმაში თვინიერი, შემრიგებლური კილო მოესმა.

— მავრიტანია სამსონოვნა, თქვენ როგორ მოგწონთ თქვენი ახალი ნაცნობი? — განაგრძობდა ნიკა: აინუნში არ აგდებდა, სევას ლაპარაკი რომ შეაწყვეტინა.

— სევერიან რომანოვიჩი ძალიან კარგი ადამიანია — გულისხმიერი, კეთილი. ბედმა გავცილიმა, ჩვენთან ერთად რომ ისვენებს, — უპასუხა ქალბატონმა მავრიტანიამ.

— სრული სიმართლეა. რა სასიამოვნოა, როცა ასეთ ადამიანს შეხვდები, — ისეთი კილოთი თქვა ნიკამ, თითქოს სევა იქ არც ყოფილიყო, — მით უმეტეს, რომ ლინუსია და სევერიან რომანოვიჩი ერთმანეთისთვის არიან დაბადებულნი, — მოულოდნელად დაასკვნა მან.

სევა და ლინა ხმას არ იღებდნენ. ლინა რაღაცის თქმას ლამობდა თითქოს, მაგრამ თქმაც ვერ გადაეწყვიტა. სევას უკვე აღარ მოსწონდა ეს დიალოგი, ყასიდად გაიცინა, ლინას ხელი გამოსდო, ნაბიჯი ააჩქარეს, დაწინაურდნენ.

ქალბატონი მავრიტანია სენტიმენტალურ ხასიათზე დადგა. ეტყობოდა, ნიკასთან საუბარი სიამოვნებას ჰკვირდა. წინ მიმავალ სევას და ლინას გაჰყურებდა, გამოზომილი ნაბიჯით მიჰყვებოდა ნიკას გვერდით. ელექტროშუქზე ნიკამ შენიშნა მისი ჩასანთლული, სასოებით მოციმციმე თვალები.

— Какой он хорошенький, какой он милый! — გრძნობამორეული ჩურჩულით წარმოთქვა მავრიტანიამ.

გიორგი ვიგაური

ჭიმლის კლდეებთან

ჭიმლის კლდეები პიტალო —
მონადირეებს ელიან,
მიღგალ-მოღგალავს მიდამოს
ვაჟკაცი სვილის ფერია.

ხარჯიხვებს ჩამომილაღავს.
სუფრას გამიშლის წყაროსთან
და ქალას პირმომცინარეს
მაახლებს, როგორც წყალობას..

მომაგონდება სწორფერი,
არხოტ რომ მაცინ-მაღხინა,
წარსულის ფიქრებს მოფრენილს
გულზე დავიფენ სახმილად.

ცეცხლივით წამეკიდება
ჭაბუკურ წლების ზღაპარი,
ლურჯაის არ დამშვიდება,
კლდეს შერჩენილი ფაფარი.

რალას არ მოვეფრები,
რალა არ მომენატრება,
ბოგონებათა ფერები
ხელში თოვლივით მადნება.

ვბორგავ.
წლებს ველარ ვიბრუნებ.
ძალღივით ღრინავს სიბერე,
ჭიმლაო, შენთან მიგულვე,
შენს ერთგულებას ვიფერებ.

ხან ჩანჩქერს ვგევარ მჩქეფარეს,
ხან ხევ-ხევ დავეხეტები,
მზეს დახარბებით ხვრეპავენ
ჯაგარაშლილი ეედები.

უფსკრულნი ნისლებს ინოვენ.
წყარონი შურთხებს ელიან...
კვლავაც გაივლის ვინროებს
ვაჟკაცი სვილის ფერია.

დაჯარდენი ლუდის სმაზედა

ხუცობს თათარათ ფშაველა.
ადიდებს სალოცავებსა.
დაღვედრა,
დაიმტკაველა.
მეტრ არ განვდება მტკაველსა.

წამოაქცია კურატი
წმინდა გიორგის კარზედა,
დაშნა უწვდინა გულამდის,
ბუზი ადნება ფხაზედა.

მერე აანთო სანთელი.
დააკრა ბროლის რქაზედა...
და ხვეისბერის მართვენი
დაჯარდენ ლუდის სმაზედა.

დალოცა.
დაამწყალობა.
იმედით დააფრთიანა,
უსურვა ვაჟთა მრავლობა.
ქალები თვალეზბრიალა.

სულმოუთქმელად დაცალა.
ფრჩხილზე დაბერტყა ფიალა.
სიმღერაც არვის აცალა —
ჩაგრიხა, ჩაანკრილა...

სუფრაზე შემოალამდათ.
ვილა დარდობდა ამასა.
არაგვის ტალღის ლალადმა
საფიხვნო გაალამაზა.

სურათი

ცაზე ლემადე ვარსკვლავებს თიბავს
და შავი ღრუბლის ნაბადში ახვევს.
მკრთალი სხივები გაბმულა შიბად
პგვანან შურთხისთვის
დაგებულ მახეს.
მთვარის ნალევი ხარივით ქშინავს,

წვიმიან გზაზე ბარბაცით მიდის.
უნდა მიაგნოს საკუთარ ბინას.
ცის თალზე სანამ
სულდგმულობს ბინდი.
თორემ დარეკავს ზარი დილისა.
დაიფერფლება მთვარის თილისმა.

დაფიქრება

იცი, რამდენი სიფრთხილე გმართებს
და დაფიქრება გმართებს რამდენი.
რომ არ განვრილდეს
შარაგზა ფართო.
არ დაიფერფლოს
ფუჭად სანთელი.
არ დაემსგავსო უსიმო საკრავს,
როცა სიბერის სიყვითლე დაგკრავს!

ნუ გაიკვირვებ

ნუ გაიკვირვებ
ჩემს დარდს და ნალველს,
დადუმებას და თავდახრილობას,
მე ამ დროს რწმენის,
ახალ კარს ვაღებ
და გამარჯვების გაძლეე პირობას.

როცა ავგული უღმერთოდ მჭორავს,
მილიმის ლოდი სასაფლაოსი,

კვლავ გაბედულად
ვაგრძელებ ბრძოლას
და იცრიცება ღამის ქაოსი...

არა მწვევია ბრმა მორჩილება,
გზის გამრუდება ვერაგთა შიშით;
მაქვს საკუთარი შუქი, ჩრდილები,
მაქვს საკუთარი ხატიც და ნიშიც.

ჭადრაგი ბაღში

ხასხასა მოღზე ჩრდილებს მიფენს,
სულის საამო სურათს ხატავენ,
ხეთა უნახეს ალერსს ვიფერებ,
მათი სიცოცხლის ვლოცავ სათავეს.

გაურღვევიათ ცა იმერთის
და მთავაზობენ ცისფერ ნაფლეთებს,

ვარ ბედნიერი ჭადრის ხელებით
ამაღლებული ღრუბლის აფრებზე.

ლორთქო ფოთლების
მრიალი მხიბლავს
მხიბლავს ჩურჩული მეგობრის ბაღის
და ცისარტყელას გადებულს ხიდად
მზისკენ მიყვები ჩიტივით ლალი.



მოთხოვნები

ი რ ი ნ ო ლ ა

მამი ახალი დამთავრებული იყო. ირინოლა იმ წელს ამთავრებდა მუსიკალურ სასწავლებელს. მამის დაღუპვის ამბავი დიდი ხანი არ იყო, რაც შეიტყვეს. დაობლდა ირინოლა.

იმ დღესაც სასტუმრო ოთახში როიალს უჯდა, როცა დედამისი შემოვიდა სურათით ხელში. კედელთან სკამი მიიდგა და ლურსმნის მიკედება დაიწყო. ჩაქუჩის უოველი დარტყმა გოგონაში უცნაურ გრძობას იწვევდა. ნაღვლიანი თვალები მამის სურათს მიჰაპურო და მზერა იჭვე, ძველებურ პატარა მაგიდაზე გადაიტანა, სადაც მამის ვიოლინო იღო.

ირინოლას ის საღამო გაახსენდა, მამა ომში წასვლის წინ რომ ეფერებოდა, არწმუნებდა, მაღლე დავბრუნდებო. მერე მამის მკლავებში ჩაეძინა კიდევ.

ფიქრებში გართულს ქუჩიდან ხმაური შემოესმა. ფანჯარასთან მიიბრინა და გადაიხედა. ერთნაირ ტანსაცმელში ჩაცმული უცნობი მამაკაცები ქუჩის შეკეთებას აპირებდნენ. მეზობლის პატარა ბიჭები გარბი-გამორბოდნენ. „პიტლერ კაპუტ“ — დაიძახებდნენ და ეზოებში იშალუბოდნენ. მეთვალყურე მერ მოაშლევინა ბავშვებს ცეცქობა. თავჩაქინდრულმა გერმანელმა ტყვეებმა მუშაობა დაიწყეს. ბიჭები კი თავისას არ იშლიდნენ.

ერთ გერმანელს ნერვებმა უმტყუნა, ხამულაო იარაღი გვერდზე მიაგდო, ორივე ხელი ურრებზე აიფარა და განწირული ხმით იუვირა:

— Ja, ja Hitler Kaput! — აღა უნდოდა ამ სახელის გაგონება.

ხვები კი განაგრძობდნენ მუშაობას. თითქოს არც ესმოდათ მისი ქვიითი. ბავშვები შეტერდნენ და გაოცებული შესცქეროდნენ ტყვეს. ვერ წარმოედგინათ ატირებული გერმანელი. ხიჩუმე ჩამოვარდა.

— ჩვენ ცოლვა მიეცა ჩვენ და თქვენს დამლუპველს. — ჩიოდა ქუჩაში მიმავალი შავებში ჩაცმული ქალი.

ირინოლა მოტრიალდა და მამის სურათს დააკვირდა. მერე როიალს მიუახლოვდა. დაქდა.

1 დიას დიას, პიტლერი განადგურდა.

სუსტი თითებით კლავიშებს შეეხო და ნელა დაიწყო ჩაიკოვსკის „ოქტობერი“. დაასრულა. მცირე პაუზის შემდეგ კვლავ მამის სურათს ახედა. ქუჩიდან ტაშის ხმა შემოესმა. ერთხანს დაუიქრდა. ბოლოს შემანის „არაბესკები“ აირჩია. ფინალს რომ მიუახლოვდა, კვლავ მოესმა ტაშის ხმა. წამოდგა. ნელი ნაბიჯით მივიდა ფანჯარასთან. ტაში უფრო გაძლიერდა, როცა გერმანელმა ტყვეებმა ძველებური სახლის დიდ დიაფანჯარაში დაინახეს მკერდზე ნაწევადმოგდებული ირინოლა.

●
მეორე დღეს ისევ მოიყვანეს ხამულად ტყვეები. ისინი გოგონას ფანჯრებისაკენ იხედებოდნენ. ის კი არ ჩანდა. მხოლოდ ნაშუადღევს გამოჩნდა ქუჩის მოსახვევში. ნავთის ბიდონით ხელში. ტყვეებს მიუახლოვდა. მათ ერთი სათვალავანი გერმანელი გამოეყო. ჯიბიდან სურათი ამოიღო და გოგონას გაუწოდა. სურათზე სიმფონიური ორკესტრის წინ, ვიოლინოთი ხელში იდგა წარმოსადგეი. ლამაზი გარეგნობის ახალგაზრდა.

— Sind sie Musikant!?

— Ja!

— Mein vater war auch Musikant, er hat Geige gespielt! — თქვა და სურათი დაუბრუნა. გახედა. შეამჩნია, რომ სხვებსაც ხელში სურათები ეჭირათ და გოგონას შესცქეროდნენ. ირინოლამ ტყვეებს ჩამოუარა, სურათებს ართმევდა. დახედავდა და კეთილი ღიმილით უკან უბრუნებდა.

●
მესამე დღეს ირინოლას საღარბაზოს კარზე ფრთხილი კაკუნი ედგა. გოგონამ კარი გააღო. მის წინ გერმანელი მუსიკოსი იდგა. ხტუნდა.

2 — თქვენ მუსიკოსი ხართ?

3 — დიახ.

4 — მამაჩემიც მუსიკოსი იყო. ვიოლინოზე უკრავდა.

მარი დაბნეული უყურებდა პატარა მასპინძელს.
Hans Ditrich, წარუდგა.
გოგონამ იგი სახლში მიიპარტია. სიჩუმე ჩა-
წოვარდა. სტუმარმა კედელზე ჩამოკიდებულ
სურათს მოჰქრა თვალი. სურათიდან ქართული
ვაჟიკი იღიმებოდა. გერმანელმა თითები ვაი-
ლინონს სათუთად შეახო. მერე ირინილას შე-
ხედა. თითქოს მისგან ნებართვას ითხოვდა. პა-

ტარა მასპინძელს თვალზე ცრემლი მოადგა და
თვალბითვე ანიშნა დასტური. „გლეჯის შე-
ლოდიას“ უტარავდა სტუმარი. უტარავდა და ირგ-
ვლივ ვერავის აჩნევდა. დაამთავრა. გოგონას
მიუახლოვდა. შუბლზე აკოცა. ვილინონი ხელ-
ში სურათის წინ შედგა და მოწიწებით თავი და-
ხარა.

კათილინსკოვალთა ჩვივთა კათილი უყავ

— ბაპაშებო, ბეჩა, ქვეყანა, ქალი ვარ ახლა
მე? — თითქოს გაუწურა თავის თავს მოხუცი
და მისი ასაკისათვის შესუფერავებული სისწრაფით
წამოდგა საწოლიდან.

სამოცდაათ წელს მიღწეული პატარა ტანის
კობტა ქალი ვახლდათ იადონა. თეთრი თმა
ავალინს დასანახავად ეჭარებოდა. საგულდაგუ-
ლოდ ჰქონდა შენახული სანთლის ალით გაქვარ-
ტლული პატარა ფაიფურის კამი. რომელსაც
ვაზელის დაუმატებდა. ბაბბას მიუსწოვებამდე
და თეთრ თმას ასე იფერავდა. ზომავზე მეტი
ღმარაილის ზმარებით სახე დანაოკებული ჰქონ-
და. კართული ცხვირი და გამოქნილი წარბები
სანდომიან იერს აძლევდა.

სამსართულიანი ძველებური სახლის პეორე
სართულზე ცხოვრობდა. რომელსაც ხაერთო
აივანი ჰქონდა. ეზო ისეთი იყო. დიდი ვაჟიკა-
ბა უნდოდა. შენი ოჯახის საიდუმლო რომ შე-
გნებოდა. იმ დღესაც აივანზე ფუსფუსებდა მო-
ხუცი. როცა მეზობლის ქალმა ნინუცამ ქაიქა-
თა თეთრეული გამოფინა გასაშრობად.

— საწყული გოგო, რა მეოჯახა. რამდენჯერ
გავფრთხილდე: კმრის მოსვლის დროს მოწესრი-
გდი. ნუ დაბედები მისსავე ფეხსაცმელში, თავზე
„კახინა“ წაკრული. ვიცოდი შაშუმეს ხასიათი.
გაერობდა მოხუცი.

— მივდივარ სოფელში, ჩემო იადონა ბიო-
ლა. შენი იმედით ვტოვებ ჩემს გოგოს, — შე-
ემუდარა მოხუცს ნინუცას დედა.

— უველაფერი კარგად იქნება, ხომ იცი, კაც-
ბი ოხტები არბან. იციან ასე წაწინააღმდეგა.
ვინ რომ მოვლენ. დაუბრუნდებიან ოჯახს.

— ვაი, მაგი წავიდა შვენიწაში, მაგ უნდებო.
გოგია უწვილი არ გამწარებულა ისე, ეგზეკუ-
ცია რომ ჩაუყენეს. კისერზე გვაწვა ხანამ არ
წავივარა. მიეწია შამამისს.

— დაწინარდი. დედაშვილობამ! — ამშვიდე-
ბდა იადონა.

— რა დამაწინარებს? გამოუბედურა გოგო.
ერთი მეორეზე უკეთესი კაცები ეძლეოდნენ. —
დაქაჩა თვალბით გამწარებულმა ქალმა.

ამ დროს ერთმა ასაკგადაცილებულმა გასა-
თხოვარმა ქალმა მესამე სართულიდან ნიშნის
მოგებით ჩამოსძახა.

— მამაკაცს ვაგებო უნდა! — და ზეცას მიაა.
ყო მეოცნებე თვალბით.

შაშუმეს დაცვა ასე არ უნდაო და... თქვენს
მეტრს, იქ ამავეი დატრიალდა!
სალამო ხანს მოხუცი აწრიალდა. როგორც
თყითონ იტყოდა — „სახელოვან ნათესავეებში“
დადწვიტა წასვლა. უნდოდა ოჯახის წევრების
შოსვლამდე მოესწრო. მაგრამ შინც შემოუსწრო
შისმა ვაჟმა.

— რა იყო, დედაჩემო. წასვლას აპირებ თუ? —
უმაყოფილო სახით იკითხა შვილიმა.

— იმე, ბეჩა! მარისხა ხომ არ მღვივავო. მე-
წარტება ჩემი სისხლი რა ხორცი. — შეგული-
ხნდა მოხუცი.

— აქეთ მოვიდნენ და გინახულონ!

— სად სცალიათ საწყლებს, ფოსტის ცხენე.
ბივით არიან გაბმული! მაგათ გაუჭინიანდე! ნე-
ტავი კი ჩანმრთელად მეუკლებოდნენ. შენ კი-
დევ. ნუ წაწუნებ გაუთავებლად.

იადონამ კალტო მოიკცა. თავზე ხავერდის
ქუდა დაიხარა. ოც წლის წინ დაწვილმა რომ
აიწუდა. ხელჩანა მოხდენილად დაიკავა და სარ-
კის წინ კიდევ ერთხელ შეათვალღიერა თავი. სა-
ხეზე პუდრი სქლად წაესვა. მაგრამ ამას უტარ-
დღიბა აღარ მიაქცია და აჩქარებული ნაბიჯით
გავიდა სახლიდან.

კობტე ჩამავალი რომ დაინახა. მეზობლის
ქალმა მამაძა.

— წახვედი და დაგვეკარგებ, ხომ?

— სახელოვან ნათესავეებში ნივდივარ, არ და-
ხიოთხიოთ და კიბეს ჩაუტევა.

წისკვილის ქვა არ დატრიალებულა იადონას
თავზე თუ არა. არაფერი დაკლებია. ადრე დაქ-
ვივდა. დაეტა სახლი ონში და შვილიდან ერ-
თად თილისში ნათესავეებს წაიშურა.

იადონა უველახათვის სასურველი სტუმარი
იყო. თაობები გაიზარდა მის მოძველებულ ანგ-
დოტებზე. რომლებსაც ხშირად თვითონვე იგო-
ნებდა. „პაჩმა დაიხახლისი ვარო“ იტყოდა,
„დედს ისეთ ლობიოს გავაკეთებ. ყველა თითებს
წაიყენებო“. იყო ერთი შექება და ყველა გუ-
ლიანად მიირთმეოდა მის გაკეთებულ კერძს.
უკეთესად ვაკეთებდი სადილებს. ამ ბოლო

დროს ვატყობ, რაცა ხელი წამოვიდა". ნაირსა-
არი ჩამსხვრების კეთება არ ეხერხებოდა. ხა-
მაგიეროდ იადონას ქიშიშიანი კექის მთელ ნა-
თესაობაში იყო ცნობილი. სტუმრთაობის შერე
წამბარება იცოდა. თევშების დარტყვას რომ
მიადგებოდა. შემწინებელი ეხერხებოდნენ. არ
გინდა, ნუ შეწუხდებიო. სახელი ჰქონდა გატე-
ხილი — ხერჯიანიდან ერთი თავი რამე აუცი-
ლებლიად გაუტყდებოდა. მაგრამ დედის შერის
შვილი იუავი და ახა გაგებუდა შექახუბება, ერ-
ვა არ ეხერხებოდა. მაგრამ, როგორც თვითონ
იტყვოდა, ემსვა იცოდა კარგი, ძაფს უსათვა-
ლოდ იხე გაუჭრიდა ნების უწუნში, ნაღვლი-
ლად შეგაჭურდებოდა.

თუ ვინმე მოკვდებოდა, ყველას ჩამოურქავ-
და და შეახებდნენ: „თავი არ მომჭრათ, დაე-
წუვით და მოდიოთ“, — თავის პირით დაპატრე-
ბულ ნათესავებს თვითონვე უხდიდა მადლობას.
თავად კი კირისუფლებში იქდა დაფახებულად-
დროს არ კარგავდა. ხალხი ცოტა რომ შეთხელ-
დებოდა და შინაურებად დარჩებოდნენ, გამოვი-
დოდა და ნათესავებს ერთმანეთს აცნობდა. გან-
საკუთრებით, ახალგაზრდებს — „აკოცეთ ერთ-
მანეთს, ერთი ბაბუის შთამომავალი ხართ“. მე-
რე უხასიათო სიძეებსა და რძლებს მოეხიუჯარე-
დებოდა. იცოდა როგორ უნდა მოქცეოდა გა-
რანჯულ ნათესავებს.

— დედა, ლიზას ქმარი რავა მოზვერთვითაა
გამუშებული! არ შეგვაწუხა? — ამბობდნენ
გულზე გამსკდარი ნათესავები ლიზას მომად-
ლებული საღმის შემდეგ.

იადონა ასეთ საუბარს რომ შეესწრებოდა, და-
ტყუპავდა, არ უუვარდა ნათესავები ერთმანეთის
ძვირს რომ იტყოდნენ. „მანიკ ჩვენია და ჩვენ
გლახას ჩვენვე უნდა მოვუვაროთ!“

პატონიანი სიტყვას გაქვითა, რომ ქართულად
რაც წიგნი იყო გამოსული, წაუკითხავი თითქმის
არ დარჩენია. „სახელოვან ნათესავებს“ საუვე-
დურობდა — ქართულ წიგნებს არ უიღუღო-
ბო. ახლა პოლიტიკაში როგორ იყო გათვით-
ცნობიერებული!! „კრემია“ რომ დაიწყოვოდა.
არ აჩნებოდა საქმე, რომ არ მიიტყვებია და
ტელევიზორთან არ დამჯდარიყო. გულდაწყვე-
ტილი იტყოდა — „ვაო, ვინც ამ ბოშებს და ამ
აივლებულ ხალხს არ ასვენებს, უნდა მოკიდო
ქინილი ხელი და გაასიო ცემით. რას ფიქრობენ
მაგ მოსახლობლები: არც დედა უვით, არ შვი-
ლები? ანუ ამოწყვეტილები რავა არიან, ბეჩა!!“
ახლა ფეხბურთი როგორ უუვარდა: ვერ ისვენ-
ებდა სკამზე, ნერვულდებოდა. როცა ბურთს გაი-
ტანდნენ, შეტყვევებდა და მოფერებოთ ენას
მოჩლიქავდა: „ვთი თქვენ ვენაცვალეთ, ჭუნჭუ-
ლია ბიჭებო...“ თეატრალურ გადაცემებს სულგა-
ნახული უხსენდა.

ერთ საიდუმლოსაც გაგანდობო: თურმე ახალ-
გაზრდობაში ონის სცენისმოუვარეთა დასში წამ-

ყვანი მსახიობი უოცლია. ონიდან ამის ჩამო-
ტანი არავინ იყო, და ტრახახასაც არ თაკილობ-
და. მე შენ გეტყვი, ვინმე შეამოწმებდა. ვისაც
ჩემი დეწდემონა არ უხსავს, ბეჭრი დაუკარგავ-
სო. იტყოდა. ხომ გაგვიკონიათ. სცენის მტვერიო,
ის კიარდა ეპ. ბედი თქვი, საწყალი თბილისში
რომ ჩამოვიდა. „ტორგსინგში“ მოაწყეს შოლა-
რედ, იქდა პატარა „გალიაში“ გამოკეთილი და
ოფელიას თამაშე ოცნებობდა. ამდენი ფული
თავისდელით თვალთ არ ენახა და სულ ეშლე-
ბოდა დათვლა. ძლივს გამოსწრო იქიდან. თე-
ატრი უუვარდა და აგერ მესამე თაობას უნერ-
გავდა მის სიყვარულს. „ნუ მოგერიდებათ, ხა-
ნამ თქვენთან ვარ, გამოიყენეთ მს დრო, ბავშ-
ვებს მე დავიტოვებ. წადით თეატრში. კინოში.
რამ მოვიხავათ მაგ ფეხებში!“ — ეტყოდა მას.
პინძლებს, როცა უფროსები გააკიბებოდნენ
ბავშვები კარგზე ფარდას ჩამოაფარებდნენ და
იწყებოდა იადონას თეატრი. უკითხავდა ლექ-
სებს, ერთად მდებოდნენ. თოკინების თეატრსაც
აწყობდნენ. მერე თავიანთი მშობლების ბავშ-
ვობის ამბებს უყვებოდა. აქ იმითაციის დიდ
ნიშს აიღვავებდა. ეს მართლაც ძალიან მო-
წონდათ პატარებს და ეხერხებოდნენ, კიდევ გა-
ეხსენებინა რამე. ყოველი ნომრის შემდეგ ტა-
შით აჯიღდობდნენ. ძილის წინ ზღაპრებს უამ-
ბობდა, ტკბილად უმღერებდა. ფრთხილი ნაბი-
ჯით ტოვებდა დაძინებულებს. მერე სავარძელში
ჩაქდებოდა და მთელი დღის ნაჭაფს, წიგნით
ხელში ჩაეძინებოდა.

წლებს თავისი გააქვს და იადონამაც ნელ-ნელ-
ლა უკლო ნათესავებში სიარულს, შვილთაშვი-
ლიც შექცინა. ხმა დაირბა, ავადმყოფობსო. იმ
სალამოსაც თვას ძალა დატანა და წამოდგა მო-
ხუცი, ჩაივდა, სარკეს მიუახლოვდა „როგორ
გაცრეცილხარ, ჩემო იადონა“. — თვალებით
შენჩივლა თავის თავს. კუდრისკენ წაუცდა ხელი,
მაგრამ თავი აღარ ჰქონდა.

— რატომ ადგილი, დედა? — ჰკითხა ოთახში
შენოსულმა ჩაბაღმა

— გული მერჩის და ტანი კი აღარ მემორჩი-
ლება, დედაშვილობამ, იქნებ გააგებინო ჩემი-
ნებს.

„სეწუხებუდი ნათესავები საწოლთან უხსდ-
ნენ. მათმა მოსვლამ გაამხნევა. დისშვილიშვილი
წნევას უწომავდა.

— ვახსოვს, დათო. გულგახეთქილი რომ მო-
ვარდი, სკოლაში მშობელს იბარებენო... რა კარ-
გად ვითამაშე მაშინ...

— როგორ არ მახსოვს, — გაეღიმა ახალგაზრ-
დას.

ერთხანს თითქოს ჩაფიქრდა, მერე წვილს მი-
აპრო თვადებო. მზერა ნათესავებზე გადაიტანა
„ეთილდანიშოფელთა ჩვენთა კეთილი უუაჲ“,
თქვა და სიმღერის წამოწყება სცადა, დაიწყო
მაგრამ... ვეღარ შეძლო.

ლევან ბაბუსაძია

არავის ელის

ფეხქვეშ გაიგო
ზენა ქარმა
ხმელი ფოთლები,
ბებია, ალბათ,
ზის ბუხართან
შენაშფოთები.
დაზამთრდა უკვე,
ზეცას თვალზე
ერევა ცრემლი...
ჩაკეტავს ჭიშკარს, —
ბებია ახლა
ოოვლის გარდა
არავის ელის.

ფოთოლცვენაა...

უბერავს ქარი და ხეებიდან
გაყალბებული მონეტებივით ცვივა ფოთოლი,
რომელიც აწი აღარავის გამოადგება.

თოვლი, წვიმა თუ პაპანაქება,
კვირტთა ფეთქვა ხომ ყველას აღელვებს...
ფოთოლცვენაა ერთადერთი ჩვეულებრივი,
რომელსაც ასე გულგრილად ვხედებით.

ერთი გოგონა ტყუვდება მხოლოდ,
(თუმცა ანცობა აღარ შეჰფერის),
თითქოს ქუჩაში დაფარფატებს მინდვრის პეპელა —
ჩამოვარდნილი ფოთლის ფერი...

კრეფს უსასრულოდ, სევდით, ღიმილით —
თავის ბინაში ყველას ლამაზ ადგილს მიუჩენს,
მერე მის სახლში მთელი წელი
ფოთოლცვენაა...

სინამდვილეა,
თუმცა ზოგი ვერ დაიჯერებს —
კაცი, რომელიც არაყისთვის
ფულს მათხოვრობდა, —
ახლა ყვავილებს ყიდულობს და
სახლისკენ გარბის.

შევუდექი მე ჩემს აღმართს,
აღარავის ველოდები,
უკაცრავად თქვენთან, დაღლავე
და დიდგულა მეგობრებო!

მაპატიეთ დედის ცრემლი,
ახლობელნო სისხლით, სულით —
მე რომ ამ გზით უნდა მევლო,
ღმერთს ჰქონია განსაზღვრული.

სადღაც შორს და ჩემთან ახლოს
ჩაიქროლეს პლანეტებმა,

ყველაფერი ეს რომ ნახო,
ღირს ყველაფრის გამეტება.

მაგრამ უცებ გაბავშვებულს
გადმომცვივა ცრემლი ცხარე,
დასვენებას გადაჩვეულს
მენატრება ჩემი მხარე.

ზეციერი არ გამჩირავს,
ახლა ჭმუნვაც არ შემფერის —
მალლა ვინევე, მინდა მიწას
ციდან უკეთ მოვეფერო.

მთის პანორამა

მშიერმა ზეცამ
მწიფე ღრუბლით გაივსო უბე
და გამეტებით მოიქნია
წითელი ლაზო,
ბებერმა მთებმა ღმერთებს მოუხმეს
და ქარმა მყისვე საიდუმლო
ხმელ ფოთლებს ამცნო...
მერე სითეთრე გადათელეს
შავმა ყორნებმა,
სადღაც ალივით შემზარავად
აკვილდა ჭოტი.
ჩქერვით ქარი ტყეში შედგა.

იქცა მორევად,
იჭეჯა კიდეც და ბერმუხას
ჩამოტყდა ტოტი...
მერე ანაზად
მუცლის გვრემამ უტია ზეცას,
მზემ იჭიატა.
წამოვიდა წვიმა სხმარტალა, —
თითქოს თვალთაგან
იფეთქა ცრემლმა,
ინანიებდა თითქოს ცოდვებს
თეთრი სატანა.



ქართული ზღაპარი

იყო და არა იყო რა! — ასე იწყება ზღაპარი,
ასე იწყება სოფელი, ასე იწყება მთა-ბარი,
ასე იწყება სიცოცხლე, სიკვდილიც ასე იწყება,
ასე იწყება ქართული ლექსი და თავდავინწყება.
ასე იწყება ქვეყანა, ასე იწყება სამყარო
და შენაც ასე იწყები, ჩემო ქართულო ზღაპარო.
და მეც ზღაპრებში ვინწყები და მეც ვარ ზღაპრის ნიმუში,
ზღაპარში დამჭრეს, ჭრილობებს ისევ ზღაპრებში
ვიშუშებ.

ზღაპარი ქართულ ქორწილში, ქართულ ქელებში
ზღაპარი,

ზღაპრებში დაბერებულან ეს ჩვენი მამა-პაპანი,
ზღაპრებში დაქალებულან ჩვენი მზეთუნახავები,
ზღაპრებში მოუპარიათ ლამაზ-ლამაზი ხალები,
მათი პატარა გულები ზღაპარმა გადაიყოლა,
ზღაპარმა გადაიყოლა,

იყო და არა იყო რა!

იყო და არა იყო რა, ან აქ იყო და იქ არა!
ბიჭს ყავდა ხარი ნიკორა, შვინდა ყავდა და წიქარა,
იყო და არა იყო რა, ის იქნებოდა რაც არი,
ბიჭს ყავდა ხარი ნიკორა და ავი დედინაცვალი,
იყო ქვეყანა ღმერთების მოზომილი და მდიდარი,
ფრინველით სავსე ტყე-ველი, თევზებით სავსე მდინარე,
ქართული იყო სიმღერა გუმბათივით და ბურჯივით,
ზღაპარიც იყო საგზალი, როცა ქვეყანას უჭირდა.
თავზე დამსხმია მგლის ხროვა,
თავს როგორ უნდა ვუშველო,
ტყისკაცებთან და დევებთან
არ იბრძოლება უშენოდ,
ამირან დარეჯანისძევ, წამომეშველე ზღაპრიდან...
უზენაესი ხელმწიფე თავის ქალიშვილს დამპირდა,
თუ ქვეყნისათვის ვიომებ და პერანგს სისხლით შევლებავ,
უგნური მტერე ჩემი ხმლის შამფურზე წამოეგება!
შენ რომ არ იყო, ზღაპარო, დავიშრიტები, დავშრები.
დაყრუვდებიან მამები, დაბრმავდებიან ბავშვები.
აკვანთან დედის ნამღერი იავნანა ხარ შენ ჩემი.
ვიცი მე მალე მოკვდები, შენ კი ქვეყანას შერჩები.
უვენახოდ და უშენოდ ქართველი კაცი ნახდება,
ტყეები გაჩანავდება, სოფელი გაპარტახდება.
ვერ იზიბინებს ლამაზად კიდობანაში კორდები,
ლუგელას წყარო დაშრება, დასნეულდება, მოკვდება.
ხან მწვანე გაზაფხული ხარ, ხან ზაფხული და ზამთარი,
ღვთის ნება-სურვილს ასრულებ, ჩემო ქართულო ზღაპარო!

ჯეჯიმიის ძსრვა

ცეკვავენ თითები ქსელზე და საკვირველ
 მზე-მთვარეს ქარგავენ;
 კრთის მთვარის ნაღვეი, მზე სიცილს აპირებს,
 ირგვლივ ფერს კარგავენ
 საგნები სხვები და ჯეჯიმი აშუქებს
 მხოლოდღა მზის სხივით,
 ხარობს, რომ მზიანი სიცოცხლე აჩუქეს
 და კერაც იცინის.
 მჩეჩველის და მხატველ-მძახველის ხელების
 ცეკვავენ თითები;
 მქსოველის: ყაჯრების, ფლასების, მჭრელებლის
 სრელიან წინდების, —
 ცეკვავენ ლამაზი, მაშვრალი თითები.



ან წასვლა რა იქნება, ან მოსვლა რა იყო,
 ეს რა უნერია წერამწერელს,
 გაკვირტულს მოიხმობს და დათოვლილს გაიხმობს.

ზოგნი თოვლობამდეც ვერ აღწევენ.
 ან მოსულს რაი გნებავ, ან წამსვლელ რას ითხოვ,
 მოდი და აუხსენ ცელთა მწკეპველს.



თუ არა წყალობა თქვენგან, რა არის სიცოცხლე,
 თუ არა თქვენგან საჩუქარი, მაშ რაა სული?
 მაშინ წამიწყდეს უთქვენობა როცა ვისურვო:
 მთაო ფხიანო, ველო ზვრიანო, ლექსო ფრთიანო,
 ვარსკვლავთა გუნდო, ვარსკვლავეთო მზე-მთვარის
 სამწყსოვ!
 ცისა ლაყვარდო! ცაო ლურჯო, მთების სარქველო.



გამჭვირვალე ნიღბები

(ნაწილები რომანიდან)

კოლინს და ხასტურს ოთახის კედლები ხარკებზედ ქვეულიყო. კედლებიდან ვეროა იცქირებოდა თავისი ბაროკობითა და როკოკობით. ფარდებჩამოშვებულ დარბაზში ფერთა ხაოცარი პალიტრა ბატონობდა.

სავარძლებში გადაწოლილი ლია და თეა „მალბორის“ აბოლებდნენ. დივნი ზურგზე მკლავდარდნობილი, გვერდზე ოდნავ თავგადაწეული დიანა შანდლის ცისფერ შუქზე ჭინის შარვლიანი წმინდანის შთაბეჭდილებას ახედნდა და დგომის პიკანტური მანერით, თავისი მშვენიერი ფიგურის დემონსტრირების აშკარა პრეტენზიას აცხადებდა.

თეას გვერდით, სავარძელში ოქროსფერკუთლებიანი ცისფერთვალემა უმანწილი გავოტილიყო და დარინებული მწერით დიანას მოხედნილ ტანადობას „აუთოვებდა“. „ლევისში“ ჩაჭედოლი უღვაშაკვეტილი უმანწილი ხელებში თავჩარგული, დივანზე უძრავად იჯდა თეას პირდაპირ, სავარძელში მჭადარ წვერმოშვებულ ახალგაზრდას ივანე მრისხანეს ბრახიანი გამომხდვა ჰქონდა. უველაზე „ბრახიანი“ კი ნერვულ ბოლთასა სცემდა და სტერეოტიპულად ისროდა:

— გამახურა ამ ნაბიჭვარმა მორალით!

ლიამ სიგარეტი მადიანად მოქაჩა და ფირფხისფერ ბოლს ამოაყოლა:

— კარგი, ბოცო, მართლა ნუ გაახურე!

— დაქეტი შენთვის, შე კრეტინო!

— მოკეტე, ბოცო! — უყვირა „ჩინიანმა წმინდანმა“, — უველა კრეტინები და ნაბიჭვრები როგორ არიან? რა გგონია შენი თავი?

— პატროსანი გენიოსი! — წამოიძახა თეამ. „ლევისის“ გარდა უველამ გაიცინა.

— რამდენი მოგცეს, შე მათხოვარო? — ჰკითხა ბოცომ ხედვებში თავჩარგულ ბიჭს.

— მონორარი რა შუაშია? — აუვირდა „ლევისის“, — შე სამსახურებრივი შვავლეობა შევანსრულე!

— მორალზე ქადაგება?

— მასალები შე დამაწერეს, რა უნდა მექნა?

— მორალს რომ ახსენებ, სუფთა უნდა იყო!

— შე სუფთა ვარ!

— რითი იბან მაგ ბითურ თავს, შე კრეტინო? — კბილებში გაატარა ბოცომ.

— ტოპასით! — გაიცინა ლიამ. დიანა „ლევისისკენ“ დაიხარა:

— ნაღლი შამუნია! — თქვა და გაიცინა. შეწუხებული „ლევისის“ წამოადგა.

— კარგად ბრძანდებოდით!

— ჭერ პასუხი უნდა აგო! — შეაჩერა — „ივანე მრისხანემ“.

— სასამართლო წესით! — ბეჭედი დაუსვა ბოცომ.

— დიდებული აზრია! — ტაში შემოჰკრეს ქალებმა.

ვასამართლების იდეამ უველა გამოაცოცხლა. ოქროსფერკუთლებიანიც გამოაცოცხლდა, დიანას თვალი მოაცილა და საერთო რიტმში ჩაერთო. ბრალმდებლის როლი „ივანე მრისხანემ“ აკისრა.

— რა იგულისხმება „გამჭვირვალე ნიღბები“? — მისცა პირველი კითხვა ბრალმდებელმა.

„ლევისმა“ ცნობისმოყვარედ მომართულ სახეებზე მფრთხილი მხერგა მოატარა და ოდნავ შეუოვნებით თქვა:

— უბრალოდ, რთული მეტაფორული ხერხიაა უმოუხედავლი. — მიერე მცირე პაუზა გააკეთა და გულღერევილოდ იკითხა: — ეს ცითხვაა თუ გამოცდა?

— აქ კითხვებს ჩვენ ვიძლევი. — შენიშნა ბრალმდებელმა და მკაცრად გაუმეორა, — რას ნაშნავს გამჭვირვალე ნიღბები?

(მათ შორის ვარძიისა და ვანის ქვაბების მონას-
ტრებიც). ქართველობასა და ქრისტიანობას აღ-
რავინ ჰყავდა მფარველი და პატრონი. გადაგა-
რება და გათურქება პირველ რიგში მდიდარქო-
ფენებთან დაიწყო, გალით კაცი კი ჯერ კიდევ
ხვებ მტოცივ იდგა ქართველობისა და ქრისტი-
ანობის დაცვადაც. ამ მხარეში შემოდენული მი-
წათსარგებლობისა და მიწათმფლობელობის თუ-
რქული წესი ქართველობას ეკონომიურადაც
საძირკველს უფარობდა.

მეხბი მოსახლეობის ნაწილი, რომლებმაც შე-
ინარჩუნა ქართველობა და ქრისტიანობა, საუკუ-
ნეების განმავლობაში გმირულად იბრძოდა უც-
ხოელ დამპყრობელთა უღლსაგან განთავისუფ-
ლებისა და საქართველოსთან შეერთებისათვის.
ქართველი მოსახლეობა თავის დაღწევის მიზნით
ხშირად რუსეთ-თურქეთისა და თურქეთ-ირანის
ომებს იუენებდა, მაგრამ ხაჯარტო მდგომარეობის
გართულებისა და ოსმალეთის ბონაჰრის ვაშულ-
მებუელი რეპრესიების შედეგად მათი ჩანაწიქრა
თავის მიზანს ვერ აღწევდა.

სმარტო ხოსიტაშვილი

რუსი და ქართველი გალხამბის საბრძოლო
თანამებუობარტა

ბრძოლა მისხეთის საპარტიველოსთან შემოერთებისათვის

მე-18 საუკუნის მეორე ნახევარში თითქმის უველაზე რეალური პირობების კი შეიქმნა მისხეთის განთავისუფლებისათვის, მაგრამ საბოლოოდ მაინც ვერ მოხერხდა მისი გამოხსნა დამპყრობთა ხარხაროსული კლანებისადმი. საქართველოს და ქართველი ხალხის ფიზიკურად გადარჩენის მიზნით ერთდროულად მეორემ ჩვენი ქვეყნის ბედი რუსეთს დაუკავშირა და 1788 წელს დადებულ მეგობრობის ხელშეკრულებაში (გეორგიევსკის ტრაქტატში) IV სეპარატულ არტიკულში ჩაიწერა: „რუსეთის იმპერატორი პირობას იძლევა, რომ ომის შემთხვევაში უკველგვარ საშუალებას იხმაროს იარაღის შემწეობით, ზოლოზის შემთხვევაში — დაფინანსებით მოთხოვნით, რომ ქართველის სამეფოს დაუბრუნდეს მისი ოდიოზური კუთვნილი მიწები და ადგილები“ (აქ პირველ რიგში იგულისხმება სამცხე-საათაბაგო).

საქართველოს რუსეთთან შეერთების შემდეგ (1801 წ.) ახალციხის საფაშოს (ყოფილ სამცხე-საათაბაგოს) შემოერთების საკითხი რუსეთის სარდლობის მთავარ საკითხად იქცა, რადგანაც მესოხეთელი აღმოსავლეთის ქვეყნების მრავალი ძირითადი საკვანძო საკითხი ახალციხის საფაშოში იყო დაკავშირებული, ამას ისიც უნებავდა, რომ „ქართველ ხალხს არასდროს არ უცნია სამხრეთ საქართველოს (მისხეთის) მიწების მიტაცების ფაქტი. ის არასდროს არ შერიგებია ამ ისტორიულ უსამართლობას. ხეივნადი მიწების შემოერთების მიზნით ბრძოლა და მოქმედება მან არცერთ საუკუნეში არ შეუწყვეტია, დღევანდელმდე რა მონაწილეობას რუსეთ-თურქეთის ომებში, ქართველები მშობლიური მიწა-წყლის დაბრუნებას ფიქრობდნენ“ (ი. ანთილავა).

1807 წლის 18 აპრილს საქართველოს ახალმა მთავარმართველმა გენერალმა გულოვიჩმა ახალქალაქზე გაილაშქრა. ამავე წლის 8 მაისს მან სამი მიწაპოვებით იერიში მიიტანა ახალქალაქის ციხეზე. მაგრამ ქართველების მიერ XI საუკუნეში ორ ხეობასა და ორ მდინარეს შორის მალაღ ბორცვზე აგებულ ახალქალაქის მტკიცე ციხე-სიმაგრეს ვერაფერი დააკლო, პირიქით, თურქეთის მხედელმა ძალებმა რუს-ქართველთა ლაშქარზე იერიში მიიტანეს და დიდი ვნებად მიყენეს სოფ. ვანძახთან (ზოგადმოვის რაიონი) ბრძოლაში, 800 მებრძოლი მოუკლეს გულოვიჩს და რუს-ქართველთა ლაშქარი იძულებული გახდა უკან დაეხია წაღისკაენ.

1810 წლის 21 ივლისს ირანის ქარებმა ჰუსეინ ული-ხანის მეთაურობით ახალქალაქის ციხე-სიმაგრე დაიკავეს და შოგ 2000 კაცი ჩააყენეს. რუს-ქართველთა ლაშქარი, გენერალ-მაიორი მარკოზ პაულოვის მეთაურობით 1810 წლის სექტემბერს უცაბედად წაღისიდან თავფარავნის გავლით ახალქალაქს თავს დაესხა და 10 000 ირანე-

ლი სახტიკად დაამარცხა, ზოლო გენერალმა ტომასოვმა იმავე წლის 20 ოქტომბერს ახალციხის საფაშოს სამი მხრიდან (ჯავახეთიდან — გენერალ სორტინიანი, იმერეთიდან — გენერალ სიმონოვიჩმა, ბორჯომის ხეობიდან — გენერალ ბარონ როზენმა) შემოესტია. რუსეთის ვარს მისხეთის განთავისუფლებილად თან მიჰყვებოდა ქართული მილიცია კონსტანტინე ბაგრატიონის, ვახტანგ ორბელიანის, გენერალ თამაზ ორბელიანის, დადიანისა და გურიელის ხელმძღვანელობით. მათ არცერთი და ორი მამაცობა და გმირობა ჩაიღივს მისხეთის განთავისუფლებისათვის ბრძოლაში.

რუს-ქართველთა ლაშქარმა 1810 წლის 15 ნოემბერს ახალციხე ალაუში მოაქცია, რუსეთის არტილერიამ დიდი საშოშრობება შეუქმნა ახალციხის ციხე-სიმაგრესა და თვით ქალაქს. ხისხლის მღვრელი ბრძოლები მთელ ათ დღეს გაგრძელდა. თურქები თავგამებებით იბრძოდნენ უცხო ხრდილო-დასავლეთით სოფელ წყრუთის, წირიხა და ივლიტის მიდამოებში განლაგებულ დასავლეთ საქართველოს ლაშქრის წინააღმდეგ, რომელსაც წინ დავით აღმაშენებლის დროში მიუძღოდა. „მეტეტენ ციხესა ზედა იმერნი, გარნავე უძღეს ალება და იძლივნენ და წარუღეს ისმალთ დროსა წმიდისა დავით აღმაშენებლისა“ (ბაგრატი ბატონიშვილი, დავით ბატონიშვილი). იმერთა ლაშქარს ამ გაჭირვებაში უამს სასწრაფოდ ქართული მილიცია მიეხველა, რომელსაც გენერალი თამაზ ორბელიანი ხელმძღვანელობდა. მათ მტერი უკუაქცევს და თურქების მიერ მიტაცებული დავით აღმაშენებლის დროსა უკან დაიბრუნეს. რუს-ქართველთა ვაჟდამტყობილი ათღიანი შეტევის შედეგად მტერი თითქმის გატყდა. რუსთა სარდლობა ახალციხის კაპიტულაციას ეღობა, მაგრამ, მთავარმართველ გენერალ ტომასოვის ბრძანებით, რუს-ქართველთა ლაშქარმა ქ. ახალციხის უცაბედად კარა მოხსნა და ტავშანთაფსაკენ (კურდღლის გორა) დაიხია. ასეთი მოულოდნელი უკან დახევის მიზეზი ის იყო, რომ რუს-ქართველთა ლაშქარში შავმა კირმა ბრმა თავი, რომელიც ახალციხის თურქთა გარნიზონში და თვით ქალაქის მოსახლეობაშიც კარგა ხნის წინ უკვე მკვინვარებდა. სამცხე-საათაბაგოს იარაღით გამოხსნის „არც ამ ბრძოლას დადებითი შედეგი არ მოჰყოლია, წარუმატებლობის მიზეზი შავი კირის გაჩენა, სურსათის ნაკლებობა და ქარში შექმნილი უდისციპლინობა იყო“ (შ. ლომსაძე).

რუს-ქართველთა ლაშქრის ამ ბრძოლის უშედეგოდ დამთავრების შემდეგ ახალციხის უცაბედად იარაღი ადგილობრივ ქართველ მოსახლეობას, რომლებიც დიდად თანაუგრძობდნენ რუს-ქართველთა ლაშქარს. ამ მხრივ უველაზე მეტად გააქეთა ასპინძისა და ხერეთისის ხანაყებში (რაიონში) შეშავალმა სოფლებმა. განსაკუთრებით თავი ისახელებს სოფ. ხიზაბავის, საროს,

ნიკაგორის, ხერთვისის, ტოლოშის მოსახლეობამ, თათრებმა ხიზაბაგრელებს წეფე ერეკლე მეორის ლაშქრობის დროს ასპანდის ბრძოლაში (1770 წ. 20 აპრილი) მიზეზივდაც და მას შემდეგ შეფხისა და ქართველ მეომრების საპატივცემლოდ გამართული ნაღიმიც გაუხსნენ და სოფელს დაერქვენ. ამ დროს სოფელი ხიზაბაგრის მოსახლეობას ძალით წაგლეჯეს 12 ჭისა თითო, სოფლის ეკლესიის მღვდელი ანტონ ზუციშვილი 800 უფრუშით დააქარიმეს, ზოლო ერთი გლეხის ოჯახი ტყვედ გაუიღეს.

რუსეთის სარდლობასა და ქართველ ხალხს ახალციხის საფაშოს განთავისუფლების საქითი არც ამის შემდეგ დაეწყებიათ. ამას მოწმობს პოლკოვნიკ კოტლიარევსკის სარდლობით 1811 წლის ზამთარში ქავახეთში შეჭრა. პოლკოვნიკმა კოტლიარევსკიმ, ქაჩეთულ გრენადერთა პოლკის ორი ბატალიონით და 100 კაზაკით, გორიდან თრაილეთზე გავლით ახალქალაქს მიადგინა. ამ დროს ციხეს 200 იანიჩარი იცავდა. მას სამხბრივ შემოარტყეს ალუა და 8 დეკემბერს დამის ორ საათზე ახალქალაქის ციხე აიღეს. სათანაბერდანი ბრძოლის შემდეგ 200 მეუღოვნედან ტყვედ ჩაგდეს 47 კაცი, დანარჩენები ბრძოლაში აშოწყდნენ. ამ ბრძოლაში განსაკუთრებით თავი იხაზელეს ქართველებმა: დიმიტრი ორბელიანმა, ზაქარია, ქაიხოსრო, დიმიტრი ჭავჭავაძეებმა, ძმებმა საგინაშვილებმა, ივანე აფხაზავამ და სხვ., ზოლო ბრძოლის სარდალს კოტლიარევსკის გენერლობა უბოძეს.

რუს-ქართველთა ლაშქრის მიერ ქავახეთის შემოიჭრებას დიდა სტრატეგიული და ეკონომიური მიზნებელია ჰქონდა; თუნდაც იმიტომ, რომ იგი ზნაჭვარედინზე მდებარეობდა და გარდა ამისა სურსათ-სანოვაგით, პირტუყვით, საძოვრებით... ოდითგანვე განთქმული იყო ეს მხარე.

ახალქალაქის ციხის კომინდანტად გენერალი დიმიტრი ორბელიანი დაინიშნა, რომელმაც ახალციხის შერიფ-ფაშა ჩაუელისა და აჭარას ბეგის ახმედ ხიმშიაშვილის არაერთი თავდასხმა გმირულად მოიგერია. ზუქარესტის თურქეთ-რუსეთის ზავით, რომელიც 1812 წლის 5 აგვისტოს დაიდო, ახალქალაქიც და ფოთიც კვლავ თურქეთს დაუბრუნდა.

გენერალ ივანე პასკევიჩის ლაშქრობა ახალციხის საფაშოზე

1827 წელს ბერძენი ზღაპის აჯანყებამ თურქთა ბატონობის წინააღმდეგ რუსეთ-თურქეთის 1828-1829 წლის ომი გამოიწვია. ბრძოლა კვლავინდებურად ორ ფრონტზე (ბალკანეთისა და ამიერკავკასიის) მიმდინარეობდა.

რუსეთის სარდლობის გამაღებელი მზადება ამიერკავკასიაში თურქეთისათვის შეუშინეული არ დარჩენილა და თავის მხრივ ხულოთან მამულე

მეორემ ამიერკავკასიის მთავარსარდლად შეტად მათილებული და გამოცდილი პოლიტიკური მოღვაწე პალი-ფაშა დანიშნა, ზოლო მის მოადგილედ დიდი სამხედრო გამოცდილების მქონე ქოსა-მემედ ფაშა. მათვე დაევალია ქ. არზრუშის მიდამოებში თავი მოეყარა 11 ვლიანიოდან გაჭვეულ 40 000 მეზრძოლისათვის. გარდა ამისა, ისინი დამატებით მოელოდნენ მამშილიანური მოსახლეობის მოზილიზაციის შედეგად 20 000 კაცს. ამრიგად, დაპირისპირდნენ, ერთის მხრივ, თურქეთი 80 000 მეზრძოლით და, მეორე მხრივ რუსეთი 16 000 მეზრძოლითა და 80 ქვემებით.

თურქებმა განსაკუთრებით გამაგრეს არზრუშის, უარსისა და ახალციხის ციხე-სიმაგრეები, თავის ქარების დიდ ნაწილსაც აქ მოუყარეს თავი და დაიწყეს ევროპული წვრთნა.

გენერალ ივანე პასკევიჩს შეტად აფიქრებდა მოწინააღმდეგის დიდი სიჭარბე, მისი უყვე მომარაგება, საუთარი ქვეყნის ახლოს საომარი ოპერაციების წარმოება და სამხედრო სტრატეგიული საუკეთესო მნიშვნელობის ციხე-სიმაგრეებში გარნიზონების ჩაუყენება და მათი გამაგრება. ამიერკავკასიის ფრონტის მთავარსარდლადმა გენერალმა პასკევიჩმა თურქეთის ქარების განლაგება, მათი ციხე-სიმაგრეების სიძლიერე წინასწარ დაწვრილებით აწონ-დაწონა და თავისი ლაშქრობა ისე დაიწყო, რომ მან ირანის ფრონტიდან ახლად გამოყვანილი დაღლილი არმია პირდაპირ უარსის ციხე-სიმაგრისაკენ დაძრა. პასკევიჩმა კარგად გაითვალისწინა ის მდგომარეობაც, რომ უარსში და მის მომიჯნავე ტერიტორიაზე, თურქებს გარდა, უმეტესობა სომხებით იყო დასახლებული და ისინი მშწწწლზე შეტი თურქ-დამპყრობელთა ბატონობის მძიმე უღელქვეშ იმყოფებოდნენ, როგორც ქაჩისტიანებს, რუსეთის ქარებს უფრო შეტი თანაგრძობით შეხვედებოდნენ და საჭიროების დროს დახმარებასაც აღმოუჩენდნენ. ამ ფაქტებს დასატურებს ქერ კიდევ 1828 წლის 19 თებერვალს რუსეთის მთავარსარდლობის სახელზე მიღებული შემდეგი ცნობა: „თურქთა განზრახვაა გარბენ თავი მოუყარონ უარსსა და ბაიაზეთში. ისინი აგრეთვე ვარაუდობენ სომეხთა ყველა სოფელი უარსს იქით გადასახლებინათ. ხულოთანმა ბრძანა სომხები არ გამოეყენებინათ არც ერთ თანამდებობაზე და არ დაერთოთ ნება წასულიყვნენ ჩვენი საზღვრების გარეთ“.

გენერალმა პასკევიჩმა უარს ყველაზე ხუსტ და მოზრახებული ადგილად მიიჩნია და შეტარს დაასწრო, 1828 წლის 16 ივნისს რუსეთის კორპუსი უარსისკენ დასძრა და 19 ივნისს მას ალუა

სმარტო ხონიტაშვილი
რუსი და ქართველი. გალუაგის საბრძოლო
თანამდებობებზე

შემოარტყა, ხოლო 23 ივნისს დილის 8 საათზე უაჩქარეს ციხე-სიმაგრეს შეუტია, რომელსაც 26 000 მებრძოლი და 30 ქვეშევი იცავდა. ეს ციხე ხამ საათიანი ბრძოლის შემდეგ აიღეს.

თურქებმა ამ ბრძოლაში დაკარგეს 2000 მებრძოლი. რუსებს ტყვედ ჩაუვარდათ 6 250 კაცი, ნათ შორის უარსის ციხის გარნიზონის უფროსი და ამ ვილიეთის მებრძონელები მამხად ემინ-ფაშა. რუს-ქაქთველთა მხრივ ბრძოლის ველზე გმირულად დაცა 500 მეომარი. უარსის აღების შემდეგ არზრუმთან თურქთა მთავარსარდლობა და მისი ძალები პარალიზებული აღმოჩნდნენ.

გენერალმა პასკევიჩმა უარსის ფაშის მამხად-ენინის დატყვევების დროს ხელში ჩაიგდო მისი ცნკედაჩია, თურქეთის მთავარსარდლობის მთელი საიდუმლოება შეიტყო და ამის მიხედვით ააგო თავისი შემდგომი ლაშქრობის გეგმაც: გენერალმა პასკევიჩმა აქ გაითვალისწინა ისიც, რომ რუს-ქართველთა ჯარების ზურგს უკან რჩებოდა თურქეთის ხელში მყოფი ახალქალაქის, ხერთვისის, ასპინძის, ახალციხის, აწუურის მტრად ძლიერი ციხე-სიმაგრეები. ამიტომ გენერალმა გადაწყვიტა პირველ რიგში მათი აღება. მტრის შეცდომაში შეუვანის მიზნით, რუსეთის კორპუსი უარსიდან არზრუმისაკენ დაიძრა, მაგრამ 1828 წ. 18 ივლისს უცაბედად პირი ჯავახეთისაკენ იხრუნა და 23 ივლისს ახალქალაქის ციხეს მოადგა. ამ დროს ახალქალაქის ციხეს ახალციხის 1000 ქართველი მამხადიანი მეომარი იცავდა ფახრად ბეგ ხიმშიაშვილის მეთაურობით, რომლებმაც პასკევიჩის შუამავლებს ამაყად განუცხადეს: „ჩვენ არა ვართ ერევნელები ან უარსელები, ჩვენ ახალციხელები ვართ. ჩვენ აქ არა გვყავს ცოლები და არა გვაქვს ქონება, ამიტომ 1000 კაცმა გადაწყვიტეთ დავიბოცეთ ჩვენი ქალაქის კედლებთან“.

უკველივე ამის შემდეგ ნათელი გახდა, რომ რუსეთის ლაშქარს ახალქალაქის ციხე-სიმაგრე ბრძოლით უნდა აეღო. ახალქალაქის ციხეს დიდი და სქელი კედლები, სამი კარი, მრავალი საბრძოლო კოშკი და ქონგურები ჰქონდა. ახალციხის ხელიმ-ფაშა ხიმშიაშვილმა ახალქალაქის გარნიზონს დიდი ლაშქარი მიაშველა, რომელიც რუს-ქართველთა ჯარებმა თავფარავნის ხეობაში გაანადგურეს.

ახალქალაქის ციხის იერიში დაიწყო 1828 წლის 24 ივლისს. პირველად ბრძოლაში ჩაებნენ ბარონ ოსტენ საკანის, პოლკოვნიკების ბურცოვის, რაევსკის, კოროლოვის, ვობოლსკის ჯარის ნაწილები და ქართველ ცხენოსანთა რაზმები. ერთობლივად ახალქალაქის ციხის კედლებს 18 დიდი ზარბაზნი უშენდა. მალე ციხის ქონგურები დაიგრა და კედლები გაიხზარა, მაგრამ ციხის მცველების ხიმტიკემ უკველგვარ მოლოდინს გადააჰყარა. მათ თურქ წინააღიერობისათვის შემოვიდნენ, რომ იარაღით ხელში ალაპის სახელზე მოკვდებოდნენ და ცოცხალი

თავით მტერს არ დანებებოდნენ. მაგრამ ჯარებმა ძალამ და რუსულმა იარაღმა თავისი გაიტანა. რუს-ქართველთა ჯარებმა ციხე დაიკავეს. თურქთა 600 მებრძოლი დაცა, 800 ტყვედ ჩაუვარდა. გამარჯვებულებს ღარბათ 14 ზარბაზნი და 21 დროშა.

რუს-ქართველთა ჯარმა ამ ბრძოლაში 12 კაცი დაკარგა. გენერალმა პასკევიჩმა ახალქალაქში მყოფი სახიხარულო ცნობა მიიღო, დახალეთ საქართველოში გენერალ მენდის ფოთი აღიღო.

ახალქალაქის აღების შემდეგ ქრტი ხერთვისისა და ასპინძის ციხეებს მოადგა. მათმა მეცხოვნეებმა, როდესაც ახალქალაქის ციხის ამხავი შეიტყვეს, საქაროდ ორივე ციხე შიატოვეს და ახალციხის ფაშასთან შეფარეს თავი. რუს-ქართველთა ლაშქარმა ხერთვისიც და ასპინძის უბრძოლველად აიღო და გზა ახალციხისაკენ განაგრძო.

ახალციხის აღება

უარსის, ახალქალაქის, ხერთვისის და ასპინძის ციხე-სიმაგრეთა აღების შემდეგ უკველად დიდი და გამაშფრთხიებელი ბრძოლის ქრტი დადგა.

რუს-ქართველთა ჯარის ბრწყინვალე გამარჯვებამ უარსთან და ახალქალაქთან საგონებელში ჩაგდო თურქეთის მთავარსარდლობა და ხასწარაფოდ არტანუჯი, ფოცხოვის ხეობაზე ვადილ ახალციხის მოსამზარებლად გამოგზავნის არზრუმის ჯარების მთავარსადლის მოადგილე ქიროსა მამხად ფაშა 30 000 ჯარისკაცი. ხოლო ახალციხეს იცავდა 10 000 კაცი 100-ზე მეტი ზარბაზნით. გარნიზონს ხელმძღვანელობდა ახელ-ფაშა. მისივე ბრძანებით ახალციხის დასაცავად მამხადიან მამაკაცებთან ერთად ქვეშეხი შეიარაღდნენ და ციხის გარნიზონს შეუერთდნენ. თურქეთის მთავრობამ ბრძანება გასცა 12 წლიდან 60 წლის ასაკის მამხადიანური მოსახლეობის 15 000 მამაკაცი შეიარაღებულიყო და ახალციხის გარნიზონს მიშველებოდა. ქიროსა მამხად ფაშა და მუსტაფა ფაშა დიდი ლაშქრით 1828 წლის 4 აგვისტოს ახალციხისაკენ დაიძრნენ. მათ ციხეში შეხვლა ვერ მოასწრეს, რადგანაც ახალციხის უკველ მისახველი გზები რუს-ქართველთა ჯარის მიერ წინასწარ უკვე ჩაყვრილი დახვდათ და სწორედ რუსეთის სარდლობის გეგმის მიხედვით თურქთა მავველ ძალებს სასტიკი ბრძოლა გაუმართეს იმ მიზნით, რომ მტერს არ ჰქონოდა ციხეში შესვლის საშუალება და ამით ციხის გარნიზონი არ გაძლიერებულიყო.

ამ ბრძოლის დროს პირველად თურქთა ცხენოსანი არმია გადავიდა შეტკვაზე. გენერალმა პასკევიჩმა მათ ქართველ ცხენოსანთა ლაშქარი შეაგება.

თურქთა 30 000-იანი ლაშქარი დამარცხდა აქედან მტრის 5000 კაცი გადაარჩა და ციხეს თა-

ვი შეაფარა, ამ ბრძოლაში, რუსებთან ერთად, ქართველებთან განსაკუთრებით თავი ისახელა ზურაბ ანდრონიკაშვილმა, რომან, სპირიდონ იასონ კვაჭავაძეებმა, ივანე აფხაზმა და სხვებმა.

აღნიშნული ბრძოლა ჭერ კიდევ არ დამთავრებულიყო, რომ რუსეთის სარდლობამ ცნობა მიიღო — ახალციხის დასახმარებლად თურქთა 10 000-იანი ლაშქარი კიდევ მოდიოდა. თურქთა ახალი მანევრი ძალების მოსვლამდე პასკევიჩის ბრძანებით პოდპოლკოვნიკ მაკლასევის ბატალიონმა სოფელ ჭაპარაქისა და ჭალის მახლობლად სანგრები გათხარა, საიმიჯლოდ დაბანაკდა და ახალციხის სამხრეთ-აღმოსავლეთის მისასვლელი გზები დაიკავა. პოლკოვნიკ რავესკის ჯარის ნაწილი სოფელ მლაშიხევის, ქვემო და ზემო მარდების მიდამოებში გაშავრდა და ახალციხეში სამხრეთით მისასვლელი გზები ჩაკეტა. ტყვედ ჩაგარდნილი ახალქალაქის სანჯაყის ბეგის მუთიხევე ფალავანდიშვილის რჩევით, რომელმაც კარგად იცოდა ახალციხის მისასვლელი გზები, ხერხონის გრენადერთა პოლკი სოფ. წირის, წყურთის, ივლიტისა და ქვემო სხვილისის მიმდებრეზე დაბანაკდა და ახალციხის ჩრდილო-დასავლეთით მისასვლელი გზები ხელთ ჩაიგდო. მას კი თურქები არ მოელოდნენ. პასკევიჩის ლაშქარს აქვე შემოუერთდა ბორჯომის გზით წამოსული ჯარის ნაწილები, რომელსაც გენერალი პოპოვი ხელმძღვანელობდა და ახალციხეში შემოსასვლელი გზა აღმოსავლეთის მხრიდან შეკრა. ამრიგად, რუს-ქართველთა ლაშქარმა 1828 წლის 9 აგვისტოსათვის ქ. ახალციხე ალყაში მოაქცია.

თურქეთის არტილერია მეტად მოხერხებულადგინის იყო განლაგებული და ქვემეხების ცეცხლისქვეშ მოქცეული ჰქონდა აღმოსავლეთით და სამხრეთით ახალციხეზე მისასვლელი ე. წ. ჩიხით-მოედანი და მდ. ფოცხოვის ორივე ნაპირი. „ვინმე მესხი“ ივ. გვარამაძის ცნობით, ახალციხის ციხეში შეზარბაზნით ერთი განთქმული ქართველიც ჰყოლიათ, ვჭარად მორთველაშევილი.

ქ. ახალციხეზე პირდაპირი იერიშით რუს-ქართველთა ლაშქარმა ვერა და ვერ მოახერხა მტრის დათრგუნვა. პასკევიჩი იძულებული გახდა ბრძოლის გეგმა შეეცვალა. მან ციხეზე იერიში მიიტანა ჩრდილო-დასავლეთის მხრიდან. რაბათის სასაფლაო და „უულეს“ ციხის წმინდა ჯარის ქართული ეკლესიის მიდამოები და ხანძრის ხერხები ბრძოლის უშუალო ასპარეზად გადაიქცა, ხოლო არტილერია მდ. ფოცხოვეზე გადაკეთებულ ტყვანათაფის (კურადღლის გორის) მიდამოებში განლაგეს.

1828 წლის 8 აგვისტოს სასწრაფოდ მოწვეულ სამხედრო საბჭოს სხდომაზე დეკარბისტ პუშკინის წინადადებით გადაწყდა 9 აგვისტოს გათენებისას იერიში დაწყებულიყო ახალციხის ციხეზე. „ბრძოლა დაიწყო 4 საათზე და დამთავრდა საღამოს 6 საათზე“. ამ ბრძოლის დროს რუსებმა ტყვედ ჩაიგდეს 500 თურქი და 10 ზარბაზანი,

ხოლო თურქეთის მთავარსადლის მოადგილე ქიოსა მაჰმედ ფაშა მიმხედ დაიჭრა.

გენერალმა პასკევიჩმა ახალციხის გარნიზონის უფროსს ახმედ-ფაშასა და არწრუმის ხერას-ეკრის მოადგილეს ქიოსა მაჰმედ ფაშას წინადადება მისცა ციხე უბრძოლველად დაეთმოთ, მაგრამ მათ უარი განუცხადეს რუსთა სარდლობას და იერიშზე გადავიდნენ. გამებდაობაში და ვეჯაცობაში არც ოსმალი ქალები ჩამორჩებოდნენ. ომის დამთავრების შემდეგ კაცურად ჩაცმული 1000 ქალის გვამი იპოვეს რუსებმა ციხის სანგრებთან.

რუს-ქართველთა ჯარი 1828 წლის 5 აგვისტოდან უოველდოდ სისხლისმღვრელ ბრძოლებს აწარმოებდა ახალციხის ციხის ასადებლად, მაგრამ ამაოდ. 11 აგვისტოს რიერაზე დაბოშბეს მთელი ქალაქი და ციხე-სამაგრე. შემოწნეთა მთავარ სამიწენ ობიექტს ციხის ციხადელი და მინარეთზე აღმართული ნახევარმთავრე — თურქთა ბატონობის სიმბოლური ნიშანი წარმოადგენდა. გადმოცემის თანახმად, გენერალ პასკევიჩს, ბრძოლის დაწყების წინ არტილერიის მზადყოფნის შემოწმებისას, ერთი ქართველი ახალჯარდა ოფიცერი მოწონებია და მისთვის სამი უუმზარის სროლის ნება მიუცია თურქთა ნახევარმთავრის ჩამოსაგდებად. ქართველ ოფიცერს — ჩვენს სასიკადულო პოეტს გრიგოლ ორბელიანს პირველსავე გასროლით მინარეთის აღმართული ნახევარმთავრე ჩამოუგდია, რისთვისაც იგი ოქროს ჭრით დაუწილდებოდა.

15 აგვისტოს საღამოს ქართული შილიცია, შირვანის პოლკი და ქართველ გრენადერთა ნაწილები ჩრდილო-დასავლეთის მხრიდან ახალციხეში შეიჭრნენ და ზემო ციხეში მდებარე ციხადელი დაიკავეს. 15 აგვისტოს მთელი ღამე მიმდინარებდა ბრძოლა, 16 აგვისტოს დილის 8 საათზე ახალციხის გარნიზონმა იარაღი დაუარა და ქალაქიდან უწუნებულად გასვლის ნება ითხოვა. გენერალი პასკევიჩი ამ პაროხის დათანხმდა და ნება მისცა იარაღაყრილი თურქების ჯარი ახალციხის მშვიდობიანად გასვლოდა, რომელსაც აუარებელი ქართველი მაჰმადიანი მოსახლეობა სამცხე-ჯავახეთის სოფლებიდან თან გაჰყვა თურქეთში.

ქალაქში მოკლული იყო 3000-ზე მეტი კაცი. თურქთა ჯარებიდან დაიღუპა 6000 კაცზე მეტი. რუს-ქართველთა ლაშქრიდან ბრძოლის ველზე გმირულად დაეცა 1800 მეომარი, რუსებმა ხელთ იგდეს აუარებელი ქონება, სურსათი. 67 ზარბაზანი და 52 თურქული საბრძოლო დროშა. მრავალი რუსე ქარისკაც და მათ შორის ორი ფაშა. ამ სამხედრო ბრძოლა დასრულდა და მსხვერპლს

სმარტო სოსნიტაშვილი

რუსნი და ქართველი ზალაზების საბრძოლო თანამებრძობა

ზედ დაერთო წინა აზიდან შემოპირილი შავი კირი.

ახალციხის აღებას დიდი სიხარულით შეხვდა ქართველი და რუსი საზოგადოება. ბევრ ქალაქში ზეიმიც კი გაიმართა.

ახალციხის აღების შემდეგ ქერი აწუურის ციხეზე დადგა. 17 აგვისტოს დაიწყო აწუურის ციხის შეტევა, რომელსაც 500 კაციანი გარნიზონი და ადგილობრივი მამალიანი მოსახლეობის 1000 კაციანი ლაშქარი იცავდა. აწუურის გემართა კახეთა ორი პოლი. ფეხოსანთა ბატალიონი 6 ზარბაზნით გენერალ-მაიორ ვახტანგის მეთაურობით, მას თან ახლდა ქართველთა ლაშქარიც მამუკა ორბელიანის ხელმძღვანელობით. მ. ორბელიანის დიპლომატიური მოლაპარაკების წყალობით აწუურის გარნიზონი სიხლსმღვრელ ბრძოლებს ასცდა და თურქებშია უსიტყვო კაპიტულაცია გამოაცხადეს.

ახე დამთავრდა 250 წლიანი თურქ-დამპყრობთა ბატონობა სამცხე-ჯავახეთში, რასაც დიდი ისტორიული და ეროვნული მნიშვნელობა ჰქონდა მესხებისათვის და არა მარტო მესხებისათვის, არამედ მთელი ქართველი ხალხისათვის.

ახალციხის ბრძოლაში 1800 დახოცილი მეტროლი გვამები ქალაქის აღმოსავლეთით, 5 კმ. დაშორებით (დღევანდელ სატიერთა სადგურის ტერიტორიაზე), დიდი პატივით დაკრძალეს. აქ 1829 წელს რუსეთის მთავრობამ 50 მეტრის სიმაღლის ბრიჩაოს ძეგლი („სამოიხანიკი“) აღმართა, რომელსაც „მშობა ძეგლი“ უწოდეს. მშობა სასაფლაოს რკინის ღობე შემოავლეს და შიგ საუკეთესო ხეხილის ახალი გააშენეს.

რუს-ქართველთა ჯარების ახალციხეში ბრწყინვალე გამარჯვება იღვის სისწრაფით მოედო მთელ წინააზიის მოსახლეობას, ათურქები შეშინდნენ, ხოლო ქართველები აღტაცებული იყვნენ გენერალ პასკევიჩის ახალი ლაშქრობით. არტან-არზრუმის მიმართულებით 22 აგვისტოს პასკევიჩმა ქ. არტანის აიღო უბრძოლველად და აქვე სასიხარულო ცნობა მიიღო: ალ. ჭავჭავაძემ წაიწვეთის საფაშო აიღო და მისი ორთულაინი ბუღელე ფაშა დაატყვევა.

თურქეთის სულტანი დაწმუნებული იყო, რომ კავკასიის ფრონტის ახალი სარდლობა მარცხსაღებ-ფაშა და გაგაკ ფაშა სივარული კვლავ დაუბრუნდნენ ქ. ახალციხეს, ამისათვის მათ საჭულდაგულად აქარის ხანჯაუ-ბეგი ახმედ-ფაშა მოამზადეს და უბრძანეს 1829 წლის თებერვალს ქ. ახალციხეს თავს დასხმოდა, მასვე

შეპირდნენ გამარჯვების შემთხვევაში უბრძოლველად ახალციხის ფაშობას. მართლაც, 1829 წელს 20 თებერვალს აქარის ლაშქარმა ქ. ახალციხე აღუაწი მოაკცია და ავღი-ბეგის (ახმედ-ბეგის ხიმშიაშვილის ძმის) მეთაურობით აწუურის ციხე-სიმაგრე დაიკავა, საშინელი სიკვამლეტა მოხდა ახალციხეში თანამომერთა შორის.

1829 წლის 24 ივლისს გენერალმა პასკევიჩმა ქ. არზრუმში დაიპყრო და გევი ბაიბურთ-ტრაპიზონისაკენ აიღო. რუს-ქართველთა ასეთმა წარმატებებმა თურქეთი და მისი მფარველები — ინგლისის, საფრანგეთისა და ავსტრიის სახელმწიფოებიც დააოქრეს. მათ თურქეთს წინადადება მისცეს სასწრაფოდ შავი ეთხოვა რუსეთისათვის.

მართლაც 1829 წლის 14 სექტემბერს რუსეთ-თურქეთს შორის შავი დაიდო. ამ შავით საქართველოს საზღვრებმა სამხრეთისაკენ 100 კმ. გადაიწია და მას შემოერთდა სამცხე-ჯავახეთის მხარე (აწუურის, ახალციხის, ბეკურეთის, ასპინძის, ბერთვისის, ახალქალაქის და ჭვავილიანის ხანჯაუები). ანდრიაპოლის შავით რუხეთის ხელში გადავიდა ყუბანის მხარე, შავი ზღვის სანაპიროებისათვის, ანაა და ფოთი.

ამრიგად, სამცხე-საათაბაგოს გამოსხნისათვის სამსწლიან ბრძოლას პირველი სერიოზული წარმატება მხოლოდ მესამე პერიოდში მოჰყვა. ამ წარმატების საწინდარი იყო რუსეთის არმია, რომლის მხარდამხარე იბრძოდა ქართველთა ლაშქარი, მთელი ქართველი ხალხი. (შ. ლომსაძე).

სამცხე-ჯავახეთის მხარის შემოერთება დედამამშობლო საქართველოსთან დიდი ისტორიული მნიშვნელობის მოვლენა იყო, რამაც არსებითად გადაარჩინა ამ მხარის ქართველი მოსახლეობა საბოლოო განადგურება-დათურქებას. სამცხე-ჯავახეთი კვლავ ერთიანი საქართველოს პოლიტიკური, სოციალურ-ეკონომიკური და კულტურული ცხოვრების საერთო ფერხულში ჩაება. რითაც ახალი პერსპექტივები დაიხსნა ამ მრავალტანჯული კუთხის აღორძინება-განვითარების საქმეში. ამ პერსპექტივებს კი ფრთები შეეხსნა მხოლოდ დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის წყალობით. სამცხე-ჯავახეთში საბჭოთა ხელისუფლება 1921 წლის 8 მარტს დამყარდა, ამის შემდეგ მოხდა გრანდიოზული გარდაქმნები სამცხე-ჯავახეთის ცხოვრების თითქმის ყველა სფეროში და, სამოცი წლის მანძილზე მან არსებულ წარმატებას მიიღწია.

სამცხე-ჯავახეთის
საბჭოთაო



რევან სირაძე

ა. ლოსევი და ქართული რენესანსის პრობლემა

რენესანსული კულტურის სპეციფიკის განმარტება ძნელია, ძნელია მისი წესები აღწერაც კი. ეს იმიტომ რომ რენესანსული კულტურის ნიშნებს მხოლოდ კონკრეტული კულტურული-ისტორიული შინაარსი როდი აქვთ. მათ გააჩნიათ ზოგადი ტიპოლოგიური შინაარსიც. რენესანსული ტიპის მოვლენები ზოგჯერ განახლდება ხოლმე გვიანდელ ეპოქებში. თანაც, დაპირისპირებულობათა მიუხედავად, რენესანსი არსებითად მაინც უარყოფის ეპოქა კი არაა, არამედ ეპოქა შეწყურებისა, მიღება-ათვისებისა, როცა ხერხდება შეუთავსებელ ტენდენციათა შეთავსება.

ამიტომ რენესანსული კულტურისათვის დიდად დამახასიათებელია დიალექტიკობა, თანაც არა მხოლოდ თავის წარმართულ თუ ქრისტიანულ წარსულთან, არამედ თავისავე არარენესანსულ თანამედროვეობასთან და ზოგჯერ მომავლის სრულიად უცხო მოვლენებთანაც კი.

თუ მაინც რაიმე შეიძლება ითქვას რენესანსის საერთო მახასიათებელზე, — ეს მოსახერხებელია მხოლოდ ზოგადობის ფარგლებში. უცოდურესი მრავალმხრივობისდა მიუხედავად, რენესანსის უმთავრესი სიახლენი ესთეტიკის სფეროშია საგულეებელი. ესთეტიკა რენესანსის უმთავრესი მახასიათებელია. ეს საკმაოდ ზოგადი აზრი შეიძლება ბევრმხრივ დამაკვალიანებელი გახდეს. ძნელია, ალბათ, ეგერტივად ყოველმხრივ ესთეტიკურობით აღბეჭდილი სხვა ეპოქის დასახელება. ყოველმხრივი ესთეტიკა გულისხმობის არა მხოლოდ ხელოვნების განსაკუთრებული სიძლიერით განვითარებას (ეს — თავისთავად), არამედ გაცილებით დრმა მოვლენებს.

ა. ლოსევის წიგნი — „აღორძინების ესთეტიკა“ საკვებით უთანაბრდება თავის მიმზიდველ თემს. მედიებლურ ხილრმებთან ერთად აქ არსებობდა დიალექტიკური რენესანსის ეპოქასთან, დიალექტიკური თანამედროვე კულტურისა, მისი გამოვლენის უმაღლეს დონეზე.

დიალექტიკური გვახლოებს რენესანსთან. იგი დროულ მიკნებს შლის, დროულ უკუსვლას ამართლებს; აზრობრივ მიახლოების ემოციით აღავსებს. დიალექტიკური „უკუმიმართება“ გვიჩვენებს, რაოდენ შეფარდებითაა ყოველგვარი ცალსახა პასუხი კითხვაზე — რა არის რენესანსი? დღემდე მოხმობილ მრავალ ნიშანთაგან ვერც ერთი (ვერც მუმანიჰში, ვერც ანტიკის აღორძინება, ანდა, თუნდაც, სამუაროხა აქა ადამიანის აღმოჩენა), ვერც მათი უბრალო ქაში ამოწურავად ვერ გვიჩვენებს რენესანსის არსს, ამ მოვლენის მთელს სირთულეს, ვერც პირდაპირი და ვერც მტკაფორული მიახლოებით.

ტრადიციული ე. წ. „უკუთქმითი განმარტებებისა“ გვარად ჩვენ უფრო წესტად ის შეგვიძლია ვთქვათ, თუ რა არის რენესანსი.

იტალიური რენესანსის ხანაში ძნელია დავასახელოთ ერთი რომელიმე ლიტერატურული პერსონაჟი, რომელიც იქნებოდა მთელი იმდროინდელი კულტურის სიმბოლო (ქართული რენესანსის მრავალწინაგოვნებას, ალბათ, ვერ ამოუწურავს ისეთი უნივერსალური გვირიც კი, როგორცაა ავთანდილი. მასში არ ვლინდება, მაგალითად, „ხელად გაქრის“ სამიწურო იდეალი, რომელსაც „რენესანსული რომანტიზმის“ მაჩვენებლად თვლის ნ. კონრადი).

როგორც ცდა, ფრიად საგულისხმოა ისიც, რომ რენესანსის არსებობა ნიშნებს ვეძებდეთ ამ კულტურის დაისის უამს. რადგანაც მაშინ უფრო უნდა გამოვლავნდეს არსებითი, რამაც დიდებანს უნდა გაუძლიერებოს ცვლილებებს, რაც შეიძლება იქონიან განვითარებადიც. ამიტომაც საყურადღებოა აზრი, რომ იქ, სადაც განისვენებს დონ-კიხოტი, არის საფლავი ესპანური რენესანსისა.

ამ ეპოქის ალბათ ყველაზე ნათელი გამოხატვლენი იყვნენ იმდროინდელი ხელოვანნი. — მწერალი, მხატვარი თუ ხუროთმოძღვარი, — ვითარცა „პოლიფონიური“ სახე-იდეები რთული კულტურული-ისტორიული დრამისა, რომე-

ლსაც ჰქონდა თავის პაროლტვი, აპოგეა, და ეპილოგი, თავისი მრავალპლანური მხატვრულ-ესთეტიკური „საფუტეი“.

ასეთი „პერსონაჟი“ კულტურულ-ესთეტიკური დრამისა ლეონარდო და ვინჩი. შემდეგ იგი იქცევა ზოგად სახე-იდეად. პოლ ვალერი „ლეონარდოს სისტემას“ მიიჩნევდა სისტემად ამ ტიპის შემოქმედლისა. რომელსაც ძალუძს „არაფერია არ დაიფიქსოს“, მოვლენის ყოველი მხარე გაიცნობიეროს, სინამდვილისადმი დიდი ერთგულებისა და მიუხედავად, იგი გამსჭვალოს სუბიექტურობით (რაც შელავდება მისი ფერწერის „ნისლავანების“, ვ. ფ. „ფუტოტოთი“).

ა. ლოსევი გვიჩვენებს, თუ რაოდენ ვლინდება ლეონარდოს ესთეტიკაში რენესანსული უნივერსალიზმი, როცა აღმიაწინებს დაეფუძლა საკუთარი დროით ხელოვნების მაქსიმალური შეგრძობა, შეგრძობება „ოქროს ხანისა“, „ახალი ცხოვრებისა“, და იქვე განდა ყოველივე ამის საპირისპირო ტენდენციები. დაიბადა გრძნობა თავისი დროით ხელოვნობა, ავსილობისა ეპოქის ძალით, ზოლო ამას მოჰყვა ერთგვარი სიკარბე ამგვარი განვლილსა (ამ დროს არ შეიძლება დადავად ახლოებული არ გამხდარიყო ცნობილი ნეოპლატონური იდეა, რომლის თანახმად ღმერთი სიხავეს სიჭარბეა, საყაროც ავ სიჭარბის ვადამოღობა შექმნაო. აღმიაწინებს თავს თვლის არა ღმერთს მონად, არამედ მის რაინდ-მხატვრად და იგი ამჟამს ამით).

აღმიაწინებს მძლავრად განიცდის მიმზიდველობას დასაწყისისა, შეუცნობელი მომავლისა. შეუცნობელია მათთან პირველი მახლობლებისა, მურყანისანი განთიადისა („აღმიაწინებს შინადა გულში ჩაიკრას თვით საყარო“, — წერდა პეტარაკი; სონეტი — 134). ამგვარი შეგრძობება დასაწყისისა გრძელდებოდა დიდხანს, ვიდრე შეედლოთ ცხოვრება თუნდაც ილუზიებით. თუნდაც რაინდობაზე დონ-კიხოტურის თვადობით. დონ-კიხოტის დაცინვა რომ დაიწყო, რენესანსი ჭერ კიდევ ცოცხლობდა, თვით დონ-კიხოტშიაც და იმ სიცილშიაც იმით, რომ, დონ-კიხოტზე აღარას ვიტყვი და, ეს სიცრული იყო ნაღვლიანი, თანამგრძნობი და სიუკარულით შეფერილი, ახალგაზრდულად დაუნდობელი, ნერვიული და თვითდაშვიდებების ნების გამოხატულება.

აღმიაწინებს თავისი თავი საყაროს ცენტრად წარმოადგინა. მაგრამ საკუთარი „მეს“ გარეგანად განდიდება, თითქმის მთლიანად საკუთარი „მეს“ იმედით დარჩენამ, წარმოშვა მოულოდნელი შიში. ეს იყო შიში მარტოობისა, დარდი მომავალზე, რომელიც დაბადა აღმიაწინური შემეცნების კულტმა („თავისისა ცნობისაგან ჩავარდების კაცი ჰიჩსა“, — წერდა რუსთველი). შეედა იქცა სიბრძნედ, რამდენადაც „სიბრძნე შემოფარგლავს თვით შემეცნების საზღვრებსაც კი“ (ნიცშე).

განა არ იყო ნამდვილი პერსონაჟი კვში-რიტად დიდი დრამისა პიკო დელა მარანდოლა, ეს „წარმართი რაინდი“ და ფილოსოფოსი, ავანტურისტები და თეოლოგი? ის იყო სწორედ ერთ-ერთი გამოხატულება თავის თავში შეუთავსებელთა შერწყმისა, როცა ერთი უკიდურესობა კი არ გამოირცხვას მეორეს, არამედ გულისხმობს მას, როგორც ა. ლოსევი გვიჩვენა (ამასვე მიუთითებდა ჭერ კიდევ ბურგარდტი), რენესანსისთვის ორგანულია არა მხოლოდ ტიტანიზმი, არამედ „მეორე მხარე ტიტანიზმისა“. ერთი მეორის გარეშე ვერ იქნება. ლიტერატურულ პერსონაჟზე შეტად ეს ჩანს ცოცხალ ხასიათებში იმ ხელოვნობა, რომლებიც თავისი ბუნებათვე არ შეიძლება არ ყოფილიყვნენ „ესთეტიკური მხასიათებელნი“ ეპოქისა.

აღორძინების ხანაში ესთეტიკური ხასიათისა არა მხოლოდ ცხოვრების წესი, არამედ თვით „წესი აზროვნებისა“, აზროვნების ნებისმიერი ფორმისა. ესთეტიკური დომინირებს თითქმის ყველგან. ხანდახან ესთეტიკური თვითეთიკურზედაც მალეამდგომია. ა. ლოსევის ძალზე ბევრი შავალითი მოჰყავს იტალიური რენესანსიდან (რომელთა მსგავსი რუსთველის ეპოქაშიაც დაიძებნება). როცა პირველხანა არ ერიდებოდა მიუღებელ, მაგრამ მიმზიდველ საქციელს. ამგვარ საქციელს ამართლებს ესთეტიკა და მერე ის თავის წესსა და რიგს ახვევს თავს ეთიკას.

1.2. ქართული რენესანსის მკვლევართ მართებთ ვათეკლისწინოს რენესანსის განვითარების ა. ლოსევისეული პერიოდისაგან, რომლის მიხედვით, რენესანსის ესთეტიკა უნდა წარმოვიდგინოთ როგორც სტრუქტურა და როგორც პროცესი. იტალიური რენესანსის განვითარებაში გამოყოფილია შემდეგი ეტაპები: 1. პროტორენესანსი (XIII ს.); 2. აღმავალი რენესანსი (XIV ს.); 3. აღრული რენესანსი (XV სის დასაწყისი); 4. მაღალი რენესანსი (XV ს.); 5. გვიანდელი რენესანსი (XVI ს.) და 6. რენესანსის დასრულება (XV-XVI სს.).

იგულისხმება, რომ ისტორიული დიფერენსის ძალით ერთი საფეხურის ნიშნები თავს იჩენს მეორეში, ხან — გვიანდელი საფეხურისა აღრულიშიც კი.

თუ ყოველად ზოგადი სახით ვაჩივრებთ ესთეტიკური იდეალის განვითარებას, ასეთი სქემა შეიძლება წარმოგვედგინა: ანტიკური ხანაში დომინირებდა მშვენიერების ესთეტიკა (ამაღლებულობაშიც რომ იჩინოს თავი, ეს იქნება „სილამაზის ამაღლებულობა“). შუა საუკუნეებში ბატონობს წმინდა სუფიერის ამაღლებულობის ესთეტიკა (იგი, ანტიკურობისგან განსხვავებით, შეიძლება არ გულისხმობდეს სილამაზეს). „ნებისმიერი კლასიკური კატეგორია, — ზომი, მარმონია, მშვენიერება და მის-

თანანი, — ბიზანტიელებთან აღბეჭდილია ამაღლებულობის ნიშნით. ეს პროცესი დაიწყო ჭერ კიდევ ნეოპლატონისტებთან, განსაკუთრებული აქტივობით პლოტინუსთან, — ვიერს ვ. ბიჩკოვი.

რენესანსულ ესთეტიკაში ხდება მათი სინთეზი, შერწყმა მშვენიერების ამაღლებულობასთან. ამის შედეგად მივიღებ სრულიად ახალი სახე სთეტიკურისა. იგი არ წარმოადგენს აღნიშნულ ელემენტთა უბრალო ჭამბ. ეს ოლიმპიკებიც სახეცვლილია მასში. თუ ანტიკურ ხანაში შეიძლება გვეოდეს მშვენიერების ამაღლებულობა, როცა პლასტიკურობაშივება სულიერება, რენესანსის დროს უმჯობესი იქნება გველასარება ამაღლებულის მშვენიერებაზე; აქ სულიერება სხეულისა წეციურია და არა სხეულებრივი, თუცა სხეულში, ვითარცა სიმბოლოში, „განხორციელებული“. ცნობილი სიტყვებით რომ ვთქვათ, „მშვენიერება ნათელია, წეციით მოსული“.

რაც მთავარია: ნებისმიერი რენესანსული ადამიანური ქმედება აღბეჭდილია სტიქიური ინდივიდუალისწიით, პიროვნულ-ადამიანური თვითდამკვიდრებისაკენ სწრაფვით. ცხოვრების სტიქიურ-ინდივიდუალურმა წყურვილმა რენესანსი აქცია დაპირისპირებულობაში გამწვანების ხანად. ჩვენ ძალზე ხშირად მიღრევილნი ვართ აღორძინების ეპოქის არსის განსაზღვრისას მიუვითითო წეციურ და ამქვეყნიურ აფროდიტათა სიახლოვეზე. ამას აქვს თავისი გამართლება, მაგრამ ვთარბობთ, უფრო მნიშვნელოვანია იმის წარმოჩენა, თუ რაოდენ უფროსობრებოდათ ისინი. და ამ სიშორის განცდა ამაღლებულა სურვილის მათი განხლოებისა, სურვილის მთელი სიძლიერით დახვედრათ როგორც წეცა, ისე მიწა, თითოეული — თავისთავადი რაობით. და არა ნეტარი სიმშვიდით, რომ თითქოსდა, ესენი უკვე საბოლოოდ ერთმანეთს დაემხოვა, მიწა მთლიანად ვამსკვალა ღვთაებრიობით და ღვთაება კი მიწიერებით. ხოლო რენესანსელებს თითქოს ისდა დარჩენილათ მშვიდად ეკვრიათ საბოლოოდ მორიგებული სიშორეები. რენესანსელებმა ისე დააოცრებტეს ღვთაება (ამას ა. ლოსევიც გვიჩვენებს და სხვებიც), რომ არა მხოლოდ „ეკრატები“ გონების თვალთ, არამედ განიცდიან მას, ვითარცა გრძნობად-კონკრეტულ რეალობას. აქედან იწყება აზროვნების ესთეტიკა. ესთეტიკა რელიგიურ წარმოდგენებისა. ამ გზით ადამიანს ძალუქს თვით არაციონალური რეალურად წარმოიდგინოს. ესა უკვე მხატვრული ქმნალობა აზროვნების წარმოდგენებისა. რელიგიური გრძნობა სახისმეტყველებად იქცევა ღვთაება იმოსავს განსულიერებულ მშვენიერ სხეულს, რომლის მიხტეტიური ქვეტება არ ითხოვს ყოფით-ადამიანურიობიდან განრბიდებას.

ეს არ ითხოვდა უარყოფით ესთეტიკურ ფანეულობაში იერარქია. სხეულის მშვენება,

როგორადაც არ უნდა გაეაზრებინათ იგი, ითვლებოდა ჩვეულებრივ ნივთიერ მშვენიერებად, არც უბრალო გახრწნადი სხეულის სიახლოვედ, როგორც შუა საუკუნეებში ფიქრობდნენ. ეს იყო სიახლოვე „სხეულის სულისა“ (ოლონდ, ეს სული სხეულზე მთლიანად არ დაიყვანებოდა). ამქვეყნად ყველაზე განსულიერებულ სხეული ადამიანის ტანი იყო. ამაში უნდა დაენახათ მისი სიახლოვეც. ის შეიძლება წარმოისახონ წეციურ-ეთერულად (ახეა „თამარისანსა“, „აბდულმეჩიანსა“ და „ვეფხისტყაოსანსშიც“). და როცა ის მიეწრაფვის ღვთაებრივ კათარსად. ამ გზაზე მას მოულის მშვენიერებისა და სიკეთის განსაწმენდელი, რომლის გავლა რჩეულთა ხედრია და გულისხმობს არა მხოლოდ სხეულებრივ სრულყოფილებას, არამედ უფრო სულიერს. რამეთუ სული განსწმენდს სხეულს, იგი განამშვენებს მას.

პიროვნულ-განსულიერებული სხეულებრივი მშვენიერი ყოფიერება ხდება ერთი უმთავრესი საწარმო ესთეტიკური ფანეულობისა. ადამიანის მშვენიერი სხეული „ნამდვილ-მყოფისგან“, ე. ი. კუმარტი, უმადლესი მშვენიერებისგან მოწყვეტილი რაობა როცა, ის მხოლოდ ფერმკრთალი სიმბოლო როცა წეციერებისა, ის თავად არის თვითმკარი ესთეტიკური რაობა. ესაა რენესანსული „სუულატურული“ აზროვნების საფუძველი. ქანდაკება „საგნობრივად“ ნამდვილყოფი (რეალიზებული) სიმბრებად, ისევე როგორც ფერწერა. ტაძარი უმადლესი მარმონის აზრობრივი მოდელია, ისაა მოდელი მარმონისა, რომელიც განუფენილია ბუნებაში. ტაძარს მარმონის მოდელირებაა, წმინდა მარმონია, წმინდა ვითარცა აზრი. ტაძარი ესაა ბუნების მარმონის „ლოკური სქემა“, განტვირთული ყოველივე არაარსებითისგან და ასე განსწმენდილად მოცემული ქვეში. ამიტომ ისაა წმინდა „ფილოსოფიური აზრი“, სიმბრე. „ამიტომ ნუ გაგვიკვირდება, რომ ლეონარდო მთელ ფილოსოფიას, მთელ ფილოსოფიურ სიმბრებს განმარტავს სახელდობრ ფერწერად“ (გვ. ნა). ეს არაა იგივე, რაც ანტიკური აზროვნების სუულატურულობა (ამას ა. ლოსევიც მრავალმხრივ ნათელყოფს). მათ შორის დიდი სხვაობაა. რენესანსული „სულიერი საგნობრიობა“ გულისხმობს წეციამშვენიერების უშუალო ქვეტებასაც; მაშინ როცა ანტიკური დემტრო თვით ქანდაკებაშია. მშვენიერების კანონზომიერება უძველესი პოეტური სიმარტივითაა ახსნილი. სიმძნელის მარტივად დაძლევს ეს ილუზია რენესანსმა გაღალახა. თუნდაც ზოგჯერ იმდაგვარად, რომ პრიმიტიული ახსნივ კმაყოფილებას შეუცნობელა სინამდვილისადმი პირფსირდგომა არჩია (ამაზე ქვემოთ).

1.3-ქერ კიდევ არაა მთლად დაძლევული უმარტებულ წარმოდგენა შუა საუკუნეებისა, რენესანსისთვის მისი მნიშვნელობისა. ვერ გაღალახებთ შუა საუკუნეების რენესანსისდროინდელ-

ლო შეფასება, რომ მხოლოდ სიბნელე დანახ-
ათ წინაშე ეპოკაში, რომელსაც გაემიჯნენ,
მაგრამ რომელსაც არსებითად დაეშვარნენ და
ნისკვად აღმოცენდნენ. რენესანსმა გაიღლებით
ბევრი რამ გამოიყენა შუა საუკუნეებისაგან,
დიდრე უარყო. რენესანსის საფუძველია ქრი-
სტიანობა, რომელიც უკვე იქცა „საერო რე-
ლიჯია“. რენესანსმა პირველად ვერძევსა
ქრისტიანობის მნიშვნელოვანი მოდერნიზების
შესაძლებლობა, ამხთანავე „რენესანსის ეს-
თეტიკა ძალზე ხშირად შინაგანად დამოციდე-
ბული რჩება შუასაუკუნეობრივ ორთოდოქ-
სიაზე“ (გვ. 115).

უნდა გავითვალისწინოთ, რომ საქართველო-
ში შუა საუკუნეები არ ყოფილა ისეთი რიგო-
რისტული, როგორც ევროპაში. ქართულ რენე-
სანსის შემოქმედელ შესაძლებლობა ჰქონდათ
დაურღობოდნენ იმ ანტიკურ და საერო ტრა-
დიციებს, რომლებიც მთელი შუა საუკუნეების
მანძილზე ცოცხლობდა. მსგავსი ვითარებაა ბი-
ზანტიურ ფილოსოფიურ რენესანსში. შემდეგ
ე. წ. პალიოლოგურ რენესანსში (უფრო მე-
ტად საურადღებოა პალითონი).

აქვე შეიძლება პირდაპირ ითქვას, რომ რე-
ნესანსის წყაროთა გამოვლენისას ა. ლოსევი
ნეოპლატონიზმად არავს ბევრ რაივე საკუთ-
რივ ქრისტიანულს, ანდა — არადგამატურ
(ბიბლიურ) ქრისტიანულს და მისტიკურ ნა-
კადს, რაც ზოგჯერ სადავოა.

რენესანსის ხანაში სახეს იცვლიდა ღმერთი,
იცვლებოდა ღვთაებრიობის განცდა. შუა საუ-
კუნეებში ღვთაების რწმენაზე არანაკლებ
მძლავრობდა ურწმუნოების შიში. შიში, რომ
მოდერნიზაციის კანონი და მადლი. რენესანსმა
გაანული ეს შიში და გააღრმავა და გააღამი-
ანურა სიხარული. ამჟვენიურ სიხარულითაც
განვერტებს ციური ნათელი, ქვეული მიწიერ
ნათლად. ეს იყო „არადამული სინათლე“. ამიერიდან ღმერთი მხოლოდ უკვდავიეს საწ-
უხის და შიშანი როდია, ისაა თანამზავრი ქვეუ-
ნისა, „თანამზადიული“ დამიანის ცხოვრბი-
სა. მასთან მიმართება ესაა საურთიერთი თა-
ნაგაყვად.

ა. ლოსევმა ნათელყო, რომ ვერავითარი პან-
თეიზში ვერ შეცვლის რენესანსის პიროვნულ
ღმერთს (ეს რომ იწყება, რენესანსიც მთავრ-
დება). მანამდე იმდენად აბსოლუტიზებული
იყო ღმერთი, იმდენად ტრანსცენდენტური,
რომ ზოგჯერ კავშირიც კი წუდებოდა მასთან,
ახლა დამიანმა თავისი თავის აბსოლუტიზება
მოაბდინა, შექმნა ანთროპოცენტრული საშუა-
რო, მოიაზროდა გაადამიანურებული ღმერთი.

რენესანსული ზელოვნება თავდაა ღმერთის
ტრანსცენდენტურობის გადაღახვა, მიღმურ
საშუარისკეცია გადახედვა, რომელიც ნ. კუზანე-
ლის სიტყვით, „ზღვარია სახელდებობით აღნი-
შენის უკველი შესაძლებლობისა“. მსოფლმხე-
ველობითი ცვლილებანი პირველყოცისა
აღინიშნებოდა ზელოვნებაში და არა ფილოსო-

ფიაში ან შეტარერ — თეოლოგიაში. სახე-
ლებს ზელოვნებაში ფილოსოფიური წინამ-
ძღვრებაც რომ ჰქონოდა, ეს იქნებოდა ფრად
ზოგადი და განუხეხული თეორიული რამ, რომ
მელიც თავის მნიშვნელობას მოცულობათა ახლე-
ბურ კომპლექსში იძენდა. ჩვენ ხან პირიქით
ვშვრებთ. „უფისიტუაციონის“ წყაროებში გან-
ვიხანვრავთ მის რაობას. საწინააღმდეგოს გან-
ჩვენებს. ა. ლოსევის დავიკრებანი იმის თა-
ზაზე, თუ როგორ იცვლებოდა, მაგალითად,
ისტორიული ადაპტაცია პოლიკლეტის ესთეტი-
კური კანონისა.

14. აღორძინების უმთავრეს წყაროდ ნეო-
პლატონიზმი ადრეც ხშირად მიიჩნეოდა (სხვა-
თა შორის, რუსთველის მიმართ ეს პირველად
პლატონ იოსელიანმა აღნიშნა 1871 წ.). მაგ-
რამ ა. ლოსევისებური ყოვლისგომცველი მნი-
შვნელობა მისთვის, ალბათ, არავის მიუნიქე-
ბია. ამიტომაც მის მრავალ სახეცვლილებას
განიხილავს. თანაც, რენესანსის წყაროები
მხოლოდ ნეოპლატონიზმზე როდის დაჰყავს.
...დღეს შეუძლებელია ფიქრი, როგორც ფიქ-
რობდა, მაგალითად, ა. შტოკლი, რომ XIII
ს-ში მიმდინარეობდა არისტოტელისთვის გან-
წმენდა ნეოპლატონისტური ელემენტებისაგან,
რომლებთანაც ასე შეიძლოდ იყო დავკვირვებ-
ული არისტოტელე არაბთაგან“ (გვ. 145).

ა. ლოსევი შ. ნუსტოძის „აღმორენად“ და
„მეცნიერულ გმობობა“ თვისი ნეოპლატო-
ნიზმის მიჩნევას ქართული რენესანსის სა-
ფუძველად. იმასაც აღნიშნავს, რომ ესააო გა-
საღები იტალიური რენესანსის გასაგებად და,
საერთოდ, უდიდესი ღვაწლი რენესანსოლოგია-
ში.

მაგრამ — რატომ მიიწვდამიანც ნეოპლატო-
ნიზმი? შეიძლება იმიტომ, რომ ნეოპლატონი-
ზი საშუალებას იძლეოდა სრულიად უროიერო-
განსხვავებულ საზროვნო ტენდენციათა მო-
რიგებისა? (ნ. კუზანელის სიტყვით, რომ
ვთქვათ, „დამირისპირებულობათა თანხვედრი-
სა“, რომელიც ასე სჭირდებოდა რენესანსის
ხანას). იქნებ, იმიტომ, რომ ნეოპლატონიზმი-
თვის დამახასიათებელია თავისუფალი ფილო-
სოფიური საუკუელაცია (წინააღმდეგ არისტო-
ტელიზმის მკაცრი სიტემატიზაციისა) და იგი
იოლად ეგუებოდა მხატვრულ კონტექსტს? იქ-
ნებ, რენესანსული აზროვნების საერთო ესტე-
ტიზაცია იყო ნეოპლატონიზმით გატაცების შეი-
წერი?

აქ ერთხელ კიდევ უნდა გავისხენოთ, რომ
შეგვიძლია განვასხვავოთ ორგვარი ნეოპლა-
ტონიზმი: არისტოტელური და პლატონური.
პირველი (პორფირიუსთან, იამბლიხოსთან,
დ. ანაქთან და ნაწილობრივ პროკლესთან
წარმოადგენილი) სილოვისტიკას და არისტოტე-
ლურ კატეგორიოლოგიას აფუძნებდა, უფრო
სილოზში გამოიყენებოდა და მომავალი სქო-
ლასტიკის უმთავრესი საფუძველი იყო. ის
შორს იდგა პოეტური აზროვნებისაგან. ხელ

სხვა „პლატონური ნეოპლატონიზმი“. წარმო-
დგენილი პლატონისთან, ასევე პარკლესთან
და განსაკუთრებით. ქრისტიანიზებული ნეო-
პლატონიზმში, კერძოდ, არეოპაგიტკაში. თა-
ვის ესთეტიკური რელიგიით. მხატვრულ-მი-
თოლოგიური ტერმინოლოგიით და მისტიკური
ინდივიდუალიზმით. არეოპაგიტკა რენესანსის
უმთავრესი საფუძველი გახდა. ამასი ა. ლო-
სივი შ. ნუტუბიძის მთლიანად ეთანხმება.
მაგრამ არ იზიარებს აზრს, რომ არეოპაგიტკა
ანტიკურ ნააზრევად ჩაითვალოს და ის აქ
მართალია.

არა ანტიკური, ან შუასაუკუნეობრივი, არა-
მედ საფანასტური ნეოპლატონიზმი რენესანსის
საფუძველი. არა აბსტრაქტული, არამედ
პირადად ნეოპლატონიზმის მემკვიდრე
აფორმებს არეოპაგიტკას რენესანსულ ნეო-
პლატონიზმად. ასეა დანტესთან და ასევე
რუსთველთან).

მაგრამ ეს მანც შეფასების საკითხია და
მანც რჩება კითხვა: ნეოპლატონიზმი თუ
ქრისტიანიზმი? განა არეოპაგიტკა თავის უარ-
სებითეს ნაწილში, თუნდაც იმ ნაწილში, რაც
რენესანსს უნდა ეკუთვნოდეს, უფრო ქრი-
სტიანიზმს არ გამოთვინს, ვიდრე ნეოპლატონ-
იზმს? „ნეოპლატონიზმი“ ამ შემთხვევაში
ხომ არ ნიშნავს იმ სააზროვნო ნაყადის ძი-
რებს, რომელიც ქრისტიანიზმში განვითარდა
და რომელიც პლატონიზმის ხაზზე ძვეს ეწო-
დებოდა თუ ეგოტურული სახით?

ამაზე დაწვრილებით აქვე შეიძლება
თქმულიყო, მაგრამ ამჭრად დავუშვათ იდე-
ბით მხოლოდ რამდენიმე შენიშვნით: ჭრჭე-
რებით მიზანშეწონილი კომპრომისული პოზი-
ციის დაცვა. ეს იმიტომ, რომ ასე უფრო მოი-
სიჩქება უკელა ოპტიმალური შესაძლებლობა,
რაც კი უნდა იქნას გათვალისწინებული. ზე-
მოაღნიშნულის გარდა, რაც ნეოპლატონიზმი-
ქრისტიანიზმის ხაზის ერთგვარ გამოვლენას
გულისხმობს. შეიძლება მოვლენათა სხვაგვარი
დანახვა: ნეოპლატონიზმი რენესანსულ სააზ-
როვნო კომპლექსში ტრადიციულ ფილოსო-
ფიურ დონეს გამოხატავდა. ამის შერე იწყება
ჭვრეტითი დონე. შემოხვევითი როლი იყო,
რომ მარსილიო ფიჩინოს „პლატონურ აკადე-
მიის“ ნეოპლატონიზმის საშუალებით ცდი-
ლობდნენ ქრისტიანული სიბრძნის განვითარე-
ბას.

ა. ლოსივი სხვა მრავალი მაგალითითაც გვი-
ჩვენებს, რომ რენესანსელთა უპაცება ნეო-
პლატონიზმით ქრისტიანობის გატყუვას არ
შეიძლება. მაღალი შთაგონების გაშის ისინი
მიმართავდნენ ბიბლიკური ქრისტიანიზმის მუ-
შანიშნს და უპირისპირდნენ სქოლასტიკურ
დოგმატიკას. მაგრამ ამ პოლემიკურ დონეზე
და კიდევ უფრო მაღლაც მათ სჭირდებოდათ
ნეოპლატონისტური ფილოსოფია. მათი იდეა-
ლი იყო არა მაქსიმალური ცოდნა, არამედ
მაქსიმალური გამჭვავება სიბრძნის სიუფარუ-

ლით. დანტეს „ნაიდომი“, როცა ცათა და მცე-
ნიერებათა ანალოგიები შემოდის, აშკარად იყ-
ვებოდა ფილოსოფიისა და უმაღლესი ჭეშმა-
რიტების მორიგების გზები. ეს ხდება ერთი
საუკვეთათო ზეგნებმარტების აღიარებით.
რომლისკენაც მისწრაფვის ყოველივე, უკელა
მეცნიერება, ფილოსოფია, ზელოვნება და რე-
ლიგია. ამ სააზროვნო დარგების შემოკრება
უკელაზე მტკად ნეოპლატონიზმად შეძლო. ესაა
მისი ისტორიული მისია.

რაფაელის „ათენის სკოლაზე“ სულ სხვადა-
სხვა დროის ფილოსოფიების პლატონის ირგე-
ლივ არიან შემოკრებილი. ამასი რენესანსის
კულტურულ-ისტორიული ატმოსფეროა არე-
ლილი და არა ანტიკური. გაერთიანება სხე-
დასხვა დროისა პლატონურ სკოლაში (რაც ამ
ხურათის სიუფეტურ სიმბოლიკაშია განახავნე-
ბული) მოწოდებულია რენესანსული თვალთა-
ხედვით, რომლის სიმბოლო არის მსმენელთა
შორის გამოხატული თავად რაფაელის ანტო-
პორტრეტი. აქ წარმოდგენილი კულტურულ-
ფილოსოფიური აღგებობა ნათელყოფს, რომ
რენესანსელთა მხატვრული მსოფლმხედველ-
ობა პლატონიზმი ან ნეოპლატონიზმი და არა
არისტოტელიზმი, რომელიც მისი შემადგენ-
ელი ნაწილი იყო და თითქმის არასდროს არ
ხდებოდა პირველი.

„არისტოტელე. — წერს ა. ლოსივი, — მუდ-
მივი წადილით საყოველთაო კატეგორიები
ცალკეოდ კონკრეტულობად ექცია, დიდად
უწყობდა ხელს, რომ პლატონიზმი გაეხა-
და მთელ ადამიანურ ცხოვრებაზე. მთელ ადა-
მიანურ განცდებზე გადმოყენილი კომპიური
იდეების ინტიმურ შეგრძნებად“ (გვ. 71).

სწორედ ამაში არისტოტელიზმის მნიშვნე-
ლობა რენესანსული ესთეტიკისათვის: ესაა
სუბიექტურობის კონკრეტულობა (წინააღმდეგე —
პლატონურ-ქრისტიანული აბსტრაქტული სუ-
ბიექტივიზმი) და ინდივიდუალიზმის შეგრძე-
ნების გამოხატება, განვითარება პიროვნული
„მისი“. მეორეს მხრივ, სულ პოლარულ სფე-
როში, — პოეზიის (და საერთოდ, ზელოვნე-
ბის) ინტელექტუალისტურ კონცეფციაში. —
არ შეიძლება არ ჩანდეს არისტოტელე. ეს რე-
ნესანსული რაციონალიზმის გამოხატულებაა.

ასეთი თანაშრომლობის და მიუხედავად, არი-
სტოტელურ ფორმალისმს სწორად აკრიტიკებდ-
ნენ სახელდობრ „სიცილებით სავსე და ხა-
ლისიანი“ პლატონიზმის პოეტიკებიდან“
(გვ. 42); „მხიარული და ლალი პლატონიზმი“
(34) უფრო ესადაგებოდა რენესანსულ ფსი-
ქიკას.

1.5. რენესანსმა თავიდან აღმოაჩინა პირო-
ვნება, პიროვნება ვითარცა სამყაროს ცენტრი;
პიროვნებამ აღმოაჩინა თავისი თავი, თავისი
„მე“. „ჩვენ“ უკვე „მეთა“ სიბრავლეა და არა
ერთი ზოგადი უპიროვნო „მე“. ამიერიდან
ინდივიდო თანდათან საინტერესო ხდება არა

როგორც გამოცალკევებული რაობა, არამედ ვითარცა განუყოფლობა. „ადამიანი იქცევა სამყაროს მოდელად და ის მიესწრათვის თავის თავის აღმოჩენას“ (დრონარდო და ვინჩი). მთავარია, რომ განუყოფლობაშია ადამიანის უმოავრციელი ღირსება და არა ზოგადობაში (თანაც, ერთი მეორეს არ გამოირცხვავს).

პიროვნული „მეს“ შეგრძნებამ დაბადა პორტრეტი. ფერწერამ განსაკუთრებით დააპყვიდრა პორტრეტი, და რაც კიდევ უფრო მნიშვნელოვანია — შემოვიდა ავტოპორტრეტი. გამოიყვითა დიდი განსხვავება ავტოგრაფიისგან (ან, თუნდაც, ადრეული ხარაინდო ეპოსისაგან). ავტოგრაფიაში, ისევე, როგორც ფრესკაზე, წინდანი იხატება არა ისე, როგორც იყო, არამედ ისე, როგორც უნდა ყოფილიყო (ჩვენთვის ცნობილ თამარის ფრესკებზე მეფის გამოსახულებანია და არა პიროვნების პორტრეტია).

ღმერთთან მიმართება სუბიექტთა კოორდინაციაა (მე — შე). მე, შე და ჩემი მეორე მე, შე და ის, მე და არა—მე, შე და ახარა, შე და შე ღვთებისა, შე და ჩემი, — თითქმის ყველა ეს მიმართებაა ყურადღებული რენესანსში. ამიტომაც ითხოვს იგი შეზეხდოთ არა მხოლოდ რეტროსპექტიულად, არამედ ამ ეპოქის პერსპექტივათა თვალსაზრისითაც. მასში თავს იყრის ტრადიციული „იციან თავის შენი“ და „ქრისტიანული სიურატიზმი“. ეს შემდეგ მოდის ფიხტანურ მე-მდე ან ექსისტენციალისტურ გაუცხოურებამდე. აქვეა გაუცხოურების დამძლევი მრავალი ტენდენცია. აი, ესაა კიდევ ერთი კონკრეტული გამოხატულება ამ რთული ეპოქის უნივერსალიზმისა, შეუთავსებლობის შერწყმისა, როცა ერთმანეთის გვირდნენ თანარსებობს წარსული, აწმყო და თვით შორეული მომავალიც კი.

ქრისტიანობამ შეაჩვია ხალხი ცხოვრებას „თავის თავში უფროსით“. ცხადია, ამას წარსულოც ქმნიდა. მარკუს აკრელიუსის თქმა — „ჩაბხედე თავისთავში“ სოკრატისტულ ტრადიციებს გადასცემდა ავგუსტინეს ეპოქას. რენესანსის დროს „მე — ადამიანი“ იცვლება „მე — პიროვნებით“. რენესანსელიისთვის ვარსიანად დივიდუელურ მნიშვნელოვანია ხდება შიგაინადივიდუელი და თანდათან ღრმავდება და ფართოვდება მისი ხედვა და შეგრძნება. ღმერთი არა მხოლოდ იხილება შინაგანი ქვერტით, არამედ შინაგანად განიცდება, ვითარცა შენში არსებული რამ. აი, ეს არის სწორედ პიროვნების „მეს“ შეგრძნების უკიდურესი გაძლიერება. „მე“ და ღმერთი ერთმანეთს დაუახლოვდა (ცნობილია რენესანსელთა სიტყვები: „რამდენი ხარ ჩემში, ღმერთო“). ღმერთი განიცდება სულითაც და სხეულითაც. ღვთის „მე“ შეგრძნობა არა მხოლოდ თავის თავში, არამედ ზეცაზეც და რათაგანვე გაიკისკოვებულა დღეა დღეობრივი ნათელი (რაც იგივე ღვთაებრივი წყვილია). ღმერთი „მეს“ თვითშე-

მცნების ზღვარია, უცხო: მისი უსაზღვრობის მაჩვენებელია. ადამიანი რომ თავის თავშივე შეიგრძნობს ღვთაებრივს, ესაა ადამიანობის ხისხვის სიჭარბე ადამიანში და ღვთაებრივის სიჭარბე — ღმერთშიც და თვით ადამიანშიც.

„ღმერთი ჩვენშიაო“, — ეს აზრი რენესანსელიისთვის ესთეტიკურ შინაარსს იძენს. მიუხედავად პრინციპული მნიშვნელობისა, მას პირობითობაც ახლავს, როგორც ყოველივე ესთეტიკურის. იგი სიმბოლური მნიშვნელობისაა. იგი მართალია მხოლოდ ფსიქოლოგიურად, იმით, რომ ადამიანი თავის თავში გრძნობს ღმერთს. პირობითია ონტოლოგიურად, რამდენადაც შეუძლებელია ღმერთის ადგილის განსაზღვრა (ფერემ მკირის თქმით, პირობითია, ანუ სახისმეტყველებითია, ღმერთის დასახვა „ცათა შინაც“ კი. ამით მოხსნა, ღმერთი ანუ სიშინელია). ღმერთი არსად იგი იგივეა, ეს გულისხმობს, რომ იგი ყველგანაა. ასე შეუთანხმდა ანაქსაგორას ნაწარვეი — „ყოველივე ყოველივეშია“ ბიბლიურს — „ღმერთი ყველაფერშია“. ეს ნიშნავს ყველაფერი ნაწარვეია ღმერთის. თვით „წიარების“ ცნებაც და თვით „დაკაც“ ესთეტიკურულია: „სადმერთო შევნიერება ყველაფერში ციალებს და ყველაფერში სიყვარულს განაწიო“, — წერდა მარსილიო ფილინო).

თავის თავში ღმერთის შეგრძნობა თვით-სრულყოფის რენესანსული გზაა. ადამიანი მარადღეინებადი ფენომენია და თვითონა თავისი დემიურგი. ადამიანი, თუ გრძნავთ, თვით ნეოპლატონური ღმერთის მსგავსია. ღმერთმა შესაქმი დათმავრა იმიტომ, რომ შექმნა შე-მოქმედი, ამიერიდან ადამიანის შემოქმედება ცულის ღვთაებრივს.

რენესანსისადრინდელი ადამიანი არ მოერიდა საშინ და ხარისკო მკვეთრ თვითშემეცნებას, თვითანალიზს. საშინ სიღრმეებში ჩახედვას, არასათქმელის თქმას. „ეს იყო ეპოქა უსაზრმაზარი მოუთმენლობისა. ეგზისტენცია განიცდებოდა „დაძაბულობად“ (ა. შენტელი, გვ. 75).

ა. დოსტოვის წიგნი ვივიტენბს, რომ პირობის დროს, როცა კაც ვერ შევლის ნებისმიერი აზრი, რადგანაც „ეგზისტენცია განიცდება დაძაბულობად“, ადამიანის სულიერი ნავთ-ხაუდელი ხდება მშვენიერება, ვითარცა გამოხატულება დიდი, ყოვლისშემოცველი მარ-მონისა, სადაც გადალახულია დაპირისპირებულიობათა დაძაბულობა. არ შეიძლება აქ არ დავინახოთ ჩანახაბი იმ იდეისა, რომ „მშვენიერება იხსნის ქვეყანას“. აქედანვე იწყება მოწამობრივი თვადღება სილამაზისათვის და ეგვევ მიიყვანს ადამიანს სასურველ თუ არასასურველ არტისტიზმამდე. იგივე შესძენს მას უნარს ვაფაკურთ ილუზიებით ცხოვრებისა.

სილამაზე ნაწარულია, ისაა იდუმალებით მიმზიდველი „რადაც“. რომელიც ეძაბება გონიერთ და ძლიერთ, მათ, ვისაც ძალდობ

ამ სასწაულით ტკობა. მუარდება რაინდული მოვალეობა — მიესწრაფოდნენ ლამაზ ხიფათს (ანუ იცხოვრა ბიკო დღეა მირანდოლაში). ხელოვნება სუბიექტივითი აღბეჭდილი აბსტრაქტული მოსუნენტილიზმის ფორმებში უნდა ასახავდეს გმირებს. რომელთაც უნდა იხსნან ქვეყნის მშვენიერება. და თუ ქვეყნად არ არსებობენ ამგვარი გმირები, მაშინ ცხოვრების ხსნაც არა ღირს (შდრ. გვ. 404).

ადამიანს გაუძლიერდა ფიქრი — შეეძლო თუ არა ღმერთს ქვეყანა შეექმნა უფრო ლამაზი? დამახასიათებელია პეტრასკას მე-4 სონეტის სიტყვები: „ღმერთის ჩანაფიქრს არ ჰქონდა ნაქალაქი. მაგრამ როგორც არ უნდა გავაგიჟოთ ისინი, სხვაა ჩანაფიქრი და სხვაა შესაქმნე. ხელოვნება განასრულებს შესაქმნისებელ მშვენიერებას. თვითსრულყოფად მაღალი მხატვრული აქტია (შდრ. გვ. 450). ადამიანმა უნდა შექმნას ისეთი რამ, რაც თვით ღმერთს არ შეუქმნია. შემოქმედება უველაზე მაღალი ადამიანური მოწოდებაა.

უკველივე ეს ა. ლოსევიჩი განხილულია, ვითარცა რენესანსის სტიქიურ-ინდივიდუალისტური ესთეტიკის გამოხატულება. ასეთია მსოფლგანცდა, რომლის თანახმად ნებისმიერ სახეში ვლინდება ნება პიროვნული საწყისი. ადამიანი თავადაა სახე. მსოფლიო პარამონია ცაცხაოვანია. არ არსებობს ადამიანის სხეულზე უფრო სრულყოფილი პროპორციები.

ცარგავლი მომხიზველითა თავისი სულიერებით, ცისქვეშეთი კი მისი განსაზღვრებით. ადამიანურ სილამაზეში უველაზე მეტად ჩანს ღვთაებრივი სიბრძნე. პიროვნების მშვენიერება მის, ვითარცა მიკროკოსმოსის. მთლიანობა-შაა.

რენესანსულ პიროვნებას ბუნებრივად ურნდებოდა თავისი ღვთაებრიობის განცდა იმ განმაცვიფრებელი წარმატებების გამო, რომელიც ამ ეპოქაში განახორციელა ადამიანმა. ამიტომ სრულიად ახლებური შინაარსი შეიძინა რენესანსელებისათვის ევანგელიისტი სიტყვებმა: „იუვენით ქუენ სრულ, ვითარცა მამაი თქუენი ჴედათაი სრულ არს“ (მთ. 5, 48).

1.8. რენესანსის ვერც ერთი ნიშნა ვერ წარმოვადგენთ სრულად, თუ მათთან არ მივარჯრეთ პიროვნულ-ინდივიდუალური საწყისები, მათი იერსახეები. ა. ლოსევიჩი შენიშნავს: რენესანსული ნეოპლატონიზმი „ხშირად იყო ძალზე ლაღი და მხიარული კო, თითქმის ბოქმურა“ (გვ. 89). ეს იყო სილაღე ძლიერებისა და რენესანსული რომანტიზმი.

ნეოპლატონიზმი რენესანსისთვის მხოლოდ თეორიული მოძღვრება კი არ იყო, ან მხოლოდ ცხოვრების ფილოსოფია, იგი იყო გარკვეული ტიპი ცხოვრებისა“ (გვ. 342); იგი ამჟღავნებდა „სუბიექტურ-ინდივიდუალისტურ სწრაფვას ცხოვრებისეული შეგრძნებებისკენ“ (გვ.

57). ეს იყო „ახლგაზრდული და ლამაზი ინდივიდუალიზმი“ (გვ. 85).

ამას ახლდა თავისუფლების გამომხატველი არტიზტიზმი. არტიზტიზმი რენესანსმა შუა საუკუნეებიდან იმეკვიდრევა. როგორც არ უნდა გვეუცხანუროს, შუა საუკუნეები თავად იყო არტიზტიზმი და თეატრალიზმი გამსჭვალული ეპოქა, რომელმაც მკაცრად დააკმო თეატრი. მან ანტიკური თეატრალიზმა უარყო და იგი შეცვალა საყოველთაო ლიტურგიით, რომელიც შეიტანა თავის უნივერსალურ რიტუალურ ტაძარში. თითქოსდა, ანტიკურობისთვის უნდა ჩამოერთვათ სიტყვა, რომელიც შუა საუკუნეებს უნდა ექვეა. თეატრალიზმა აზროვნებამ უველაფერი მოიკლა. თითქმის, ერთი არსებული სცენარის მიხედვით მოქმედებდა უველა. თეატრალიზმა ნორმებმა მორალის ძალა შეიძინეს. თეატრალური იყო ფრესკის თუ ხატის კომპოზიციები. ისინი, ისევე როგორც ლიტურგიები, ერთსა და იმავე მაყურებელს ველისხმობდნენ ერთსა და იმავე სიტუაციებში, რომლებიც მკისმაღლურად ლოკალიზებულია დროსა და სივრცეში. არსად არაა შინაგანად ჩაკეტილი მოქმედებანი. ფრესკისა და ხატის სახეები მოქცეულია მაყურებლისკენ, ისევე როგორც ლიტურგიის შემსრულებელია მოქმედებანი.

ამგვარი „ნორმატიული თეატრალიზმა“, ერთიანი, საკვლავდებოლო ცერემონიალი, რენესანსმა დაძლია ისევე და ისევე პიროვნულ-ინდივიდუალური საწყისით. აქ არსებითი რამ მოხდა: პირველად დაიხსნა გზები ღმერთთან უშუალო მიახლოებისა, როცა აღარაა აუცილებელი საეკლესიო წესის შესრულება.

ამაში ბევრმა არსებითმა სიახლემ მხოლოდ გამოხატულება.

პიროვნული საწყისის გაძლიერებამ მოიტანა სიცილი. მწერლობაშიაც გამოშვავდა ეს სიახლე და შეტწერაშიაც. ამით, მართლაცდა, აშკარად განსხვავდა რენესანსი შუა საუკუნეებისაგან.

მომერული მხიარულების შემდეგ სიხარულის ხმა მიწედა. მთელ შუა საუკუნეებში თითქმის არსად არ იხმის სიცილი. სიბრძნე და ნაღვლიანობა გავრთმინიშვნელოვანდა. შუა საუკუნეებს ჰქონდა თავისი დიდი სიხარული, მაგრამ სიცილის გარეშე. არც ავტორები და არც პერსონაჟები პიროვნულ-ინდივიდუალობისაკენ არ მიიწრაფვოდნენ და არც ღმერთი ახლდათ.

რენესანსმა, თითქოსდა, თავიდან აღმოაჩინა სიცილი და ეს ექვეა მის ერთ-ერთ უველაზე წარმატებულ აღმოჩენად. მერე აშან მოიტანა ღმერთის სიღმისე შეგრძნება, რომელითაც მაღალი ფსიქოლოგია იწყება (მიუხედავად მწუხარებისა. კვებისტეკონომიაში ძალზე ბევრია ღმერთისა სიცილი).

ქერ ბოქარობთან და მერე უფრო რაბლებთან აშკარადდება, თუ როგორ მადის თვით-

უარყოფამდე სიცილი. თითქოსდა, ახალი ნერვული დროების მოლოდინში სიცილი ხდება თვითმწიფური, აღმოცენებული შინაგანად, ზშირად უმინველო.

რენესანსმა უარყო ნადვლიანი სერიალულიზმის აპოლოგია. ეკლესიასტური მონანიე ბრძენის ნაცვლად დაამკვიდრა ხალისიანი და ლაღი შოკოლადის კულტი (ფილოსოფოსები, სწავლულები მარტო ახატები კი არა, რანდებიც შეიძლება ყოფილიყვნენ).

სიცილი შინაგანი თავისუფლების მაჩვენებელი შეიქმნა, სიცილი დაუკავშირდა იუმორს და ამით იგი განსხვავდა ანტიკური გულუბრყვილო თავშეუკავებელი მხიარულებისაგან. რენესანსული ელიტური იუმორი დასცინის ანტიკურ ხანის ანგარიშმოცემულ ხარხარს.

შემდეგ მხიარულების სიცილი იცვლება დარღვის განმაქარებელი, ნერვიული, ქირვეული სიცილით — ესაა უნდობლობისადმი და პირისპირებული სიცილი, რომლითაც ერთმანეთს გვანან ჰამლეტი და დონ-კიხოტი.

1.7. ზშირად რენესანსის წარმოშობა მეტად ტელეოლოგიურად გვეჩვენებს. ესეც თავად რენესანსელთა ნააზრების გადმონათობა. მათ შიარნდათ, რომ ყოველივე რენესანსული ისტორიული აუცილებლობით იყო ნაყარანბები, თითქოს, ყოველივე არსებული გონიერაო.

როცა რენესანსის წყარობს ვიკვლევთ, ზშირად ისე ხდება, რომ რომელიმე ანტიკურ წყაროს იმგვარად განვიხილავთ, თითქოს, ის იშთავითვე მოწოდებული იყო, რომ მომავალში რენესანსულ კულტურამდე მივეყვარეთ, თითქოსდა, იშთავითვე იყო ნაყურთბი არისტოტელე და შუასაუკუნეობრივი საერო მოტივები, რომ მოტივთა რენესანსი, პლატონი და ბიბლია, თითქოს, ანტირენესანსად იყვნენ განწირულნი. ეს აზრი, ასე ნეგატიურად მოწოდებული, ადვილად დასაძლევად ჩანს, მაგრამ მის დასაცავად იმდენი რამ დავგოვილა, რომ დღესაც საკმაოდ მშლავრობს. მისი დაძლევა ა. ლოსევის წიგნის ერთ-ერთი მთავარი მიზანდასახულობაა.

რენესანსის შინაგანი წინააღმდეგობანი მრავალფეროვანია. შუა საუკუნეებთან შეპირისპირებით ისინი გაცილებით რელიეფურია. პატრონალიზმზე დაფუძნებულ შუასაუკუნეობრივ მსოფლმხედველობაში, როცა მოხსნილია ამა ქვეყნის თვითყოფადი მნიშვნელობა, ადამიანს ეძლევა საშუალება თვლი აარიდოს წინააღმდეგობებს, ცოტრი ზმით ჩაახშოს ამქვეყნიური ხმები, მიეჩვიოს მოთმინებას და მიეცეს დიდ მოლოდინს. რენესანსი მოწოდებული იყო პარმონიათა ძიებისაკენ, ცისა და მიწის მორიგებისკენ, ზეშთა სიბრძნისა და გარეშე სიბრძნის შეთანხმებისაკენ. ანთროპოცენტრიზმის მოპოებისაკენ. ყოველივე ამას ახლდა თავისი „მეორე მხარე“, საწინააღმდეგო ტენდენციები. მაგრამ, როგორც იტყვიან, სიკვდილის შიშით არვინ ამბობს უარს დაბა-

დებაზე. პიროვნების ელიტურმა თავისუფლებამ წარმოშვა შიში, რომ „ადამიანი დაწვეულია თავისუფლებით“.

რენესანსული წარმოდგენით, ღმერთი ადამიანს მიმართავს ბიბლიიდან პერიფრაზირებული ასეთი სიტყვებით: „არ გაძლევ შენ არც გარკვეულ ადგილს, არც საყურთარ სახეს, არც განსაკუთრებულ მოვალეობას, რათა ადგილიც, სახეც და მოვალეობანიც შენ თვითონ მოიპოვო შენივე საყურთარი სწრაფვით, შენი ნებისდა შესატყვისად, შენივე განგებით. მება ქმნილება-სა და განსაზღვრულია ჩვენს მიერ დადგენილ კანონთა ფარგლებში. შენ კი, შეუწუღებელი რომელიმე ფარგლებით, განსაზღვრავ შენივე სახეს შენივე გადაწყვეტილებით, რომლის განმგებლობას შენივე განიჭებ. შე შენ გაუყენე სამყაროს ცენტრში, რომ აქედან შენთვის უფრო ადვილი იყოს ხილვა ყოველივესი, რაც კი რამაა ამქვეყნად“ (ჰოვანი ჰიკო დელა მიჩანდოლა).

აქ გვიანდელი დღიზმის ზმაც კი ისმის. სიამაყეს ბაღდება, რომ ადამიანი ხდებოდა ამქვეყნურობის პატრონი. მაგრამ პირველი სიხარულისა და სიამაყის შემდეგ, იმის შეგრძნებით, რომ ადამიანი ქვეყნურების ცენტრშია, არაფრითაა შეუღდებული და უკვლავრობს თავად განაკანონებს, გაჩაღა შიში, რომ კაცო მარტოა, შემწის გარეშეა, გარდუვალ კანონებსაც მოკლებულია. და ადამიანისთვის გარდუვალ გახდა ცდილიყო გადაჯაბა ეს გადაულახავი სიძნელები. ასე დაიწყო რენესანსის დიდი შინაგანი დრამატიზმი და გამოსავალს ზშირად მხოლოდ ისეთი გზებით ნახულობდნენ, რომლებიც შორდებოდნენ რენესანსის მაღალ იდეებს. ასე უკავშირდებოდა სწორედ რენესანსის დროინდელი მოაზროვნე ფაუსტი მეფისტოფელს. ამგვარი ანტიპომანიზმიც რენესანსის ორგანული ნაწილი ხდებოდა.

ეს იყო ღვთისმსახურთა მოქარბებული სიძნელება, კარდინალითა სასიუვარული ინტრიგები ცნობილ სიძვის დიაცებთან, ვატკანის სახანღეში წრეგდასული გართობანი, გატაცება ფიზიკომიკით, ბირომანტიათა და ვიგნენულებით. ეს იყო ცუზარ ბორჩია და სიგზმუნდ მალაღესტა. ამით, თვანით სიბნელისდა მიუხედავად, შეეძლოთ, თუ მიმზიდველი არა, საინტერესო სახე მიიქ მიედლოთ. ეს სიგზმუნდი, რომელიც სიბნელის ცოდავს მისცემოდა თვით თავის ახლობლებთან, აშენებს წარმართული უაილის ტაძარს და მას წმ. ფრანცისკ ასიზიელს უძღვნის; ეხმარება ცნობილ ნეოპლატონიკოს პლეტონს. ცუზარ ბორჩიათ თავს იღებს ღეონარდოსადმი დახმარებაზე და მხარს უჭერს მის ტექნიკურ გამოგონებებს. ეს პიროვნებანი სიამაყეს გრძნობდნენ, რომ შეეძლოთ უესრულებინათ ნებისმიერი სურვილი — კეთილიც და ავიცი, იშთავთ ამუიობდნენ, რომ არ ემორჩილებოდნენ არავითარ შორალს, თითქოსდა, გვაჩვენებდნენ, თუ რამდენი სიავის ჩადე-

ნა შეუძლია: კაცს, რომ მასში ხატანური ბუნება ანგელოსურზე ძლიერია.

ახე მრავალმხრივ გვიჩვენა ა. ლოსევმა რენესანსის ურთიერთსაწინააღმდეგო ტენდენციების აუცილებლობითი თანარსებობა.

პირდაპირ თუ ვიტყვით, ქართულ რენესანსოლოგიაში უგულვებელყოფილი თუ არა, ხშირად დავიწყებოდა „ტაქტანიშმის შერაც მხარე“. არადა, საამისოა საქმით მასალას იძლევა რუსთველის ხანა. ჩვენ უფრო პოზიტიურ მხარეზე ვამახვილებთ ყურადღებას და ფაქტურად ამით ამოვწურავთ შთელს რენესანსულ სინამდვილეს. ამის შედეგია, რომ ქართული რენესანსი თითქმის მთლიანად საერო ტენდენციებზე დავიყვანეთ, საყოფიერ საკულტურის ნაკადი ფართოდ ვივარ შევიტანეთ რენესანსული მოვლენების კომპლექსში. ამ ნაკადს ორი გზა დავეტოვეთ: ერთკუთხედულად მოვდღირება და ფილოსოფიის სფერო. ამიტომაც იყო, რომ ქართული რენესანსის კონტექსტიდან ფაქტურად ამოვარდნილი დარჩა ისეთი მნიშვნელოვანი ტრაქტატი, როგორცაა ნიკოლოზ გულაბერძის, გიორგი მესამის-დროინდელი საქართველოს კათალიკოს-პატრიარქის, „საკითხავი სვეტისა ცხოვლისა“. ნიკოლოზ გულაბერძემ თამარში იერუსალიმში საქართველოში გამოიწვია. მისი ტრაქტატი თამარის ხანის უმთავრესი იდეოლოგიური ძეგლია. იგი მეფის აბსოლუტიზმის იდეის განმამტკიცებელია. „საკითხავი“ წმინდა ნინოს მონობით მიდის ქალის ღირსების ქადაგებამდე. აქვე მოცემულია რელიგიურ რელიქვიათა კულტი, მათი მნიშვნელობის ახლებური გადარჩენა. აქვეა ტრადიციულ-ქრისტიანული სიბრძნის შეგახება. თავისი შინაგანი სიართულითვე ეს ძეგლი ქართული რენესანსული მწერლობის ორგანული ნაწილია. ნიკოლოზ გულაბერძემ, რენესანსული კულტურის გამომხატველი დვითი-მსახურია. ასე რომ, იგი რენესანსული „ტრაქტატი“ მხოლოდ მხარეს“ კი არ გამოხატავს. იგი სახელმწიფო ძლიერების შემოქმედი და სიახლეთა გვერდით ტრადიციული კულტურის დამცველია მნიშვნელოვანი წარმომადგენელია.

შუა საუკუნეებიდან გადმოსულ ანტიკატულ მონუმენტალიზმს, რაც გულისხმობდა სამოქმედო დროსა და გარემოს უცვლელად გაფართოებას, რენესანსულმა დაუპირისპირეს ისეთიკუთრი ინდივიდუალიზმი, სუბიექტივიზმი და ანთროპოცენტრიზმი. ამან გამოიწვია „რეცის დეკარტა“. ადამიანისთვის ზღვით განგების მოკლება. ეს კი უნდა გადალახულიყო, სხვათა შორის, ინტელექტუალისტური გზით — სამუაროს კანონზომიერებებში ჩახედვით. ინტუიციური ზიარება ზემოთაპრონისთან ადგილს უთმობს სამუაროს კანონზომიერებათა რაციონალისტურ სისტემატიზაციას. კოპერნიკის ჰელიოცენტრისტულმა სისტემამ ჩვენს „პლანეტა აქცია სამუაროს უმნიშვნელო

მტკრის ნამცეცად. მასხადაამე, არარობად შეცა ადამიანის პიროვნებას, რომელიც ამ მტკრის ნამცეცე ცხოვრობს“ (გვ. 50-51 შტრ. 40).

ამ ეპოქის დიდი მუშაინში იმაშია, რომ ინდივიდუალური სუბიექტის ამგვარი შეზღუდულობისა და ტრაგიზმის მიუხედავად, სწორედ მას აღმერთებდნენ; რენესანსელები ადამიანზე განადიდებდნენ ადამიანს და არა — მხოლოდ ანგელოზს, და ამაში ზედავდნენ ადამიანის ხსნას მიუხედავად ყოველგვარი ნაკლისა, ადამიანს არ უნდა დაეკარგა რწმენა ადამიანისა ტანჯვა პირველყოფის შედეგად კი არა, არამედ ცხოვრების აუცილებლობა. ადამიანმა თავისთავშივე უნდა ნახოს ძალა საკუთარი ტრაგიზმის დაძლევისათვის და ესაა მისი ღვთაებრივი მოწოდება. ხელო ადამიანური შეზღუდულობის გადალახვის უველადი მძალიდ ფორმა რენესანსულთათვის არის ზელოვნება. ზელოვნება უველაზე შეტად ცხადყოფს სულიერი ცხოვრების ცხოვრების შესაძლებლობას. რენესანსულთათვის „სოკრატე თეოლოგია“ (ბოკაჩო), ფერწერა ჰეშმარტი ფილოსოფია (ლეონარდო). შეზღუდულობის შეგნებას არ მოუტანია რომანტიკული სევა, რომელიც გვიან შეუარაღი სიახლოე ატარებდა ადამიანს. ის იქცა შემოქმედების იმპულსად, რათა ამ გზით მიეღწიათ ადამიანურ სრულყოფილები სათვის.

11.1. ა. ლოსივის წიგნი იტალიური რენესანსისადმი მიძღვნილი, მაგრამ ეტება აღმოსავლური რენესანსის საკითხებსაც და, განსაკუთრებით, ქართულს. აქ ცენტრალური ადგილი უჭირავს აღმოსავლური რენესანსის შ რუსუბიძისეულ თეორიას, რომელიც ამ ოროცა წლის წინათ შეიქმნა და დიდ გავლენაც მოკვა. ის მრავალმხრივ გაღრმავდა და განვითარდა. დღეს უკვე შეგვიძლია ვთქვათ, რომ თანამედროვე რენესანსოლოგის საფუძველდამდები სწორედ შ. რუსუბიძის თეორიაა. თვით ა. ლოსივი მას მრავალმხრივ ეყრდნობა.

ქართული რენესანსის საფუძველად ნეოლათონიზმის აღიარებას ა. ლოსივი მიიჩნევს „ფრიალ მნიშვნელოვან აღმოჩენად, იმიტომ რომ იგი საშუალებას ქმნის უფრო ღრმად ჩვენვედით იტალიურ რენესანსს“ (გვ. 33).

ამასთანავე, — წერს ა. ლოსივი, — უნდა მივიჩნიოთ „რუსუბიძის ნამდვილ აღმოჩენად ის, რომ უმთავრესი მწვალებლობანი მომდინარეობდნენ აღმოსავლეთიდან, რომ მათ გაანდათ რევოლუციური მნიშვნელობა, რომ ისინი ძირს უთხრიდნენ აზროვნების და ცხოვრების სქოლასტიკურ წურობას და ამ აზრით დასავლური რენესანსი დიდად დაკავებულა სახელდობრ აღმოსავლეთისაგან... შ. რუსუბიძის წიგნის მტყუნივადე თავებია მიმოხილვა მისტიკურ მწვალებლობათა აღმოსავლეთისა და დასავლეთის“ (გვ. 24).

ავტორის ეს შესაზრებანი მნიშვნელობას

იძენენ მთელი შემდგომი ძიების მანძილზე.

შ. ნუსუბიძისეული მოხაზრებანი ჩამოყალიბდა ქართული ლიტერატურის ისტორიის თეორიული პრობლემატიკიდან ამოსული მეტად მაღალი დონე ქართული მედიევალური მწერლობისა, დიდი გარდატეხა XII ს-ის დასაწყისში, აღმოსავლურ-დასავლური სინთეზი. რუსეთელი და მთელი თამარის ხანა, იძლეოდა უფლებას მოვლენები განხილულიყო მსოფლიო ლიტერატურის უმთავრეს მიღწევათა ფონზე. ამას შ. ნუსუბიძემ დაუკავშირა ევროპოცენტრისმის კრიტიკა. რაც არასდროს გადაზრდილა აზიაციენტრისმში და ქართული მწერლობაც არ გათქვეფილა რომელიმე რეგიონალურ მთლიანობაში. აქვე უნდა ვითვალისწინებდეთ, რომ „აღმოსავლურ რენესანსში“ ქართული მწერლობის ჩართვა სწორედ რომ ევროპოცენტრისმთან დაპირისპირებას ითვალისწინებდა და ამა მის დაკავშირებას აღმოსავლურ-ისლამურ მწერლობათა რეგიონთან, როგორც ეს სცადა ნ. კონრადმა.

როცა ა. ლოსევმა თეორია აღმოსავლური და ქართული რენესანსისა განიხილა ასეთ ფართო ფონზე ამას ერთი თავისთავადი მნიშვნელობაც ჰქონდა. მიუხედავად ამდენი მხარდაჭერისა, აღმოსავლურ რენესანსს ბევრი მოწინააღმდეგეც ჰყავს და მათი არგუმენტები არც თუ უსაფუძვლოა. აი, ამიტომაც შეუძლებელია ჩვენ არ გავაინტერესებდეს ა. ლოსევის პოზიცია — ა. ლოსევი აღმოსავლური რენესანსის მომხრეთა შორის, თანაც უაღრესად საუფრადღებო საფუძველზე, სრულიად განსხვავებულად ნ. კონრადისაგან, რომელიც ნაწერებში ერთგვარად გამოსჭვივის ცნობილი აზრი — „Lux ex Oriente“.

ახე რომ, შ. ნუსუბიძის ნააზრევმა სხვადასხვაგვარი გავლენა მოახდინა, ერთის მხრივ, ა. ლოსევზე — ვინაც იტალიური რენესანსის გასაღები დაინახა მასში, და, მეორეს მხრივ, ნ. კონრადზე, რომელმაც მასში იპოვა საფუძველი რენესანსთა პერმანენტული განვითარებისა.

თავად შ. ნუსუბიძის თეორია არსებითად ნაყოფი იყო ქართული ლიტერატურათმცოდნეობითი აზრისა (ეს სრულიადაც არ უარყოფს უკეთ შ. ნუსუბიძის დამახიერებას). შ. ნუსუბიძის კონცეფციას წინ უძღოდა რამდენიმე მოხაზრება და თეორია ქართული საერო მწერლობის წარმოშობის თაობაზე (ს. დოღაშვილის, ნ. მაიის, პ. ინგოროყვას, კ. კეკელიძისა). ქართული საერო მწერლობის გენეზისის პრობლემა გადაიზარდა აღმოსავლური რენესანსის თეორიაში.

ის დიდი გარდატეხა, რომელიც ქართულ მწერლობაში XI—XII საუკუნეთა მიჯნაზე მოხდა, ავალბნდა ლიტერატურათმცოდნეობას, რომ ეს ფაქტი თეორიის დონეზე აღემატებოდა.

დღიდან წარმოშობისა, ვიდრე რუსთველის

ეპოქის დასასრულამდე (V—XIII სს-ის) ქართული მწერლობა ვითარდებოდა მედიევალურ მწერლობათა განვითარების „ქლასიკური მოდელით“: ეს იყო: „ტიმოფეისტიკის“ (ანუ სამი „წმინდა ენის“ თეორიის) გადაღლება; ორიგინალური მწერლობის აღმოცენება; ბიზანტიური მწერლობის მიღწევათა შემოღებებით ათვისება; შუასაუკუნეობრივ უანრთა განვითარება-სრულყოფა; მხატვრულობის ამაღლება და მეტაფრასტიკის განვითარება; საერო მწერლობის ჩასხება (სარიანდო რომანი, საერო ოდები); ათვისება აღმოსავლურ ლიტერატურულ მონაპოვართა და დასავლურ-აღმოსავლური სინთეზი; დამოუკიდება ანტიკური და ეროვნული მითოლოგიისა; სარწმუნოებრივი შემწყნარებლობა აზროვნების ესთეტიზაციის საფუძველზე; ქლასიკური ადამიანთმცოდნეობის განვითარება; ქრისტიანობის საერო რელიგიაღ, ქცევა რელიგიურ წარმოდგენათა ესთეტიზაციით; რენესანსული ეპოქა.

დაახლოებით ასეთი იყო ზოგადი მოდელი V—XIII სს-ის მწერლობის განვითარებისა.

პირველი ცდა რუსთველის ეპოქის მწერლობის თავისებურებათა ახსნისა სოლომონ დოდაშვილმა (1803—1838) ეხატუნის. იგი საქართველოში „ოქროვანი საუკუნის“ დადგომას ხსნის წინარე ხანაში ბიზანტიური მწერლობის ათვისებით და სახელმწიფოებრივი ძლიერებით. ქლ. იოსელიანიც ცდილობდა რუსთველის შეფასებას მსოფლიო ლიტერატურის ფონზე და პირველად მიუთითებდა მისი მსოფლმხედველობის ნეოპლატონისტურ საფუძველზე.

XIX საუკუნეში რუსთველის ხანის მწერლობის ბევრი ეროვნული საწყისი წარმოჩნდა. მაგრამ იმ საუკუნის ბოლოს ნ. შარი ეცადა ქართული საერო მწერლობის წარმოშობა სპარსული გავლენით აეხსნა. ეს გამოწვეული იყო იმით, რომ არ იყო სრულყოფილად შესწავლილი წინარუსთველური ქართული მწერლობა. შემდეგ, როცა ბევრი რამ წარმოჩნდა, თვითონ შარმა შეცვალა თავისი თეორია და მისი კრიტიკაც მოგვცა, თუმცა საბოლოოდ მასთან კავშირი მაინც ვერ გაუწყვიტა.

პ. ინგოროყვა შეეცადა ქართული საერო მწერლობის წარმოშობა წარმართული ტრადიციების აღორძინებით აეხსნა. ფაქტიურად აქედან გადაიზარდა საერო მწერლობის წარმოშობის პრობლემა რენესანსის თეორიაში. ერეტიკულ მიმდინარეობათა მნიშვნელობაზეც პიოკვლად პ. ინგოროყვამ მიუთითა (თუმცა მან უფრადღებდა გააანხვავა მნიშვნელობაზე და არა ქრისტიანული მისტიკის ერეტიკულად უფუქციაზე. რაც არ იქნა გაზიარებული). მოხდა ისე, რომ ქართული საერო მწერლობის წარმოშობის მოდელი ევროპული ლიტერატურის განვითარებას შეემსგავსა: წარმოშობა — შუასაუკუნეობრივი რეგრესი — აღორძინება. ამას ჰქონდა თავისი დადებითი მხარე, მაგრამ ჰქონდა

დიდა ნაელიც: უცხო მოდელი შექანიკურად ეძლეობდა ქართულ სინამდვილეს, მისი სპეციფიკა კი იჩრდილებოდა.

აი, სწორედ ამან წარმოადგინდა რეაქციას კ. კეცელიძის მიერ 1933 წელს ჩამოყალიბებული თეორია, რომელიც ასეა ფორმულირებული: ქართული საერო მწერლობა წარმოადგენს წინარე ქართული მწერლობის დიალექტიკურ განვითარებას ახალ კულტურულ-ისტორიულ ხანაში. აქ არც აღმოსავლეთი იყო დავიწყებული და არც დასავლეთი; კერძოდ, მანამდე გაუთვალისწინებელი დიდადმნიშვნელოვანი ბოზნატიური აგიოგრაფიული რომანი, მაგალითად, თხზულებანი წმინდა მხედრებზე და სხვანი (ახლა ჩვენ შეგვიძლია გავითვალისწინოთ ბოზნატიური საერო რომანიც ალ. ალექსიძის, ბერძნული საჩაინდო რომანის სამუარო, თბ., 1971). ქართული მითოლოგიაც მნიშვნელოვანია ამ თეორიაში. აღარას ვიტყვით ადამიანთმცოდნეობისა და ბიბლიურ-ქრისტიანოლოგიურ პრობლემებზე, რაინც ფუნქციონალური სიღრმით წარმოაჩინა კ. კეცელიძემ.

აქ ასურა სიახლე იყო — საერო მწერლობის სპეციფიკიდან გამოყვანა და დასავლეთ-ევროპული მოდელის შექანიკური გამოყენების უარყოფა.

ეს იყო განვითარებადი თეორია, იგი თვითონვე ითვალისწინებდა და შეხამებლობას შეიცავდა მისი ცალკეული ასპექტების შემდგომი დაზუსტება-განვითარებისათვის.

აი, ასეთი წინამძღვრები ჰქონდა შ. ნუცუბიძეს ქართულ მეცნიერებაში. ეს იყო, მართლაც დიდადმნიშვნელოვანი საფუძველი.

ასე რომ, შ. ნუცუბიძემდე ძირითადად ორნაირი კონცეფცია ჩამოყალიბდა, ერთი — ანტიკურობის აღორძინება, წარმართული, მითოლოგიური და ერეტყული წინამძღვრების წარმოჩენა (პ. ინგოროვა) და მეორე — ასე ვთქვათ, — ევოლუციური თეორია (კ. კეცელიძე). ისინი ერთმანეთს უპირისპირდებოდნენ, მაგრამ, ამისდა მიუხედავად, ეს თეორიები ბევრი რამით ერთმანეთს ავსებდნენ, ამინაარსებდნენ პოზიტიურადაც და ნეგატიურადაც.

არსებითად სწორედ ასე იქნა ეს აღქმული, როცა იქმნებოდა შ. ნუცუბიძის ახალი თეორია, უკვე არა მხოლოდ საერო მწერლობისა, არამედ რენესანსისა.

შ. ნუცუბიძისთვის არსებითია არა ანტიკის აღორძინება (ანდა, ჩვენ ვიტყვით, ქრისტიანობის კლასიკური წარსულისა), არამედ შუასაუკუნოვანი იერები, ფაქტიურად ერესია მის თეორიაში რენესანსული მოძრაობის საფუძველი. ეს ერესია აღმოსავლურ მისტიკაში იწყება და დიდი სიახლე შეაქვს ქრისტიანულ აზროვნებაში. დამაკვლიანებელი ხდება ენდელისიფიული განაპტება, რომ რევოლუციური ოპოზიციის ფორმალისში წინააღმდეგ შიდილება გამოვლენის მისტიკურ ერესში. შ. ნუცუბიძე

არსებით მნიშვნელობას ანიჭებს არეოაგოტიულ მისტიციზმს (გავიხსენოთ, რომ ამ დროს მას უკვე ჩამოყალიბებული ჰქონდა ჰიპოთეზა ფსევდო-დიონისისა და პეტრე იბერიელის იგავებზე, ოღონდ არეოაგოტიკის გადუმნათა მისტიკების იგი შეტად ფართოდ წარმოადგენდა. (აქვე აღსანიშნავია ქართული მეცნიერებას წინაშე შ. ნუცუბიძის დამსახურებათა ერთი კერძობითი მხარეც: მან არეოაგოტიკული პრობლემატიკა საბოლოოდ ჩართო ქართველოლოგიაში და მის ერთ-ერთ უველიანე აქტუალურ საკითხად აქცია. ეს კი საკმაოდ პერსპექტიული გამოდგა).

ასე შეიქმნა დიდად მნიშვნელოვანი კულტურულ-ისტორიული შინაარსის მქონე თეორია აღმოსავლური რენესანსისა, სადაც წამყვანი ადგილი მიენიჭა ქართულ რენესანსს. კერძოდ, რუსთველის შემოქმედებას, თუმცა პირველად იქნა უარადღებული და ერთ კომპლექსად გათვალისწინებული ამირკავკასიაში მოქმედი მნიშვნელოვანი საერთო ძვრებიც.

შ. ნუცუბიძემ პირველად წარმოაჩინა „ვეფხისტყაოსნის“ სიახლე დასავლეთისა და აღმოსავლეთის (უფრო დასავლეთის) მწერლობასთან არეოაგოტიკის საფუძველზე. ფსევდო-არეოაგოტიკი — იოანე სკოტ ერიუგენა — თომა აკვინელი — დანტე ალიგიერი, — ასეთი იყო დასავლური გზა არეოაგოტიკისა. აღმოსავლეთშიც იგი ასევე ფართოდ ვრცელდებოდა: ფსევდო-არეოაგოტიკი — სერგი რეშაინელი — სუფიზმი — სპარსული ლირიკა. ამ აღმოსავლური გზითაც უბრუნდებოდა ქართულ მწერლობას არეოაგოტიკული ნეოპლატონიზმი. არეოაგოტიკაში პირველად პაიახა გრანდიოზული სისტემა კოსმოსისა, ზეციური და ამქვეყნიური სამყაროსი, რომელიც მწყობრ იერარქიულ პრინციპზე იყო აგებული და ანტიკურობიდან შუა საუკუნეებზე გადასვლას მოასწავებდა.

რენესანსის უმთავრეს ნიშნად შ. ნუცუბიძისთან უნდა მივიჩნიოთ ამქვეყნიურობის რეაბილიტაცია, ზეციური და ამქვეყნიური ვენერას შეხვედრა.

შ. ნუცუბიძის თეორია პირველად 1941 წ. გახდა ცნობილი (მოსკოვში მსოფლიო ლიტერატურის ისტორიის ინსტიტუტში წაკითხული მოხსენებით), ხოლო 1947 წ. გამოქვეყნდა მონოგრაფიად „რუსთაველი და აღმოსავლური რენესანსი“, რომელიც 1968 წ. განმეორდა). ამ ხნის მანძილზე მას მოჰყვა დიდი ძვრები: უარყოფა, განვითარება, გაღრმავება, მოდიფიცირება და ხან — გაყალბებაც კი.

საბოლოო რენესანსოლოგიაში აღნიშნული მონოგრაფიიდან იწყება ნუცუბიძისეული ეტაპი. ისიც შეიძლება ითქვას, რომ ბოლო ოპოზიციულად შიში ამ მასშტაბის კულტუროლოგიური თეორია არ შექმნილა. თუ რამ შეიქმნა

16. კონრადის პერმანენტული რენესანსის თეორია), ისიც შ. ნუცუბიძის გაღრმავებით. აქვე პირდაპირ რომ თქვას, ზოგიერთ შოშენტიშე ნუცუბიძის თეორია დაწესდება შეფასებას ითხოვს, რომ თავისი მასშტაბურობის გამო ზედღაირულად არ ჰქცეს, მაგრამ ეს მის არსებით ფასეულობას არ უარყოფს.

11. შ. რეაქცია ახალ თეორიაზე იმთავითვე სხვადასხვაგვარი იყო.

ქართულ ლიტერატურათმცოდნეობაში მის წინააღმდეგ განსაკუთრებით კ. კეკელიძე გამოვიდა. მან რამდენიმე საწინააღმდეგო არგუმენტი წამოაყენა. რუსულ ლიტერატურაში უფრო მეტი მოწინააღმდეგე ჰყავდა ამ თეორიას, მაგ. ამ ბევრი მათგანი მალე მისი მომხრე გახდა. ამ მხრივ, უპირველესად უნდა დავასახელოთ ე. მ. უირმუნსკი, რომელმაც ნუცუბიძისდაკვალად შუაწიური რენესანსის თეორია განავითარა და ვ. ჩალოიანთან ერთად ერთგვარი გარდამავალი საფეხური შექმნა შ. ნუცუბიძიდან ნ. კონრადამდე. ვ. ჩალოიანმა თავის მხრივ, ვამუშავრა შესაძლებლობა ეროვნულ რენესანსთა არსებობისა.

ბ. შაგინსკი ერთ დროს საქმოდ საუბრადღებო არგუმენტებით ილაშქრებდა აღმოსავლური რენესანსის შესაძლებლობის წინააღმდეგ, ბოლო ხანს კი ასევე დიდად საუბრადღებოდ ავითარებს აღმოსავლურ რენესანსის თეორიას და თავად განმარტავს შინაარსს შ. ნუცუბიძის თეორიისა.

მაგრამ შ. ნუცუბიძის შემდეგ ახალ ეტაპზე თუ ვილაპარაკებთ, იგი ეკუთვნის ნ. კონრადს. მან, როგორც უკვე ვთქვით, შ. ნუცუბიძის აღმოსავლური რენესანსის თეორია განავითარა, განავრცო და აქცია მსოფლიო პერმანენტულ რენესანსთა თეორიად: „მსოფლიო მუშაინტერული ლიტერატურა წარმოაჩენს მწერლობას დიდი ერთიანობის კიდევ ერთ ეტაპს. მას იწვეებს VIII-IX სს-ში ჩინეთი, IX-XV სს-ში აგრძელებს შუა აზია და ირანი ინდოეთის მიმდებარე ნაწილით; ამთავრებს მას ევროპა XIV-XV სს-ში“.

ამ გზაზე აზიურსა და ევროპულ რენესანსთა შუა ნ. კონრადი ათავსებს ამიერკავკასიურ და მსხში კი — ქართულ რენესანსს, თანაც უფრო აღმოსავლური ნიშნით.

ამ პერმანენტულ მდინარებაში თავად „რენესანსი“ კარგავს თავდაპირველ ტერმინოლოგიურ კონკრეტულობას და უთანაბრდება ზოგადად პროგრესს, ანდა — საერთო აღმავლობას. მართალია, ა. ლოსევიც ერთგვარად იზიარებს უწყვეტი რენესანსების გაგებას, მაგრამ ჯერ კიდევ ფაქტურად უყურადღებოდ რჩება ერთი არსებითი მხარე მსოფლიო რენესანსების უწყვეტი ტალღის თეორიისა. ეს თეორია უკიდურესად ტელეოლოგიურია, გაბმულია ერთი უწყვეტი დროული და სივრცობლი-

ვი ხაზი, რომელსაც წუნარე ოცენის საიარეზიდან აღრიატკამდე მოჰყვება რენესანსული ტალღები: ჩინეთი — შუა აზია — ირანი — ამიერკავკასია — ევროპა. ტელეოლოგიამ მაინც ევროპაზე შეფასებას ახეცოვანა. შიწანი მაინც ევროპა. ეს შეიძლება ასეც იყოს, მაგრამ ის, რაც ევროპისკენ მიისწრაფვოდა, წუთუ მაინცდამაინც რენესანსული მოვლენები იყო? ან არადა, რატომ მაინცდამაინც ჩინეთში ჩაისახა უყოველივე ეს? ან ჩინეთში ჩაისახული რამ არაა მაინცდამაინც რენესანსი გასრულდა და არა, ვთქვათ, ბაროკოში? ევროპული რენესანსის პარადიგმაში რატომ სახელდობრ ჩინეთში იღებს დასაბამს და არა ინდოეთში ან სპარსეთში? თუკი ევროპაში გასრულდა უყოველივე, მაშინ სრულყოფილების ცენტრში მაინც ევროპა უყოფილა და აღმოსავლეთი მისი ოდენ წყარო. ეს კითხვები კითხვებად რჩება ნ. კონრადის მიერ რენესანსის საკითხებზე გამოკვეყნებული რამდენიმე წერილის შემდეგაც.

ამ მდინარებაში ნ. კონრადმა „ვეფხისტყაოსანი“ რატომდაც ჩართო აღმოსავლურ-მუსულმანურ ლიტერატურაში: წრეში. ჩატომდაცო. — იმიტომ ვამბობთ, — რომ ავტორი არც ასახელებს სათანადო საფუძვლებს. „ვეფხისტყაოსანი“ აღმოსავლური ელემენტის არსებობა არავითარ ეჭვს არ იწვევს, მაგრამ, ის, რაც აღმოსავლურად შეიძლება გვეგულებინა (ვთქვათ, პიეტროსოფიული მგარმობიარობა, „გაკისი“ მოტივი და ა. შ.), ნ. კონრადთან საერთო რენესანსულ მოვლენად ითვლება, ითვლება რენესანსული რუმბნტრუმის გამოვლინებად და ნ. კონრადი თავად უთითებს ამ მოტივთა პარალელებს, უფრო მეტად დასავლური თხზულებებიდან.

ნ. კონრადი „ვეფხისტყაოსანის“ ეგერტივად არსებითი ტიპოლოგიური პრობლემის გარკვევისას, არ ეხება პოემის მხატვრული აზროვნების სპეციფიკას, ავტორის ესთეტიკურ მსოფლალქმას ან რელიგიურ-ფილოსოფიურ მსოფლმხედველობას, რაინც მას დასავლურ ლიტერატურას აახლოებენ. „ვეფხისტყაოსანი“ ტიპოლოგიურად დასავლური ხასიათის თხზულებაა. მთელი ძველი ქართული მწერლობა, მისუბადავად აღმოსავლურ გავლენისა, ვითარდებოდა ე. წ. აღმოსავლურ-ქრისტიანულ კულტურულ-ისტორიულ რეგიონში. აღმოსავლურ-ქრისტიანული რეგიონი ისლამურ მწერლობას არასდროს არ გულისხმობდა. როცა შ. ნუცუბიძე აღმოსავლურ რენესანსზე წერდა, ამით „ვეფხისტყაოსანი“ სხვა რამ რეგიონში კი არ შექმნოდა, ამით მხოლოდ ევროპიენტრისშს ემიჩენებოდა (დამახასიათებელია პირველივე ნარკვევის სახელწოდება — „აღმოსავლური რენესანსი და ევროპიციტრისშსის კრიტიკა“, 1941 წ.). შეიძლება ითქვას, ეს იმგვარი ევროპიციტრისში იყო, რომ თვით ბიწანტინო-

ცენტრიზმსაც კი უპირისპირდებოდა, მეტადრე — ყოველგვარ ბიზანტიზმს ბიზანტიის შემდეგ. ე. კონრადის თეორიაში „ვეფხისტყაოსნის“ ტიპოლოგიის საკითხს, მეტად საჩირობარო მომენტი შეაქვს (მისი ანალიზი იხ.: რ. სი-რაძე, ძვ. ქართ. თეორიულ-ლიტ აზროვნ. საკ., თბ., 1975, გვ. 208-212).

II. 4. ლიტერატურის ისტორიისა, თეორიისა და რენესანსოლოგიის ახალი ნარკვევები გვიჩვენებენ, რომ საფუძველი რენესანსული პროცესების გაგებისა უნდა იყოს ევროპულ მწერლობათა სპეციფიკის მართებული გათვალისწინება განვითარების საერთო კონტაქტში და არა რენესანსთა ფილიაია. წინააღმდეგე არა თუ ცალკეული ძეგლები (ერთაერთი ლიტერატურის ძირითადი ერთეული), არამედ თვით მთელი ნაციონალური მწერლობანიც კი ჩაიკარგება და გაითქვინება ერთიან პროცესში (ასეთი საშიშროება ახლავს ე. კონრადის თეორიას).

ა. ლოსევი არეოპაგიტკას არსებითად ნეოპლატონიზმად თვლის. ვუიქრობთ, ეს გამოხატულება ერთგვარი გარდამავალი პერიოდისა, განვლო იმ ხანაში, როცა ნეოპლატონიზმი ერთიანად რიტროსპექტულ მოძღვრებად ითვლებოდა. დღეს მივდივართ მისი დღერი მნიშვნელობის შეგნებისაკენ მთელი შუა საუკუნეებისათვის, მთელი რენესანსისთვის, და შემდეგაც, როცა ვაივლით ამ ფილოსოფიის დრო და ასპარეზად მას რჩება მხოლოდ მხატვრული აზროვნება. იგი ცოცხლობს ბიომედიან გავთემდე, რუსული სიმბოლიზმიდან გალაკიონამდე. არეოპაგიტკის რეაბილიტაცია მასში ნეოპლატონიზმის დადასტურებით მოხდა. შ. ნუცუბიძე უფრო შორს მიდიოდა: იგი მასში პანთეისტურ ნაქვს ხედავდა. ცხადია, პანთეიზმი მაინც თიხში იყო, მაგრამ ის რატომღაც ზოგჯერ უფრო პროგრესულად ითვლებოდა, ვიდრე ფეოდალიზმში უკვლავ პროგრესული ნაქვს — იერარქიული სუბორდინაციის შემოქმადნი კოსმოლოგიური იერარქიზმი. ა. ლოსევი წერს: „პირველი და უმთავრესი შეცდომა შ. ნუცუბიძისა ისაა, რომ ყოველგვარ ნეოპლატონიზმს ის თვლიდა უცილობლად ერთეულად და ანტიპატივსაცემად, რევილიუციონურადაც კი“ (გვ. 24).

ა. ლოსევი აღნიშნავს: „არეოპაგიტკა არაა პანთეიზმი“ (გვ. 35), რომ „არავითარი მატერიალიზმი რუსთაველთან არ უფიქრობდა, არავითარი ერთეულისი ის არ უფიქრობდა“ (გვ. 31). აქვე ნათქვამია: „შ. ბიდაშვილი, ისევე როგორც შ. ნუცუბიძე, არ ადგას აღორძინების მიერ შუასაუკუნეებთან კავშირის მთლიანად გაწვევების თვალსაზრისს, ისიც აღიარებს შუასაუკუნეობრივ ეტრსა გარკვეულ ისტორიულ მნიშვნელობას. მაგრამ იგი იქვე ბრძანდება შენიშნავს: „შენსწავლამ მწვალებლობისა და მისი როლისა საზოგადოებრივი და ფილოსოფიური

აზრის განვითარებაში შეუძლია მართებული შედეგები მოგვეცეს მხოლოდ მისი ცალკეული ნაირსახეობისადმი კონკრეტულ-ისტორიული მიდგომით. მწვალებლობა შუა საუკუნეებში საერთოდ კი წარმოადგენდა „ფეოდალიზმისადმი რევოლუციურ ოპოზიციას“, მაგრამ ბევრი მათგანი გამოხატავდა ინტერესებს სრულიად არა უყოველთვის საზოგადოების პროგრესულ ფენათა“ (გვ. 31-32).

აი, ასეთი კონკრეტების საპირობებს გვაგონობინებს ა. ლოსევი. იგი მაქსიმალურ და ეტიკოდით, აღფრთოვანებულ შეფასებებს აძლევს შ. ნუცუბიძის, მაგრამ მასთან დიალოგიურ მიმართებას არ კარგავს და შეუფარავად წარმოაჩენს, როცა მისგან განსხვავებული პოზიცია აქვს.

შ. ნუცუბიძის თეორიაში სადაღ უფრო შეფასებების საკითხია. შ. ნუცუბიძე ქართულ რენესანსს არეოპაგიტკაზე ამყარებდა. ე. ი. ფაქტობრივად ამყარებდა ქრისტიანობაზე. ამით, არსებითად, თუნდაც, ზოგადად, იგი კ. კეკელიძის თეორიას ემხრობოდა, რომელსაც რუსთაველის შემქმნელობა წინარე სასულიერო მწერლობიდან გამოჰყავდა. მაგრამ შ. ნუცუბიძე არეოპაგიტკას ძირითადად ერთხად და პანთეიზმად აცხადებდა. შ. ნუცუბიძეს შეეძლო არ შემყვარებოდა, რომ არეოპაგიტკის მისტიკა ანტიპატივსაცემად და ანტიკურ მეტეფორიზმად არ ჩაეთვალა.

ამიტომაც კონკრეტებისათვის ხშირად მიზანშეწონილია კ. კეკელიძის მოსაზრებათა მოხმობა და რადგანაც კვლავ პრობლემად რჩება შუა საუკუნეებისადმი მიმართების სწორი გააზრება, ისევ გაივსინებთ. რომ, როგორც კ. კეკელიძემ ნათქვამი, რუსთაველის მსოფლმხედველობის საფუძველია ბიბლიოტიკი ქრისტიანობა, თავისუფალი ყოველგვარი საეკლესიო დოგმატიკისაგან, რომ იგი პროგრესული მოაზროვნეა თვით რელიგიის სუბროპაგიტკი.

რუსთაველისათვის მისადებია უკველივე პროგრესული ნებისმიერი მოძღვრებიდან. იგი ამაღლდა, რელიგიურ შემწუნარებლობამდე. ამ დონეზე უკვე დღევანდელ რუსთაველოლოგიას უფროაღმადმურთი კონკრეტები გააჩნია. ეს კი აღმარებს კითხვას: ხომ არა ჩანს რუსთაველთან წინამძღვრები ე. წ. მსოფლიო რელიგიისა? ეს არ ნიშნავს რელიგიურ ინდივიტრუზმს. ცხადია, მსოფლიო რელიგიის იდეის განვითარება შეიძლება მხოლოდ ქრისტიანობის საფუძველზე. შენაძლებლობას კი ხაზმოდ იმდროინდელი საქართველოს სოციალ-პოლიტიკური და სულიერი ატმოსფერო ქმნიდა. საქართველო იმერის ტიპის სპეციფიკით იყო. მართლმადიდებლური ბილიუსუფლება აერთიანებდა სულ სხვადასხვა რელიგიის აღმსარებელ ხალხებს: გრიგორიანუ-

ლი სარწმუნოებისას, მამალიანებს და ა. შ. ქართული მწერლობა ითვისებდა მათ საზროვნო მონაპოვარს, ამიტომ განსხვავებული აღმსარებლობის სიბრძნეთა სინთეზის საკითხი სრულიად ბუნებრივად წამოიჭრებოდა.

რუსთველური აზროვნების რენესანსულობის ნიშნად უნდა ჩათვალოს რელიგიის ესთეტიზაცია. ეს ნიშნავს: რელიგიურ პრინციპთა შემწყნარებლობის საზომი პოეტური თვალთახედვა. ჭეშმარიტების უმაღლესი ფასეულობა „ჭეშმარიტების სილამაზაა“. ამას შეაქვს მის აზროვნებაში სასურველი რელიაგიონი. ამანვე მისდებოდ აქცია სხვადასხვა მოძღვრებანი. აზროვნების ესთეტიზაცია ვრცელდება ქრისტიანობის არსებით საკითხებზეც. აქვე უნდა გავიხსენოთ რუსთველის ეპოქაში შემუშავებული მეტად ორიგინალური „მატერული იდეა“, რომლის თანახმად თამარი ღვთაების მხოლოდ მიწისტაზად წარმოსახებოდა. ცხადია, თეორიული საფუძველი ამგვარ მატერულ წარმოსახვას არეოპაგოგიაში ჰქონდა. ეს იყო თეოლოგის და შემდეგ იზოფილოს იდეა (ანგლის სილვეზიუსი მას ასე გამოთქვამდა: „აღამიანი ღმერთშია და ღმერთი აღამიანშია“). რენესანსული სიხალდე ის იყო, რომ თამარი გაღმერთებული იყო თავისი აღამიანური ბუნებით. ამით საქმეობრივი ხდებოდა საზოგადოდ აღამიანის რენესანსული გაღმერთება. „ღვთისტყუარის“ პერსონაჟები „ხალმითო სახელდებით“ წარმოსახებიან. კაცობრივი სიუვარული რელიგიური გრძობის ძალას იძენს (იხ. რ. სარაძე. ქართული ესთეტიკის ისტორიიდან, თბ., 1973, თავი: აღამიანის რენესანსული იდეალის განვითარება).

ახალი გამოკვლევები რენესანსის პრობლემებს მრავალმხრივ აღრმავებენ. ქართული რენესანსოლოგია მნიშვნელოვანი სამეცნიერო დისკოპლინა გახდა. მას აქვს არა მხოლოდ დიდი მონაპოვარი, არამედ საუბრადღებო პერსპექტივებიც. მისი პრობლემატიკა წამყვან ადგილს იჭერს ქართველ მეცნიერთა კვლევარეობაში (ალ. ბარამიძე, გ. იმედაშვილი, ა. გაწერელია, გ. ჭიბლაძე, შ. ხიდაშელი, ს. ცაიშვილი, რ. ნათაძე, ი. ლოლაშვილ ს. სერბერი-აკვირ, რ. თვარაძე ე. თვითმიძე, შ. გვიგინიშვილი).

11.5. აზროვნების ესთეტიზაციის საფუძველზე სამუაროს სტრუქტურა ესთეტიკური მოდელი წარმოსახება. სამუარო სახითა სისტემა. სამუაროს სტრუქტურული საფუძვრები სილამაზის განფენილობაა. ეს ხდებოდა არეოპაგოციული კოსმოლოგი იერარქიის ესთეტიკური გადაზარებებით. ასეა რუსთველთან და ასევე დაბტისთანაც. ამიტომ ემსახურება ერთმანეთს ზეცის მატერული მოდელი რუსთველთან და დაბტისთან (ა. გაწერელია).

გარკვეული აზრით, შეიძლება ითქვას, რომ რენესანსმა მომდევნო ეპოქებს უანდერძა აზროვნების ესთეტიზაცია, რომელიც, ცხადია,

ადრეც იყო ცნობილი, მაგრამ მისი ახლებური ფორმირება რენესანსის ხანის ნაყოფია. განვითარების კვალდაკვალ, ცივილიზაციის მონაპოვართა დაგროვების თვალსაზრისით, ამას უდიდესი მნიშვნელობა მიენიჭა. მან მოიტანა ისტორიის ესთეტიკაც: წარსულთან ანუ მოიხმობს უპირველესად იმას, რაც ესთეტიკურად ფასეული. ხოლო რაც მხოლოდ ფილოსოფიურ-რელიგიური, პოლიტიკურ-იურიდიული განზომილებისაა, წარსულსავე რჩება. ისტორიის ესთეტიკა ისტორიულ ეპოქათა მთლიანობის მახასიათებელს ეძებს. ისაა მისი სიმბოლო, მისი სახე. ესთეტიკური მნიშვნელობის სახე კი ფასეულობას არ ჰკარგავს. ამიტომაც იყო, რომ მეცნიერული ისტორიზმი, ფაქტურად, რენესანსიდან დაიწყო.

ამიტომაც რენესანსის უმთავრეს ნიშნად აზროვნების ესთეტიზაცია უნდა მივიჩნიოთ. ამ მხრივ, ქართული რენესანსის შესწავლა უდავოდ პერსპექტიული იქნება.

რენესანსული აზროვნების ესთეტიზაციაც ზოგადად შუა საუკუნეებში შემწადა. ამ დროს ისეთი ტრადიციული კატეგორიები, როგორცაა „რიცხვი“ და „წერიტი“ („ტაქსისი“, „კოსმოსი“), თანდათან კარგავენ თავიანთ წინააღმდეგ ხანობრივ-რაოდენობრივ მნიშვნელობას და „გასულიერდებიან“, ანდა, ადგილს უთმობენ სხვა სუბსტანციებს. ჯერ კიდევ მისტიკური ბურჟუაზი მოცულთ, მაგრამ უფრო აღამიანური და აბსტრაქტულ-სუბიექტური თვისებების მქონეთ. „განვითარების დრამატიზმი“ ითხოვდა, რომ უარყოფილიყო ანტიკური ხანის „იოლი განმარტბანი“ და მოჩვენებითი სინათლე, რათა აღამიანს თვარი გაესწორებინა შეუცნობლობისადმი, მთელი სიძლიერით შეეგრძნო არცოდნა („კრიტიკიანილი სოკრატისმი“), რათა კიდევ მეტად გამსჭვალულიყო შეცნობლობის სურვილით. შუასაუკუნეობრივი აზროვნების ეს ნაკადი განვითარა რენესანსმა, როცა შუასაუკუნეობისავე არისტოტელიანურ სქოლასტიკას დაუპირისპირდა. და თუ ეს იყო არსებითი, არსებითივე უნდა ყოფილიყო სწორედ ნეოპლატონიზმი და სწორედ საკუთრივ პლატონური ნაკადი ნეოპლატონიზმში. ამიტომაც დიდად პერსპექტიულად გვესახება ა. ლოსხვის მიერ რენესანსის საფუძვლად ნეოპლატონიზმის აღიარება.

11.6. დაბოლოს, საჭიროთ ვრაცობ, ერთხელ კიდევ აღვნიშნოთ, რომ რენესანსული აზროვნების ზოგადთეორიულ საფუძვლებს ქმნიდა: „ორგვარ სიბრძნეზე“ მოძღვრების ახლებური გაგება: ამჟვენიური და საღვთსმეტყველო სიბრძნის გათანაბრება. ჭეშმარიტ-ფილოსოფია და ღვთისმეტყველება ერთმანეთს მაქსიმალურად დაუახლოვდა: რენესანსული აზროვნების უნივერსალიზმა ამითაც გამოიხარა.

ყოველივე ეს ფრიად ნათელი სახით გამოვლინდა რუსთველის აზროვნებაში. თუმცა მას შემდგომი სახით განვითარება აღარ დასცალდა.

ნაკვეთი

ვაჟა ოთარაშვილი

ფურცელ-ფურცელ აკინძული ცხოვრება

საპარტიზოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის სტამბის საამქნაო საამქროს კართან ერთი ახალგაზრდა ავტორი შეშხვდა. მოუთმენლად ელოდა თავისი პირველი წიგნის სასიგნალო ეგზემპლარს. ის კაცი აეთეხსო, მითხრა და საამქროში მარჯვენა მხარეს გამაზვდა.

...საამქნაო საამქროში საამქროს უფროსი მერაბ დონაძე ახალგაზრდა თანამშრომლებს თავს დასტრიალებდა, რჩევას აძლევდა, შეკითვებზე მოკლე-მოკლედ პასუხობდა. დრო ვიხელთე თუ არა, გამოველაპარაკე. სათქმელი პირდაპირ საქმით დავიწყე, საამქროს უფროსმა ერთი ამათვალიერ-ჩამათვალიერა და მოჭრით მითხრა: საქმის მცოდნე და ოსტატი თუა, ნამ. დვილად ეგ არისო!

როცა ამ პატარა წერილის გმირ თენგიზ თომაძესთან მივედი, მართლაც იმ ახალგაზრდა ავტორის წიგნის აკინძვანე მუშაობდა.

— სხვაც ბევრი საქმე მაქვს, აი, აგერ ახლა მოვრჩი ჩვენი კარგი პოეტისა და რედაქტორის — მარიკა ზარათაშვილის წიგნის სასიგნალო ეგზემპლარების აკინძვას, წინეჭვეშ არის ახლა, ნახევარ საათში დაიბადება ახალი წიგნი. მერე ბუკლეტები, მერე უორნალი „კომუნისტი“ მაქვს ახაკინძავი, მერე, მერე... ერთი სიტყვით, რა გამოლევს აქ, ამხელა გამომცემლობაში საქმეს...

შინავე თენგიზ თომაძე საამქნაო საამქროს სასიგნალო განყოფილების ოსტატია. მან მაისს მან წელი შეუხრულდა, რაც იგი სტამბაში მუშაობს.

...მანამდე... მანამდე ბავშვობის რიკაფელობის დღეები არც კი ჰქონდა მომთავრებული, რომ წითელი არმიის რიგებში წავიდა მო-



ხალისე-ალხაზრდელად. კარგი, დისციპლინიანი ჯარისკაცი იყო. საოფიცრო სკოლაში გაგზავნა დაუპირეს, მაგრამ ვერ შეძლო წახვლა, მანამ, სამამულო ომის პირველი ჭკუფის ინვალიდს, კრილობებმა ავად გაუხსენეს...

თენგიზ თომაძემ 1956 წლის ივლისში ავკალის ცენტრალურ მექანიკურ სახელოსნოში დროებით მუშად დაიწყო მუშაობა. თან მუშა-ახალგაზრდობის მე-12 საშუალო სკოლაში გააგრძელა სწავლა.

...მანამდე გამომცემლობის დირექტორი შალვა წიფწივაძე იყო. სწორედ მან მიიღო 17 წლის უმაწილი საამქნაო საამქროში დამხმარე მუშად, რომლის საამქროს უფროსიც ცნობილი სპეციალისტი ვანო ელიოზიშვილი გახლდათ. ეს ასე მოხდა:

გაუთმა „კომუნისტი“ 1957 წლის გაზაფხულის მაწურულს ერთი განცხადება გამოაქვე-

უნა, რომელიც იუწყებოდა: „გამომცემლობის
ესპორტობა მუშა-ახალგაზრდებისო.

თ. თომამეშ ხუთოდე დღე იარა განცხადე-
ბით ხელში გამოცემლობის კარის წინ. ბოლოს
გამომცემლობის თანამშრომელი ლუბა დავი-
დოვა გამოელაპარაკა, გამოკითხა და... პირვე-
ლი ნაშედილი მუშის ნათლობის დღეები დაიწ-
ყო... მერე და მერე გავიდა ხამოოდ წელი,
ჩამოყალიბდა მართალი, ნაშედილი მუშის
ჩვევები, სინდისი. 1980 წელს ახალგაზრდა,
გამარჯე ზიქი ახლად ჩამოყალიბებულ კომკავში-
რულ-ახალგაზრდულ ბრიგადის ბრიგადირად გა-
დაამყავთ. ოსტატმა თბილად გაიხსენა მაშინ-
დელი ბრიგადის წევრები: ლომამე ეთერი, ტა-
ზაგულოვა სოფო, კიკნამე ლენა, ზეკიშვილი
ლიდა, ასლამაზოვა ლენა, შოთა მახათაძე, ირაკ-
ლი ქარსიძე. ამ ბრიგადაში ერთი, დიდიც, მუ-
შაობდა... დღეს მერეღეა თ. თომამეშ.

1985 წლიდან საამქროს უფროსის თხოვნით
თ. თომამეშ სამუშაოს უფრო ძნელ უზანზე გა-
დადის — ხაჭრელ მანქანაზე ოსტატად. ხუთი
წლის მერე კი ხახინალო განყოფილების ოს-
ტატაა...

თენგიზ თომამეშ კარგი ოჯახი აქვს. შვილები,
ნინო და სოსო, მშობლების კვალს გაჰყვნიენ —
ნინო „ახალგაზრდა კომუნისტის“ რედაქციაში
მუშაობს ტექნიკურ მდივნად, სოსო კი — საამწ-
ეობო საამქროშია დამკაბალონებლად. უმცრო-
სი, ირმა კი, ჭერ სკოლაში დადის.

საქართველოს კვ ცკ-ის გამოცემლობა მრ-
ავალი ხაზის ეურნალს, წიგნსა თუ ბუკლეტს ბეკ-
დავს. რა თქმა უნდა, მათ შორისაა ეურნალი
„ცისკარიც“. ყველა და ყველაფერს ხამკინ-
ძაო ხამქროს გაივლის, ყველა და ყველაფერს
ხახინალო ეგზემპლარები ეთედება პირველად
და... ისევე თენგიზ თომამეშთან აღმოჩნდებით.
თენგიზი კი მთელი რუდუნებით, ხაქმეზე შეუ-
ვარებული კაცი ხელით აკეთებს ხინდობილ
საქმებს. გვერდით მერი ბერიკაშვილი უდგას,
რომელსაც მაისის თვეში 27 წელი შეუსრულ-
და, რაც გამოცემლობაში მუშაობს. ხახინალო
ეგზემპლარები მათი ხელიდან გამოდის, იწყება
ახალი დღე, იწყება ახალი თვე და იხადება
ეურნალების ახალ-ახალი ნომრები...

ზელი მთგემართოთ ეთილო, მშრომელო ადა-
მიანებო!



ს გ ე ნ ი მ ა ხ ა მ ა რ თ ი : თბილისი, 880007, დავიანის ქ. № 2.
ტ ვ ლ ე უ ო ნ ე ბ ი : მთავარი რედაქტორი — 99-88-81. მთ. რედაქტორის მოადგილე — 72-26-88
მდივანი — 72-44-78, განყოფილებათა გამგეები — 72-20-86, პაროზის — 72-26-80, ლიტერატურ
რულო თანამშრომლები — 72-47-62, „ცისკარის“ დამატება — 72-17-01, საკორექტორო —
72-42-76.

გადაეცა საწყობად 26. 5. 82 წ., ხელმოწერილია დასაბეჭდად 12. 7. 82წ., ქალაქდის ზომა
70x108, ფიზიკურ ფორმათა რაოდენობა 10. პირობით ფორმათა რაოდენობა 14, სააღრ-საგ-
ობაბი 15.85. შეკვ. № 1329. უე 06352. ტირაჟი 52,900.

საქართველოს კვ ცკ-ის გამოცემლობის სტამბა, თბილისი, ლენინის 14.
Типография издательства ЦК КП Грузии, Тбилиси, ул. Ленина, 14.

ფანის 60 353.

0500360 76226

7 30

ЕЖЕМЕСЯЧНЫЙ ЛИТЕРАТУРНО-
ХУДОЖЕСТВЕННЫЙ И
ОБЩЕСТВЕННО-ПОЛИТИЧЕСКИЙ
ЖУРНАЛ

«ЦИСКАРИ»

ИЗДАТЕЛЬСТВО
ЦК КП ГРУЗИИ